‘სიმბიოსითის’ მიდგომა

მდგრადი ურბანული განვითარების კონცეპტუალური ჩარჩო

SymbioCity
SUSTAINABILITY BY SWEDEN

სარედაქციო შენიშვნები

‘სიმბიოსითი’ არის შვედეთის მთავრობის ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ურბანული განვითარების მხარდაჭერას მთელ მსოფლიოში. იგი ეფუძნება შვედურ გამოცდილებასა და მიდგომებს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი თვითმმართველობების როლს. 2012 წლიდან, შვედეთის ადგილობრივი თვითმმართველობებისა და რეგიონების ასოციაცია (SALAR), ორგანიზაცია SALAR International-ის მეშვეობით, ასრულებს ‘სიმბიოსითის’ მიდგომის სამდივნოს ფუნქციას და კოორდინაციას უწევს მის მსოფლიოში გავრცელებას. ეს მიდგომა გამოიყენება შვედეთის სხვა ორგანიზაციების მიერაც, სხვადასხვა კონტექსტში და განსხვავებული მიზნებისთვის. მისი პირველი გამოცემა შეიქმნა მდგრადი ურბანული განვითარების სფეროში მომუშავე ექსპერტთა ფართო ჯგუფის მონაწილეობით, სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების შედეგად. ‘სიმბიოსითი’ ეფუძნება Sida INEC Urban-ის მიერ 2007 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოს - „მდგრადი ქალაქის მიდგომა“, რომელიც მიზნად ისახავს განვითარებად ქვეყნებში ეკოლოგიურად მდგრადი ურბანული განვითარების მხარდაჭერას. ასევე გათვალისწინებულია ‘სიმბიოსითის’ მიდგომის წინამორბედი ვერსიებიც.

ავტორები, 1-ლი გამოცემა:
უფროსი პროფესორი **ულფ რანჰაგენი,** სამეფო ტექნოლოგიური ინსტიტუტი (KTH) (მთავარი ავტორი)
კლას გროთი, SALAR International
ავტორები, მე-2 გამოცემა (განახლებული ვერსია):
კლას გროთი, გუნარ ანდერსონი და **ჰელენა ოლსონი,** SALAR International
სარედაქციო მხარდაჭერა: **ანა გ’სონ ბერგი,** SALAR International
გრაფიკული დიზაინი და ილუსტრაციები: **ვიერა ლარსონი,** Ordbildarna AB და ავტორები
ფოტოები: **SALAR International,** სხვა შემთხვევაში მითითებულია
მე-2 გამოცემა, 2025 © საავტორო უფლება – SALAR International, 2025

საკონტაქტო ინფორმაცია

SALAR International, სტოკჰოლმი, შვედეთი
ვებსაიტი: **www.salarinternational.se/symbiocity.org**
ელ. ფოსტა: **info@salarinternational.se**
ტელეფონი: **+46 8 452 70 00**
ISBN 978-91-531-8199-6

‘სიმბიოსითის’ მიდგომა

მდგრადი ურბანული განვითარების კონცეპტუალური ჩარჩო

წინასიტყვაობა

Урбанიზაცია ისეთი სისწრაფით ახდენს გავლენას საზოგადოებაზე, რომ ამას რამდენიმე თაობის წინ თითქმის ვერავინ წარმოიდგენდა. ამჟამად, მსოფლიოს 8.2 მილიარდიანი მოსახლეობის დაახლოებით 58% ქალაქებში ცხოვრობს, ხოლო 2050 წლამდე მოსახლეობის ზრდის ორი მესამედი სწორედ ურბანულ სივრცეებში მოხდება. ეს ზრდა მხოლოდ მეგაპოლისებს არ ეხება – მცირე და საშუალო ზომის ქალაქებში უკვე ცხოვრობს მოსახლეობის ნახევარზე მეტი, ხოლო სწრაფი ზრდა განსაკუთრებით მათში შეიმჩნევა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა აფრიკისა და აზიის ქვეყნებში. იმისთვის, რომ ურბანიზაციამ რეალური გარდამტეხი ცვლილებები მოიტანოს და ყველასთვის უკეთესი საცხოვრებელი პირობები შექმნას, აუცილებელია ჰოლისტიკური, ერთიანი, ამასთან ინკლუზიური მართვა და დაგეგმარება.

კლიმატის ცვლილება ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე გამოწვევად რჩება. მისი გლობალური და ადგილობრივი, გრძელვადიანი გავლენები დამატებით წნეხს ახდენს ქალაქებზე – გარემოს გაუარესების, ეკონომიკური არასტაბილურობისა და ჰუმანიტარული კრიზისების სახით. კლიმატის ცვლილებასა და მიგრაციას პირდაპირი და ხშირად მყისიერი გავლენა აქვს ადგილობრივ დონეზე. თუმცა, თუ ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მართვა ეფუძნება ინტეგრირებულ მიდგომას, რის საფუძველზეც მათი განვითარების გეგმები ასახავს ჰოლისტურ პრინციპებს და ამავდროულად მუნიციპალიტეტები ფინანსურად უზრუნველყოფილია, მათ გაცილებით უკეთ შეუძლიათ აღნიშნულ გამოწვევებთან გამკლავება, რათა იქცნენ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების მამოძრავებელ ძალად. ასეთ პირობებში ქალაქები ქმნიან დინამიკურ ადგილობრივ ეკონომიკას, მაღალი ხარისხის საჯარო სივრცეებს, ნერგავენ ახალ ციფრულ ტექნოლოგიებს და უზრუნველყოფენ ეფექტიან, ხელმისაწვდომ მომსახურებებს.

‘სიმბიოსითის’ მიდგომა შეიქმნა იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს მდგრად ურბანიზაციას და გააუმჯობესოს ქალაქებში მცხოვრები ყველა ადამიანის ცხოვრების ხარისხი. იგი ეფუძნება შვედეთის მუნიციპალიტეტების მრავალწლოვან გამოცდილებას მდგრადი ურბანული განვითარების სფეროში და აერთიანებს SALAR International-ის პრაქტიკულ ცოდნას განვითარებად და გარდამავალ ქვეყნებში მუშაობიდან. ‘სიმბიოსითი’ წარმოადგენს პლატფორმას, რომელიც აერთიანებს ცოდნას, ინოვაციასა და გამოცდილებას – როგორც შვედეთიდან, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ეს პლატფორმა მუდმივად ვითარდება და ძლიერდება ურბანული

ლიდერების, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მზარდი ქსელის დახმარებით. მიდგომა მოქნილია და ითვალისწინებს ადგილობრივ საჭიროებებს, რაც უზრუნველყოფს მის ადაპტაციას კონკრეტულ კონტექსტზე.

ბოლო 15 წლის განმავლობაში, SALAR International-ის გამოცდილება ინკლუზიური და მდგრადი ურბანული განვითარების მიმართულებით – ასევე დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი მმართველობის მხარდაჭერაში – ცხადყოფს, რომ როცა ადამიანებს ეძლევათ ინსტრუმენტები, ნდობა და შესაძლებლობა, თავად ჩამოაყალიბონ საკუთარი გარემო, ისინი ქმნიან გრძელვადიან და მდგრად გადაწყვეტებს. განვითარების დაფინანსების ახალი რეალობა ქალაქებისა და ადგილობრივი ხელისუფლებებისთვის ერთდროულად ქმნის როგორც შესაძლებლობებს, ისე გამოწვევებს. თუმცა, იმისათვის, რომ გლობალურმა სტრატეგიებმა და საინვესტიციო ჩარჩოებმა წარმატებას მიაღწიოს, აუცილებელია ადგილობრივ დონეზე ძლიერი საკუთრების განცდის ჩამოყალიბება და ინკლუზიური პროცესების უზრუნველყოფა.

‘სიმბიოსითი’ გთავაზობთ მეთოდებს, პროცესებსა და ინსტრუმენტებს, რომლებიც მხარს უჭერს ჰოლისტიკური და ერთიანი სტრატეგიების შემუშავებას – იმგვარს, რომელიც აუმჯობესებს ურბანულ გარემოსა და ადამიანების ცხოვრების პირობებს. ამ გამოცემის მიზანი არ არის ყველა გამოწვევისთვის მზა პასუხების შეთავაზება – იგი გთავაზობთ პრინციპებს, მეთოდებსა და გამოცდილებებს, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებები უნდა ჩამოყალიბდეს ადგილზე არჩეულ წარმომადგენლებსა და თემის წევრებს შორის გამართული დისკუსიის შედეგად. თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ ეს მასალა თქვენთვის გახდება შთამაგონებელი და პრაქტიკულად სასარგებლო რესურსი ურბანული განვითარების პროცესში და მოუთმენლად ველით თქვენი გამოცდილებისა და მიღწევების შესახებ გამოხმაურებას.

რაიან ნოქსი
მმართველი დირექტორი
SALAR International

სარჩევი

წინასიტყვაობა 2
სარჩევი 4
‘სიმბიოსითის’ მიდგომა – გლობალურ დონეზე საქმიანობის ორი ათწლეული 6
პუბლიკაციის სტრუქტურა 9

1. ‘სიმბიოსითის’ მიდგომის გაცნობა 11
1.1 წანამძღვრები 12
1.2 მდგრადი ურბანული განვითარების გლობალური პოლიტიკის ჩარჩო 16
1.3 ‘სიმბიოსითის’ მიდგომა – მისი მიზანი და ფარგლები 19
1.4 ‘სიმბიოსითის’ მიდგომა, როგორც მეთოდი 21
1.5 მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის გზაზე 26

2. ურბანული გამოწვევები როგორც შესაძლებლობები 29
2.1 ურბანული ზრდის ტენდენციები გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში 30
2.2 ურბანიზაცია ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს კაცობრიობას 32
2.3 კლიმატის ცვლილება 33
2.4 ქალაქების მედეგობა 38
2.5 ურბანიზაციასა და ურბანულ ზრდასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი გამოწვევები 42
2.6 მდგრადი ურბანული განვითარების სოციალურ-კულტურული გამოწვევები 60
2.7 მდგრადი ურბანული განვითარების ეკონომიკური გამოწვევები 63
2.8 მდგრადი ურბანული განვითარების სივრცითი განზომილებები 67

3. ურბანული მდგრადობის კონცეპტუალური მოდელი 73
3.1 ურბანული მდგრადობის განზომილებები 74
3.2 სივრცითი განზომილებები 77
3.3 მდგრადი ურბანული განვითარების კონცეპტუალური მოდელი 78

4. ინსტიტუციური ფაქტორები 83
4.1 ურბანული მმართველობა და ინსტიტუციური გაძლიერება 84
4.2 პოლიტიკა და კანონმდებლობა 90
4.3 სივრცითი დაგეგმარება და მიწის მართვა 92
4.4 ინკლუზიური პროცესები 95
4.5 პარტნიორობების ჩამოყალიბება 100
4.6 ურბანული განვითარების დაფინანსება 102

5. მდგრადი ურბანული სისტემები და პოტენციური გადაკვეთის წერტილები 109

5.1 ურბანული ფუნქციები და ურბანული სტრუქტურა 111
5.2 საჯარო სივრცე და საჯარო განზომილება 115
5.3 ურბანული ლანდშაფტის დაგეგმარება და ეკოსისტემები 117
5.4 მობილობა, საგზაო მოძრაობა და ტრანსპორტი 119
5.5 შენობების პროექტირება და არქიტექტურა 125
5.6 ენერგოსისტემები 126
5.7 ნარჩენების მართვა 128
5.8 წყლის მართვა და სანიტარია 131
5.9 ურბანული სისტემები - სინერგიები და კლიმატის ცვლილება 133

6. ინკლუზიური და გამჭვირვალე პროცესების დანერგვა 141

6.1 ნაბიჯი 1 – პროცესის განსაზღვრა და ორგანიზება 146
6.2 ნაბიჯი 2 – არსებული ვითარების დიაგნოსტირება 150
6.3 ნაბიჯი 3 – ხედვის, მიზნებისა და ამოცანების დასახვა 155
6.4 ნაბიჯი 4 – ალტერნატიული გადაწყვეტების შემუშავება 160
6.5 ნაბიჯი 5 – სარგებლისა და ზემოქმედების შეფასება 164
6.6 ნაბიჯი 6 – განხორციელება და შემდგომი მონიტორინგი 167
6.7 როგორია შემდეგი ნაბიჯები? 172

7. კარგი პრაქტიკის მაგალითები 175

საცნობარო დოკუმენტები და ბიბლიოგრაფია 191

‘სიმბიოსითის’ მიდგომა – გლობალურ დონეზე საქმიანობის ორი ათწლეული

‘სიმბიოსითის’ მიდგომა თითქმის ორი ათწლეულია, რაც სხვადასხვა კონტექსტში გლობალურად გამოიყენება, რაც ადასტურებს ადგილობრივ დონეზე მდგრადი და ინკლუზიური ურბანული განვითარების ხელშეწყობის მნიშვნელობას.

ძირითადი მიგნებები და მიღებული გამოცდილება ცხადყოფს შემდეგი საკითხების მნიშვნელობას:

- **ყოვლისმომცველი და ინკლუზიური დაგეგმარება** – სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებისა და ადგილობრივი თემების მონაწილეობით მიიღება ურბანული განვითარების ერთიანი გადაწყვეტები ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, სოციოკულტურული და სივრცითი განზომილებების გათვალისწინებით.
- **ადგილობრივ პირობებზე მორგება** – თითოეული ვითარება უნიკალურია და მოითხოვს მოქნილ და ადგილობრივ საჭიროებებზე, ხელმისაწვდომ რესურსებსა და კონტექსტზე მორგებულ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივი ხელისუფლების, საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთათვის მის შესაბამისობასა და მასზე პასუხისმგებლობის აღებას.
- **მონაწილეობითი და თემის მიერ წარმართული პროცესები** – ადგილობრივი თემის, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის ჩართულობა გადამწყვეტია, რათა მათ მიიღონ მოცემული მიდგომა და შექმნან გადაწყვეტები, რომლებიც პასუხობს მრავალფეროვან, განსაკუთრებით კი ისეთი მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს, როგორებიც არიან ქალები, ბავშვები და ქალაქების სოციალური დაუცველი მოსახლეობა.
- **შესაძლებლობების გაძლიერება** – ინსტიტუციებისა და ურბანულ განვითარებაში ჩართული აქტორების შესაძლებლობებისა და უნარების გაძლიერება წაახალისებს მდგრადი და მედეგი ურბანული დაგეგმარების ახალი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებას.
- **ხელშესახები გაუმჯობესება** – ქალაქები ახორციელებენ ისეთ პროექტებს, როგორიცაა მდგრადი მობილობის სტრატეგია, მყარი ნარჩენების მართვის სისტემები და საჯარო სივრცის ტრანსფორმაციები, რაც იწვევს ურბანული გარემოსა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.
- **ცოდნის გაზიარება** – ერთმანეთისგან სწავლა და ქალაქებსა და ქვეყნებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაცვლა წაახალისებს თანამშრომლობასა და პარტნიორობას.
- **ადგილობრივი ხელისუფლების მიერ პასუხისმგებლობის აღების მნიშვნელობა** – გამოცდილება აჩვენებს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მდგრადი ურბანული განვითარების მიდგომების ინსტიტუციონალიზაციას მივყავართ დაგეგმარების უფრო ერთიანი და ინკლუზიური პროცესებისაკენ.

ეს გამოცდილება აჩვენებს, რომ ‘სიმბიოსითის’ მიდგომას აქვს პოტენციალი წარმატებით გადაჭრას ურბანული გამოწვევები და წვლილი შეიტანოს მდგრადი განვითარების მიზნებისა და „ახალი ურბანული დღის წესრიგის“ მიღწევის საქმეში.

გლობალურად, SALAR-ი 30-ზე მეტ ქვეყანაში მხარს უჭერდა ‘სიმბიოსითის’ მიდგომის გამოყენებას, მათ შორის გრძელვადიან ინიციატივებს **ჩინეთში**, **კოლუმბიაში**, **ეთიოპიაში**, **ინდონეზიაში**, **კენიაში**, **მიანმარში**, **ტუნისსა** და **ზამბიაში**.

ამასთან, ‘სიმბიოსითის’ მიდგომა გამოყენებულია სხვადასხვა საერთაშორისო სასწავლო პროგრამებში, რომლებიც მიზნად ისახავს ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობების გაძლიერებას ქალაქების დაგეგმვის, განვითარების და მართვის მიმართულებით. ეს პროგრამები ხორციელდება შემდეგ ქვეყნებში: **ალჟირში, ბანგლადეშში, საქართველოში, იორდანიაში, ლიბიაში, მაროკოში, ჩრდ. მაკედონიაში, რუანდაში, სერბეთში, სირიაში, ტანზანიაში, ტაილანდში, თურქეთში, უგანდაში, უკრაინაში, ვიეტნამსა** და **ზიმბაბვეში**.

‘სიმბიოსითის’ მიდგომით **წლების განმავლობაში შეიქმნა ცოდნა და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომია სხვადასხვა კონტექსტში კონცეფციის, მისი შესაბამისობისა და პრაქტიკაში გამოყენების სიღრმისეულად შესწავლის მსურველთათვის.**

‘სიმბიოსითის’ მიდგომის მიმოხილვა, დამატებითი ინფორმაცია და რესურსები შეგიძლიათ იხილოთ აქ: www.symbiocity.org



‘სიმბიოსითის’ ძირითადი პუბლიკაცია განმარტავს ურბანული განვითარების კონცეპტუალურ ჩარჩოს შესაბამისი მეთოდებით, ხელსაწყოებითა და პროცესზე ორიენტირებული მხარდაჭერით.



‘სიმბიოსითის’ პროცესის გზამკვლევი, სადაც წარმოდგენილია ‘სიმბიოსითის’ პროექტის განხორციელების დეტალური სახელმძღვანელო პრინციპები, პრაქტიკული რჩევები, მეთოდები და ინსტრუმენტები.



რეკომენდაციები, ინსტრუქციები და ნიმუშები ურბანული მდგრადობის მიმოხილვის განხორციელების მსურველი ქალაქებისა და ექსპერტებისათვის.



თემატური სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს გენდერის, ქალაქებში სიღარიბის შემცირების, მონაწილეობისა და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საკითხებს.



‘სიმბიოსითის’ მიდგომის მოკლე საინფორმაციო ბროშურა, რომელიც აღწერს, თუ როგორ გამოვიყენოთ იგი ინკლუზიური და მდგრადი ქალაქების ხელშესაწყობად მთელს მსოფლიოში.

მდგრადი ურბანული განვითარების ხელშეწყობის გზამკვლევი ქალაქის ხელმძღვანელობისათვის.



საჯარო სივრცის შექმნის სახელმძღვანელო ადგილობრივ თემებს ეხმარება კარგი და წარმატებული საჯარო სივრცეების შექმნაში.

მდგრადი ურბანული განვითარების შვედური გამოცდილების მიმოხილვა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის დონეს.



ინსტრუმენტების კრებული გვთავაზობს კენიაში ურბანული დაგეგმარებისა და განვითარების პროცესში ინკლუზიური, მონაწილეობითი ყოვლისმომცველი მიდგომის დანერგვის სახელმძღვანელო პრინციპებს.



წარმოადგენს გენდერულად მგრძნობიარე მდგრადი ურბანული განვითარების დანერგვის მეთოდებსა და მაგალითებს.

დოკუმენტი აჯამებს SALAR-ის მხარდაჭერას 20 ქვეყნის და ქალაქის მაგალითზე უფრო მდგრადი და ინკლუზიური ურბანული სივრცეების დაგეგმარებასა და განვითარების საკითხებზე.

‘სიმბიოსითის’ ყველაზე ხშირად გამოყენებადი მეთოდებისა და ინსტრუმენტების პრაქტიკული კრებული.



სახელმძღვანელო გვთავაზობს ინკლუზიური, მონაწილეობითი და ჰოლისტური პერსპექტივის გაერთიანებას ურბანული დაგეგმარებისა და განვითარებისთვის საქართველოში.

ESCOLAR
ZONA
PARE
PARE

პუბლიკაციის სტრუქტურა

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს ‘სიმბიოსითის’ მიდგომის ძირითად ელემენტებს, მათ შორის მისი შექმნის ისტორიას, კონცეპტუალურ ჩარჩოს, მეთოდოლოგიასა და სამუშაო პროცედურებს. ‘სიმბიოსითის’ მიდგომა განისაზღვრება, როგორც ზოგადი ჩარჩო, რომელიც უნდა მორგებულ იქნეს კონტექსტურ საჭიროებებსა და მიზნებზე.

- **თავი 1** ‘სიმბიოსითის’ მიდგომა, მისი შექმნის ისტორია, მიზნები და ამოცანები.

1. ‘სიმბიოსითი’ მიდგომა

- **თავი 2** ურბანიზაციის ძირითადი ტენდენციებისა და გამოწვევების ფართო მონახაზი.

2. ურბანული გამოწვევები და შესაძლებლობები

- **თავი 3** კონცეპტუალური მოდელი, როგორც მდგრადი ურბანული განვითარების ერთიანი და ყოვლისმომცველი მიდგომის საფუძველი. მისი გამოყენება სხვადასხვა კომპლექსურ ურბანულ კონტექსტში.

3. ურბანული მდგრადობის კონცეპტუალური მოდელი

- **თავი 4** ძირითადი ინსტიტუციური ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვნად მოქმედებენ მდგრად ურბანულ განვითარებაზე.

4. ინსტიტუციური ფაქტორები

- **თავი 5** ტიპური ურბანული სისტემებისა და ფუნქციების მიმოხილვა, რომლებიც გასათვალისწინებელია ურბანული განვითარების პროცესებში; ურთიერთკავშირები და პოტენციური სინერგიები, რომლებიც შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა ურბანულ სისტემას შორის.

5. მდგრადი ურბანული სისტემები და პოტენციური გადაკვეთის წერილები

- **თავი 6** ზოგადი სამუშაო პროცედურა, რომელიც შედგება ექვსი ძირითადი საფეხურისგან და თან ახლავს რიგი სამუშაო მეთოდები და ინსტრუმენტები.

6. სამუშაო პროცედურები

- **თავი 7** მდგრადი ურბანული განვითარების კაზუსების მოკლე მიმოხილვა, რომლებიც აჩვენებს *‘სიმბიოსითის’ მიდგომის* კონცეფციასა და ერთიან მეთოდოლოგიას და როგორ შეიძლება გამოვავლინოთ სინერგიები სისტემურ გადაწყვეტებში.

7. კარგი პრაქტიკის მაგალითები

Simon Sixten Larsson

1.

‘სიმბიოსითის’ მიდგომის გაცნობა

‘სიმბიოსითის’ მიდგომა ურბანული მდგრადობა

1.1 წანამძღვრები

თანამედროვე მსოფლიოში ურბანიზაცია სწრაფი ტემპით ვითარდება. მიუხედავად რეგიონების ტერიტორიული თავისებურებებისა, ეს თანაბრად თვალსაჩინოა აზიისა და აფრიკის კონტინენტებზე. ერთის მხრივ, ურბანიზაციას თან ახლავს მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევები, ხოლო მეორეს მხრივ იწვევს პოზიტიურ ცვლილებებს. მას შეუძლია ხელი შეუწყოს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, სოციალური ღირებულებების განმტკიცებას, ეთნიკური და კულტურული ერთიანობის გაღრმავებას, დემოკრატიული უფლებების გაფართოებასა და სიღარიბის შემცირებას[1]. საბოლოო ჯამში, ურბანიზაციით მეტი სარგებლის მისაღებად აუცილებელია მისი ეფექტიანი მართვა. ეს კი მოითხოვს ყოვლისმომცველ, ერთიან და ინკლუზიურ მმართველობასა და დაგეგმარებას. მხოლოდ ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს ტრანსფორმაციული დადებითი ცვლილებების წარმართვას, პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, და ამით ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ყველა სოციალური ჯგუფისთვის.

ამჟამად, მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 58% ანუ დაახლოებით 4,7 მილიარდი ადამიანი ურბანულ ტერიტორიებზე ცხოვრობს[2]. პროგნოზებით 2025 წლისთვის ქალაქებში ბარაკებსა თუ თვითნებურ დასახლებებში მცხოვრებთა რაოდენობა დაახლოებით 1,12 მილიარდამდე[3] გაიზრდება. ამ ადამიანების მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნია საკუთრების უფლებები, შეზღუდული აქვს წვდომა წყალმომარაგებაზე და ცხოვრობს არასათანადო საცხოვრებელ პირობებში[4]. გლობალურად ქალაქის ღარიბ უბნებში მცხოვრები მოსახლეობის წილი 2022 წლის მონაცემებით დაახლოებით 23%-ს შეადგენდა, რაც 2020 წელთან შედარებით (24.2%) მცირე კლებას აჩვენებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ურბანული უთანასწორობა კვლავ რჩება გამოწვევად. ამის მიზეზია ღარიბ უბნებში მცხოვრები ადამიანების მზარდი აბსოლუტური რაოდენობა, ინტენსიური ურბანული მიგრაცია თუ იძულებით გადაადგილება კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შედეგად.

მდგრად ურბანიზაციას აფერხებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა შეზღუდული საჯარო ფინანსები, პოლიტიკური ნების ნაკლებობა, არასათანადო მმართველობითი სტრუქტურები და შესაძლებლობები, ასევე სოციალურად დაუცველი და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მარგინალიზაცია. სიღარიბე არ შემოიფარგლება მხოლოდ რესურსების დეფიციტით; ის გულისხმობს შესაძლებლობებისა და არჩევანის, ძალაუფლებისა და ხმის უფლების, ასევე უსაფრთხოების ნაკლებობას[5]. თუ სიღარიბეს ამ კომპლექსური გადმოსახედიდან

[1] ანგარიშში „მსოფლიო ქალაქების მდგომარეობა 2010/2011 – ურბანული უთანასწორობის აღმოფხვრა“ (გაეროს ჰაბიტატი) დაწვრილებით არის განხილული ურბანიზაციის შედეგები.

[2] მსოფლიო ბანკის 2024 წლის შეფასებები გაეროს მოსახლეობის განყოფილების მსოფლიო ურბანიზაციის პროგნოზებზე დაყრდნობით.

[3] გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი (2025). მდგრადი განვითარების მიზნების 2025 წლის ანგარიში. ნიუ-იორკი. (გადაისინჯა 2025 წლის აგვისტოში).

[4] გაეროს ჰაბიტატის განმარტება: ქალაქის ღარიბი უბნების მაცხოვრებლები – ისეთ პირობებში მცხოვრები პირები, რომელიც შემდეგიდან ერთ ან მეტ კრიტერიუმს აკმაყოფილებენ: არასათანადო სასმელი წყალი; სანიტარული პირობები; საცხოვრებელი ნაგებობის ცუდი ხარისხი/გამძლეობა; გადატვირთულობა; და საკუთრების დაუცველობა.

[5] Sida, სიღარიბის მრავალგანზომილებიანი ანალიზი, ივნისი 2024წ.

არ მივუდგებით, მდგრადი განვითარების მიღწევა შეუძლებელი იქნება. ამავდროულად, თუ გარემოს დეგრადაცია და კლიმატის ცვლილება შეუქცევად პროცესად იქცევა, ეს პირდაპირ და ირიბად განაპირობებს სიღარიბის გაღრმავებასა და ადამიანის უფლებების დარღვევას. ამ გამოწვევების საპასუხოდ, აუცილებელია ურბანული დაგეგმარებისა და განვითარებისადმი ყოვლისმომცველი, ერთიანი და ინკლუზიური მიდგომა, რომელიც ეფუძნება მკაფიო ხედვებსა და მიზნებს, როგორიცაა ხელმისაწვდომი საცხოვრისის, ძირითადი სერვისებისა და გარემოსდაცვითი მენეჯმენტის უზრუნველყოფა. ამ პროცესში, ზოგადად ქალაქებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ურბანული გამოწვევების დაძლევასა და უფრო მდგრადი მომავლისკენ მიმავალი გზის განსაზღვრაში.

»ქალაქი არ არის პრობლემა – ის გამოსავალია.«

ჯეიმი ლერნერი,
კურიტიბას ყოფილი მერი,
ბრაზილია

‘სიმბიოსითის’ მიდგომის ისტორია

შვედეთს მდგრადი ურბანული განვითარების, მათ შორის გლობალურ დონეზე მისი მხარდაჭერის ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. 2000-იანი წლების დასაწყისიდან ეს მოიცავდა სხვადასხვა ინიციატივას, როგორებიცაა:

- „მდგრადი ქალაქის“ კონცეფციის განვითარებისა და დამკვიდრების ხელშეწყობა (2002[6]);
- ეკოლოგიურად მდგრადი ურბანული განვითარების მხარდაჭერა (Sida, 2006-2007); და
- *„ურბანულ სამყაროში სიღარიბესთან ბრძოლის“*[7] ინიციატივა.

ფოტო White Arkitekter

Hammarby Sjöstad – შვედეთის დედაქალაქში მდებარე პირველი მდგრადი უბანი

[6] წარდგენილ იქნა იოჰანესბურგში მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტზე, 2002წ.
[7] Sida (2006), სიღარიბესთან ბრძოლა ურბანულ გარემოში – ურბანული განვითარების მხარდაჭერა (პოლიტიკა), 2006-2011.

ფოტო AS_Photogrphy, pixabay

მალმეს პორტის დასავლეთი ნაწილი წარმოადგენს სივრცეს, რომელიც აერთიანებს მდგრადი ცხოვრების წესს, სამუშაო შესაძლებლობებსა და ცოდნის შექმნის გარემოს.

»გარემო ისეა დაგეგმილი, რომ ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების საჭიროებებს უპასუხოს.«

დაგეგმილი საცხოვრებელი გარემო

აღნიშნული დღემდე აქტუალურია ურბანიზაციის თანამედროვე კონტექსტში, ვინაიდან მისი მიზანია: *„მდგრადი ქალაქების განვითარების ხელშეწყობა, სადაც ყველა მოქალაქეს ექნება საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და ამით საკუთარი ქალაქისა და ქვეყნის განვითარებაში დამატებითი წვლილის შეტანის შესაძლებლობა“.* შვედეთის უახლესი პოლიტიკის მიმართულებები მოიცავს „კლიმატისა და გარემოსდაცვით პოლიტიკას“ (2022), რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი პლანეტის სამი კრიზისის გადაწყვეტას, ესენია: კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნების დაკარგვა და დაბინძურება;

ამას გარდა პროგრამა *„განვითარების მხარდაჭერის ახალი ეპოქა – თავისუფლება, გაძლიერება და მდგრადი ზრდა“* (MFA, 2023[8]) აერთიანებს ისეთ თემატურ სფეროებს, როგორიცაა ეკონომიკური ზრდა, ჯანდაცვა, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქმედებები, გენდერი და მმართველობა.

2008 წელს შვედეთის მთავრობამ წამოიწყო *ინიციატივა ‘სიმბიოსითი’* – მდგრადობა შვედურად. იგი აერთიანებდა „მდგრადი ქალაქის“ კონცეფციას და შვედური განვითარების თანამშრომლობის გამოცდილებას, ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველობის პრაქტიკასა და მეთოდებზე დაყრდნობით. 2010 წელს, ინიციატივა ‘სიმბიოსითი’ გადაიქცა ყოვლისმომცველ კონცეფციად და საკომუნიკაციო პლატფორმად, რომელიც აერთიანებდა შვედურ ინსტიტუტებსა და მდგრად ურბანულ განვითარებაში ჩართულ მხარეებს. დროთა განმავლობაში, შვედეთში განხორციელებული სხვადასხვა ინიციატივა და პროექტი მხარს უჭერდა ამ ინიციატივას. მაგალითად, ჰამარბი სიოსტადის და სტოკჰოლმის სამეფო საზღვაო პორტის რეკონსტრუქციის პროექტები სტოკჰოლმში, ასევე დასავლეთ ნავსადგურის პროექტი მალმეში, რომელთაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს და ‘სიმბიოსითის’ კონცეფციის პრაქტიკულ მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი.

[8] შვედეთის განვითარების დახმარების სტრატეგია, საგარეო საქმეთა სამინისტრო.

‘სიმბიოსითის’ მიდგომა შვედეთის მთავრობის ინიციატივაა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ურბანიზაციის ხელშეწყობას გლობალურ დონეზე. იგი დაფუძნებულია შვედურ ცოდნასა და ინოვაციებზე, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ადგილობრივი თვითმმართველობის პერსპექტივაზე. წამოწყებისთანავე ‘სიმბიოსითიმ’ გააერთიანა სხვადასხვა სამინისტრო თუ უწყება, მათ შორის არიან: გარემოს დაცვის, საგარეო საქმეთა, წარმოების, ენერგეტიკისა და კომუნიკაციების სამინისტროები, ასევე შვედეთის სავაჭრო საბჭო, Sida, SALAR-ი და შვედეთის უნივერსიტეტები. 2012 წლიდან, შვედეთის ადგილობრივ თვითმმართველობათა და რეგიონების ასოციაცია (SALAR-ი), SALAR International-ის მეშვეობით მოქმედებს, როგორც ‘სიმბიოსითის’ მიდგომის გლობალურ დონეზე განმახორციელებელი სამდივნო.

2018 წელს შვედეთის მთავრობამ დააარსა მდგრადი ქალაქების საბჭო[9], რომელმაც 14 ეროვნული უწყება და ინსტიტუცია გააერთიანა, რათა ერთობლივად წარემართათ შვედეთში მდგრადი ურბანული განვითარების ძალისხმევა. იმავე წელს დამტკიცდა ეროვნული არქიტექტურისა და ურბანული განაშენიანების პოლიტიკა – *„დაპროექტებული საცხოვრებელი გარემო“*, რომელიც მთავარი ეროვნული არქიტექტორის დანიშვნასთან ერთად, მიზნად ისახავდა მდგრადი ურბანიზაციის ერთიანი ძალისხმევის მხარდაჭერას. ეს, „დღის წესრიგი 2030“-ისა და მდგრადი განვითარების მიზნების მიმართ შვედეთის ერთგულებასთან ერთად მყარ საფუძველს ქმნის, რათა ქვეყანამ საერთაშორისო კონტექსტში განაგრძოს მდგრადი ურბანიზაციის მხარდაჭერა. შვედეთის 290 მუნიციპალიტეტის ადგილობრივ გამოცდილებას სწორედ ‘სიმბიოსითის’ მიდგომა აერთიანებს ჩარჩო კონცეფციის სახით.

»კაცობრიობას შესწევს მდგრადი განვითარების უნარი, რომელიც დააკმაყოფილებს ამჟამინდელ საჭიროებებს, მომავალი თაობების მიერ საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილების უნარის დათმობის გარეშე.«

‘სიმბიოსითის’ ძირითადი ელემენტები და გამოყენება

‘სიმბიოსითის’ მიდგომა განვითარებას გარემოსდაცვით, სოციალურ-კულტურულ, ეკონომიკურ და სივრცით ჭრილში განიხილავს. ამასთან, ის ითვალისწინებს ინსტიტუციურ და გენდერულ საკითხებს, ისევე როგორც მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერას. ამგვარად, მიდგომა ხელს უწყობს ურბანულ დონეზე სოციალური და ეკონომიკური ინკლუზიის გაძლიერებას, სივრცით თანასწორობას, გაუმჯობესებულ გარემოს დაცვას, რესურსების ეფექტიან გამოყენებას, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ქმედებებსა და სიღარიბის შემცირებას.

თითქმის ორი ათწლეულის განმავლობაში, *‘სიმბიოსითის’* მიდგომა სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენება. იგი დაინტერესებულ მხარეებს ურბანული გამოწვევების გადასაწყვეტად აერთიანებს. მიდგომა ხელს უწყობს პრაქტიკული, ერთიანი და მდგრადი გადაწყვეტების შემუშავებას გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში. იგი წარმოადგენს საწყის წერტილს და შთაგონების წყაროს მდგრადი ურბანული განვითარების ხედვების, სცენარებისა და სტრატეგიების შემუშავებისთვის. მიდგომა ხელს უწყობს ტრანსფორმაციული გადაწყვეტების დანერგვას უფრო მეტად განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში.

[9] https://www.hallbarstad.se/radet-for-levande-stader/.

'სიმბიოსითის' მიდგომით შესაძლებელია ქალაქების მდგრადობის შეფასება, ურბანული დაგეგმარების ინიციატივების დაგეგმვა და განხორციელება, ტრანსფორმაციული ურბანული პროექტების მომზადება და სასწავლო პროგრამების შემუშავება. გარდა ამისა, სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა მიზნით, მიდგომა ფართოდ გამოიყენება ისეთი შვედური ინსტიტუტების მიერ, როგორიცაა Sweco, RISE და ICLD.

კონცეპტუალურ ჩარჩოსთან („თეორია") ერთად *'სიმბიოსითის'* მიდგომა გვთავაზობს მეთოდებისა და ინსტრუმენტების მრავალფეროვან ნაკრებს („პრაქტიკა"), რითაც ხელს უწყობს ურბანული ტერიტორიების პროგრესულ ტრანსფორმაციას, მდგრადობასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. იგი ასევე გამოიყენება კონფლიქტის ან სტიქიური უბედურებების შემდეგ ურბანული აღდგენისა და რეკონსტრუქციის პროცესების ეფექტურად წარმართვისთვის. მიდგომა ხელს უწყობს ინკლუზიურ განვითარებასა და თანამშრომლობას ისეთ დაინტერესებულ მხარეებს შორის, როგორიცაა მუნიციპალიტეტები, რეგიონული და ეროვნული მთავრობები, სხვადასხვა ინსტიტუციები და უნივერსიტეტები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ადგილობრივი თემისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები. მდგრადი ურბანული განვითარება ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციაა და ის უნდა იყოს ამ პროცესის მამოძრავებელი ძალა. თუმცა, აუცილებელია კოორდინაცია და თანამშრომლობა, როგორც ცენტრალურ და რეგიონულ აქტორებთან, ასევე, ყველა სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან. ამასთან, 'სიმბიოსითის' მიდგომას შეუძლია ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ან საზოგადოებრივი ჯგუფების მდგრადი ურბანული განვითარების ქვემოდან ზემოთ ინიციატივების ეფექტურ წარმართვას.

ამ პროცესში, ყველაზე მნიშვნელოვან დაინტერესებულ მხარედ ქალაქის მაცხოვრებლები გვევლინებიან. მიდგომა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ურბანულ სივრცეში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ და მარგინალიზებულ ჯგუფებზე, მათ შორის ქალები, ბავშვები, მკვიდრი მოსახლეობა და მიგრანტები. ეს მიდგომა ინკლუზიური და ტრანსფორმაციული პროცესების წარმართვას ემსახურება, რათა ყველა მოქალაქეს ჰქონდეს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს იმ საკითხებში, რომლებიც უშუალოდ განსაზღვრავს მათ ყოველდღიურ ცხოვრებას.

1.2 მდგრადი ურბანული განვითარების გლობალური პოლიტიკის ჩარჩო

კაცობრიობის მომავლისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია მდგრადი ურბანიზაციის საკითხების გადაწყვეტა. ქალაქები ხშირად მოიხსენება, როგორც *„ადამიანების მიერ ოდესმე შექმნილი ყველაზე რთული ფენომენი"*. ეს შეფასება განპირობებულია იმით, რომ ურბანული სისტემები ერთმანეთზე გადაჯაჭვული სივრცითი განზომილებებისა და სოციალური რეალობების გავლენასა და ურთიერთქმედებას მოიცავს. ამ თვალსაზრისით, მდგრადი განვითა-

რების ჩარჩო, რომელიც პირველად 1987 წლის ბრუნდტლანდის ანგარიშში[10] ჩამოყალიბდა, კვლავ აქტუალურია.

სწრაფი ურბანიზაცია და მისი ეკოლოგიური და სოციალური შედეგები ჯერ კიდევ 1972 წელს, სტოკჰოლმში გამართულ პირველ გარემოსდაცვით კონფერენციაზე იქნა აღიარებული. ამით საფუძველი ჩაეყარა, გაეროს ხელმძღვანელობით დაწყებულ პროცესს, რომლის მიზანი გლობალური გარემოსდაცვითი გამოწვევების დაძლევა იყო. 1992 წელს, რიოში გამართული შემდეგი კონფერენციის შედეგად მიღებულ იქნა რიოს დეკლარაცია და „დღის წესრიგი 21“, რომელიც მდგრადი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გლობალურ ვალდებულებას წარმოადგენდა. პროცესის მართვისა და პროგრესის მონიტორინგის მიზნით შეიქმნა გაეროს მდგრადი განვითარების კომისია, ხოლო „ადგილობრივი დღის წესრიგი 21“ (LA 21) ადგილობრივი თვითმმართველობის კომპონენტად იქცა. მისი მიზანი იყო ადგილობრივი სტრატეგიების, გეგმებისა და ქმედებების განხორციელება, მათ შორის ურბანული განვითარების მიმართულებით. 2000 წელს შეიქმნა *ათასწლეულის დეკლარაცია*, რომელიც მოგვიანებით *ათასწლეულის განვითარების* რვა მიზნად დაიყო, ხოლო მათი მიღწევის ვადად 2014 წელი განისაზღვრა. ამავე პერიოდში, 2002 წელს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ იოჰანესბურგში გამართული მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტზე (WSSD) განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მდგრადი ურბანული განვითარების ხელშეწყობის მნიშვნელობას.

კიოტოს პროტოკოლი 1997 წელს იქნა მიღებული, ხოლო ძალაში 2005 წელს შევიდა, გაეროს *კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის* (UNFCCC) ფარგლებში. მისი მიზანი იყო ინდუსტრიულ ქვეყნებში სათბურის აირების ემისიების შემცირება. მოგვიანებით, იგი ჩანაცვლდა პარიზის შეთანხმებით (2015), რომელიც მიღებულ იქნა პარიზში, გაეროს კლიმატის ცვლილების კონფერენციის (COP 21) ფარგლებში. მისი მთავარი მიზანია გლობალური ტემპერატურის ზრდის შეზღუდვა პრეინდუსტრიულ დონეებთან შედარებით მაქსიმუმ 1,5°C-მდე. *კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელი (IPCC) ხაზს უსვამს*, რომ „1,5°C ზღვარის გადალახვა გაცილებით მძიმე შედეგების დადგომას მოასწავებს, მათ შორის უფრო ხშირი და ძლიერი გვალვების, თბური ტალღებისა და უხვი ნალექების სახით“. პარიზის შეთანხმება დაფუძნებულია ხუთწლიან ციკლზე, რომლის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაცია. ამასთან, ქვეყნები ადგენენ კლიმატის ეროვნულ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებს და იღებენ ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDCs) შესრულების ვალდებულებას, რომლის მიზანიც სათბურის აირების ემისიების შემცირებაა.

2015 წლის სექტემბერში გაერომ დაამტკიცა დოკუმენტი *„ჩვენი სამყაროს ტრანსფორმაცია: მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგი“*, როგორც ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანთა *კეთილდღეობის, პლანეტის დაცვის, მშვიდობისა და პარტნიორობის უზრუნველყოფას*. აღნი-

»სტრატეგია ახალ ურბანულ დღის წესრიგზე გვაჩვენებს, რომ თუ ქალაქები სწორად დაგეგმავენ და მართავენ სერვისებს, ეს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში უფრო დაგვეხმარება.«

ახალი ურბანული დღისწესრიგი (ილუსტრირებული გამოცემა)

[10] WECD (გარემოს დაცვისა და განვითარების მსოფლიო კომისია (1987) ჩვენი საერთო მომავალი, ბრუნტლანდის კომისია, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა. ოქსფორდი. გვ. 8.

შნულ გეგმას თან ახლავს მდგრადი განვითარების 17 მიზანი (SDG), რომლებიც მდგრადი განვითარების სამი განზომილების განუყოფელი ნაწილია: *ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი.* განხორციელების პროგრესს მიმოიხილავს და მონიტორინგს ხელმძღვანელობს მდგრადი განვითარების მაღალი დონის პოლიტიკური ფორუმი (HLPF). პროცესს მხარს უჭერენ, როგორც ქვეყნები, ისე ქალაქები, რომლებიც საკუთარი ძალისხმევის კონტროლისა და დოკუმენტირების მიზნით ახორციელებენ ნებაყოფლობით ეროვნულ მიმოხილვებსა (VNR) და ნებაყოფლობით ადგილობრივ მიმოხილვებს (VLR). 2020 წელს დაარსებული „მოქმედების ათწლეული“ მიზნად ისახავს 2030 წლისთვის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის პროცესის დაჩქარებას.

2015 წელს მიღებულ იქნა რამდენიმე მხარდამჭერი შეთანხმება, მათ შორის კატასტროფების რისკის შემცირების სენდაის ჩარჩო (2015–2030), რომლის მიზანია „კატასტროფების რისკისა და დანაკარგების მნიშვნელოვნად შემცირება“. ამასთან, ადის-აბებას სამოქმედო დღის წესრიგი (AAAA) უზრუნველყოფს გლობალურ ჩარჩოს მდგრადი განვითარების დაფინანსების სტიმულირებისა და მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისთვის.

„ახალი ურბანული დღის წესრიგი“ (NUA) მიღებულ იქნა 2016 წელს, ეკვადორის დედაქალაქ კიტოში გამართულ საბინაო და მდგრადი ურბანული განვითარების მესამე კონფერენციაზე (Habitat III). იგი წარმოადგენს უკეთესი და უფრო მდგრადი მომავლის საერთო ხედვას. დოკუმენტი ხაზს უსვამს, რომ „კარგად დაგეგმილი და კარგად მართული ურბანიზაცია შეიძლება იქცეს მდგრადი განვითარების ძლიერ ინსტრუმენტად, როგორც განვითარებადი, ასევე განვითარებული ქვეყნებისათვის“. მოგვიანებით, გაეროს ჰაბიტატმა გამოაქვეყნა სამოქმედო ჩარჩოს პროექტი და *„ახალი ურბანული დღის წესრიგის“ ილუსტრირებული ვერსია*[11], მისი განხორციელების პროცესის ხელშეწყობისთვის.

სწრაფი ურბანიზაციისა და მისი მათ შორის თემებზე, ქალაქებზე, ეკონომიკაზე, კლიმატის ცვლილებასა და პოლიტიკაზე ზემოქმედების განხილვისა და მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მხარდასაჭერად, გაეროს ჰაბიტატი წელიწადში ორჯერ ატარებს „მსოფლიო ურბანულ ფორუმს“. კონფერენცია აერთიანებს ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ მთავრობებს, სამოქალაქო საზოგადოებას, აკადემიური წრეებს, კერძო სექტორს, საზოგადოების ლიდერებსა და ურბანული და ნაშენი გარემოს სფეროს პროფესიონალებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. იგი ემსახურება ცნობიერების ამაღლებას, ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, ეფექტური პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და თანამშრომლობისა და პარტნიორობის ხელშეწყობას მდგრადი ურბანიზაციისკენ მიმართული ძალისხმევის წინსვლისა და დაჩქარებისათვის.

სტოკჰოლმის „+50 კონფერენცია“, რომელიც 2022 წლის მაისში გაიმართა, ორგანიზებული იყო თემაზე „ჯანსაღი პლანეტა ყველას კეთილდღეობისთვის – ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენი შესაძლებლობა“. კონფერენცია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა პლანეტის სამმაგ კრიზისზე – კლიმატის ცვლილება,

[11] „ახალი ურბანული დღის წესრიგის“ ილუსტრირებული ვერსია, გაეროს ჰაბიტატი, 2020

დაბინძურება, ნარჩენები, ასევე ბუნებისა და ბიომრავალფეროვნების დაკარგვა. ამასთან, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია (UNFCCC) ყოველწლიურად აწყობს მხარეთა კონფერენციას (COP), რომელიც წარმოადგენს პროგრესის მონიტორინგისა და ახალი კლიმატური ვალდებულებების დასახვის მექანიზმს. ამ პროცესში მდგრადი ურბანიზაცია სულ უფრო მნიშვნელოვანი კომპონენტი ხდება.

1.3 'სიმბიოსითის' მიდგომა – მისი მიზანი და ფარგლები

'სიმბიოსითის' მიდგომა ხელს უწყობს მდგრად ურბანულ განვითარებას. იგი აერთიანებს ეკოლოგიურ, სოციალურ-კულტურულ, ეკონომიკურ და სივრცით ასპექტებს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, ინსტიტუციურ და გენდერულ საკითხებს, ასევე მოწყვლად ჯგუფებს. ამით, მიდგომა მხარს უჭერს ყველასათვის უფრო ჯანსაღი და მდგრადი ქალაქების განვითარებას.

ზოგიერთი ფაქტი

'სიმბიოსითის' კონცეფცია ეს არის მდგრადი ურბანული განვითარებისადმი ყოვლისმომცველი, ერთიანი და ინკლუზიური მიდგომა. საბოლოო ჯამში, იგი მიზნად ისახავს ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას ყველასათვის. იგი უზრუნველყოფს სამართლიან ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით განვითარებას, ამასთანავე ხელს უწყობს სიღარიბის შემცირებას.

'სიმბიოსითის' მიდგომა წარმოადგენს ზოგად და მოქნილ ჩარჩოს, რომელიც ადგილობრივი პირობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით გამოიყენება. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებისთვის, და აღდგენისა და რეკონსტრუქციისთვის. ამასთან, მიდგომა აქტუალურია ახალი და განვითარებული ეკონომიკის მქონე ქალაქებისთვისაც.

მდგრადი ურბანული განვითარება დინამიკური და კომპლექსური პროცესია, რომელზეც გავლენას ახდენს არსებული პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული გარემო. ამ კონტექსტში, 'სიმბიოსითის' მიდგომა წარმოადგენს ზოგად კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომელსაც თან ახლავს მოქნილი მეთოდოლოგია და ინსტრუმენტების ნაკრები მდგრადი ურბანული განვითარების პროცესების სამართავად. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ურბანულ სისტემებსა და ფუნქციებს შორის ურთიერთკავშირებსა და სინერგიაზე, რაც უზრუნველყოფს მათი ურთიერთქმედების ეფექტიანობას. ტრანსფორმაციული გადაწყვეტების მისაღწევად, 'სიმბიოსითის' გამოყენება უნდა იყოს მორგებული კონტექსტზე, რათა უპასუხოს კონკრეტული რეგიონების, ქალაქების, დაბებისა და თემების საჭიროებებსა და სპეციფიკურ პირობებს.

‘სიმბიოსითის’ მიდგომა მიზნად ისახავს თანამშრომლობას და არა კონკურენციაში შესვლას იმ აქტორებთან, ვისაც საერთო ინტერესები და მიზნები ამოძრავებთ.

‘სიმბიოსითის’ *მიდგომის* ძირითადი ამოცანებია:

- ურბანული საკითხებით დაინტერესებული მხარეების, სხვადასხვა დონის მმართველობის და განსაკუთრებით ადგილობრივი ხელისუფლების *ინსტიტუციური და ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერება;*
- ურბანულ საკითხებში ხელმძღვანელი პირებისა და *გადაწყვეტილების მიღების პროცესის მხარდაჭერა;*
- დაინტერესებულ მხარეებსა და კოლეგებს შორის დიალოგის, თანამშრომლობის, ცოდნისა და გამოცდილებების ურთიერთგაზიარების მხარდაჭერა;
- ქალაქების სტრატეგიების, გეგმებისა და ურბანული ჩარევების პროექტების შემუშავებაში წვლილის შეტანა ურბანული ტერიტორიების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ტრანსფორმაციის მისაღწევად, მათ შორის ურბანული აღდგენა და რეაბილიტაცია კონფლიქტით დაზარალებულ ტერიტორიებზე;
- მდგრადი ურბანული მიმოხილვების პროცესში გზამკვლევის როლის შესრულება არსებული და ახალი ურბანული გამოწვევების გამოვლენისა და მათი რუკაზე დატანის მიზნით;
- დიდი თუ პატარა ქალაქების მხარდაჭერა გამოავლინონ მდგრადი ურბანული განვითარების პრაქტიკული და ერთიანი სისტემური გადაწყვეტები;
- ადგილობრივ მთავრობების მხარდაჭერა გამოავლინონ და შეიმუშაონ მედეგი და ინკლუზიური პროექტები, რომლებიც მოკლევადიანი საჭიროებების დაკმაყოფილებისა და გრძელვადიანი ადგილობრივი განვითარების სტიმულირების კატალიზატორი იქნება.

სურათი 1.1
‘სიმბიოსითის’ მიდგომის განხორციელებაში აუცილებელია სხვადასხვა დაინტერესებული მხარების ჩართვა

‘სიმბიოსითის’ მიდგომა აღიარებს მსოფლიოში, მდგრადი ურბანიზაციის დარგში ხელმისაწვდომი რესურსების მრავალფეროვნებას. მისი მიზანია დარგში არსებული ნორმატიული პროდუქტების, მეთოდოლოგიებისა თუ ინსტრუმენტების შევსება. ჩარჩოს არ აქვს რაიმე პრეტენზია, რომ სრულად მოიცავს ან სიღრმისეულად განიხილავს ურბანული მდგრადობის ყველა ასპექტს. ნაცვლად ამისა, იგი წარმოადგენს პლატფორმას, რომელიც საჭიროებისამებრ უნდა მოერგოს კონკრეტულ კონტექსტსა და ვითარებას.

‘სიმბიოსითის’ მიდგომა ხელს უწყობს ინკლუზიურ და სოციალურად დაუცველ ჯგუფებზე ორიენტირებულ ურბანულ განვითარებას. იგი ითვალისწინებს მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებსა და უფლებებს, და ამას უზრუნველყოფს მათი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვით. ეს მეტად მნიშვნელოვანია, როდესაც სხვადასხვა თემის თუ ჯგუფის წარმომადგენლები, როგორიცაა მაგალითად, ქალაქის სოციალურად დაუცველი მოსახლეობა და სხვა მოწყვლადი ჯგუფები (ქალები, ბავშვები, ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მკვიდრი მოსახლეობა, მიგრანტები, ბარაკების მაცხოვრებლები, იძულებით გადაადგილებული პირები სხვ.) არ არიან სათანადოდ წარმოდგენილნი და ჩართულნი იმ გეგმებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელიც პირდაპირ

ახდენს გავლენას მათ ცხოვრებაზე. ამ კონტექსტში კარგი ურბანული მმართველობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

'სიმბიოსითის' მიდგომა, პირველ რიგში, ადგილობრივ დონეზე მუშაობს მდგრად ურბანულ განვითარებაზე. იგი აძლიერებს ადგილობრივ ხელისუფლებასა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს საკრებულოებსა და მუნიციპალურ სამსახურებში, იქნებიან ეს არჩეული წარმომადგენლები თუ თანამდებობის პირები/საჯარო მოხელეები. ეს ვრცელდება ქალაქის სხვა დაინტერესებულ მხარეებზეც, როგორიცაა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, საზოგადოებრივი ჯგუფები, პროფესიული ასოციაციები, ბიზნესები და ა.შ. თანაბრად მნიშვნელოვანია რეგიონული და ეროვნული მთავრობების ადგილობრივ დონეზე განვითარების საკითხებში ჩართვა.

უნდა აღინიშნოს, რომ *'სიმბიოსითის' მიდგომის* ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა ქალაქის ხელისუფლების გარკვეული ხარისხის ავტონომიურობა. ეს გულისხმობს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების, პროცესების დაგეგმვის, რესურსების განაწილების შესაძლებლობას და ამავე დროს, მოსახლეობის მხრიდან დემოკრატიული ლეგიტიმაციის არსებობას. მხოლოდ ამ პირობების დაცვით შეიძლება აღნიშნული მიდგომა ჭეშმარიტად ყოვლისმომცველი, ერთიანი და ინკლუზიური იყოს.

1.4 'სიმბიოსითის' მიდგომა, როგორც მეთოდი

'სიმბიოსითის' მიდგომა წარმოადგენს კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომელიც ეფუძნება მდგრადი ურბანული განვითარების მოდელს და ამ მიმართულებით არსებულ თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლებს. თავად მეთოდოლოგია კი ემყარება ეტაპობრივ და პრაქტიკულ სამუშაო პროცესს, რომლის განხორციელება დამხმარე ხელსაწყოების მეშვეობითაა შესაძლებელი. ამრიგად, 'სიმბიოსითის' მიდგომა ხელს უწყობს მდგრადი ურბანული განვითარების შესახებ დიალოგსა და მსჯელობას. იგი აერთიანებს ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით პერსპექტივებს, ეხმარება გადაწყვეტილების მიმღებებს გაიაზრონ, როგორ აისახება თითოეული მიმართულება კონკრეტულ ტერიტორიულ კონტექსტში. გარდა ამისა, ის გვთავაზობთ პრაქტიკულ სახელმძღვანელოს, რომელიც წარმატებით განხორციელების შემთხვევაში განვითარების ხელშესახებ და ქმედით შედეგებს მოიტანს და ხელს შეუწყობს ურბანულ მდგრადობას. დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლება და შესაძლებლობების გაძლიერება თან ახლავს ამ პროცესს.

'სიმბიოსითი' ადამიანზე ორიენტირებული მიდგომაა. მისი პრინციპებია დაგეგმვა ადამიანებისთვის, ადამიანებთან ერთად და განვითარების ერთიანი მიდგომების დაცვით. მისი მიზანია ცხოვრების სტანდარტების, უსაფრთხოების, კომფორტისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ყველასათვის. სამივე პრინციპი ურთიერთდაკავშირებულია და ეფუძნება აქტიურ მონაწილეობას, კონსულტაციასა და ცნობიერების ამაღლებას, რაც უზრუნველყოფს ფართო სპექტრის დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.

ფოტო Hoperaisers Initiative

'სიმბიოსითი' მიდგომა აღიარებს სხვადასხვა ჯგუფების, მათ შორის ქალების, გოგონების და ბიჭების საჭიროებებს.

ზოგიერთი ფაქტი

ადამიანებისთვის დაგეგმარება: ადამიანებს განსხვავებული საჭიროებები და პრიორიტეტები აქვთ. ხანდაზმულები, ბავშვები, ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ასევე სხვადასხვა შემოსავლისა და განათლების მქონე ადამიანები განსხვავებულად იყენებენ სივრცეებსა და სერვისებს. შესაბამისად, ინკლუზიური ურბანული სივრცე ისეთი გარემოა, რომელიც აკმაყოფილებს მთლიანი ურბანული მოსახლეობის მრავალფეროვან საჭიროებებს.

ადამიანებთან ერთად დაგეგმარება: ინკლუზიური ურბანული ტერიტორიები მონაწილეობითი პროცესის შედეგად ვითარდება, სადაც ყველა დაინტერესებული მხარე, განსაკუთრებით საზოგადოების დაუცველი ჯგუფების წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი დაგეგმარებაში, განვითარებასა და მართვაში. ამგვარი მიდგომა ისეთი გადაწყვეტების პოვნის საშუალებას იძლევა, რომლებიც რეალურად პასუხობს მრავალფეროვანი ჯგუფების საჭიროებებს და ამავდროულად აღვივებს საკუთრების გრძნობას დაინტერესებულ მხარეებს შორის.

ერთიანი დაგეგმარება: ერთიანი დაგეგმარება სცდება ინდივიდის თვალსაზრისს და მოიცავს დაინტერესებული მხარეების, დარგებისა და გადაწყვეტის ალტერნატიული გზების გადაწყვეტების ფართო სპექტრს. იგი მოიცავს ურბანული ტერიტორიების ყოვლისმომცველ ხედვას, საზღვრებს მიღმა თანამშრომლობას და ყველა დაინტერესებული მხარის ერთობლივი რესურსების გამოყენებას მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად.

ურბანული განვითარება ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობას წარმოადგენს, ხოლო 'სიმბიოსითი' ხელს უწყობს განვითარებისადმი ინკლუზიურ მიდგომას, სადაც პროცესში ჩართულია ქალაქის სხვადასხვა დაინტერესებული

მხარე, როგორიცაა ადგილობრივი მოსახლეობა, ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები და სხვა. ამასთან, ურბანული განვითარების ინიციატივების შედეგები უნდა იყოს ინკლუზიური. ეს გულისხმობს ურბანულ სივრცეებსა და ფუნქციებზე თანაბარ წვდომას და მოწყვლადი მოსახლეობის ინტერესების, გენდერული თანასწორობის პრინციპების და მარგინალიზებული ჯგუფების საჭიროებების დაცვას.

»2030 წლისთვის გავაძლიეროთ ინკლუზიური და მდგრადი ურბანიზაცია და გავზარდოთ ადამიანების ჩართულობა ქალაქების დაგეგმვასა და მართვაში.«

მიზანი 11.3, მდგრადი განვითარების მიზნები, მიზანი 11

ზოგიერთი ფაქტი

'სიმბიოსითის' მიდგომა ეფუძნება საკითხების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ პროცესსა და სამუშაო მეთოდებს ინკლუზიური და მდგრადი განვითარების მიმართულებით:

ცალკეული დარგობრივი მიდგომიდან მულტიდისციპლინურ გუნდებამდე – სხვადასხვა მხარესა და დისციპლინების კავშირი ქმნის სინერგიას და წარმოშობს ერთიან გადაწყვეტებს, რომლებიც უზრუნველყოფს ადგილობრივი რესურსებისა და აქტივების ეფექტიან გამოყენებას.

ზემოდან ქვემოთ პროცესებიდან ქვემოდან ზემოთ პროცესებამდე – ადამიანებისა და დაინტერესებული მხარეების გაძლიერებითა და მათი ჩართულობით მიიღება ადაპტირებადი გადაწყვეტები, რომლებიც ყველასთვის მისაღებია და დროში მდგრადია.

პრობლემიდან ყურადღების ხედვაზე გადატანა – მომავლის პოზიტიური, საერთო ხედვა დაინტერესებულ მხარეებს მოტივაციას აძლევს გაბედულად და იმედით შეხედონ იმ მრავალრიცხოვან და რთულ პრობლემებს, რომელთა წინაშეც ხშირად დგანან.

რეაქციული მიდგომიდან პროაქტიულ მიდგომაზე გადასვლა – პრობლემებზე მათი წარმოშობისთანავე რეაგირების ნაცვლად, ურბანული გამოწვევებისადმი პროაქტიული მიდგომა დაგვიზოგავს ფინანსებს და თავიდან აგვაცილებს კატასტროფებს.

ცალკეული შედეგებიდან სინერგიებამდე – ისეთი გადაწყვეტები, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე პრობლემას აგვარებს, ხშირად უფრო ეკონომიური და მდგრადია, რადგან ასეთი გადაწყვეტები უფრო მეტ შედეგს იძლევა მცირე რესურსების პირობებშიც კი.

'სიმბიოსითის' მიდგომა განუყოფელია რეგიონის, ქალაქის, დაბის ან ტერიტორიის არსებული და სასურველი სივრცითი და ფუნქციური მახასიათებლებისგან. იგი ხელს უწყობს თანაბარ გარემოსდაცვით, ეკონომიკურ და სოციოკულტურულ განვითარებას. მისი მიზანია



სურათი 1.2
'სიმბიოსითი' მიდგომა შესაძლოა გამოყენებულ იქნას, როგორც კონცეპტუალური ჩარჩო და სახელმძღვანელო მდგრადი ურბანული განვითარების პროცესებში

ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, კომფორტისა და ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფა ყველასთვის. ურბანული სისტემების, ფუნქციებისა და სტრუქტურების სინერგიას ისეთ დარგებში, როგორიცაა წყალმომარაგება, ენერგეტიკა, ნარჩენების მართვა, ტრანსპორტი და საგზაო მოძრაობა, მშენებლობა და არქიტექტურა, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ლანდშაფტის მართვა და სოციალური სივრცეები უფრო ეფექტური და მიზანმიმართული გადაწყვეტებისკენ მივყავართ. ეს კი, საბოლოო ჯამში, დამატებით ღირებულებას ქმნის ურბანული განვითარების პროცესში.

ურბანული განვითარების პროცესებისა და შედეგების მდგრადობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელია ეფექტური და გამჭვირვალე *ინსტიტუციური ჩარჩო.* ინსტიტუციური ფაქტორები მოიცავს მენეჯმენტს, პასუხისმგებლობების განაწილებას და შიდა და გარე კავშირებს, ასევე კანონმდებლობას, დაფინანსებას, ურბანულ მმართველობას და პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. მაგალითად, სივრცითი და ურბანული დაგეგმარების უფლებამოსილებები ინსტიტუციური ჩარჩოს ნაწილია.

ქალაქების *სივრცითი მოწყობა,* მათ შორის სხვადასხვა ურბანული ფუნქციებისა და სისტემების მიწოდება და განაწილება (ადგილმდებარეობა), განსაზღვრავს ურბანული მდგრადობის პირობებს. მდგრადი ურბანული განვითარება ამცირებს სივრცით უთანასწორობას და უზრუნველყოფს თანაბარ წვდომასა და სიახლოვეს, მაგალითად, სოციალურ სერვისებსა და ეკონომიკური საქმიანობის წერტილებთან. სივრცითი თვალსაზრისით ინკლუზიური ურბანული ტერიტორიები ითვალისწინებს, როგორც ურბანულ, ისე რეგიონულ ნაშენ და ბუნებრივ გარემოს. ურბანული განვითარება უნდა მოიცავდეს მრავალ დონესა და მასშტაბს დაწყებული ტერიტორიული და საქალაქო დონით და დასრულებული უბნებითა და კვარტლებით.

ამრიგად, 'სიმბიოსითის' მიდგომა ეფუძნება ძირეული საკითხების, ღირებულებებისა და კომპონენტების ერთობლიობას, რომლებიც კონცეპტუალური ჩარჩოს სახით არის ჩამოყალიბებული.

სამუშაო პროცედურები ექვს საფეხურიან განმეორებითი ხასიათის მქონე პროცესს მოიცავს, რომელსაც თან ახლავს არსებულ პირობებსა და კონკრეტულ საჭიროებებზე ადაპტირებადი ინსტრუმენტების ნაკრები.

იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა დონეზე, როგორიცაა რეგიონი, ქალაქი, ქალაქში არსებული რაიონი, უბანი ან ცალკეული კვარტალი. სამუშაო პროცესი უნდა იყოს მიზანზე ორიენტირებული, მულტიდისციპლინური, გამჭვირვალე და ინკლუზიური. სასურველია, რომ პროცესის შედეგი იყოს გარკვეული სტრატეგია ან განხორციელებადი, ხელშესახები სამოქმედო გეგმა. სამუშაო პროცესი ეფუძნება 'სიმბიოსითის' მიდგომის სხვადასხვა კონტექსტში დაგროვილ გამოცდილებას, რომელიც ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში პრაქტიკაში განხორციელდა. ასევე, იგი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით შვედეთში განხორციელებულ კვლევებსა და ურბანული განვითარების სფეროში გაწეულ ძალისხმევას.[12]

[12] www.environ.se – რანჰაგენი და სხვ. 2000 და მდგრადი მუნიციპალიტეტი – რანჰაგენი, 2012, ასევე „შვედეთის მდგრადი მუნიციპალიტეტის პროექტი", დაფინანსებული შვედეთის ენერგეტიკის სააგენტოს მიერ.

მიდგომის გამოყენება შესაძლებელია: *ხედვებისა და სტრატეგიების* ჩამოყალიბებისას, სივრცითი ან ადგილობრივი ფიზიკური განაშენიანების გეგმების შექმნისა და განხილვისას, და *კონკრეტული ტრანსფორმაციული* პროექტების განვითარების მხარდასაჭერად. ასევე, იგი სასარგებლოა მდგრადობის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრისა და შეფასებების ჩატარებისას, არსებული სტრატეგიებისა და გეგმების განხორციელების მხარდასაჭერად და საჭირო ინსტიტუციური, ორგანიზაციული და მმართველობითი ცვლილებების გამოვლენისთვის.

'სიმბიოსითის' მიდგომის გამოყენების მაგალითებია:

- *განვითარების დაგეგმვის პროცესების წამოწყება და განხორციელება სხვადასხვა ურბანული მასშტაბით;*
- *არსებული ან ახალი ქალაქების, რაიონებისა და უბნების განვითარების ან აღდგენის სტრატეგიებისა და გეგმების მომზადება;*
- *კონკრეტული თემატური სფეროს ან დარგის, ასევე ქალაქის, დაბის ან რაიონის არსებული გეგმების განხილვა ან ურბანული მდგრადობის მიმოხილვის (USR) ჩატარება;*
- *კრიზისის, კონფლიქტის ან კონფლიქტის შემდგომ კონტექსტში ურბანული აღდგენისა და რეკონსტრუქციის გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება და შესაბამისი სამუშაოების დაწყება;*
- *ინსტიტუციური და ორგანიზაციული ჩარჩოების ანალიზი ურბანულ კონტექსტში.*

ზოგიერთი ფაქტი

ურბანული მდგრადობის მიმოხილვები

ურბანული მდგრადობის მიმოხილვა (USR) წარმოადგენს პრაქტიკულ და პროაქტიულ მექანიზმს, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ურბანული განვითარების შესახებ დიალოგის დაწყებას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა შორის. მისი ძირითადი ფუნქციაა კონკრეტული ტერიტორიის ეფექტიანობისა და მდგრადობის გასაუმჯობესებლად საჭირო საკითხების გამოვლენა და შეფასება, რაც სტრატეგიული პასუხებისა და ტრანსფორმაციული ღონისძიებების შემუშავების საფუძველს ქმნის. მდგრადობის ასპექტები სისტემურ დონეზეა ჩაშენებული ურბანული მდგრადობის მიმოხილვის პროცესში, რათა ჩამოყალიბდეს სტრატეგიული პასუხები და ტრანსფორმაციული ურბანული განვითარების ღონისძიებები. იგი შეიძლება მივუსადაგოთ გეოგრაფიულ არეალს მიუხედავად განვითარების შესაბამისი გეგმის არსებობისა – მაგალითად, *გენერალური გეგმა ან ერთიანი განვითარების გეგმა.*

'სიმბიოსითის' მიდგომა ხელს უწყობს ურბანულ ტრანსფორმაციასა და განვითარებისადმი მულტიდისციპლინურ მიდგომას. ამასთან, მიდგომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორი განსხვავებული ფორმით:

ტერიტორიაზე დაფუძნებული მულტიდისციპლინური მიდგომა აანალიზებს გეოგრაფიულ არეალს (ქალაქი, რაიონი, სამეზობლო) მრავალი თვალსაზრისით. მისი მიზანია გამოავლინოს შესაძლებლობები, გამოწვევები და შესაძლო ურთიერთკავშირები ერთიანი ჩარჩოს სხვადასხვა ასპექტს შორის. ამგვარი მიდგომა თავიდანვე მოითხოვს ღიაობასა და გამჭვირვალობას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ინსტიტუციური ბარიერების ან ინტერესთა კონფლიქტის მართვას.



სურათი 1.3
მულტიდისციპლინარული მიდგომა - სხვადასხვა სექტორების ღია და გამჭვირვალე პროცესში ჩართვა



სურათი 1.4
სექტორული მიდგომა - პროცესი იწყება ერთი კონკრეტული ურბანული სისტემის დეტალური გაანალიზებით

დარგობრივი მიდგომა გულისხმობს კონკრეტული ურბანული სისტემის დეტალურ ანალიზს, მაგალითად, წყალმომარაგების, ნარჩენების მართვის ან ტრანსპორტის სფეროში. ამ პროცესში მიმოხილვის ფარგლების ეტაპობრივი გაფართოება ხელს უწყობს სხვადასხვა ასპექტებსა და სისტემებს შორის პოტენციური ურთიერთკავშირის პოვნას, ასევე სხვა შესაძლებლობებისა და გამოწვევების გამოვლენას. ეს მიდგომა განსაკუთრებით გამოიყენება მაშინ, როდესაც არსებობს განვითარების გეგმა ან საჭიროა ამა თუ იმ გადაწყვეტის პროექტის გადახედვა. სასურველია, რომ დარგობრივი მიდგომა ეტაპობრივად გადაიზარდოს მულტიდისციპლინურ მიდგომაში.

1.5 მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის გზაზე

მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) და „ახალი ურბანული დღის წესრიგი“ (NUA) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სხვა გლობალურ ჩარჩო დოკუმენტებთან ერთად 2030 წლისთვის მდგრადი განვითარების მიღწევისა და სიღარიბის აღმოფხვრის საქმეში.

ქალაქები ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალაა. თუ გავითვალისწინებთ ურბანიზაციის დონის მატებას და მის ურთიერთკავშირს კლიმატის ცვლილებასთან, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლები გადამწყვეტ როლს ასრულებენ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. მათი პასუხისმგებლობაა უზრუნველყონ მოსახლეობის განვითარების

საჭიროებებისა და მისწრაფებების დაკმაყოფილება პლანეტის ეკოლოგიური საზღვრების ფარგლებში.

ზოგადად ქალაქებსა და მის მმართველ ხელისუფლებას სხვა საჯარო, კერძო და აკადემიური სფეროს წარმომადგენლებთან თანმშრომლობითა და კოორდინირებით შეუძლიათ გამოავლინონ მდგრადი განვითარების მიზნების სისტემური ურბანული გადაწყვეტის გზები.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, 'სიმბიოსითის' მიდგომა ხელს უწყობს ადგილობრივ თვითმმართველობებს იხელმძღვანელონ ადგილობრივად მართული, ყოვლისმომცველი და ხედვაზე დაფუძნებული დაგეგმვის პროცესებით, რომლებიც მიმართული იქნება ტრანსფორმაციული და ინკლუზიური ურბანული გადაწყვეტების განხორციელებისკენ. ასეთი გადაწყვეტები ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების, განსაკუთრებით კი **მე-11 მიზნის მიღწევას – „მდგრადი ქალაქები და თემები**: გავხადოთ ქალაქები და დასახლებები ინკლუზიური, უსაფრთხო, მედეგი და მდგრადი". თუმცა, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ უპირატესად ურბანულ სამყაროში და ქალაქებისა და ურბანიზაციის კომპლექსურობა მრავალმხრივ გამოწვევებს უკავშირდება, მე-11 მიზანს ვერ განვიხილავთ განცალკევებულად. იგი უნდა აღვიქვათ, როგორც ურთიერთდაკავშირებული სისტემის ნაწილი, სადაც მრავალი სხვადასხვა საკითხი, იქნება ეს სოციალური, ეკონომიკური თუ გარემოსდაცვითი ერთმანეთთან პირდაპირ და ირიბად არის დაკავშირებული.

ეს ურთიერთკავშირები 'სიმბიოსითის' მიდგომას საშუალებას აძლევს ხელი შეუწყოს სიღარიბის შემცირებას **(SDG 1)**, გენდერულ თანასწორობას **(SDG 5)**, სუფთა წყალსა და სანიტარიას **(SDG 6)**, ხელმისაწვდომ და სუფთა ენერგიას **(SDG 7)**, მრეწველობას, ინოვაციებსა და ინფრასტრუქტურას **(SDG 9)**, უთანასწორობის შემცირებას **(SDG 10)**, გონივრულ მოხმარებასა და წარმოებას **(SDG 12)**, კლიმატის მდგრადობის მიღწევას **(SDG 13)**, ოკეანისა და ზღვის რესურსებს **(SDG 14)** და დედამიწის ეკოსისტემებს **(SDG 15)**. გარდა ამისა, ნებისმიერი ურბანული დაგეგმვისა და განვითარების პროცესის წინაპირობა არის ძლიერი ადგილობრივი ინსტიტუციები. ისინი უნდა უზრუნველყოფდნენ გადაწყვეტილების მიღების ანგარიშვალდებულ, რეაგირებად და ინკლუზიურ პროცესებს დაინტერესებული მხარეების მონაწილეობითა და საჯარო, კერძო და აკადემიურ წრეებთან პარტნიორობით. შესაბამისად, **SDG 16 – მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები და SDG 17 – პარტნიორობა მიზნების მისაღწევად** 'სიმბიოსითის' ყველა ინიციატივის ინსტიტუციური კომპონენტების განუყოფელი ნაწილია.

'სიმბიოსითის' მიზანია განვითარებისადმი ერთიანი მიდგომების ხელშეწყობა, ისეთი ინსტრუმენტების შეთავაზებით, რომლებიც არა მხოლოდ განსაზღვრავს, თუ რა უნდა გაკეთდეს, არამედ ასევე აჩვენებს, როგორ უნდა გაკეთდეს, რათა მიღწეულ იქნას დასახული მიზნები ადგილობრივი რეალობისა და წინაპირობების გათვალისწინებით.

სურათი 1.5
მდგრადი განვითარების მიზნების, დასახული სამიზნეებისა და მაჩვენებლების, ისევე როგორც მიღწეული პროგრესის შესახებ მეტი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ: https://sdgs.un.org/goals.

2.

ურბანული გამოწვევები და შესაძლებლობები

ურბანული ზრდა კლიმატის ცვლილება მედეგობის გამოწვევები

2.1 ურბანული ზრდის ტენდენციები გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში

პროგნოზები აჩვენებს, რომ მსოფლიოს მოსახლეობა 8-დან 9 მილიარდამდე გაიზრდება 2022-2037 წლების პერიოდში. ეს მაჩვენებელი საბოლო პიკს (10 მილიარდი) მიაღწევს 2080 წლისთვის[13]. ამჟამად, მსოფლიოს მოსახლეობის 55% ცხოვრობს ურბანულ ტერიტორიებზე, ხოლო სხვადასხვა სცენარებით პროგნოზირებულია, რომ ქალაქებში მოსახლეობის 60%-ზე მეტი იცხოვრებს 2030 წლისთვის და 70% 2050 წლისთვის. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით მაჩვენებლები განსხვავდება, ურბანიზაციის ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში, მაგალითად, აფრიკასა და აზიაში.

გაეროს[14] მონაცემების თანახმად, ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში ურბანული მოსახლეობა დაახლოებით 18% შეადგენდა 1950-იან წლებში, ხოლო 50% მიაღწია 2018 წელს. ნავარაუდებია, რომ ეს მაჩვენებელი 66%-მდე გაიზრდება 2050 წლისთვის. მაღალშემოსავლიან ქვეყნებში, ურბანიზაცია 1950-იან წლებში 25% იყო, ხოლო 2025 წელს მან 80% შეადგინა, ისევ გარკვეული განსხვავებებით ქვეყნებს შორის. ურბანული ზრდის ყოველწლიური მაჩვენებელი ყველაზე ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებში 4-5%-ს შეადგენდა წლების განმავლობაში, თუმცა მოსალოდნელია კლება 2030-2050 წლების პერიოდში. მიუხედავად ამისა, ურბანული მოსახლეობა აბსოლუტურ რიცხვებში კვლავ გაიზრდება.



სურათი 2.1
სამომავლო მსოფლიო მოსახლეობის განაწილება ქალაქის და სოფლის დონეებზე. 2030 წლისთვის მოსახლეობის დაახლოებით 60% ქალაქებში, ხოლო 2050 წლისთვის დაახლოებით 67% იცხოვრებს = მოსახლეობის საერთო რაოდენობა მილიონებში. წყარო: გაეროს სტატისტიკა, 2018 წლის განახლება

[13] გაეროს მოსახლეობის ფონდი / მსოფლიო ურბანიზაციის პერსპექტივები, 2018 წლის რედაქცია
[14] გაეროს მოსახლეობის ფონდი / მსოფლიო ურბანიზაციის პერსპექტივები, 2018 წლის რედაქცია

ლათინური ამერიკა ყველაზე მეტად ურბანიზებული რეგიონია მსოფლიოში და მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკას ჩამორჩება. 2025 წლის შეფასებები აჩვენებს, რომ მოსახლეობის 82% ურბანულ ტერიტორიებზე ცხოვრობს (*სამხრეთ ამერიკა* – 86% და *ცენტრალური ამერიკა* – 77%). ამასთან, ურბანული ზრდის მაჩვენებლები დაახლოებით 1%-მდე არის შემცირებული, რაც მნიშვნელოვნად დაბალია სხვა რეგიონების განვითარებადი ქვეყნების მაჩვენებლებზე. 2025 წელს, რიო-დე-ჟანეიროსა და ბუენოს-აირესის მეტროპოლიის ტერიტორიებზე მოსახლეობამ 14 და 15,7 მილიონი მაცხოვრებელი შეადგინა, წლიური ზრდის მაჩვენებელი კი 1%-ზე ნაკლები იყო.

აზიის რეგიონში მოსახლეობის 54% ურბანულ ტერიტორიებზე ცხოვრობს, ხოლო ზრდის საშუალო მაჩვენებელი მიახლოებით 2% შეადგენს და ცვალებადია ქვეყნებს შორის. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა კამბოჯა და ბანგლადეში შეფასებებით ურბანული ზრდის მაჩვენებელი მიახლოებით 3% შეადგენს, თუმცა დაღმავალი ტენდენცია აქვს. ბანგლადეშის დედაქალაქ დაკას მოსახლეობა 2025 წლისთვის 24,7 მილიონს შეადგენს. ამასთან, მოსალოდნელია მოსახლეობის კიდევ უფრო მეტი ზრდა (ამჟამად წელიწადში 3%). იგივენაირად, ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში მოსახლეობა 11,5 მილიონია, თუმცა, მოსახლეობის წლიური მოსალოდნელი ზრდა შედარებით დაბალ მაჩვენებელზე – 2%-ზეა.

აფრიკული რეგიონი ყველაზე ნაკლებ ურბანიზებულია, სადაც 2025 წლის შეფასებებით ჯამში მოსახლეობის 46% ცხოვრობს ურბანულ ტერიტორიებზე. ამასთან, 2023 წლისთვის პროგნოზირებულია ამ მაჩვენებლის 50%-მდე ზრდა. სამხრეთ აფრიკაში მოსახლეობის მიახლოებით 70% ცხოვრობს ურბანულ ტერიტორიებზე, ხოლო მოსახლეობით მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვან ქვეყანაში – ნიგერიაში მხოლოდ 45%. ლაგოსი, რომლის მოსახლეობა 17,5 მილიონს აღწევს, კვლავ განაგრძობს ზრდას – მისი წლიური ზრდის ტემპი 2025 წელს ოდნავ ჩამოუვარდებოდა 4 პროცენტს. აღმოსავლეთ აფრიკა სწრაფი ურბანიზაციის პროცესს განიცდის. ამჟამად, მოსახლეობის დაახლოებით 30% ქალაქებში ცხოვრობს. თუმცა, რიგი ქვეყნები, როგორიცაა უგანდა, ბურუნდი და ეთიოპია კვლავ უმეტესად სოფლის ტიპის საზოგადოებად რჩება, სადაც ურბანული მოსახლეობა შედარებით მცირეა.

მიუხედავად იმისა, რომ მეგაპოლისების რაოდენობა და მათი მასშტაბები, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაიზრდება, ურბანიზაციის ძირითადი ტალღა მაინც მეორეხარისხოვან და საშუალო ზომის ქალაქებზე გადანაწილდება. ყოველწლიურად, გლობალურად, ურბანულ ტერიტორიებს საშუალოდ 60 მილიონი ახალი მაცხოვრებელი ემატება, რაც დღეში დაახლოებით 164 000 ადამიანს შეადგენს. ეს ზრდა განპირობებულია, როგორც მიგრაციით, ასევე მოსახლეობის ბუნებრივი მატებით. ამ პროცესის პარალელურად, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებულია იცხოვროს თვითნებურ დასახლებებსა და ღარიბულ უბნებში. 2022 წელს, გლობალური ურბანული მოსახლეობის დაახლოებით 25% სწორედ ასეთი ტიპის დასახლებებში ცხოვრობდა[15].



სურათი 2.2
ურბანიზაცია ძირითადად საშუალო და მეორად ქალაქებში მიმდინარეობს. რიცხვები სვეტებში აღნიშნავს ქალაქების რაოდენობას, ხოლო სვეტის სიმაღლე ასახავს მოსახლეობის ზომას.
წყარო: გაეროს მსოფლიო ურბანიზაციის პერსპექტივები, 2018.

[15] ქალაქები და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქმედებები, მსოფლიო ქალაქების ანგარიში 2024, გაეროს ჰაბიტატი

ურბანიზაციის მიმდინარე ტენდენციები მოითხოვს პროაქტიულ მიდგომებს, როგორც არსებული შესაძლებლობების გამოყენების, ისე განვითარების კრიტიკული საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის. ეს მოიცავს საცხოვრისის, ძირითადი სერვისებისა და საჯარო სივრცეების უზრუნველყოფას. დღეს მსოფლიოში დაახლოებით 3 მილიარდ ადამიანს ფინანსურად ხელი არ მიუწვდება საცხოვრისზე, ხოლო 1,12 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს ღარიბ უბნებსა თუ თვითნებურ დასახლებებში, ხშირად ძირითადი სერვისების გარეშე[16]. ამასთან, სასწრაფო რეაგირებას მოითხოვს ისეთი გამოწვევები, როგორიცაა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია, რისკებისა და საფრთხეების შემცირება, ურბანული განშლის შეზღუდვა, და მდგრადი მობილობის საშუალებებსა და მუნიციპალურ სერვისებზე წვდომის გაუმჯობესება.

მრავალ ურბანულ ტერიტორიაზე გავრცელებულია უთანასწორობა და განვითარების მნიშვნელოვანი გამოწვევები. ხშირად, ვითარებას კიდევ უფრო ამწვავებს ლეგიტიმურობის დაბალი ხარისხის მქონე სუსტი მმართველობა ან მუნიციპალური სერვისების მიწოდების შეზღუდული შესაძლებლობები. ზოგიერთი ქალაქი ქრონიკულად მიდრეკილია კრიზისებისკენ და განსაკუთრებით დაუცველია სხვადასხვა შოკისა და მოვლენის წინაშე. თავის მხრივ, ასეთი მყიფე მდგომარეობები აჩქარებს ურბანიზაციის პროცესებს.

2.2 ურბანიზაცია ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს კაცობრიობას

ურბანული ტერიტორიები ჩვეულებრივ წარმოადგენენ პოლიტიკური, დემოკრატიული, კულტურული და ეკონომიკური განვითარების წამყვან ძალას

ურბანული ტერიტორიები მომავალშიც გააგრძელებს ზრდას, როგორც ბუნებრივი მატებით, ასევე მიგრაციის შედეგად. დიდი და პატარა ქალაქები ხშირად უკეთეს ეკონომიკურ და სოციალურ შესაძლებლობებს ქმნის, მათ შორის სოციალურად დაუცველი და მარგინალიზებული ჯგუფებისთვის. სათანადო მართვის პირობებში, ურბანიზაცია აყალიბებს დინამიკურ გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს საარსებო წყაროსა და შემოსავლის მრავალფეროვან ვარიანტებს, გაუმჯობესებულ საცხოვრებელ პირობებს, მდგრად მოხმარებასა და სოციალურ ერთობას.

ქალაქებს, სადაც მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვეა, შეუძლიათ ისარგებლონ *მასშტაბის ეკონომიის* უპირატესობებით, მაგალითად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, წყლის, ნარჩენებისა და სხვა მასალების გადამუშავების და ენერგიის ეფექტური გამოყენების მხრივ. ქალაქებში ადამიანებისა და მათი საქმიანობის კონცენტრაცია ქმნის ფუნქციებისა და შესაძლებლობების მრავალფეროვან და მძლავრ ნაზავს. ქალაქებში მიგრაცია უმეტესად განპირობებულია *საგანმანათლებლო, დასაქმებისა და საარსებო წყაროს შესაძლებლობებით,* რომლებიც ხშირად მიუწვდომელია სხვაგან (მაგ, სოფლად). თუმცა, სულ უფრო ხშირად, მიგრაციის მიზეზი ხდება კონფლიქტები და ცვალებადი კლიმატური პირობები.

ქალაქები ხშირად ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელია, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, გლობალურად *მთლიანი შიდა პროდუქტის* (მშპ) 80%-ზე მეტი ქალაქებში იწარმოება. ახალ ეკო-

[16] https://unstats.un.org/sdgs/report/2025/goal-11/.

ნომიკებში წარმოებული მთლიანი მშპ-ის წილი სტაბილურად იზრდება და ამჟამად UNCTAD-ის მონაცემებით 40%-ს აჭარბებს[17]. სათანადო მართვის შემთხვევაში, მაგალითად, პოლიტიკის კოორდინაციისა და სტრატეგიული ინვესტიციების საშუალებით ურბანიზაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს მდგრადი ზრდის მაჩვენებლებს, რომელიც გამყარებული იქნება ინოვაციებითა და გაუმჯობესებული წარმოების უნარით. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სარგებლის სამართლიან განაწილებასა და ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნაში. ამისათვის საჭიროა უფლებებზე დაფუძნებული ინსტიტუციები და პოლიტიკა, რომლებიც უზრუნველყოფს ინკლუზიურობას, სამართლიანობასა და ძალაუფლებისა და რესურსების გადანაწილებას.

ქალაქები ზოგადად *პოლიტიკური, დემოკრატიული, კულტურული და ეკონომიკური* განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალაა. თუმცა, სწრაფი ურბანიზაციის პირობებში, მსოფლიომ უნდა აღიაროს და პატივი სცეს პლანეტის სისტემებს და შექმნას გარემოსთან ჰარმონიაში თანაცხოვრების ფორმები. მიუხედავად მრავალი შესაძლებლობისა, რომელსაც დიდი და პატარა ქალაქები გვთავაზობს, ურბანიზაცია მჭიდროდ დაკავშირებულია გარემოს დეგრადაციასა და კლიმატის ცვლილებასთან. ამ და სხვა გამოწვევების საპასუხოდ აუცილებელია განვითარების ერთიანი მიდგომები, რომლებიც მოიცავს ტექნიკურ, ფინანსურ და სოციალურ გადაწყვეტებს, რომლებიც განხორციელებადი, ფინანსურად ხელმისაწვდომი და ინკლუზიურია. ეკონომიკური მდგრადობა მრავალ შემთხვევაში დამოკიდებულია სოციალურ და გარემოსდაცვით მდგრადობაზე.



სურათი 2.3
მსოფლიო სითბური გაზების ემისიები სექტორების მიხედვით (%). დაახლოებით 76% ენერგომოხმარებას უკავშირდება.
წყარო: მსოფლიო რესურსების ინსტიტუტი/ კლიმატის მონიტორინგი, 2021

2.3 კლიმატის ცვლილება

კლიმატის ცვლილება ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მწვავე გამოწვევაა, რომლის გლობალური და ადგილობრივი ზემოქმედება სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ურბანულ ტერიტორიებზე. მისი ტიპური შედეგებია: უფრო ხშირი და ექსტრემალური ამინდის მოვლენები, რომლებიც იწვევს ინფრასტრუქტურის დაზიანებას, მოსახლეობის გადაადგილებას და სიცოცხლის დაკარგვას; ზღვის დონის აწევა და წყალდიდობის რისკის ზრდა, რაც განსაკუთრებით, სანაპირო ზოლს უქმნის საფრთხეს; თბური ტალღები და ჰაერის დაბინძურება, რომლებიც იწვევს ხანძრებს, ქმნის თბური კუნძულის ეფექტებს და ჯანმრთელობის რისკებს; მოსავლის აღების არაპროგნოზირებადობა, რაც არღვევს საკვებისა და წყლის მიწოდებას, აუარესებს წყლის დეფიციტსა და გარემოს დეგრადაციას.

კლიმატის ცვლილების ძირითადი მიზეზები

კლიმატის ცვლილება მჭიდრო კავშირშია გლობალურ დათბობასთან, რომელიც გამოწვეულია ადამიანის საქმიანობით, მათ შორის სათბური აირების (GHG) ემისიები, წიაღისეული საწვავის წვა, მიწა-

[17] გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია, 2023 წ.

თსარგებლობის ცვლილები, გაუტყეურება და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკები, რომელთა შედეგად ხდება ნახშირორჟანგის ატმოსფეროში გამოყოფა. მიუხედავად იმისა, რომ ურბანიზაცია მრავალი თვალსაზრისით ხელს უწყობს კლიმატის ცვლილებას, თავად კლიმატის ცვლილებაც იქცევა ურბანიზაციის გამომწვევ ფაქტორად[18].

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად განვითარებულ ქვეყნებზე მოდიოდა სათბური აირების ემისიების მნიშვნელოვანი წილი, დღეს განვითარებად ქვეყნებში ემისიები მზარდია. ეს ზრდა განპირობებულია ისეთ ფაქტორებით, როგორიცაა ინდუსტრიალიზაცია, მწარმოებლურობის ზრდა, ეკონომიკური განვითარება და მოხმარება, ასევე ტრანსპორტისა და ენერგიის (მათ შორის, წიაღისეული საწვავის) ინტენსიური მოხმარება. ამჟამად, სწორედ განვითარებადი ქვეყნები არიან პასუხისმგებელნი გლობალური სათბური აირების ემისიების უმეტეს ნაწილზე თუმცა ერთ სულ მოსახლეზე მათი ემისიების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია[19].

გლობალური სამიზნე მაჩვენებლების შესრულება

კლიმატის ცვლილების სამთავრობათაშორისო პანელი (IPCC[20]) აღნიშნავს, რომ მიუხედავად გლობალურად მიღწეული გარკვეული პროგრესისა, სათბურის აირების და ნახშირორჟანგის (CO2) ემისიების შემცირების მიმართულებით, საშუალო გლობალური ტემპერატურა 2019 წლამდე დაახლოებით 1°C-ით გაიზარდა (1850-1900 წლების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით). პროგნოზების მიხედვით, 2100 წლისთვის ტემპერატურის ზრდამ შეიძლება შეადგინოს 1,5°C-4°C, რაც დამოკიდებულია ემისიების მაჩვენებელზე. დათბობის ამჟამინდელი ტემპის გათვალისწინებით, 1,5°C ზრდა სავარაუდოდ მიღწეული იქნება 2030-2052 წლებში. უარყოფითი ტენდენციის უკუქცევისთვის საჭიროა, 2030 წლისთვის სათბური აირების ემისიების განახევრება და მათი ნულამდე დაყვანა 2050 წლამდე. ამის განხორციელება მოითხოვს ენერგეტიკის დარგში მნიშვნელოვან ტრანსფორმაციებს, მათ შორის: წიაღისეული საწვავის მოხმარების მნიშვნელოვანი შემცირება, დაბალი ემისიების მქონე ენერგიის წყაროების დანერგვა, ალტერნატიული ენერგიის მატარებლებზე გადასვლა, და ენერგოეფექტურობისა და ენერგიის შენახვის გაუმჯობესება.

პარიზის შეთანხმების თანახმად, ქვეყნები იღებენ სათბური აირების ემისიების შემცირების ვალდებულებას, როგორც ადაპტაციური, ასევე შერბილების ღონისძიებების საშუალებით. ეს ვალდებულებები ფორმულირებულია კლიმატის ეროვნული სამოქმედო გეგმების ან ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) სახით.

კლიმატის ცვლილები ზემოქმედება

შეფასებები აჩვენებს, რომ ამჟამად დაახლოებით 3,3-3,6 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს კლიმატის ცვლილების მიმართ უკიდურესად მოწყვლად გარემოში. IPCC-ის (გაეროს ჰაბიტატი, 2024) შეფასებით,

[18] გაეროს ჰაბიტატის, მსოფლიო ქალაქების ანგარიში 2024.
[19] IPCC, 2023: სექციები. კლიმატის ცვლილება 2023: სინთეზური ანგარიში.
[20] IPCC, 2023: სექციები. კლიმატის ცვლილება 2023: სინთეზური ანგარიში.

2100 წლისთვის ზღვის საშუალო დონე გლობალურად სავარაუდოდ 0,43-0,84 მეტრით მოიმატებს, 1986-2005 წლების დონესთან შედარებით. გლობალურად, 850 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს ზღვიდან დონიდან დაბალ სანაპირო ზონებში (LECZ), რომელთაგან დაახლოებით ნახევარი დაბალ- და უკიდურესად დაბალშემოსავლიან ქვეყნებში მდებარეობს. პროგნოზის მიხედვით, 2040 წლისთვის დაახლოებით 2000 ურბანული ცენტრი ზღვის დონიდან ხუთ მეტრზე დაბლა მდებარე ტერიტორიებზე იქნება, რაც დღეს უკვე 1,4 მილიარდი ადამიანის საცხოვრებელ გარემოს წარმოადგენს.

ზოგიერთი ფაქტი

დასახლებები ზღვის დონიდან დაბალ სანაპირო ზონებში

- ამჟამად, ოკეანეებისა და ზღვების სანაპირო ზონებში, ტერიტორიებზე, რომლებიც ხმელეთის სიღრმეში 100 კილომეტრზე მეტად არ ვრცელდება, ცხოვრობს დაახლოებით 2,4 მილიარდი ადამიანი, რაც მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 40%-ია.
- მიუხედავად იმისა, რომ სანაპირო ზოლი დედამიწაზე ხმელეთის მხოლოდ 20%-ს შეადგენს, აქ მოსახლეობის სიმჭიდროვე სამჯერ აღემატება გლობალურ საშუალო მაჩვენებელს.
- მსოფლიოს უმსხვილესი მეტროპოლიების 75% სწორედ სანაპირო ზოლში მდებარეობს. ამასთან, პროგნოზირებულია, რომ ზღვის დონეზე დაბლა მდებარე სანაპირო ზონებში (კერძოდ,10 მეტრის რადიუსში) მოსახლეობა 2060 წლისთვის დაახლოებით 1,4 მილიარდს მიაღწევს.
- XXI საუკუნის ბოლოსთვის, ზღვის დონე საშუალოდ 40-75 სმ-ით გაიზრდება, ხოლო ზოგიერთ რეგიონში შესაძლოა 1 მეტრსაც გადააჭარბოს.
- 2100 წლისთვის, სავარაუდოდ 360 მილიონი ადამიანი იცხოვრებს სანაპირო ზოლში წყალდიდობის რისკის ქვეშ, რაც ყოველწლიურად ტრილიონობით დოლარის ზარალს გამოიწვევს.

წყარო:
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, ცვალებად კლიმატთან ადაპტაცია სანაპირო ზონების მართვაში, 2021წ.

ფოტო WordpressBlogg

ქალაქები სულ უფრო მეტად მოწყვლადები ხდებიან კლიმატის ცვლილების გავლენის მიმართ.

ურბანული ტერიტორიები, განსაკუთრებით ეკონომიკურად და სოციალურად მარგინალიზებული ჯგუფებით დასახლებული ადგილები, კლიმატის ცვლილების ზემოქმედებისადმი დაუცველია. ეს კი, პირდაპირ აისახება ჯანმრთელობაზე, საარსებო წყაროებზე და ძირითადი ინფრასტრუქტურის მდგრადობაზე. ურბანული ინფრასტრუქტურა მაგ., ტრანსპორტი, წყალმომარაგება, სანიტარია და ენერგეტიკული სისტემები ხშირად ზიანდება ამინდის უკიდურესი მოვლენების შედეგად, რაც უარყოფითად აისახება ეკონომიკაზე, იწვევს სერვისების მიწოდების შეფერხებებს და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუარესებას. გარდა ამისა, ხანძრები და თბური კუნძულის ეფექტი სულ უფრო მეტად შეინიშნება ქალაქებში, რაც ზრდის პირდაპირ რისკებსა და აჩენს უსაფრთხოების პრობლემებს. ამგვარი ეფექტები ხშირად იწვევს მნიშვნელოვან ეკონომიკურ, სოციალურ და ინდივიდუალურ დანაკარგებს.

კლიმატის ცვლილების ზემოქმედებამ სოფლებზე შეიძლება მძიმე შედეგები იქონიოს ქალაქებზეც, მაგალითად, სურსათის უსაფრთხოების, წყალმომარაგებისა და ეკოლოგიური სისტემების შენარჩუნების მხრივ. სოფლად ექსტრემალური ამინდის მოვლენების შედეგად ადამიანები ხშირად ეკომიგრანტები ხდებიან და თავშესაფარს ქალაქებში ეძებენ. მშრალ რეგიონებში წყლის დეფიციტი კიდევ უფრო კრიტიკული ხდება, ხოლო წყალუხვ რეგიონებში მოსალოდნელია ნალექის ზრდა. წყალდიდობები და მეწყრები შეიძლება განსაკუთრებით დამანგრეველი იყოს ურბანულ გარემოში, რომლებმაც სწრაფი ურბანული ზრდა განიცადეს, სადაც არასაკმარისია დაგეგმარება, შეზღუდულია ინფრასტრუქტურა, ხოლო მიწის არაეფექტური მართვა პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს. ამ მხრივ უკიდურესად დაუცველია თვითნებური დასახლებები.

ფოტო SamuelFJohanns, pixabay

გახშირებული წვიმიანობა და ზღვის დონის ზრდა განსაკუთრებით საყურადღებოა სანაპირო ზონების დასახლებებისთვის.

ზოგიერთი ფაქტი

წყალდიდობა

2025 წელს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, კვაზულუ-ნატალის პროვინციის ქალაქ დურბანში, ორი დღის განმავლობაში 500 მილიმეტრზე მეტი ნალექი მოვიდა. ამ მოვლენამ გამოიწვია 500-ზე მეტი ადამიანის სიკვდილი, ათიათასობით ადამიანის საცხოვრებელი ადგილის დაკარგვა, ხოლო პროვინციაში სახლები, ინფრასტრუქტურა და საარსებო წყაროები მნიშვნელოვნად დაზიანდა.

კვლევების თანახმად, უხვი ატმოსფერული ნალექები სამმა ძირითადმა ფაქტორმა გაამწვავა:

- სათბური აირებით გამდიდრებულმა თბილმა ატმოსფერულმა ტემპერატურამ მეტი ტენიანობა შეინარჩუნა;
- ნემსის კონცხის დინება (Agulhas Current) ბოლო ათწლეულების განმავლობაში გათბა, რის გამოც ოკეანიდან წყლის აორთქლებამ და სანაპირო შტორმების ტენიანობამ მოიმატა;
- ქარის ცვალებადმა რეჟიმებმა რეგიონის მასშტაბით ჰაერის ტენიანობა გაზარდა;

წყარო:
ვიტვატერსრანდის უნივერსიტეტი, იოჰანესბურგი, სამხრეთ აფრიკა, 2025

პროაქტიული საპასუხო ღონისძიებები

ურბანული ტერიტორიების სათანადოდ დაგეგმარება და მართვა ხელს უწყობს ემისიების შემცირებას და კლიმატის ცვლილებისადმი მედეგ განვითარებას. ურბანული ტერიტორიების კლიმატზე ორიენტირებული დაგეგმარებისა და დიზაინის დანერგვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ეს მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა: მიწათსარგებლობის დაგეგმარება; *ეფექტიანი ურბანული ფორმებისა და სტრუქტურების უზრუნველყოფა; მიწის შერეული ფუნქციური გამოყენება და ურბანული ფუნქციების მიწოდება; ურბანული გამწვანება; ეფექტური და ხელმისაწვდომი მობილობისა და ტრანსპორტის სისტემები; ნაშენი გარემოს ენერგოეფექტური დაპროექტება და მდგრადი მასალების გამოყენება; აღდგენა და მოდერნიზაცია.*

ურბანული განვითარებისადმი კომპლექსური, ერთიანი და ინკლუზიური მიდგომით შესაძლებელია შერბილებისა და ადაპტაციის ტრანსფორმაციული ღონისძიებების ხელშეწყობა. ასეთი ღონისძიებები სასიკეთოა ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის. ამასთან, ისინი ამცირებს ქალაქის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მოწყვლადობას. მნიშვნელოვანია ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტების დანერგვა და ეკოსისტემური სერვისების გაძლიერება ურბანული დაგეგმარებისა და განვითარების სფეროში, მაგალითად, მწვანე (და ლურჯი) ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის გზით. ეს მიდგომა ხელს უწყობს ნახშირბადის შთანთქმასა და შენახვას. ამავე დროს იგი ამცირებს წყალდიდობებისა და ექსტრემალური ამინდის მოვლენების ზემოქმედებას. ამის მიღწევა შესაძლებელია მაგალითად, ქუჩების პარკებისა და ღია სივრცეების გამწვანებით, ნიადაგებისა და მიწის საფარის გამტარობის გაზრდით, ტყეებისა და წყალ-ჭაობიანი ადგილების აღდგენით, წყლის მუდმივი ან დროებითი შეკავების გადაწყვეტების დანერგვით და სხვ.

»მსოფლიო კლიმატურ საგანგებო მდგომარეობაშია. თუ სათბურის აირების ემისიები მნიშვნელოვნად არ შემცირდება, ამ საუკუნეში გლობალური დათბობა შესაძლოა 2,9°C-ს გადააჭარბოს.«

გაეროს გარემოს პროგრამა

კლიმატის ცვლილების შერბილება და ადაპტაცია

გლობალური დათბობა და სათბური აირების ემისიები მოქმედებს, როგორც მსოფლიო ასევე ადგილობრივ დონეზე. კლიმატის ქმედება ორ განსხვავებულ, თუმცა ურთიერთდაკავშირებულ მიმართულებას მოიცავს. ესენია: *შერბილება და ადაპტაცია.*

ორივე მიმართულებამ შეიძლება შეანელოს ან შეამციროს კიდეც კლიმატის ცვლილება. თუმცა, ადაპტაცია ასევე მჭიდროდ დაკავშირებულია საზოგადოების მედეგობასთან. გაეროს ჰაბიტატი[21] შემდეგნაირად განასხვავებს ხსენებულ ორ მიმართულებას:

შერბილება აღნიშნავს „მთავრობების, ბიზნესის ან ადამიანების მიერ გადადგმულ ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ემსახურება სათბური აირების ემისიების შემცირებას ან აღკვეთას, ან ნახშირბადის შთანთქმის გაუმჯობესებას, რითაც ხდება აირების ატმოსფეროდან მოცილება“. სათბური აირების ემისიების შემცირება ქალაქებში შეიძლება მიღწეულ იქნას, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების გა-

[21] ქალაქები და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქმედებები, მსოფლიო ქალაქების ანგარიში 2024, გაეროს ჰაბიტატი

ნხორციელებით. ესენია: განახლებადი ენერგიის გადაწყვეტების დანერგვა, დაბალი ან ნულოვანი ნახშირბადის მულტიმოდალური ტრანსპორტის განვითარება, მდგრადი მიწათსარგებლობა, სამშენებლო და სამრეწველო პროცესები და წარმოებისა და მოხმარების მდგრადი მოდელები; და ბოლოს, ქცევისა და ცხოვრების წესის ცვლილება. ნახშირბადის შთანთქმის გაუმჯობესება შესაძლებელია ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტებით, როგორიცაა ხეების დარგვა, ტყეების, წყალ-ჭაობებისა და ჭაობიანი ადგილების აღდგენა, ნიადაგის დეგრადაციის აღკვეთა და ხმელეთისა და ზღვის ეკოსისტემების დაცვა.

მეორეს მხრივ, კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია გულისხმობს ქმედებებს, რომლებიც ამცირებს, კლიმატის ზემოქმედებისადმი როგორც არსებულ, ისე მოსალოდნელ დაუცველობას. ეს მოიცავს: უკიდურესი ამინდის მოვლენები; ზღვის დონის მატება; ბიომრავალფეროვნების დაკარგვა; სურსათისა და წყალმომარაგების არამდგრადობა. იმისათვის, რომ ადაპტაციის ღონისძიებები ეფექტური იყოს, აუცილებელია მათი ადგილობრივ დონეზე განხორციელება. შესაბამისად, ადგილობრივი თემები, ქალაქები, ინდივიდები და ინსტიტუციების ფართო სპექტრი უნდა იყვნენ აღჭურვილი შესაბამისი რესურსებითა და შესაძლებლობებით, რათა შეასრულონ გადამწყვეტი როლი კლიმატური მდგრადობის მიღწევაში. შესაძლებელია სხვადასხვა ადაპტაციური ღონისძიების განხორციელება, მათ შორის: კლიმატმედეგი ინფრასტრუქტურის განვითარება; ამინდის უკიდურესი მოვლენებისგან დაცვა და ადრეული გაფრთხილების სისტემები; კატასტროფებისთვის მზადყოფნის მექანიზმები; მიწათსარგებლობის მდგრადი დაგეგმარება; დაუცველი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინება, მათთვის საბაზისო, ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

კარლსბერგის ტერიტორია კოპენჰაგენში ახალი მწვანე ურბანული სივრცეებით, რომლებიც შეუძლიათ შეინახონ წვიმის წყალი, დაიცვან დატბორვის რისკისგან და ერთდროულად გამოიყენება, როგორც სარეკრეაციო სივრცე.

ხშირად, ადაპტაციის წარმატებული შედეგები ხელს უწყობს მედეგობის გაძლიერებას, რაც აისახება ადგილობრივი დაინტერესებულ მხარეთა კლიმატურ გამოწვევებთან ადაპტირების უნარზე; მათ შორის არიან ხელისუფლება, შინამეურნეობები, კერძო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოება და სხვ. შერბილებისა და ადაპტაციის პროცესები ხშირად საჭიროებს მჭიდრო თანამშრომლობას, როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ეს განპირობებულია ფინანსური რესურსების, ტექნიკური შესაძლებლობებისა და ინსტიტუციური მხარდაჭერის მაღალი მოთხოვნით.

2.4 ქალაქების მედეგობა

ურბანული მედეგობა აღნიშნავს გრძელვადიან პერსპექტივაში, როგორც დიდი, ისე პატარა ქალაქების გამძლეობის, აღდგენის და ადაპტაციის უნარს სოციალური და ეკონომიკური საფრთხეებისა და კრიზისების წინაშე – იქნება ეს ბუნებრივი თუ ანთროპოგენური. ამავე დროს, ქალაქებს უნდა შეეძლოს ცვლილებებისთვის ფეხის

აწყობა და განვითარების ანუ ტრანსფორმაციის გაგრძელება, რათა თანდათან სულ უფრო მეტად მედეგი გახდნენ. თანამედროვე სოციალური, ჯანდაცვის და კლიმატური სტრესული ფაქტორები მოითხოვენ ურბანული ტერიტორიების გაძლიერებულ მედეგობას, განსაკუთრებით ეკოლოგიური და სოციალური სისტემების მიმართულებით. მედეგობის განსაზღვრება და გაგება მცირედ განსხვავდება სხვადასხვა დარგში. ამ კონტექსტში, 'სიმბიოსითის' მიდგომა ემხრობა IPCC-ის ქვემოთ მოცემულ განსაზღვრებას.

ზოგიერთი ფაქტი

მედეგობა

„ურთიერთდაკავშირებული სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური სისტემების უნარი გაუმკლავდეს სახიფათო მოვლენებს, ტენდენციებს ან დეგრადაციას, უპასუხოს ან გადაეწყოს იმგვარად, რომ შეინარჩუნოს არსებითი ფუნქციები, იდენტობა და სტრუქტურა. მედეგობა განიხილება, როგორც დადებითი მახასიათებელი, როდესაც სისტემა ინარჩუნებს ადაპტაციის, სწავლის და/ან ტრანსფორმაციის უნარს“

კლიმატის ცვლილების საერთაშორისო პანელის (IPCC) განმარტება (IPCC, კლიმატის ცვლილება 2023: სინთეზური ანგარიში)

მრავალი ქალაქი და ურბანული დასახლება, განსაკუთრებით სწრაფი ურბანიზაციის პირობებში, მზარდად ექცევა ისეთი უეცარი შოკებისა და კატასტროფული მოვლენების ზემოქმედების ქვეშ, როგორიცაა წყალდიდობები, ცუნამი, მიწისძვრები, გვალვები და მეწყერები. აუცილებელია, რომ სივრცითი და ურბანული დაგეგმარება ითვალისწინებდეს ზემოქმედების შემცირების, დაუცველობის მართვისა და საფრთხეების პრევენციის კომპლექსურ ღონისძიებებს. ამით გაუმჯობესდება ქალაქების მედეგობა და ამგვარ მოვლენებზე საპასუხოდ შთანთქმის, ადაპტაციისა და გარდაქმნის უნარები.

ადგილობრივ ხელისუფლებას საკვანძო პასუხისმგებლობა აკისრია მდგრადი ურბანიზაციის პროცესის უზრუნველყოფაში. მისი როლი მოიცავს ძირითადი სერვისებისა და ინფრასტრუქტურის მიწოდებას. თუმცა, ხშირად წარმოიქმნება უფლებამოსილებისა და აღიარების პრობლემა რეგიონულ და ეროვნულ მთავრობებს შორის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება უეცარ მოვლენებსა და კრიზისებზე რეაგირებას. ამიტომ, ადგილობრივი მთავრობების გაძლიერება პოლიტიკური, ფინანსური, მარეგულირებელი და ტექნიკური თვალსაზრისით არსებითად მნიშვნელოვანია ადგილობრივ დონეზე მედეგობის გაუმჯობესებისთვის.

მედეგობის გაძლიერება გულისხმობს ძლიერი ადგილობრივი სისტემების შექმნას, მაგალითად, სურსათის, წყლის, ენერგიის, ეკონომიკური საქმიანობის და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის მიმართულებით. ურბანული ტერიტორიები ხშირად დამოკიდებულია მათ განაპირა ზონებზე (ჰინტერლანდი), ამიტომ აუცილებელია ქალაქსა და სოფელს შორის უწყვეტობის შენარჩუნება. ანალოგიურად, გლობალური ეკონომიკა,

სადაც ქალაქები სხვა რეგიონებიდან შემოსულ საქონელსა და მომსახურებაზეა დამოკიდებული, ზრდის რისკებსა და დაუცველობას სადისტრიბუციო ქსელის დარღვევის შემთხვევაში. გლობალურ, რეგიონულ და ადგილობრივ წარმოებასა და საქონლისა და მომსახურების მიწოდებას შორის ბალანსის დაცვამ შეიძლება მნიშვნელოვნად გააძლიეროს ურბანული ტერიტორიების მედეგობა. მაგალითად, სურსათის ადგილობრივი წარმოების გაზრდა ქალაქში ან მის უშუალო სიახლოვეს ამცირებს დამოკიდებულებას უფრო შორეული რეგიონებიდან მოწოდებაზე და შესაბამისად, გარემოზე მავნე ზემოქმედებას.

ზოგჯერ მედეგობა დაკავშირებულია ურბანული ტერიტორიების *ეკოლოგიურ კვალთან* ე.ი. ნაყოფიერი მიწის მოცულობა, რომელიც აუცილებელია ქალაქების ენერგიით, სურსათით, წყლითა და სხვა სასიცოცხლო რესურსებით მოსამარაგებლად. განვითარებულ ქვეყნებში, როგორც წესი, ერთ სულ მოსახლეზე სამიდან ხუთჯერ მეტი მიწის ფართობია საჭირო, ვიდრე საშუალოდ გლობალურ მოსახლეობაზე მოდის. ამჟამად, განვითარებად ეკონომიკებში მნიშვნელოვნად იზრდება ეკოლოგიური კვალი. ქალაქები და სამრეწველო რეგიონები ძირითადად დამოკიდებულია გლობალურ განაპირა ტერიტორიებზე (ჰინტერლენდი) მდებარე ეკოლოგიურ და ნაყოფიერ ლანდშაფტებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ რესურსების უწყვეტ ნაკადს. ადგილობრივი წარმოებისა და რესურსების გაძლიერება კი ერთდროულად ზრდის ქალაქების მედეგობას და ამცირებს მათ ეკოლოგიურ კვალს.

შესაძლებელია ცვლილებების წინასწარ განჭვრეტა და დაგეგმვა. ამასთან, განვითარების სცენარები გააზრებულად უნდა ითვალისწინებდეს პოტენციურ და მოსალოდნელ ცვლილებებსა და რისკებს. თუმცა, სულ უფრო ხშირი და მოულოდნელი მოვლენებით გამოწვეული მზარდი გაურკვევლობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, როგორც ეკოსისტემებზე, ასევე დასახლებებზე. ამის მაგალითია ხანძრების გახშირება ურბანულ ტერიტორიებზე და მათ გარშემო. მედეგობა მოიცავს მსგავსი უეცარი ცვლილებებისა და მოვლენების გრძელვადიანი მართვის შესაძლებლობას. სივრცითი და ურბანული დაგეგმარება უნდა აერთიანებდეს რისკების ყოვლისმომცველ ანალიზს შესაძლო საფრთხეების გამოვლენისთვის, მათ შორის რისკების შემცირების და ზემოქმედების მართვის სტრატეგიებისა და ღონისძიებების ჩათვლით. ადგილობრივი ხელისუფლებისა და ქალაქის დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლება და ასეთი პოტენციური რისკების უკეთესად გაგება აძლიერებს საერთო მზადყოფნას და უზრუნველყოფს ადრეულ ეტაპზე რეაგირების მექანიზმების დანერგვას.



სურათი 2.4
ეკოლოგიური ნაკვალევი – მდიდარ ქვეყნებში (ჩრდილოეთ ამერიკა და ევროპა) ნაკვალევის სხვაობა გლობალური მოსახლეობის ერთ სულზე ხელმისაწვდომ მიწასთან შედარებით.
წყარო: ვაკერნაგელი და რისი (1996); რანჰაგენი და სხვ. (2000)

COVID-19 პანდემიამ ნათლად აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ურბანული განვითარების დაგეგმარებაში მედეგობა. პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქალაქებსა და ურბანულ ტერიტორიებზე, სადაც თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვამ და კომენდანტის საათის შემოღებამ ადგილობრივი ეკონომიკის პარალიზება მოახდინა. თავდაპირველად, მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვის მქონე ურბანული ტერიტორიები ვირუსის გადაცემის მთავარ მიზეზად მიიჩნეოდა. თუმცა, კვლევებმა აჩვენა, რომ რისკები უფრო მეტად დაკავშირებული იყო უთანასწორობასთან, არასათანადო საცხოვრისთან, სუფთა წყალზე, სანიტარიასა და ნარჩენების მართვაზე წვდომის ნაკლებობასთან. ეს ასპექტები განსაკუთრებით გარიყულ და დაუცველ ჯგუფებზე ახდენს გავლენას და მათი გადაწყვეტა მრავალი მიზეზის გამო რთულია ქალაქებისთვის. კონკრეტულად პანდემიის შემთხვევაში, ვირუსის გადაცემასა და ზემოქმედებაზე ასევე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მთავრობების მიერ გატარებულმა საერთო სტრატეგიამ და ღონისძიებებმა.

ურბანული მედეგობა წარმოადგენს საკვანძო მიმართულებას რეგიონულ, საქალაქო და ადგილობრივ დონეზე დაგეგმარების პროცესში, რადგან იგი აუცილებელია სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური სისტემების შენარჩუნებისთვის უეცარი შოკებისა და კრიზისული მოვლენების პირობებში. ადგილობრივი ხელისუფლებისა და თემების მედეგობის გაძლიერება კრიტიკულად მნიშვნელოვანია მათ შორის კრიზისისთვის მზადყოფნის, ეფექტიანი მართვისა და დროული რეაგირების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ზოგიერთი ფაქტი

მზარდი ტემპერატურებისთვის მზადყოფნა

2100 წლისთვის ევროპისა და ცენტრალური აზიის მრავალ ქალაქში უკიდურესი სიცხე ახალ ნორმად იქცევა. პროგნოზების მიხედვით, რეგიონის ურბანული ცენტრების თითქმის 70 პროცენტზე წელიწადში სულ მცირე ერთი ძლიერი თბური ტალღა გადაივლის. ამ ქალაქების მესამედში, განსაკუთრებით დასავლეთ ბალკანეთში, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპაში, თურქეთში, ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში უკიდურესი სიცხეები ყოველწლიურად იქნება მოსალოდნელი. ისინი შეიძლება გაგრძელდეს ორ თვემდე, რა დროსაც დღევანდელ მაჩვენებელთან შედარებით პიკური ტემპერატურა 4°C-ით უფრო მაღალ ნიშნულზე ავა.

წყარო: მსოფლიო ბანკი. 2025წ. საცხოვრებლად უვარგისი. როგორ შეუძლიათ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქალაქებს გადარჩენა და აყვავება უფრო ცხელ მომავალში.

ქალაქები და პანდემია: უფრო სამართლიანი, მწვანე და ჯანმრთელი მომავლისკენ

პანდემიის შემდეგ, გაეროს ჰაბიტატმა გამოავლინა ოთხი პოლიტიკის სფერო ურბანული მედეგობის გასაძლიერებლად:

ქალაქის ფორმისა და ფუნქციის ხელახალი გააზრება:
ურბანული მორფოლოგიებისა და სისტემების გადაწყობა სხვადასხვა მასშტაბზე, იქნება ეს რეგიონული, ტერიტორიული, საუბნო თუ ცალკეული შენობის დონე, უნდა ემსახურებოდეს მედეგობის (მათ შორის პანდემიების მიმართ მედეგობის) გაძლიერებას. ამავდროულად, იგი ხელს უნდა უწყობდეს მდგრად განვითარებასა და მწარმოებლურობას. ინკლუზიურმა დაგეგმარებამ უნდა უზრუნველყოს კომპაქტური დიზაინი, ხელმისაწვდომი მობილობა და მიწის შერეული ფუნქციური გამოეყენება. ეს კი, საბოლოო, ჯამში უფრო უსაფრთხო, კომფორტული და საცხოვრებლად ვარგისი ურბანული გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს.

სისტემური სიღარიბისა და უთანასწორობის დაძლევა ქალაქებში: მიზანმიმართული ჩარევები გადამწყვეტია სოციალურად დაუცველ და მოწყვლად ჯგუფებზე COVID-19-ის არათანაზომიერი ზემოქმედების შესარბილებლად. ისინი მოიცავს, როგორც გადაუდებელ დახმარებასა და სერვისებს, ისე მათი სოციალური გარიყულობის ძირეული მიზეზების გადაწყვეტას. გადატვირთულმა სისტემებმა და ძირითად სერვისებზე შეზღუდულმა წვდომამ მნიშვნელოვნად გაამწვავა ჯანმრთელობის რისკები დაუცველი მოსახლეობისთვის. ამავე დროს, ციფრული სერვისების არასაკმარისმა ხელმისაწვდომობამ და ჩრდილოვანი ეკონომიკური საქმიანობის შემცირებამ (განსაკუთრებით „ლოკდაუნების“ პერიოდში) კიდევ უფრო დაამძიმა მათი მდგომარეობა.

ურბანული ეკონომიკის აღმშენებლობის „ახალი ნორმა“: ეკონომიკური დახმარების პაკეტები კრიზისის პერიოდში უნდა მოიცავდეს მცირე ბიზნესების, ჩრდილოვან ეკონომიკაში დასაქმებული მუშაკებისა და ყველაზე დაუცველი ჯგუფების მიზანმიმართულ მხარდაჭერას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უფრო მწვანე და სამართლიანი ურბანული ეკონომიკის ჩამოყალიბებას. მიუხედავად ფინანსური შეზღუდვებისა, ადგილობრივი ხელისუფლება, ეროვნული მთავრობების მხარდაჭერით, ვალდებულია უზრუნველყოს უწყვეტი დახმარება და სერვისების მიწოდება, რათა მაცხოვრებლებსა და ბიზნესებს ჰქონდეთ კრიზისის შემდგომი აღდგენის შესაძლებლობა.

საქალაქო საკანონმდებლო და მმართველობითი მოწყობის დახვეწა: ხელისუფლებამ უნდა აღიაროს ერთიანი და თანამშრომლობითი მრავალდონიანი მმართველობის აუცილებლობა, რომელიც ეფუძნება მოქნილ და ინოვაციურ ინსტიტუციურ და ფინანსურ ჩარჩოებს. მიმდინარე კრიზისს შემოქმედებითად უპასუხეს ხელისუფლების ყველა დონეზე – მეტი თანამშრომლობის, გაზრდილი ავტონომიისა და პასუხისმგებლობების ხელახალი გადანაწილების გზით. მიუხედავად იმისა, რომ მიღებული შედეგები ხშირად არათანმიმდევრული და საკამათო იყო, ამ პროცესებმა განაპირობა ღირებული ახალი სტრატეგიებისა და ხედვების ჩამოყალიბება, რომლებიც აუცილებელია შენარჩუნდეს და განვითარდეს პანდემიის შემდგომაც.

წყარო:
ქალაქები და პანდემიები: უფრო სამართლიანი, მწვანე და ჯანმრთელი მომავლისკენ, გაეროს ჰაბიტატი, 2021წ.

2.5 ურბანიზაციასა და ურბანულ ზრდასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი გამოწვევები

რადგან ქალაქები და ადგილობრივ ხელისუფლება ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა, რომელთაც ეროვნულ მშპ-ში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ, აუცილებელია მათი შესაბამისი პოლიტიკური, ინსტიტუციური და ეკონომიკური რესურსებითა და უფლებამოსილებებით აღჭურვა. ამით ისინი ეფექტიანად გაუმკლავდებიან ახალ გამოწვევებს, განსაკუთრებით სწრაფად მზარდი ურბანიზაციის პირობებში.

დიდი და პატარა ქალაქების გარემოზე ზემოქმედების ტენდენცია აღმავალია, როგორც ურბანული მოსახლეობის ზრდის (დემოგრაფიული „წონის“) შედეგად, ასევე მათ მიერ მოხმარებული ბუნებრივი და სხვა რესურსების მოცულობისა და წილის გამო. ურბანული ცხოვრების ყველა ასპექტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პლანეტის მდგრად განვითარებაზე, წარმოებისა და მოხმარების პროცესებიდან დაწყებული, ყოველდღიურად საჭირო ენერგიისა და სხვა რესურსების მოხმარებით დამთავრებული. ეს მოიცავს ადამიანთა გადაადგილებას, შენობების მშენებლობას, გათბობასა და გაგრილებას, ასევე სურსათითა და წყლით უზრუნველყოფას და სხვა აუცილებელ საქმიანობებს.

ურბანული მოსახლეობა სულ უფრო მეტად დაუცველია წყლისა და ჰაერის დაბინძურების, ნარჩენებისა და ტოქსიკური ქიმიკატების ზემოქმედების, ასევე გარემოსდაცვითი საფრთხეებისგან, როგორიცაა წყალდიდობები, ცუნამები, მიწისძვრები, გვალვები და მეწყერები. ეს სერიოზული გამოწვევებია, რომლებზეც ინდივიდუალური რეაგირება ქალაქის მაცხოვრებლებს ნაკლებად შეუძლიათ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან სოცია-

ლურად დაუცველი და სხვა მოწყვლადი ჯგუფები, რომლებიც ყველაზე მეტად ზარალდებიან გარემოს დეგრადაციისა და სუსტი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის შედეგად. ეს გამოწვეულია მათი გაზრდილი დამოკიდებულებით ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებზე საკუთარი საარსებო წყაროს უზრუნველსაყოფად.

ბისაუს მთავარი ქუჩა, გადავსებული მოძრაობით, რეგულაციის გარეშე ეკონომიკური საქმიანობით, არაფორმალური ვაჭრობითა და მცირე მასშტაბის სერვისებით.

მრავალი გარემოსდაცვითი გამოწვევა დიდ თუ პატარა ქალაქებში დამკვიდრებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სისტემების შედეგია. ამავე დროს, ისინი კოლექტიური თუ ინდივიდუალური ქცევითი ნიმუშებიდან და დამოკიდებულებებიდან მომდინარეობს. ურბანიზაცია და მასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და კლიმატური გამოწვევები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პლანეტის სისტემებზე[22]. გაერომ[23] პლანეტის სამმაგი კრიზისი (კლიმატის ცვლილება, დაბინძურება და ბიომრავალფეროვნების დაკარგვა) გამოავლინა, რომლებზეც სასწრაფო რეაგირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია. გლობალურად, კაცობრიობა საშუალოდ უფრო მეტ რესურსს მოიხმარს, ვიდრე დედამიწას შეუძლია უზრუნველყოს, რის გამოც მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში საჭიროა პარადიგმის ცვლილება ჩვენი მომავალი საზოგადოების საერთო ხედვაში.

[22] https://www.stockholmresilience.org/research/planetary-boundaries.html.
[23] UNFCCC, გაეროს გარემოსდაცვითი კონვენცია და სხვა.

ურბანული მედეგობის ყოვლისმომცველი ჩარჩო ინსტიტუციური პრიზმიდან

2018-2025 წლებში SALAR International, თურქეთის მუნიციპალიტეტთა კავშირი და მარმარისა და ჩუქუროვას რეგიონული გაერთიანებები თანამშრომლობდნენ პროექტ „ადგილობრივი თვითმმართველობების მედეგობა (Reslog)"-ზე. პარტნიორობა სირიის კრიზისს ეხმაურებოდა და მიზნად ისახავდა მუნიციპალიტეტების მდგრადობის გაძლიერებას მიგრაციული ზეწოლის პირობებში, ინკლუზიისა და კარგი მმართველობის პრინციპების დაცვით.

სავარაუდო დასკვნა იყო, რომ არსებული მდგრადობის ჩარჩოები ხშირად კონცენტრირდებოდა კონკრეტულ თემებზე (მაგალითად, კლიმატი, კატასტროფების რისკის შემცირება) ან მხოლოდ ქალაქის დონეზე, ძირითადად ურბანული სისტემების – ინფრასტრუქტურის, გარემოსდაცვითი მდგრადობის, ეკონომიკური სისტემებისა და საზოგადოების კეთილდღეობის – ჭრილში. თუმცა, მუნიციპალური სტრუქტურების ინსტიტუციური მდგრადობა, ადმინისტრაციული პროცესები და სერვისების უწყვეტობის მექანიზმები ნაკლებად იყო გათვალისწინებული.

ამის პასუხად პროექტის ფარგლებში შეიქმნა ინტეგრირებული და ინკლუზიური მდგრადობის ჩარჩო (Integrated and Inclusive Resilience Framework – 2IRF), რომელიც მხარს უჭერს თურქეთის მუნიციპალიტეტებს გრძელვადიანი მდგრადობის დაგეგმვაში. ჩარჩო აერთიანებს როგორც გარე ფაქტორებს, ასევე მუნიციპალიტეტის შიდა პროცესებს, რაც მდგრადობისთვის ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

მრავალშოკიანი და მრავალსტრესული მედეგობის ჩარჩო

2IRF განიხილავს შოკების ხუთ ძირითად კატეგორიას: გარემოსდაცვითს, ეკონომიკურს, (გეო) პოლიტიკურს, საზოგადოებრივსა და ტექნოლოგიურს. ასევე მოიცავს გრძელვადიან სტრესულ ფაქტორებს, როგორიცაა ურბანიზაციისა და მიგრაციის ზეწოლა, კლიმატის ცვლილება, გარემოს დეგრადაცია, ინსტიტუციური შეზღუდვები და სოციალური-ეკონომიკური უთანასწორობა.

ამ საფუძველზე შეიქმნა კრიტერიუმების სისტემა, რომელიც პასუხობს ძირითად კითხვას: რას ნიშნავს მედეგი მუნიციპალიტეტი? ეს სისტემა საშუალებას აძლევს მუნიციპალიტეტებს შეაფასონ თავიანთი მზადყოფნა, განსაზღვრონ ძლიერი მხარეები და საჭირო მიმართულებები. 2IRF-ის რვა ძირითადი კრიტერიუმი მოიცავს 54 ინდიკატორს, რომლებიც ერთობლიობაში განსაზღვრავენ მუნიციპალიტეტის მედეგობას.

რვა ძირითადი კრიტერიუმია:

1. ინსტიტუციური მმართველობა, სტრატეგიული შესაძლებლობები და ლიდერობა
2. ფინანსური მედეგობა
3. ინფრასტრუქტურა და ურბანული სერვისები
4. კრიზისებისა და სტრესის მართვა, საგანგებო მზადყოფნა
5. გარემოსდაცვითი და კლიმატური მედეგობა
6. ჯანმრთელობა და სოციალური განვითარება
7. ეკონომიკური განვითარება
8. მონიტორინგი, შეფასება და პროგრესის უწყვეტობა

თითოეული მუნიციპალიტეტისთვის შესაბამისი ინდიკატორების მიხედვით, მრავალსექტორული გუნდები აფასებენ მიმდინარე მდგომარეობასა და გავლენას და განსაზღვრავენ საჭირო ქმედებებს გრძელვადიანი მედეგობის გასაძლიერებლად. Reslog-ის 12 საპილოტე მუნიციპალიტეტმა თურქეთში ეს შედეგები გამოიყენა სავალდებულო ხუთწლიანი სტრატეგიული გეგმების შემუშავებისას, ხშირად განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმ ინსტიტუციურ და სერვისულ სფეროებს, რომლებიც ანალიზში სუსტად გამოვლინდა და გაძლიერებას საჭიროებდა.

სხვადასხვა ტიპის რისკები და საფრთხეები

ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეები

გაეროს კატასტროფების რისკის შემცირების ოფისის (UNDRR)[24] თანახმად არსებობს სხვადასხვა ბუნებრივი და ანთროპოგენური (ადამიანის მიერ შექმნილი) საფრთხეები. ისინი მოიცავს შემდეგს: *მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური მოვლენები*, როგორიცაა წყალდიდობები, შტორმები, ციკლონები და თბური ტალღები; *გეოლოგიური* საფრთხეები, როგორიცაა მიწისძვრები და მეწყერები; *გარემოსდაცვითი* საფრთხეები, მათ შორის დაბინძურება და ეკოსისტემის კოლაფსი; *ქიმიური* საფრთხეები, რომლებიც დაკავშირებულია სახიფათო ნივთიერებების გამოყოფასთან; *ბიოლოგიური* საფრთხეები, როგორიცაა ეპიდემიები და პანდემიები; და სოციალური საფრთხეები, მათ შორის კონფლიქტები და იძულებითი გადაადგილება.

ხუთი ყველაზე კრიტიკული საფრთხე მოიცავს *მიწისძვრებს, უკიდურეს სიცხეს, შტორმებს, წყალდიდობებსა* და *გვალვებს*, რომლებიც 2000-2023 წლებში კატასტროფებით გამოწვეული სიკვდილიანობის დაახლოებით 90%-ის მიზეზად იქცა და გავლენა მოახდინა როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებზე. გარდა ამისა, 2025 წლის *გლობალური შეფასების ანგარიში*[25] მიუთითებს, რომ კატასტროფებთან დაკავშირებული პირდაპირი ეკონომიკური ხარჯები ყოველწლიურად 202 მილიარდ აშშ დოლარს აღწევს, ხოლო კასკადური და ეკოსისტემური ზემოქმედებების გათვალისწინებით ეს მაჩვენებელი 2,3 ტრილიონ აშშ დოლარზე მეტია.

ურბანიზაციის ტენდენციებისა და მასთან დაკავშირებული ზემოქმედების შედეგად, ქალაქის მოსახლეობა სულ უფრო მეტად დაუცველი ხდება, როგორც ანთროპოგენური, ასევე ბუნებრივი რისკებისა და საფრთხეების წინაშე. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია ქალაქის სოციალურად დაუცველი მოსახლეობა, რომლის საცხოვრებელი უბნები ხშირად თვითნებურად არის განაშენიანებული და განლაგებულია ქალაქების გარეუბნებში ან პერიფერიულ მიწებზე, ციცაბო და ვულკანურ ფერდობებზე, ჭალებსა და ჭაობებში, სარკინიგზო ინფრასტრუქტურის გასწვრივ, ნაგავსაყრელებთან და უდაბნოს საზღვრებთან.

მიწისძვრები, ძირითადად გეოლოგიური პროცესებით არის განპირობებული, რომელთა პრევენცია შეუძლებელია. თუმცა, შესაძლებელია შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება რისკების, დაუცველობისა და ზემოქმედების მაქსიმალურად შესამცირებლად. ასეთი ღონისძიებების მაგალითებია: თანამედროვე საპროექტო რეგულაციების დანერგვა, სტრატეგიული ურბანული დაგეგმარება და რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლება. 1994-2024 წლებში მიწისძვრებსა და მათთან დაკავშირებულ საფრთხეებს ფიზიკური და/ან სოციალური დაუცველობის შედეგად დაახლოებით 830 000 ადამიანი ემსხვერპლა. ამასთან, მშენებლობის შეუფერებელი მეთოდები და შენობების არასათანადო ადგილმდებარეობა მნიშვნელოვნად აძლიერებს მიწისძვრების ზემოქმედებას.

კლიმატის ცვლილებით გამოწვეული *უკიდურესი სიცხის* შემთხვევები სულ უფრო ხშირი და მწვავე ხდება, ხოლო 2024 წელი

»საზღვრების უგუნებელყოფა ზრდის დიდი მასშტაბის უეცარი ან შეუქცევადი გარემოსდაცვითი ცვლილებების მოწყვლადობის რისკს.«



სურათი 2.6
პლანეტარული საზღვრების უგუნებელყოფა ზრდის დიდი მასშტაბის უეცარი და შეუქცევადი გარემოსდაცვითი ცვლილებების რისკს. 2025 წლისთვის ცხრა საზღვრიდან შვიდი უკვე გადალახულია.
წყარო: კომპანია „აზოტი“, სტოკჰოლმის მედეგობის ცენტრი

[24] გაეროს კატასტროფების რისკის შემცირების ოფისი.
[25] https://www.undrr.org/gar/gar2025.

რეკორდულად ცხელი გამოდგა[26]. სათბური აირების ემისიებით განპირობებული ტემპერატურის გლობალური მატება მნიშვნელოვან რისკებს ქმნის, განსაკუთრებით ურბანულ ტერიტორიებზე, სადაც თბური სტრესი ჯანმრთელობის, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს კიდევ უფრო ამწვავებს. უკიდურესი სიცხის ხანგრძლივმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ჯანდაცვის სერიოზული კრიზისი და სიკვდილიანობა, ამავდროულად კი მნიშვნელოვნად შეამციროს მილიარდობით ადამიანის შრომისუნარიანობა. ურბანული ცენტრები განსაკუთრებით დაუცველნი არიან *ურბანული თბური კუნძულის* (UHI) ეფექტის გავლენისგან. ეს გამოწვეულია მწვანე სივრცეებისა და სითბოს შთანმთქმელი ინფრასტრუქტურის ნაკლებობითა და ადამიანის საქმიანობიდან გამოყოფილი ნარჩენი სითბოს ზემოქმედებით. იმის გათვალისწინებით, რომ პროგნოზებით 2050 წლისთვის მსოფლიო მოსახლეობის თითქმის 70% ურბანულ ტერიტორიებზე იცხოვრებს, აღნიშნული რისკები არათანაზომიერად მძიმე გავლენას მოახდენს დაუცველ ჯგუფებზე, მათ შორის სიღარიბეში მცხოვრებ პირებზე, ქალებზე, ბავშვებსა და ხანდაზმულებზე. ამ გამოწვევების ეფექტურად გადასაწყვეტად აუცილებელია მრავალდარგობრივი თანამშრომლობა. აქაც ადგილობრივი ხელისუფლება ცენტრალურ როლს შეასრულებს სტრატეგიული ურბანული განაშენიანების გეგმების განხორციელებაში, რომლებიც ითვალისწინებს გლობალური დათბობის მიმართ მედეგ ერთიან სტრატეგიებს.

ურბანულ ტერიტორიებზე გაჩენილი *ხანძრები* ერთ-ერთ მთავარ საფრთხეს წარმოადგენს, რომელსაც ყოველწლიურად 150 000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ეწირება. ამ შემთხვევების დაახლოებით 95% დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში ფიქსირდება, რაც განსაკუთრებით მძიმე ზემოქმედებას ახდენს თვითნებურ და ლტოლვილთა დასახლებების მაცხოვრებლებზე.

»გარემოსდაცვითი ზიანი ქმნის სერიოზულ და ხანგრძლივ რისკებს ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობისთვის, რომლებიც ბევრად მეტი ზიანის მომტანია ვიდრე ამას ახლა ვიმკით.«

უკრაინის მეოთხე სწრაფი შეფასება და საჭიროებების ანალიზი

გლობალურად, თვითნებური დასახლებების მოსახლეობა 2015-2022 წლებში დაახლოებით 130 მილიონით გაიზარდა, რაც საშუალოდ დღეში 50 000 ახალ მაცხოვრებელს უტოლდება. ამ დასახლებების მნიშვნელოვან ნაწილს არახელსაყრელი მდებარეობა აქვს, ისინი არამიმზიდველი და ხშირად სახიფათოა, მიდრეკილია წყალდიდობებისა და მეწყერებისკენ ან ექვემდებარება ჰაერის დაბინძურებას, რაც განპირობებულია ნარჩენების განთავსებით, მძიმე სატრანსპორტო მარშრუტებთან ან სამრეწველო ობიექტებთან სიახლოვით. ამასთან, არასათანადო დაგეგმარება და საცხოვრისისა და ძირითადი სერვისების შეზღუდული მიწოდება ხშირად აიძულებს მუშახელს, დასახლდეს სამუშაო ადგილებთან ახლოს, როგორც ფორმალურ, ასევე ჩრდილოვან ეკონომიკაში.

ადგილობრივ ხელისუფლებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად გააძლიერონ მედეგობა და შეარბილონ სხვადასხვა რისკისა და საფრთხის ზემოქმედება. ამისათვის, მათ სტრატეგიული და ურბანული დაგეგმარების პროცესებში, პროექტირებისა და დაგეგმარების ეტაპებზე უნდა გაითვალისწინონ ისეთ ასპექტები, როგორიცაა გონივრული მიწათსარგებლობა, საჯარო სივრცეების განვითარება, ბუნებაზე

[26] ქალაქების მედეგობის გაზრდა 2030 (2025). ქალაქში სიცხის რისკების მართვის რესურსების პაკეტი, UNDRR.

დაფუძნებული გადაწყვეტები და ეკოსისტემური სერვისები. ამასთან, პოტენციური რისკების შესახებ სანდო მონაცემებზე წვდომა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მომავლზე ორიენტირებული ინფორმირებული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების მისაღებად.

მაგალითი

მაღალი რისკის წყალდიდობის ზონები

1985 წლიდან ძლიერი წყალდიდობებისკენ მიდრეკილ ადგილებში 75 000 კმ^2-ზე მეტი ფართობის ტერიტორია დაექვემდებარა ურბანულ განაშენიანებას. ეს მაჩვენებელი ლონდონის მუნიციპალიტეტის ფართობის დაახლოებით 50-გზის ექვივალენტია. გლობალურად, დაახლოებით 1,8 მილიარდი, ანუ ყოველი მეოთხე, ადამიანი ცხოვრობს მაღალი რისკის მატარებელ წყალდიდობის ზონებში, რომელთა უმეტესობა განვითარებად ქვეყნებში სწრაფად ურბანიზებად მდინარის ვაკეებსა და სანაპირო ზოლებშია განთავსებული.

წყარო: მსოფლიო ბანკი / ურბანული განვითარება

კონფლიქტის ზონები, როგორიცაა უკრაინა[27], ხშირად უკიდურესად დაუცველნი არიან გარემოს დეგრადაციისა და განადგურების მიმართ. შეიარაღებული კონფლიქტები, როგორც წესი, ზრდის ქიმიური ნივთიერებების გამოყოფას, რაც ხანძრებთან, აფეთქებებთან, დანაღმული ველებისა და აუფეთქებელი საბრძოლო ნარჩენების (UXO) არსებობასთან ერთად, პირდაპირ და ირიბად აზიანებს ეკოსისტემებს და იწვევს როგორც გარემოსდაცვით, ისე სოციალურ-ეკონომიკურ დანაკარგებს. ამასთან, ინფრასტრუქტურისა და ენერგეტიკული ობიექტების, ასევე საცხოვრებელი და კომერციული შენობების განადგურება წარმოშობს ნანგრევებისა და ნარჩენების მართვის მასშტაბურ პრობლემებს, აძლიერებს ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურებას და, საბოლოოდ, ჯანმრთელობის სერიოზულ საფრთხეებს ქმნის.

ომის დროს გარემოს დეგრადაციაზე ეფექტიანი რეაგირება გართულებულია, ვინაიდან ტექნიკა და ადამიანური რესურსი, როგორც წესი, უშუალოდ სამხედრო ოპერაციებზეა მიმართული. ეკოლოგიურად დაცული ტერიტორიები ხშირად მიუწვდომელი ხდება აუფეთქებელი საბრძოლო ნარჩენების და სხვა საფრთხეების გამო. ეს მნიშვნელოვნად ზღუდავს, როგორც ხანძრის პრევენციის, ისე მისი სწრაფად ჩაქრობის შესაძლებლობებს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შედეგები უშუალოდ ზემოქმედებს გარემოზე, ისინი ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გრძელვადიანი სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური აღდგენისა და რეაბილიტაციის პროცესებზე.

მაგალითი

დასახლებები სახიფათო ადგილებში

დასახლებები და ინფრასტრუქტურა სხვადასხვა ანთროპოგენური და ბუნებრივი საფრთხეების ზემოქმედებას განიცდის, მათ შორის წყალდიდობა, მეწყერი, შტორმი, ცუნამი, მიწისძვრა და ვულკანური ამოფრქვევები. UNDRR-ის შეფასებით, ინფრასტრუქტურის მედეგობის გათვალისწინება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი:

- ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას და ერთიანი გაგების ჩამოყალიბებას, თუ რას ნიშნავს „მედეგი ინფრასტრუქტურა“;
- ქმნის ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების საფუძველს, რომლებიც მედეგობას, როგორც ფუნდამენტურ ღირებულებას ითვალისწინებს.
- უზრუნველყოფს ისეთი საინჟინრო პროექტების შემუშავებას სანდო და ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით, სადაც გათვალისწინებულია უსაფრთხოებისა და კატასტროფების რისკის შემცირების პარამეტრები, როგორც ახალ პროექტებში, ისე არსებულის მოდერნიზაციის პროცესში;
- განსაზღვრავს ეროვნული ინფრასტრუქტურული სისტემების სასურველ სამიზნე მაჩვენებლებს კრიტიკული სერვისების მედეგობის უზრუნველსაყოფად; და
- აძლიერებს საჯარო და კერძო სექტორების შესაძლებლობებს რისკებზე დაფუძნებული პოლიტიკისა და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას;

წყარო: გაეროს კატასტროფების რისკის შემცირების ოფისი (UNDRR), მდგრადი ინფრასტრუქტურის პრინციპები, 2022

[27] ზიანისა და საჭიროებების მეოთხე სწრაფი შეფასება (RDNA4), 2022 წლის თებერვალი – 2024 წლის დეკემბერი, მსოფლიო ბანკი, UNDP და სხვ.

მომავალზე გათვლილი, ერთიანი და ეტაპობრივი დაგეგმვა მედეგი აღდგენისთვის ომის შედეგების გათვალისწინებით

2024 წლიდან, Polaris პროგრამის ფარგლებში, SALAR International მხარს უჭერს ადგილობრივ თვითმმართველობის მუნიციპალიტეტს (ჰრომადებსა) და ოლქებს (ობლასტს) უკრაინაში, რომლებიც 2022 წლიდან სრულმასშტაბიანი თავდასხმის შედეგად დაზარალდნენ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგია ომის გავლენის შემსუბუქებისთვის ადგილობრივ თემებზე არის აღდგენის პროცესების ხელმძღვანელობა თავად ჰრომადების (მუნიციპალიტეტების) მიერ, ეროვნული ინსტიტუტებთან მჭიდრო კოორდინაციით. SALAR International-ის მხარდაჭერით ეს ინიციატივა მიმართულია მრავალმხრივი, ინტეგრირებული და კომპლექსური სტრატეგიული და აღდგენის დაგეგმვის დოკუმენტების შექმნისკენ, ინკლუზიურად, ფაქტებზე დაფუძნებული და მომავლისთვის გამძლე მეთოდით. მოდელი ეფუძნება 'სიმბიოსისთის' პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ჰოლისტიკურ და ერთიან დაგეგმვას, სადაც გათვალისწინებულია ადგილობრივების საჭიროებები, რისკები, მედეგობა, მდგრადობა და ევროკავშირის ინტეგრაციის შესაძლებლობები. ეს საშუალებას აძლევს მუნიციპალიტეტებსა და ოლქებს განიხილონ სხვადასხვა აღდგენის სცენარები, განსაზღვრონ გრძელვადიანი პრიორიტეტები და ჩარჩონ მნიშვნელოვანი პროექტები, მათ შორის მოცულობა, ბიუჯეტი და ვადები. მეთოდოლოგია ეფუძნება მონაწილეობითი მიდგომას, რომელშიც მთავარი პრინციპებია გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და გადამკვეთი საკითხების ინტეგრაცია. აქ ხორციელდება სენსიტიურობა გენდერული და ინტერსექციონალური საკითხების მიმართ, მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინება და ადამიანური კაპიტალის აღდგენის გაერთიანება.

ფოტო Klas Groth

პროექტის ფარგლებში ჰრომადებსა და ობლასტებს ეძლევათ ტექნიკური და კაპიტალის გაძლიერების მხარდაჭერა სტრატეგიულ და ურბანულ დაგეგმვაში, ასევე კონკრეტულ თემატურ საკითხებში, როგორიცაა მონაცემთა მართვა და გეოსივრცული კარტოგრაფია. მიზანია, ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლებამ შეძლოს მონაცემების შეგროვება, საზოგადოების და დაინტერესებული მხარეების ჩართვა, და ძლიერი ანალიზი მოკლევადიანი და გრძელვადიანი დაგეგმვისთვის. მუნიციპალიტეტები მხარდაჭერილნი არიან ისეთი პროექტების გამოვლენაში, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკრეტული სერვისებისა და ინფრასტრუქტურული პრიორიტეტების დაკმაყოფილებას, სტიმულირებენ ადგილობრივ აღდგენას და უქმნიან დამატებით ფინანსურ შესაძლებლობებს აღდგენის პროცესისთვის.

მეთოდოლოგია ვითარდება ეტაპობრივად, ეფუძნება საერთაშორისო აღიარებულ მიდგომებს მედეგობის, აღდგენისა და მდგრადი ურბანული განვითარების სფეროში, ადაპტირებულია უკრაინულ კონტექსტზე და ითვალისწინებს უკრაინული კანონმდებლობასა და დაგეგმვის გამოცდილებას 2022 წლიდან.

მობილობა და ტრანსპორტთან დაკავშირებული გამოწვევები

სწრაფად მზარდი ურბანული ტერიტორიები, როგორც წესი, ურბანულ განშლას განიცდის. ეს გამოწვეულია არასათანადო სტრატეგიული სივრცითი დაგეგმარებითა და მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მობილობის ინფრასტრუქტურაში შესაბამისი ინვესტიციების ნაკლებობით. გლობალური კეთილდღეობისა და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის ზრდა ისტორიულად დაკავშირებული

იყო კერძო ავტომობილების მოხმარების ზრდასთან. ეს, თავის მხრივ, იწვევდა ხმაურსა და ჰაერის დაბინძურებას (ჯანმრთელობაზე ზემოქმედება), სატრანსპორტო გადატვირთულობასა და გაზრდილ ავტო-საგზაო შემთხვევებს. სიკვდილიანობასთან, დაზიანებებსა და სტრესთან ერთად, აღნიშნული ფაქტორების შედეგად მცირდება ადამიანების შრომისუნარიანობა და მნიშვნელოვან ეკონომიკური ზარალიც დგება.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით, საგზაო შემთხვევების შედეგად ყოველწლიურად დაახლოებით 1,2 მილიონი ადამიანი იღუპება. ამ მაჩვენებლის 92% დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში ფიქსირდება. ამავე ქვეყნებში კონცენტრირებულია მსოფლიოში არსებული სატრანსპორტო საშუალებების დაახლოებით 60%. ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობის ნახევარზე მეტი მოდის მოწყვლად გზის მომხმარებლებზე – ქვეითები, ველოსიპედისტები და მოტოციკლისტები.

სატრანსპორტო დარგი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კლიმატის ცვლილებაში. ის პასუხისმგებელია ნახშირორჟანგის გლობალური ენერგეტიკული ემისიების თითქმის მეოთხედზე და გლობალური სათბურის აირების დაახლოებით 15%-ზე.

სატრანსპორტო დარგი და სატრანსპორტო საშუალებების ფართო გამოყენება მნიშვნელოვნად არის პასუხიმგებელი ხმაურისა და ჰაერის დაბინძურებაზე. სატრანსპორტო საშუალებებიდან გამონაბოლქვი ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემებს და ნაადრევ სიკვდილს იწვევს. ყოველწლიურად დაახლოებით 4,2 მილიონი ადამიანი იღუპება გარემოს (გარე) ჰაერის დაბინძურების შედეგად, რაც დაკავშირებულია სასუნთქი გზების დაავადებებთან და კიბოსთან. გოგირდის დიოქსიდის, აზოტის ოქსიდებისა და ფოტოქიმიური ოქსიდანტების მიკრონაწილაკები (განსაკუთრებით 10 მიკრონზე მცირე ზომის ნაწილაკები) ფილტვებში ილექება და იწვევს სასუნთქი გზების სერიოზულ პრობლემებს, როგორიცაა ასთმა და ბრონქიტი, ხოლო მძიმე შემთხვევებში სასუნთქი გზებით გამოწვეულ სიკვდილიანობასაც კი. განსაკუთრებით მაღალი მგრძნობელობით გამოირჩევიან ბავშვები, რომლებიც გამონაბოლქვის ზემოქმედებას ყველაზე მეტად ექვემდებარებიან.

ბოლოდროინდელი ტექნოლოგიური მიღწევები, როგორიცაა ნაწილაკებისა და ნახშირბადის მონოქსიდის ემისიების შემცირება, ალტერნატიული საწვავის გამოყენებასა და ელექტრომობილებზე (EV) უფრო მეტად გადასვლასთან ერთად გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მნიშვნელოვან პოტენციალს ქმნის.

მობილობის ალტერნატიულ სისტემებში განხორციელებულ ინვესტიციებთან ერთად, როგორიცაა ერთიანი საზოგადოებრივი და არამოტორიზებული ტრანსპორტი (NMT), აუცილებელია სტრატეგიული და ერთიანი ურბანული დაგეგმარება ურბანულ ტერიტორიებზე მობილობისა და მისაწვდომობის გასაუმჯობესებლად. ასეთი მიდგომა არა მხოლოდ უფრო ეფექტიანად იყენებს არსებულ სივრცეს, არამედ ზრდის გარემოს უსაფრთხოებას და ხელს უწყობს ადამიანების გაუმჯობესებულ შრომისუნარიანობას.

გადამუშავება ნარჩენების მართვის საბოლოო მიზანი არ არის – უმჯობესია ნარჩენები თავიდანვე შევამციროთ, მათი წარმოქმნის პრევენციით.

გაეროს გარემოს პროგრამა

ფოტო Wikinut, Internet

ზოგიერთი ფაქტი

ჰაერის დაბინძურება და ჯანმრთელობა

კაროლინსკას ინსტიტუტის მონაცემებით, ჰაერის დაბინძურების ხანგრძლივი ზემოქმედება ინდოეთში მილიონობით ადამიანის სიკვდილის მიზეზია. 2,5 მიკრომეტრზე ნაკლები დიამეტრის ნაწილაკები (PM2.5) ფილტვებსა და სისხლში აღწევს, რაც ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემებს იწვევს. ინდოეთის მრავალ რეგიონში PM2.5-ის დონე მნიშვნელოვნად აღემატება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდებულ ზღვარს, რაც გავლენას ყოველწლიურად თითქმის 1,4 მილიარდ ადამიანზე ახდენს.

წყარო: https://news.ki.se/air-pollution-in-india-linked-to-millions-of-deaths

ენერგეტიკის სექტორი

ქალაქები ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალაა და ამავდროულად გლობალურად წარმოებული ენერგიის დაახლოებით 75%-ს მოიხმარს. ეს დაკავშირებულია ისეთ დარგებთან, როგორიცაა ტრანსპორტი, გათბობა/გაგრილება და მშენებლობა. IEA-ს (2023[28]) მონაცემებით, გლობალური ენერგიის წარმოების ძირითადი წყაროებია ქვანახშირი (~28%), ნავთობი (~30%) და ბუნებრივი აირი (~23%), ხოლო დანარჩენი ნაწილდება ბირთვულ (~4,7%), ჰიდრო (~2,3%) და მზის ენერგიაზე (~3,1%), ისევე როგორც ბიოსაწვავსა და ნარჩენებზე (~8,8%). წიაღისეული საწვავის ენერგიის წყაროდ გამოყენება მჭიდროდ არის დაკავშირებული კლიმატის ცვლილებასა და სათბურის აირების ემისიებთან.

ელექტროენერგიის გამომუშავება უმეტესად ენერგიის წყაროების ტრანსფორმაციის გზით მიიღება, მაგალითად, საწვავის (ნავთობისა და ქვანახშირის) წვის შედეგად მიღებული სითბოს გამოყენებით, რაც მრავალი თვალსაზრისით ელექტროენერგიის წარმოების არამდგრად და არაეფექტურ ფორმას წარმოადგენს. ადგილობრივ დონეზე, ქალაქის მრავალი მცხოვრები წიაღისეული საწვავის გამოყენებით გამოწვეული ჰაერის დაბინძურების ზემოქმედების ქვეშ იმყოფება, რაც სერიოზულ ჯანმრთელობის პრობლემებს, მათ შორის ნაადრევ სიკვდილიანობას, იწვევს. ამასთან, ენერგიასა და ელექტროენერგიაზე წვდომას მნიშვნელოვანი სოციალური გავლენა აქვს და მრავალი შინამეურნეობისთვის საჭიროებს გაუმჯობესებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყოველდღიური საოჯახო საქმიანობა, განათლება, უსაფრთხოება და ეკონომიკური საქმიანობა, განსაკუთრებით თვითნებური დასახლებებისა და ქალაქის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შემთხვევაში.

ენერგიაზე მოთხოვნის შემცირების, ენერგოეფექტურობისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების, აგრეთვე განახლებადი ენერგიის წყაროებზე, როგორიცაა მზე, ქარი და ჰიდროენერგია, გადასვლის წასახალისებლად აუცილებელია პროაქტიული სტრატეგიებისა და პოლიტიკის განხორციელება. მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვის, ბიზნესისა და კომერციის კონცენტრაციის, მწარმოებლურობისა და ინოვაციური პოტენციალიდან გამომდინარე,

[28] საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო, https://www.iea.org/world

ქალაქების ხელისუფლებას უნიკალური შესაძლებლობა აქვს აიღოს ინიციატივა და დააჩქაროს სუფთა ენერგიის წყაროებზე გადასვლა,

გარემოსდაცვითი მართვა ვერ განიხილება, როგორც ცალკე აღებული განვითარების შემაფერხებელი, თუმცა ის მაინც უნდა იყოს გათვალისწინებული ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და მრეწველობის პოლიტიკასა და დაგეგმვაში.

მაგალითი

ელექტროენერგიის ხელმისაწვდომობა

- 100 მილიონი ადამიანი ცხოვრობს ქალაქებში ელექტროენერგიაზე წვდომის გარეშე.
- ამათგან 90% მდებარეობს სამხრეთ აფრიკის საჰარის რეგიონში, რომელიც განიცდის მსოფლიოში ყველაზე სწრაფ ურბანიზაციას.
- საჯარო ინვესტიციების 60%-ზე მეტი ხორციელდება ადგილობრივ დონეზე, რომელთაგან თითქმის მესამედი მიმართულია სატრანსპორტო სისტემებზე. ეს ხაზს უსვამს ქალაქების მიერ მწვანე და მედეგ ურბანულ ინფრასტრუქტურაში ინვესტირების მნიშვნელობას.

წყარო: საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო, 2024

მწვანე სივრცეებისა და ბიომრავალფეროვნების ნაკლებობა

მდგრადი ურბანიზაცია მოითხოვს ეკოლოგიური სისტემებისა და ქსელების შექმნასა და შენარჩუნებას. ეს მოიცავს ისეთ ტერიტორიებს, როგორიცაა მწვანე ღია სივრცეები, წყალ-ჭაობიანი ტერიტორიები, ტყეები და სასოფლო-სამეურნეო ზონები. გარემოსდაცვითი ეფექტურობა განისაზღვრება, როგორც გარემოს უნარი, უზრუნველყოს საზოგადოებრივი სარგებელი და ადამიანის კეთილდღეობა უარყოფითი ზემოქმედების გარეშე. აღნიშნული კონცეფცია გულისხმობს ბუნებრივი რესურსების მოხმარების შემცირებას, იმ პირობებში, როდესაც მიწოდებული პროდუქტები და მომსახურება კვლავ აკმაყოფილებს ადამიანის ძირეულ საჭიროებებს.

ეკოსისტემური სერვისები წარმოადგენს ბუნებრივ ეკოლოგიურ პროცესებს, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობისა და ურბანული ტერიტორიების ფუნქციონირებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მათი მაგალითებია ჟანგბადის გამომუშავება, ნახშირბადის შთანთქმა და ტოქსინებისა და დამაბინძურებლების ფილტრაცია. ეკოსისტემურ სერვისებს ასევე შეუძლიათ კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შემცირება. ისინი აუცილებელია, როგორც ურბანული ტერიტორიების მდგრადობისა და მედეგობის უზრუნველყოფისთვის, ისე სანაპირო და სხვა მოწყვლადი ზონების ბუნებრივი დაცვისთვის წყალდიდობის, ძლიერი ქარის, ეროზიისა და სხვა გარემოსდაცვითი საფრთხეებისგან. ამრიგად, ეკოსისტემური სერვისების მედეგობა და ბიოტევადობის შენარჩუნება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

ადამიანის საქმიანობა, როგორიცაა განაშენიანება, გარემოს დაბინძურება, ნარჩენების არასწორი მართვა (მათ შორის ნარჩენების უკანონო დაყრა), ასევე წყალ-ჭაობებისა და მწვანე გარემოს

სურათი 2.7
ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტები არის ბიომრავალფეროვნებაზე დაფუძნებული მიდგომები, რომლებიც ბუნებრივ სისტემებთან თანხვედრაში მუშაობს საზოგადოებრივი გამოწვევების გადასაჭრელად და, ამასთან ის ეყრდნობა ადგილობრივი თემების ცოდნასა და გამოცდილება
წყარო: ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტები | რა არის ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტები?

განადგურება, მნიშვნელოვნად აზიანებს ეკოსისტემურ სერვისებს და იწვევს ბიომრავალფეროვნების შემცირებას. გაძლიერებული ურბანიზაცია ზრდის მოთხოვნას ბუნებრივ რესურსებზე, რაც ზეწოლას ახდენს იმ გარემოსდაცვით პროცესებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკოსისტემურ სერვისებს. ამ კონტექსტში, ურბანული ტერიტორიები ბუნებასთან წონასწორობას უნდა ინარჩუნებდეს, სადაც ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტები და მწვანე და ლურჯი სისტემები და ქსელები (ქალაქებში და მათ გარშემო) ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და ეკოსისტემური სერვისების გაძლიერებას. ასეთ გარემოში შესაძლებელია მდგრადი სოფლის მეურნეობის, მებაღეობისა და ენერგიის წარმოების განვითარება. ქალაქებში მცირე ზომის მწვანე ტერიტორიებსაც კი აქვთ უნარი შეინარჩუნონ მაღალი ბიომრავალფეროვნება, განსაკუთრებით წყალ-ჭაობიანი ეკოსისტემების შემთხვევაში[29].

FAO-ს მონაცემებით, 2023 წელს დაახლოებით 733 მილიონი ადამიანი არასაკმარისად იკვებებოდა. იმ რეგიონებში, სადაც სასურსათო დაუცველობა ფიქსირდება, ეს მაჩვენებელი სოფლად უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქებში. რეგიონების მიხედვით სურათი განსხვავდება, მაგალითად, აფრიკაში სასურსათო დაუცველობის დონე თითქმის ორჯერ აღემატება გლობალურ საშუალო მაჩვენებელს. კარგად დაგეგმვისა და მართვის შემთხვევაში, მარგინალურ (დაბალმოსავლიან) და საჯარო მიწებზე ურბანულ ფერმერულ მეურნეობას შეუძლია პრობლემის მნიშვნელოვნად შემსუბუქება და ბავშვთა კვების გაუმჯობესება. ურბანული ფერმერული მეურნეობის გაფართოების სასარგებლო არგუმენტებია:

- სურსათის მიწოდებისა და ხელმისაწვდომობის დეფიციტი განვითარებად ქვეყნებში;
- დამოკიდებულება გრძელ მანძილზე ტრანსპორტირებაზე, რაც ზრდის სათბური აირების ემისიებს და ამცირებს პროდუქტის ხარისხს;
- სოფლის მეურნეობაში სათბური აირების ემისიების შემცირების აუცილებლობა, რომელიც მთლიანი გლობალური ემისიების 11,7%-ს შეადგენს (WRI, 2021წ.[30]);
- სხვა რესურსების დეფიციტი, მათ შორის ენერგიის, წყლისა და სურსათის;
- სამუშაო ადგილების შექმნისა და თემების გაძლიერების შესაძლებლობა.

კლიმატის ცვლილება და ადამიანის საქმიანობის ისეთი ფორმები, როგორიცაა მიწათსარგებლობის ცვლილება, გაუტყეურება, სოფლის მეურნეობა, დაბინძურება და სამრეწველო პროცესები, ეკოსისტემური სერვისების დაჩქარებული დაკარგვისა და დეგრადაციის მთავარ მამოძრავებელ ფაქტორებად გვევლინება. ეკოსისტემური სერვისების შემცირება, სურსათის უსაფრთხოებასა და ადამიანის

[29] ეს პირველად ურბანულ კონტექსტში თეორეტიკოსმა პატრიკ გედესმა ამოიცნო წიგნში „გედესი, პ. (1915) „ქალაქების ევოლუცია“. ლონდონი: უილიამსი და ნორგეიტი.
[30] მსოფლიო რესურსების ინსტიტუტის მონაცემებით

ჯანმრთელობაზე პოტენციურ უარყოფით ზემოქმედებასთან ერთად, საგრძნობლად ამცირებს ქალაქების შემოსავლებს. ამასთან, უკიდურესად გაჭირვებული და მოწყვლადი თემები ხშირად უშუალოდ არიან დამოკიდებულნი ამ სერვისებზე მათი ძირეული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ნარჩენების მართვა და გამოწვევები

მსოფლიოში ყოველწლიურად (2024[31]) 2,1 მილიარდ ტონაზე მეტი მუნიციპალური ნარჩენი წარმოიქმნება. პროგნოზების მიხედვით, ეს მაჩვენებელი 2050 წლამდე კიდევ უფრო გაიზრდება. ამ ნარჩენების დაახლოებით 38% „უკონტროლოა“ ანუ ღიად დაყრილი ან დამწვარია, ხოლო დარჩენილი 62% კონტროლირებადი გზით იმართება ნაგავსაყრელებში განთავსებით (30%), გადამუშავებით (19%) და „ნარჩენების ენერგიად გარდაქმნის“ სისტემებში (13%). ნარჩენების მართვის რეგიონული განსხვავებები ნიშანდობლივია. ვითარება განსაკუთრებით მწვავეა განვითარებად და დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში, სადაც ღარიბ უბნებსა და თვითნებურ დასახლებებში ხშირად საერთოდ არ ხდება ნარჩენების ორგანიზებული შეგროვება.

ნარჩენების მდგრადი მართვის სისტემების გაუმჯობესებული პოლიტიკა და გაზრდილი ინვესტიციები კრიტიკულად მნიშვნელოვანია მათი უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად. იგი გავლენას ახდენს კლიმატზე (ტრანსპორტის, გადამუშავების პროცესებისა და ნაგავსაყრელებიდან წარმოქმნილი ემისიები); ბიომრავალფეროვნებაზე (ნიადაგისა და წყლის ობიექტებში არსებული ქიმიკატები); დაბინძურებაზე (ჯანმრთელობის რისკები, როგორიცაა დიარეა, მალარია და კიბო). ნარჩენების სფერო ხშირად ნაწილობრივ თვითნებურად არის ორგანიზებული, რაც ართულებს სანდო მონაცემებზე წვდომას და შესაბამისად, გამოწვევებზე სათანადო რეაგირებას.

სანიტარული ნაგავსაყრელები და სხვა კონტროლირებადი ნარჩენების მართვის სისტემები იშვიათობაა განვითარებად ქვეყნებში. ამის შედეგად ნარჩენების წარმოქმნის ტემპსა და მათი კონტროლირებად პირობებში მართვის შესაძლებლობებს შორის სერიოზული დისბალანსი ჩნდება. განსაკუთრებით კრიტიკული მნიშვნელობისაა სამშენებლო ნარჩენების, ასევე სამრეწველო, საავადმყოფოებისა და შინამეურნეობებში წარმოქმნილი სახიფათო და გადამდები ნარჩენების სათანადო მართვა. ასეთი ნარჩენების უკონტროლო გამოყენება და გადაყრა იწვევს მუდმივი ორგანული ტოქსინების დაგროვებას კვების ერთიან ჯაჭვში, რაც საბოლოოდ ყველა სოციალურ ჯგუფზე ერთნაირად აისახება.

ნარჩენების არასათანადო მართვა ჯანმრთელობის პირდაპირ და სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, როდესაც ნარჩენების შეგროვება მრავალი გაჭირვებული ადამიანის შემოსავლის წყარო ხდება. ეს მოიცავს ნარჩენებით ვაჭრობასა და უკონტროლო ნაგავსაყრელებზე არაოფიციალური საქმიანობას. ამასთან, ნარჩენების არაეფექტიანი მართვა ხელს უწყობს დაავადებების გავრცელებას ისეთი გადამტანების მეშვეობით, როგორიცაა ვირთხები, ძაღლები, მაიმუნები და ფრინველები.

მაგალითი

ეკოსისტემური სერვისების შენარჩუნების ეკონომიკური ღირებულება

ეკოსისტემური სერვისები შეიძლება დაიყოს შემდეგ ძირითად კატეგორიებად: მომარაგების სერვისები (ეკოსისტემებიდან მიღებული ან მოპოვებული სარგებელი); მარეგულირებელი სერვისები (ეკოსისტემების უნარი, დაარეგულირონ ბიოლოგიური პროცესები); კულტურული სერვისები (აღქმული ან რეალური გამოცდილებითი და არამატერიალური სარგებელი). 2017 წელს, ეთიოპიის მუნიციპალიტეტში (დურბანი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) ეკოსისტემური სერვისების სივრცითი შეფასების შედეგად, აქტივების საერთო ღირებულება 48 - 62 მილიარდ რანდად შეფასდა, რაც წელიწადში შეადგენდა დაახლოებით 4.2 მილიარდ რანდს (დაახლოებით 330 მილიონი აშშ დოლარი).

წყაროები: ბუნებრივი კაპიტალის აღრიცხვა და ეკოსისტემის სერვისების შეფასება (NCAVES) და ინტეგრირებული ეკოსისტემის აღრიცხვის რუკების შედგენა და შეფასება (MAIA) / გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი (UNDESA) (2022), მსოფლიო ბანკი (2017)

ნარჩენების მართვის მოუგვარებელი სისტემა გარემოსა და ჯანმრთელობისთვის ურთიერთდაკავშირებულ საფრთხეს წარმოადგენს

[31] გლობალური ნარჩენების მართვის პერსპექტივა 2024, გაეროს გარემოსდაცვითი კონფერენცია

მაგალითი

ნარჩენების მართვის გაუმჯობესება

გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის შეფასებით მყარი მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნა 2,1 მილიარდი ტონიდან 2023 წელს 3,8 მილიარდ ტონამდე გაიზრდება 2025 წლისთვის. შეფასების თანახმად, 2020 წელს, ნარჩენების მართვის პირდაპირმა და ირიბმა ხარჯებმა (დაბინძურება, ჯანმრთელობა, კლიმატის ცვლილება) 360 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. პროგნოზირებულია, რომ 2050 წელს უმოქმედობის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი გაორმაგდება

- ნეპალი: ნარჩენების მართვის სერვისები გაუმჯობესდა და 70%-მდე მოიცვა ხუთი ქალაქი (120 000 შინამეურნეობა) შედეგებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვით (2013-2017).
- ბოსნია და ჰერცეგოვინა: მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობამ მნიშვნელოვნად, 75%-დან 34%-მდე შეამცირა მუნიციპალური სერვისების გარეშე დარჩენილი თემების რაოდენობა (2008-2017).
- მაროკო: ნარჩენების მართვის ჩარჩოს წყალობით ნარჩენების შეგროვების მაჩვენებელი 44%-დან 96%-მდე გაიზარდა.

წყარო:
გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) და მსოფლიო ბანკი

წყალმომარაგებაზე წვდომა

წყალზე წვდომა სულ უფრო კრიტიკულ საზრუნავად იქცევა მზარდი მოსახლეობის, კლიმატის ცვლილების ზემოქმედებისა და წყლის მოხმარების ზრდის გამო ისეთ დარგებში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, მეცხოველეობა, ენერგიის წარმოება და მრეწველობა. წყალი, როგორც მწირი რესურსი, მოითხოვს სიფრთხილით მოპყრობას და ეფექტიან მართვას.

მწირი წყლის რესურსები

წყლის დეფიციტი და წყლის უკმარისობით გამოწვეული სტრესი რეგიონების მიხედვით განსხვავდება. ერთის მხრივ, ჩრდილოეთ აფრიკისა და აზიის მრავალი ქვეყანა უკიდურეს დეფიციტს განიცდის, რაც განპირობებულია *ხანგრძლივი გვალვებით, გრუნტის წყლების დონის ვარდნით, აგრეთვე ბუნებრივ გარემოზე მოქმედი მზარდი სტრესითა და დაბინძურებით.* მეორეს მხრივ, კლიმატის ცვლილების შედეგად ზოგიერთ რეგიონში არარეგულარული და უხვი ნალექებიც შეინიშნება, ხშირად ისეთი ინტენსივობით, რომელიც აღემატება ბუნებრივი გარემოს მიერ წყლის შთანთქმისა და შენახვის უნარს.

სოფლის მეურნეობა მტკნარი წყლის ერთ-ერთი უმსხვილესი მომხმარებელია და არსებული მტკნარი წყლის რესურსების დაახლოებით 70%-ს იყენებს. დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 90%-ს აღწევს, ხოლო მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში – 44%-ს უტოლდება. თუმცა, ამ შემთხვევაში ხარჯვის უფრო მაღალი წილი მრეწველობაზე მოდის[32].

[32] მსოფლიო ბანკი, https://datatopics.worldbank.org/sdgatlas/goal-6-clean-water-and-sanitation

წყლის რესურსების სიმწირე მოითხოვს მტკნარი წყლის ეფექტიან გამოყენებას და წყლის რესურსების ერთიან მართვას, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ და საერთაშორისო დონეებზე, მათ შორის საზღვრებს მიღმა თანამშრომლობის გზით.

მტკნარი წყალი და სანიტარია

2015-2024 წლების პერიოდში გლობალურად მტკნარ წყალზე წვდომა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა: მოსახლეობის 74%-ს ჰქონდა წვდომა უსაფრთხო *სასმელ წყალზე*, 58%-ს – სათანადო *სანიტარულ პირობებზე*, ხოლო 80%-ს – ძირითად *ჰიგიენურ საშუალებებზე*. მსოფლიოს ურბანულ ტერიტორიებზე მოსახლეობის 86%-ს უკვე აქვს წვდომა უსაფრთხო და კონტროლირებად სასმელ წყალზე. მიუხედავად ამისა, თვითნებურ დასახლებებში კვლავ არსებობს წყალმომარაგების მნიშვნელოვანი სირთულეები, მათ შორის მაღალი ფასები და ზოგჯერ კერძო მომწოდებლების მხრიდან წყლის ხარისხის არასაკმარისი კონტროლი.

2022 წელს, მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 57%-ს ჰქონდა წვდომა *უსაფრთხო და კონტროლირებად სანიტარულ სერვისზე*, მაშინ როდესაც 1,5 მილიარდ ადამიანს კვლავ არ ჰქონდა წვდომა საპირფარეშოებზე. წყლისა და სანიტარული პირობების არასათანადო მდგომარეობა მნიშვნელოვნად ამცირებს ადამიანის კეთილდღეობას და აფერხებს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ეს კი ვლინდება მომატებული შფოთვის, სექსუალური ძალადობის რისკის და განათლებისა და სამუშაო შესაძლებლობების დაკარგვის სახით. გარდა ამისა, არასათანადო სანიტარული პირობები პირდაპირ არის დაკავშირებული დიარეული დაავადებების (ქოლერა, დიზენტერია, ნაწლავური ჭიების ინფექციები და პოლიომიელიტი) გავრცელებასთან, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ანტიმიკრობული რეზისტენტობის განვითარებასა და გავრცელებას. მუნიციპალური სერვისების გარეშე დარჩენილ ბარაკებსა და თვითნებურ დასახლებებში მცხოვრები ადამიანები ხშირად ყველაზე დაუცველნი არიან ისეთი სტიქიური უბედურებების მიმართ, როგორიცაა წყალდიდობა, ზღვის დონის აწევა და მეწყერი. ასეთი დაუცველი ადგილები განიცდის შოკებს და მუდმივად ექვემდებარება დაავადებების აფეთქების მაღალ რისკს.

მსოფლიოს მოსახლეობის ზრდასთან ერთად ადამიანების მნიშვნელოვან ნაწილს კვლავ არ აქვს წვდომა მტკნარ წყალზე. გაერო აღიარებს, რომ *უსაფრთხო, ხელმისაწვდომი* და *საკმარისი* წყალი წარმოადგენს ადამიანის ძირითად უფლებას, რომლის მიხედვითაც პირადი და საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის, ერთ სულ მოსახლეზე დღეში 50-დან 100 ლიტრამდე წყალი უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

გლობალურად, უსაფრთხოდ გაწმენდილი ჩამდინარე წყლების წილი საშუალოდ 56%-ს შეადგენს. აუცილებელი ამ მაჩვენებლის გაუმჯობესება შემდგომი დაბინძურების რისკის შესამცირებლად. ჩამდინარე წყლები უნდა განიხილებოდეს როგორც რესურსი, რომელიც სათანადო დამუშავების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს სარწყავად სოფლის მეურნეობაში.

გადამუშავება ნარჩენების მართვის საბოლოო მიზანი არ არის – უკეთესია ნარჩენების თავიდანვე შემცირება, მათი წარმოქმნის პრევენციით.

გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა

ზოგიერთი ფაქტი

მტკნარი წყლის ხელმისაწვდომობა

- დედამიწაზე წყლის რესურსების მხოლოდ 2,5% წარმოადგენს მტკნარ წყალს, ხოლო მისი უმეტესობა მლაშეა.
- ადამიანს ყოველდღიურად მინიმუმ 50-100 ლიტრი წყალი სჭირდება სასმელი წყლის, ჰიგიენური საჭიროებებისა და საკვების მოსამზადებლად.
- სურსათის წარმოებაში ყოველდღიურად დაახლოებით 2-5მ^3 წყალი იხარჯება, რათა დაკმაყოფილდეს ადამიანის სასურსათო მოთხოვნილებები.
- ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები განიცდიან წყლის უკმარისობის კრიტიკულად მაღალ ან მაღალ დონეს.
- ინდოეთი, ჩინეთი, შეერთებული შტატები და პაკისტანი გრუნტის წყლების ყველაზე მსხვილი მომხმარებლები არიან.

წყარო: https://datatopics.worldbank.org/sdgatlas/goal-6-clean-water-and-sanitation

კანალიზაციის სისტემებთან კავშირი

მდინარე კონგოს ნაპირზე მდებარე კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ კინჰასასა (18 მილიონი მოსახლე) და კონგოს რესპუბლიკის დედაქალაქ ბრაზავილში (2 მილიონი მოსახლე) მოსახლეობის მხოლოდ 5,5% და 11% აქვს წვდომა საკანალიზაციო სისტემებზე, საიდანაც წყლები პირდაპირ მდინარეში ჩაედინება.

წყარო: წყლის საერთაშორისო ასოციაცია

წყალმომარაგების მართვა

სწრაფი ურბანიზაციის პირობებში წყალმომარაგებისა და სანიტარული სერვისების სათანადო მიწოდება ვერ ეწევა იმ ტემპს, რომლითაც მოსახლეობა იზრდება. ჯანდაცვის სათანადო პირობების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ჩამდინარე წყლებით დაბინძურება შეზღუდულია, აუცილებელია სტრატეგიული ურბანული დაგეგმარება, რომელიც მოიცავს როგორც ბიუჯეტირების სისტემას, ისე ინფრასტრუქტურის განვითარებას. ჯანმო-ს (2014) მონაცემებით, კვლევები ცხადყოფს, რომ წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის (WASH) სფეროში ჩადებული ყოველი აშშ დოლარი საშუალოდ 4,30 აშშ დოლარის ინვესტიციაზე ამონაგებს გვაძლევს, მაგალითად, სამედიცინო მომსახურების ხარჯების შემცირების გზით. წყალზე უსაფრთხო და მდგრადი საყოველთაო წვდომის უზრუნველსაყოფად აუცილებელია არსებული წყლის რესურსების (მტკნარი წყლის, ჩამდინარე წყლებისა და წვიმის წყლის) მართვის სტრატეგიების არსებობა.

წყალმომარაგება და სანიტარია, როგორც წესი, ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობას წარმოადგენს. ამასთან, მათ ხშირად არ გააჩნიათ საკმარისი ინსტიტუციური, ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობები ეფექტიანად გაუმკლავდნენ არსებულ გამოწვევებს და განახორციელონ საჭირო ინვესტიციების

შესაბამის ინფრასტრუქტურაში. ზოგიერთ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ წყალმომარაგების სერვისების პრივატიზაცია შეიძლება იყოს გამოსავალი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ინფრასტრუქტურა სწრაფად უარესდება და სახელმწიფო ინვესტიციები ვერ ეწევა ურბანიზაციის ტემპს. მიუხედავად ამისა, პრივატიზაცია ხშირად იწვევს ხელმისაწვდომობის შემცირებას, ფასების ზრდას და წყლის მიწოდების შეწყვეტას ყველაზე მოწყვლად თემებში, რაც ადგილობრივ წინააღმდეგობასაც განაპირობებს.

არასათანადო სანიტარიისა და წყალმომარაგების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პირდაპირი შედეგები ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავია, თუმცა, ასევე, წყლის არასათანადო მართვა ასევე უარყოფითად აისახება მდინარეებზე, ტბებზე, სანაპირო ზოლებსა და გრუნტის წყლებზე. კანალიზაციის წყლებით ზედმეტად გაჯერებულ მდინარეებსა და ტბებში ხშირად იცვლება ფლორა და ფაუნა. ეს სახეობების გადაშენებასაც კი იწვევს, ისევე როგორც მიწისქვეშა წყლების და წყლის სხვა წყაროების ნიტრატებითა და ბაქტერიებით დაბინძურებას.

ეკოლოგიური და ჯანმრთელობის პრობლემების გამომწვევი მიზეზები

ზემოთ აღწერილ ურბანულ, ეკოლოგიურ და ჯანდაცვის პრობლემებს მრავალი წყარო და მიზეზი *აქვს. მათ შორისაა: ზედმეტად სწრაფი და არაკოორდინირებული ურბანული ზრდა; მოსახლეობისა და სივრცითი მოთხოვნების ზრდა; არასაკმარისი ინვესტი-*

2022 წელს, მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 57%-ს ჰქონდა წვდომა უსაფრთხო და კონტროლირებად სანიტარულ სერვისზე, მაშინ როდესაც 1,5 მილიარდ ადამიანს კვლავ არ ჰქონდა წვდომა საპირფარეშოებზე.

ნაგვით დაბინძურებული მდინარე, რის გამოც მიმდებარე შენობები დატბორვის რისკის ქვეშაა.

ციები მუნიციპალურ სერვისებში; არასათანადო სამრეწველო ტექნოლოგიები; მზარდი და გარემოსთვის არაჯანსაღი მობილობისა და სატრანსპორტო სისტემები; არასათანადო საკანალიზაციო ინფრასტრუქტურა, რომელიც გაუწმენდავი ჩამდინარე წყლებით აბინძურებს გარემოს როგორც მრეწველობიდან, ისე შინამეურნეობებიდან; და ნარჩენების არადამაკმაყოფილებელი მართვა და სხვა ფაქტორები.

ბუნებრივი რესურსების არაეფექტიანი გამოყენება და გარემოს კონსერვაციისა და დაცვის შეზღუდული ძალისხმევები გამოწვეულია „განცალკევების“ მიდგომით, რომელიც თითოეული დარგს იზოლირებულად განიხილავს. არაგანახლებადი და შორეული ენერგიის წყაროების არაეფექტური მიწოდება და გამოყენება გარემოს დეგრადაციასა და ჯანმრთელობის პრობლემებს იწვევს, მათ შორისაა ჰაერის დაბინძურება და სათბური აირების ემისიები. სუფთა ტექნოლოგიებისა და განახლებადი ენერგიის ნაკლებობა მილიონობით ადამიანს აზარალებს. ეს კი, უარყოფითად აისახება, როგორც ჯანდაცვაზე, ისე გარემოსდაცვით და სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე. განვითარებულ ქვეყნებში ქალაქის მოსახლეობა ერთ სულზე ნაკლებ ენერგიას მოიხმარს, ვიდრე სოფლის მოსახლეობა, მაშინ როდესაც განვითარებად ქვეყნებში ხშირად საპირისპირო ტენდენცია შეინიშნება.

ზოგიერთი ფაქტი

ურბანული ჯანდაცვის კრიზისი

დაგეგმარების გარეშე წარმართული სწრაფი ურბანიზაცია ხშირად გარემოს დეგრადაციასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საფრთხეების ფართო სპექტრთან ასოცირდება. განსაკუთრებით მოწყვლადები არიან ბარაკებსა და თვითნებურ დასახლებებში მცხოვრები ადამიანები, რომელთაც ხშირად არ აქვთ წვდომა სუფთა წყალზე, სათანადო სანიტარულ და ჰიგიენურ პირობებზე.

გარემოს დაბინძურების ჯამური შედეგები: შეფასებებით, მსოფლიოში სიკვდილიანობის შემთხვევების 24% გარემოს დაბინძურებით არის გამოწვეული.

შინამეურნეობებში ჰაერის დაბინძურება: ყოველწლიურად დაახლოებით 3,2 მილიონი ადამიანი იღუპება შენობებში საკვების მომზადებისას გამოყოფილი კვამლით გამოწვეული ჰაერის დაბინძურების შედეგად.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება: ყოველწლიურად დაახლოებით 4,2 მილიონი ნაადრევი სიკვდილი დაკავშირებულია წვრილი ნაწილაკების (PM2,5) ზემოქმედებასთან.

წყალი, სანიტარია და ჰიგიენა (WASH): ყოველწლიურად დაახლოებით 1,4 მილიონი ადამიანი იღუპება არასაკმარისი სასმელი წყლის, სანიტარული სერვისებისა და ჰიგიენური პირობების გამო.

წყარო: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO, 2022)

ხშირად, ზემოხსენებული არსებული და ახალი ეკოლოგიური პრობლემების ძირეული მიზეზებია მათი ეფექტიანად დაძლევისთვის საჭირო არასაკმარისი ფინანსური რესურსები და ინსტიტუციური შესაძლებლობები. გარემოსდაცვითი მართვის საკითხებზე პასუხისმგებელ ორგანოებს ზოგჯერ არ გააჩნიათ საკმარისი უფლებამოსილება და ხშირად იყენებენ მოძველებულ, ზემოდან ქვემოთ ორიენტირებულ მართვისა და გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკას. ხშირად *კანონმდებლობა არათანმიმდევრული და ზოგჯერ წინააღმდეგობრივიც კია, ამასთან, მას თან ახლავს აღსრულების გამოწვევები, რადგან განხორციელებისა და მონიტორინგის რესურსები მწირია.* გარემოსდაცვითი პოლიტიკა იშვიათად ქმნის გაუმჯობესების რეალურ სტიმულს. მუნიციპალური ბიუჯეტები ხშირად შეზღუდულია და ძირითადად მხოლოდ მიმდინარე ხარჯებს ფარავს, მსხვილი კაპიტალური ინვესტიციები კი საჭიროებს ეროვნული მთავრობის ან ალტერნატიული წყაროების დაფინანსებას. კორუფცია ეფექტური გარემოსდაცვითი მენეჯმენტის ერთ-ერთი მთავარი ბარიერია, მაგალითად, ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე ნებართვების უკონტროლო გაცემისა და დაბინძურების კონტროლის რეგულაციების არასაკმარისი აღსრულების გამო.

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის განვითარების სხვა საკითხებისგან ცალკე განხილვა შეუძლებელია. აუცილებელია, გარემოსდაცვითი საკითხების სხვადასხვა პოლიტიკის სფეროებსა და ურბანულ სისტემებში გათვალისწინება, მათ შორის ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და მრეწველობის დარგებში. გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გაუმჯობესება მოითხოვს ხელსაყრელ ინსტიტუციურ და პოლიტიკურ გარემოს, სადაც პოლიტიკა და მმართველობითი მოწყობა ყველა დარგს მოიცავს და მოქმედებს, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე.

განვითარებად ქვეყნებში, მრავალ ქალაქში არასაკმარისადაა წახალისებული თანამშრომლობა და კოორდინაცია იმ დაინტერესებულ მხარეთა შორის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ისეთ დარგებზე, როგორიცაა ნარჩენების მართვა, დაგეგმარება, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, საგზაო მოძრაობა და გარემოსდაცვითი მენეჯმენტი. შედეგად, ის დამატებითი ღირებულება, რომელიც შეიძლება შეიქმნას თანამშრომლობისა და სინერგიის გამოყენებით, სრულყოფილად ვერ ხორციელდება. ამ კონტექსტში ურბანული მმართველობა და ეფექტიანი მენეჯმენტი კრიტიკულ როლს ასრულებს.

მაგალითად, ნარჩენების ენერგეტიკულ რესურსად გამოყენებით შესაძლებელია ბიოგაზის, ელექტროენერგიის და გათბობის ან გაგრილებისთვის გამოყენებული ენერგიის წარმოება. ამით შეიქმნება დამატებითი ღირებულება და სარგებელი რესურსების ეფექტიანობისა და ხარჯების დაზოგვის თვალსაზრისით. ამგვარად გამომუშავებული ენერგიის კომერციული რეალიზაცია მოგებას მოიტანს, ხოლო ნარჩენების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდება. ამასთან, საზოგადოებრივი ტრანსპორტის დარგში გაჩნდება ავტობუსებისთვის შედარებით იაფი საწვავის შეძენის შესაძლებლობა, რითაც შემცირდება ძვირი არაგანახლებადი ენერგიის მოხმარება და მავნე ნივთიერებების გაფრქვევა. ეს მხოლოდ ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება სხვადასხვა ურბანული სისტემების გაერთიანებით ფინანსური, გარემოსდაცვითი და საზოგადოებრივი სარგებლის მიღება.

2.6 მდგრადი ურბანული განვითარების სოციალურ-კულტურული გამოწვევები

ურბანული ცხოვრების სოციალურ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები ადამიანის კეთილდღეობისა და მდგრადი ურბანული განვითარების არსებითი კომპონენტებია. ამის კარგი მაგალითებია კეთილდღეობა და ეკონომიკური ზრდის გაძლიერება; სამუშაო ადგილების და დასაქმების შესაძლებლობების შექმნა; საარსებო წყაროების უზრუნველყოფა; მწარმოებლურობისა და ინოვაციის ხელშეწყობა; ხელმისაწვდომ საცხოვრისზე, სოციალურ და საზოგადოებრივ სერვისებზე წვდომა; სოციალური ერთიანობის, კულტურული მრავალფეროვნებისა და იდენტობის განმტკიცება; ინკლუზიურობის, გენდერული თანასწორობისა და ძალაუფლების სამართლიანი განაწილება; უსაფრთხოების უზრუნველყოფა; რელიგიური წეს-ჩვეულებები; განათლება; მიგრაციის პროცესები და ქალაქსა და სოფელს შორის ურთიერთკავშირები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ასპექტები აშკარა შესაძლებლობებს ქმნის, ისინი ასევე მთელ რიგ გამოწვევებს მოიცავს.

ეს ასპექტები ერთმანეთთან მრავალმხრივად არის გადაჯაჭვული და ურბანული ტერიტორიების კომპლექსურობისა და დინამიკიდან გამომდინარე განცალკევებით არ უნდა განვიხილოთ. სოციალურ-ეკონომიკური ელემენტები მჭიდროდ უკავშირდება ძირითად ფიზიკურ და სოციალურ სერვისებზე, სტრუქტურებსა და ქსელებზე თანაბარ წვდომას, რაც უზრუნველყოფს რესურსების სამართლიან განაწილებასა და მიწოდებას ყველასთვის.

გარდა ამისა, ქალაქის დაუცველი, მარგინალიზებული და მოწყვლადი ჯგუფები, რომლებიც თვითნებურ დასახლებებში ცხოვრობენ მიწის საკუთრების უფლების გარეშე, ხშირად არ არიან რეგისტრირებულნი ქალაქის მაცხოვრებლებად და შესაბამისად მოკლებულნი არიან ძირითად მუნიციპალურ სერვისებზე ადეკვატურ წვდომას. ისინი, როგორც წესი, არ მონაწილეობენ ურბანული განვითარების დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, რის შედეგადაც ვერ ახდენენ გავლენას პროცესებზე. ამიტომ, ინკლუზიური განვითარების პროცესები აუცილებელია, რათა ყველა ადამიანს ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს სიცოცხლის, ჯანმრთელობის, უსაფრთხო და სათანადო წყლის, საკვების, საცხოვრისისა და საზოგადოებრივი სერვისების ძირითადი უფლებებით.

ადეკვატური საცხოვრისის ხელმისაწვდომობა

ქალაქებში *ხელმისაწვდომი საცხოვრისის* უზრუნველყოფა და მასზე წვდომა ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხია. დღეს მსოფლიოში დაახლოებით 3 მილიარდ ადამიანს უჭირს საცხოვრისის შეძენა, ხოლო 1,12 მილიარდი ადამიანი კვლავ ცხოვრობს ბარაკებსა და თვითნებურ დასახლებებში ძირითადი სერვისების გარეშე. ფინანსურად მიუწვდომელი საცხოვრისი, არასათანადო საცხოვრებელი პირობები და იძულებით გადაადგილება (მათ შორის უსახლკარობა) ის ფაქტორებია, რომლებიც ამცირებს ცხოვრების

ხარისხს და ამწვავებს სოციალურ და ეკონომიკურ გარიყულობას. უხარისხო და არასათანადო ხარისხის საცხოვრისი პირდაპირ მოქმედებს მაცხოვრებელთა კეთილდღეობასა და შინამეურნეობის ფინანსურ მდგომარეობაზე. მრავალ ურბანულ ტერიტორიაზე საცხოვრისით უზრუნველყოფა ვერ პასუხობს მზარდ მოთხოვნას. გლობალურად, ახალ საცხოვრისზე სახელმწიფო ინვესტიციები შემცირებულია, ხოლო ხელმისაწვდომობის ძირითადი ბარიერები მოიცავს მიწის სიმწირეს, შემზღუდავ სამშენებლო რეგულაციებს და მშენებლობის გაზრდილ ხარჯებს. საცხოვრისთან დაკავშირებული სტიგმები განსაკუთრებით დაუცველი ჯგუფებისთვის (ხანდაზმულები, მიგრანტები, ლტოლვილები და სხვა) ხშირად ქმნის განსხვავებას მიწოდებასა და მოთხოვნას შორის. საცხოვრისი ადამიანის *ძირითადი უფლებაა*, ხოლო ხელმისაწვდომი საცხოვრისის უზრუნველყოფა მოითხოვს მკაფიო მარეგულირებელ ჩარჩოებს, საკუთრების უფლებების დაცვას და ფინანსური სტიმულების შექმნას.

ამჟამად მსოფლიოში დაახლოებით 3 მილიარდ ადამიანს უჭირს საცხოვრებლის დაფინანსება, ხოლო 1,12 მილიარდი ადამიანი კვლავ ცხოვრობს ავარიულ და თვითნებურ დასახლებებში.

სივრცითი უთანასწორობა

საუკეთესო შემთხვევაში, ქალაქები და ურბანული ტერიტორიები უნდა იყოს *კომპაქტური, დაკავშირებული, ინკლუზიური, ცოცხალი და მედეგი.* ამისათვის შერეული ფუნქციური გამოყენების ტერიტორიების სათანადო ურბანული დაგეგმარება ხელს უწყობს ისეთი ნაშენი გარემოს შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებისა და შემოსავლის მიღების უკეთეს შესაძლებლობებს, საცხოვრისის მრავალფეროვან ვარიანტებს, გაძლიერებულ უსაფრთხოებას და საჯარო სერვისებისა და სივრცეების ეფექტიან გამოყენებას. ურბანული ქსოვილი, მისი ფიზიკური ფორმა და სივრცითი განაწილება, კრიტიკულად მნიშვნელოვანია *სოციალურად შეკრული ურბანული გარემოს მხარდასაჭერად.*

მრავალი დიდი თუ პატარა ქალაქი განიცდის მნიშვნელოვან განსხვავებებს თემებს შორის (რაიონები, უბნები) ნაშენი გარემოს ხარისხის, ეკონომიკური შესაძლებლობებისა და საზოგადოებრივ სერვისებსა და კულტურულ-რეკრეაციულ სივრცეებზე წვდომის თვალსაზრისით. ეს ხშირად იწვევს სოციალურ და ეკონომიკურ სეგრეგაციასა და საზოგადოებიდან გარიყვას. სივრცითი უთანასწორობა ურბანული განვითარების პროცესების ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი უნდა იყოს ინკლუზიურობისა და საერთო მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ახალმოსახლეები, განსაკუთრებით კი მიგრანტები, ხშირად რთული პრობლემების წინაშე დგანან, რასაც ამწვავებს დისკრიმინაცია, არასწორი აღქმები, კულტურული და ენობრივი განსხვავებები, ასევე საცხოვრისზე, სერვისებსა და შემოსავლის შესაძლებლობებზე არასათანადო წვდომა. ეს ფაქტორები ინკლუზიურობის მნიშვნელოვან ბარიერებს ქმნის.

ძირითადი სერვისების მიწოდება აუცილებელია ჯანმრთელი საცხოვრებელი პირობებისა და გარემოს გაუმჯობესებისთვის.

საჯარო სივრცე, გენდერი და უსაფრთხოება

ქალაქის მაცხოვრებლები ურბანულ სივრცეს განსხვავებული მიზნებით იყენებენ. კვლევები ცხადყოფს, რომ გოგონები და ქალები საჯარო სივრცეს მამაკაცებისა და ბიჭებისგან განსხვავებულად

იყენებენ. გენდერულად მგრძნობიარე მიდგომის გათვალისწინება ურბანული დაგეგმარებისა და განვითარების პროცესებში ხელს უწყობს ინკლუზიური, უსაფრთხო და თანასწორი გარემოს შექმნას, სადაც ქალების, ბავშვებისა და ხანდაზმულების თვალსაზრისი თანაბრად პრიორიტეტულია. ეს მიდგომა ურბანული განვითარების ყველა ეტაპზე უნდა იქნეს გამოყენებული დაგეგმარებითა და დიზაინით დაწყებული, განხორციელებითა და მონიტორინგით დამთავრებული. კარგად დაგეგმარებული და დაპროექტებული ნაშენი გარემო აძლიერებს საჯარო სივრცეების მიმართ *„საერთო საკუთრების“* განცდას და ხელს უწყობს სოციალურ ერთობას.

ურბანულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და დაცვის როგორც აღქმული, ისე რეალური მდგომარეობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ურბანული ფუნქციების სივრცითი განაწილება, ინფრასტრუქტურასა და ძირითად სერვისებზე წვდომა, მიმზიდველი საჯარო სივრცეები (სკვერები, ქუჩაზე გამომავალი შენობების ფუნქციურად აქტიური პირველი სართული[33]) ქმნის გაუმჯობესებული უსაფრთხოებისა და სოციალური ურთიერთქმედებისთვის ხელსაყრელ პირობებს. ფუნქციურად გამართულ საჯარო სივრცეებსა (სკვერებზე, პარკებსა და სხვა მწვანე ზონებზე) და დასასვენებელ და სპორტულ ობიექტებზე წვდომა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ისევე როგორც კულტურულ და რელიგიურ ადგილებზე, სკოლებზე, ბიბლიოთეკებსა და სხვა საჯარო სერვისებსა თუ თავშეყრის სივრცეებზე.

იდენტობა და ადგილის განცდა

სოციალურ-კულტურული განზომილებები მჭიდროდ დაკავშირებულია კონკრეტული ტერიტორიის *წარმოშობასთან, ისტორიასა და განვითარებასთან,* რაც მოიცავს როგორც მატერიალურ, ასევე

ფოტო Klas Groth

მიმზიდველი და ფუნქციური საჯარო სივრცე ხელს უწყობს სოციალური ურთიერთობისა და ეკონომიკური განვითარების გაძლიერებას.

[33] შენობის ქუჩის დონეზე განლაგებული პირველი სართული, რომელიც ადამიანის მასშტაბზეა მორგებული და უზრუნველყოფს აქტიურ ურთიერთქმედებას შენობასა და საზოგადოებრივ სივრცეს შორის – urban plinth

არამატერიალურ მემკვიდრეობას. კულტურული და ისტორიული თავისებურებები და საქმიანობა აძლიერებს საზოგადოების იდენტობის განცდას, რომელსაც კარგი ურბანული დაგეგმარება და დიზაინი უნდა ითვალისწინებდეს და აძლიერებდეს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი მაცხოვრებლებისთვის, რომლებიც, მაგალითად, სოფლიდან ქალაქში გადასვლისას ხშირად კარგავენ ოჯახურ და სოციალურ კავშირებს.

2.7 მდგრადი ურბანული განვითარების ეკონომიკური გამოწვევები

ურბანული ტერიტორიები *კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური* განვითარების „ძრავებად“ გვევლინებიან. ეკონომიკური მდგრადობის ბარიერების დაძლევა მოითხოვს სხვადასხვა დონის ჩარევებს – მაკროეკონომიკურიდან ადგილობრივამდე, დაწყებული ურბანული მმართველობისა და მართვის გაუმჯობესებით და დასრულებული ბიზნესის, ინოვაციების და მეწარმეობის შესაძლებლობების გაფართოებით.

ზოგადად, დღესდღეობით, ქალაქები, როგორც ეკონომიკური განვითარების, დასაქმებისა და სიმდიდრის მთავარი მამოძრავებელი ძალა, გლობალური მშპ-ის დაახლოებით 80%-ს ქმნიან. თუმცა, შექმნილი ღირებულება ყოველთვის თანაბრად არ გამოიყენება ან არ ნაწილდება. არსებობს მთელი რიგი შიდა და გარე ბარიერები და ფაქტორები, რომლებიც ზღუდავს ქალაქებისა და ურბანული ტერიტორიების მდგრად ეკონომიკურ განვითარებასა და ზრდის შესაძლებლობებს. მათ შორისაა: არაკოორდინირებული მმართველობისა და მართვის სისტემები; სუსტი ან არააქტიური დასაქმების ბაზრები; განათლების, უნარებისა და მზაობის ნაკლებობა, რაც ხშირად იწვევს ეკონომიკური საქმიანობიდან გარიყვას; ინვესტიციების შეზღუდული შესაძლებლობები და ინტერესის ნაკლებობა (მაგალითად, კერძო სექტორის მხრიდან); ფინანსურ ინსტიტუტებზე შეზღუდული წვდომა; ასევე, არაპირდაპირი გავლენის მქონე გარემო ფაქტორები – ჯანმრთელობის მდგომარეობა და გადატვირთული სატრანსპორტო ნაკადები, რომლებიც აფერხებს მწარმოებლურობასა და კეთილდღეობას.

ეკონომიკური განვითარების სივრცითი უთანასწორობა

დაუგეგმავი ურბანული ზრდა, არაეფექტიან და არაკოორდინირებულ მიწათსარგებლობასთან ერთად, ხშირად ზღუდავს ეკონომიკურ საქმიანობაზე, ხელმისაწვდომ საცხოვრისზე და სერვისებზე თანაბარ წვდომასა. იგი ასევე მოქმედებს ძირითადი ინფრასტრუქტურის მიწოდებაზე, რომელიც ხშირ შემთხვევაში გადატვირთული, ძვირადღირებული ან საერთოდ მიუწვდომელია. აღნიშნული ფაქტორები ერთობლივად აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას და ხელს უწყობს სივრცითი უთანასწორობის ჩამოყალიბებას, განსაკუთრებით გარეუბნებში ან მარგინალურ მიწებზე მცხოვრებ ჯგუფებზე.

ფოტო vleyva, pixabay

სივრცითი, ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობები ხშირად გამოიხატება თვითნებური დასახლებების არსებობით.

ამრიგად, ქალაქების სივრცითი მოწყობა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკური განვითარების წინაპირობების შექმნისა და სივრცითი უთანასწორობის შემცირების პროცესში, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური საქმიანობისა და სერვისების თანაბარ განაწილებასა და წვდომას. კომპაქტური და შერეული ფუნქციური გამოყენების მქონე ურბანული გარემო ხელს უწყობს რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ზრდის სხვადასხვა ეკონომიკურ საქმიანობას შორის სინერგიის პოტენციალს, აძლიერებს ადამიანების შრომისუნარიანობას და ამავდროულად ამცირებს გადაადგილებასა და სხვა ნაკლებად პროდუქტიულ საქმიანობაზე დახარჯულ დროს. ამ კონტექსტში, დაკავშირებულობა და მისაწვდომობა განიხილება, როგორც ძირითადი ელემენტები.

ადგილობრივ ხელისუფლებას სჭირდება ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი მიდგომა. იგი უნდა ეფუძნებოდეს მკაფიო ხედვას, შესაბამის პოლიტიკასა და ინვესტიციებს.

არასაკმარისი შესაძლებლობები ადგილობრივ დონეზე

ადგილობრივი თვითმმართველობები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როგორც სერვისების მიწოდებაში, ისე ადგილობრივი ურბანული განვითარებისათვის საჭირო რესურსების მობილიზებაში. მიუხედავად ამისა, მათ ხშირად აკლიათ სათანადო უფლებამოსილებები, ინსტიტუციური შესაძლებლობები და ფინანსური რესურსები. ამის გამო ხშირად ისინი დამოკიდებულნი არიან ცენტრალურ ხელისუფლებაზე. სერვისების მიწოდებისთვის ხელმისაწვდომი რესურსები ხშირად შეზღუდულია, რაც ამცირებს მიმდინარე საჭიროებების დაკმაყოფილების, დაგროვილი შეფერხებების აღმოფხვრისა და მზარდი მოსახლეობისთვის სერვისების უზრუნველყოფის შესაძლებლობებს. შემოსავლების, როგორც საკუთარი წყაროებიდან, ისე სხვა დონეებიდან მიღება განსხვავებულად ხორციელდება სხვადასხვა ადგილობრივ თვითმმართველობებში და ხშირად ხასიათდება სუსტი შესაძლებლობებითა და მმართველობის სხვა დონეებზე მაღალი დამოკიდებულებით.

შეზღუდვებისა და მწირი შესაძლებლობების მიუხედავად, ადგილობრივ ხელისუფლებას ზოგჯერ შეუძლია *საკუთარი შემოსავლების გაზრდა* ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა სახის გადასახდელების მეშვეობით. თუმცა, ხშირად მათ აკლიათ შესაბამისი უფლებამოსილება შემოსავლების წყაროების გაზრდისა და დივერსიფიკაციისათვის, რაც ფისკალური ავტონომიის გაძლიერების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ურბანიზაციის სწრაფი ტემპის გათვალისწინებით, ადგილობრივ ხელისუფლებას სჭირდება ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი მიდგომა. იგი უნდა ეფუძნებოდეს მკაფიო ხედვას, შესაბამის პოლიტიკასა და ინვესტიციებს, განსაკუთრებით სერვისების მიწოდებისთვის აუცილებელ მსხვილ ინფრასტრუქტურაში, ხარჯების ანაზღაურების რეალისტური პერსპექტივის გათვალისწინებით. მდგრადი ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივა სცდება პოლიტიკურ ციკლებსა და მოკლევადიან დღის წესრიგს. იგი ეფუძნება ერთიან მიდგომებს, რომლებიც ეკონომიკურ განვითარებასა და ზრდას ურბანული განვითარების სხვა ასპექტებთან აკავშირებს საერთო ხედვისა და სტრატეგიული ჩარჩოს ფარგლებში.

ინსტიტუციური ფრაგმენტაცია და პოლიტიკის შეუსაბამობები

ეროვნული და ადგილობრივი მთავრობები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის ხელშეწყობაში. თუმცა, ხშირად ისინი არაკოორდინირებული და მოძველებული *სტრატეგიების, პოლიტიკისა და მარეგულირებელი გარემოს* უარყოფით გავლენას განიცდიან. მსგავსი ბარიერები ხელს უწყობს ინსტიტუციურ ფრაგმენტაციას, რაც ზღუდავს ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს. ამ პრობლემის შემსუბუქება შესაძლებელია უწყებებს შორის უფრო ძლიერი თანხვედრითა და კოორდინაციით, როგორც ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ დონეზე. გარდა ამისა, აუცილებელია თანმიმდევრული პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოს არსებობა, რომელიც ეკონომიკური განვითარების მოთხოვნებს შეუსაბამებს განვითარების სხვა ასპექტებსა და რესურსების ხელმისაწვდომობას.

საჯარო და კერძო სექტორს შორის პარტნიორობისა და კოალიციების ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას. ამის მაგალითებია კერძო სექტორის ჩართულობა, ბიზნესის განვითარება და ინოვაციები, როდესაც კერძო აკადემიურ და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობა, ქმნის ეკონომიკური განვითარების გაძლიერების პირობებს. ამგვარ ურთიერთქმედებას ხშირად *„სამმაგი სპირალის მოდელი“* ეწოდება. მსგავსი თანამშრომლობა ხელს უწყობს ინსტიტუციური შესაძლებლობების განმტკიცებასა და უნარების განვითარებას ყველა მხარისთვის. ამავე დროს, მას წვლილი შეაქვს ისეთი გამოწვევების დაძლევაში, როგორიცაა ურბანული სიღარიბე, უმუშევრობა და უთანასწორობა, რითაც საბოლოოდ აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს.



სურათი 2.8
„სამმაგი სპირალის მოდელი“ ხაზს უსვამს თანამშრომლობას საჯარო, კერძო და აკადემიურ სექტორებს შორის, მდგრადი ურბანული განვითარების მისაღწევად.

ინფრასტრუქტურული დანაკლისი

გლობალურად, ურბანული ტერიტორიები განიცდის ინვესტიციების დეფიციტს ძირითად ინფრასტრუქტურულ დარგებში, მათ შორის ტრანსპორტი, საცხოვრისი, წყალმომარაგება და ენერგეტიკა. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება განვითარებად ქვეყნებში, სადაც ყველაზე მეტად ზარალდება მოწყვლადი, დაბალი შემოსავლის მქონე და თვითნებურ დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობა. ამ ინფრასტრუქტურული დანაკლისის, ანუ არსებულ და საჭირო ინფრასტრუქტურას შორის განსხვავების აღმოფხვრა გადამწყვეტია ინკლუზიური და მდგრადი ურბანული განვითარების უზრუნველსაყოფად.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, ინფრასტრუქტურული დანაკლისის აღმოსაფხვრელად ყოველწლიურად საჭიროა დაახლოებით 1,5 ტრილიონი აშშ დოლარის დაფინანსება, რაც დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში მშპ-ის დაახლოებით 4,5%-ს შეადგენს. ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს *ტექნიკური მომსახურებისა და ექსპლუატაციის ხარჯები*, რომლებიც ხშირად საერთოდ არ არის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებში.

ჩრდილოვან ეკონომიკაში გლობალური სამუშაო ძალის დაახლოებით 60%-ია დასაქმებული.

ჩრდილოვანი ეკონომიკური საქმიანობა ქალაქებში

ჩრდილოვანი ეკონომიკა ქალაქის მრავალი მაცხოვრებლისთვის წარმოადგენს საარსებო და სერვისების მიღების მნიშვნელოვან წყაროს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის[34] მონაცემებით, ჩრდილოვან ეკონომიკაში გლობალური სამუშაო ძალის დაახლოებით 60%-ია დასაქმებული. ხშირად, იგი ფუნქციონირებს, როგორც ფორმალური, რეგულირებული ეკონომიკის პარალელური სისტემა. თუმცა, ეს ორი სისტემა ხშირად ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთზე დამოკიდებულია – მაგალითად, როდესაც ოფიციალური ბიზნესები არაოფიციალურ სამუშაო ძალას იყენებენ. ამავდროულად, ჩრდილოვანი ეკონომიკა თავისი ბუნებით არ არის რეგულირებული. შესაბამისად, იგი მცირედ ან საერთოდ არ შეიტანს წვლილს ოფიციალური ეკონომიკის გაძლიერებაში გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების თვალსაზრისით. გარდა ამისა, ჩრდილოვანი ეკონომიკა ხშირად იწვევს ოფიციალური ბაზრიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან გარიყვას, რაც ზღუდავს ეკონომიკურ ზრდას და დამატებით რისკებს ქმნის დაუცველი და დაბალანაზღაურებად მუშაკებისთვის.

მომავლის ხედვა

ურბანიზაცია ინოვაციური გადაწყვეტების დანერგვის შესაძლებლობებს ქმნის, ხოლო ტექნოლოგიები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მწვანე ტრანსფორმაციას. ურბანული ეკონომიკის გადმოსახედიდან, ცირკულარული ეკონომიკა წაახალისებს ხელახალ გამოყენებას, გადამუშავებასა და აღდგენას. სათანადო დაგეგმვისა და მართვის

[34] შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია

პირობებში, იგი ამცირებს ბუნებრივ რესურსებზე ზეწოლას, ქმნის მდგრად ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებას, ზრდასა და სამუშაო ადგილებს. არსებითად, ცირკულარული ეკონომიკა მიმართულია გამოწვევების დაძლევისკენ ისეთ დარგებში, როგორიცაა ელექტრონიკა, სატრანსპორტო საშუალებები, შეფუთვა, პლასტმასი, მშენებლობა და შენობები, აგრეთვე სურსათი, წყალი და საკვები ნივთიერებები. მწვანე ურბანულ ეკონომიკაზე გადასვლა ხშირ შემთხვევაში მოითხოვს „პარადიგმის ცვლილებას“, მათ შორის ხელსაყრელი პოლიტიკური და მარეგულირებელი გარემოს შექმნას, ასევე მმართველობითი და მართვის ჩარჩოების გადახედვას. წარმატების შემთხვევაში, აღნიშნული ტრანსფორმაცია ხელს შეუწყობს, როგორც სამუშაო ადგილებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნას, ასევე კლიმატის ცვლილების შემსუბუქებას. მწვანე ტექნოლოგიებში ინვესტირებით შეიძლება ანალოგიური სარგებელი მივიღოთ, ისეთ დარგებში, როგორიცაა ინფრასტრუქტურა, მომსახურება, ტრანსპორტი, საცხოვრისი და ენერგომომარაგება. მწვანე ტრანსფორმაცია ასევე განაპირობებს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რადგან წახალისებულია ეკონომიკურ და სამრეწველო საქმიანობაში დაბინძურების შემცირება და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის გაძლიერება.

გარემოსა და განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტი (IIED)[35] აღნიშნავს, რომ დიდი ქალაქები ხელს უწყობენ როგორც ადამიანების, ისე ფირმების სპეციალიზებას კონკრეტულ უნარებში, ამოცანებსა და ფუნქციებში, რაც განაპირობებს უკეთესი და უფრო იაფი პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდებას. მწარმოებლურობის მაღალი დონე და ეფექტიანობა იზიდავს ინვესტიციებს, აძლიერებს საწარმოებს, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას და ქმნის სამუშაო ადგილებს. შესაბამისად, ამონაგები სახელმწიფო ინვესტიციებზე ქალაქებში შეიძლება უფრო მაღალი იყოს, ვიდრე სხვა სივრცეებში, მსხვილ, მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში მასშტაბის ეკონომიისა და ტრანსპორტირების შედარებით დაბალი ხარჯების გამო. შედეგად, უნდა ჩამოყალიბდეს ეკონომიკური დინამიზმის, უფრო მაღალი შემოსავლებისა და გაუმჯობესებული სოციალური ინფრასტრუქტურის მძლავრი ციკლი. თუმცა, აღნიშნულ დადებით ეფექტებს ხშირად ანეიტრალებს მზარდი ხერგილები, გადატვირთულობა და მიწისა და საცხოვრისის მაღალი ფასები. ეს გარემოებები ზღუდავს დაბალი შემოსავლის მქონე ჯგუფებს და ამძაფრებს სამუშაო ადგილებსა და კეთილმოწყობაზე არათანაბარ წვდომას.

2.8 მდგრადი ურბანული განვითარების სივრცითი განზომილებები

ქალაქებისა და ურბანული ტერიტორიების სივრცითი მოწყობა ინსტრუმენტულია ინკლუზიური და სამართლიანი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობისთვის. ქალაქები და ადგილობრივი ხელისუფლება ცენტრალურ როლს

ურბანული მოსახლეობის დიდი ნაწილი (დაახლოებით 50%) ცხოვრობს ქალაქებში, სადაც მოსახლეობა 100 000-500 000 ადამიანს შეადგენს.

[35] ურბანიზაციისა და ეკონომიკური განვითარების ხელახალი გააზრება, IIED, 2023

ასრულებენ სწრაფი ურბანიზაციისა და მოსახლეობის ზრდის შედეგად წარმოქმნილი საჭიროებების სათანადოდ დაკმაყოფილების საქმეში. ეს მოიცავს მათ შორის დამატებით მოთხოვნას საცხოვრისზე, ინფრასტრუქტურაზე, სერვისებზე, ეკონომიკურ საქმიანობასა და შემოსავლის შესაძლებლობებზე.

ურბანიზაციას ადგილი აქვს ყველგან

ამჟამად, ურბანული მოსახლეობის მხოლოდ დაახლოებით 10% ცხოვრობს მეგაპოლისებში ანუ ურბანულ აგლომერაციებში, სადაც მოსახლეობა 10 მილიონს ან მეტს აღწევს. მსოფლიოში არსებობს დაახლოებით 33 მეგაპოლისი, რომელთა უმეტესობა განვითარებად ქვეყნებშია კონცენტრირებული. ამავდროულად, ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა (დაახლოებით 50%) ცხოვრობს ურბანულ ტერიტორიებზე, სადაც მოსახლეობა 100 000-დან 500 000-მდე მერყეობს. მოსალოდნელია, რომ ურბანიზაციის ძირითადი ნაწილი სწორედ საშუალო ზომის, მეორეულ ქალაქებში მოხდება. ამ მხრივ, ტერიტორიული და ურბანული დაგეგმარებისადმი მრავალმასშტაბიანი და ერთიანი მიდგომების ნაკლებობა, რომელიც გულისხმობს განვითარების საჭიროებებისა და შესაძლებლობების ურბანულ ცენტრებზე განაწილებას (მაგალითად, საერთო საბინაო და ეკონომიკური ბაზრები), მცირე და საშუალო ზომის ქალაქების განვითარებას შეაფერხებს.

მიწათსარგებლობა და ურბანული სიმჭიდროვე

სწორი სივრცითი დაგეგმარება კატალიზატორია ეფექტიანი კლიმატური ღონისძიებების და ურბანული წინააღმდეგობის გასაძლიერებლად.

სწრაფი და არაკოორდინირებული ურბანული ზრდა ხშირად განაპირობებს არაეფექტიან მიწათსარგებლობას, ურბანულ განშლასა და პერიფერიულ ტერიტორიებზე დაბალი სიმჭიდროვის მქონე, არასათანადოდ დაგეგმარებული სივრცეების განაშენიანებას. როგორც წესი, ეს იწვევს ძირითადი ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური სერვისების მიწოდების მაღალ ხარჯებს, ტრანსპორტირების დროის გახანგრძლივებასა და პროდუქტიულობის შემცირებას და ამავე დროს, ზრდის საბინაო და სამუშაო ბაზრებიდან გარიყვის რისკს.

ეფექტიანი მიწათსარგებლობა აგლომერაციის ფარგლებში ინფრასტრუქტურის, საცხოვრისის და საქალაქო სერვისების მიწოდებისას მასშტაბის ეკონომიას ქმნის. ამავე დროს, ამით ქალაქში ცხოვრების სიკეთეები უფრო ფართო მოსახლეობაზე ნაწილდება. მაღალი სიმჭიდროვისა და შერეული ფუნქციური გამოყენების მქონე ურბანულ მორფოლოგიას თან ახლავს სოციალური და ეკონომიკური სარგებელი. თუმცა, აუცილებელია დაბალანსებული განაშენიანება, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ მისაწვდომობას, კავშირსა და ღია სივრცეზე წვდომას, რათა თავიდან იქნას აცილებული გადატვირთულობა, საქალაქო სერვისებზე ზედმეტი ზეწოლა და ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენა.

ამასთან, სწრაფი ურბანული ზრდა იწვევს განაშენიანების გაზრდილ მოთხოვნას, ისეთ მიწებზე, რომლებიც მოიცავს სოფლის,

სასოფლო-სამეურნეო ან ეკოლოგიურად მგრძნობიარე ტერიტორიებს. ეს თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გარემოსა და ეკოსისტემურ სერვისებზე. მიიჩნევა, რომ ურბანიზაციის ამჟამინდელი ტენდენციები არამდგრადია, რადგან მიწის მოხმარების ტემპი წინ უსწრებს ზრდას, ეს კი უთანასწორობას აღრმავებს.

ფოტო Google maps

სივრცითი უთანასწორობა, რომელიც ვლინდება დაგეგმილ და დაუგეგმავ განვითარებას შორის

სათანადო საცხოვრისი და ჩრდილოვანი ეკონომიკა

სათანადო და ხელმისაწვდომი საცხოვრისით უზრუნველყოფა მჭიდროდ არის დაკავშირებული ურბანული განაშენიანების დაგეგმარებასა და მიწათსარგებლობასთან. ეს ერთ-ერთ მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელსაც მრავალი ქალაქი და ადგილობრივი ხელისუფლება სათანადოდ ვერ უმკლავდება. ამის მიზეზებია სწრაფი ურბანიზაცია, მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის არასაკმარისი შესაძლებლობები და რესურსები.

სათანადო საცხოვრისის არარსებობა შესაბამის ადგილებში ხშირად განაპირობებს თვითნებური დასახლებებისა და ბარაკების წარმოქმნას. ისინი, როგორც წესი, მდებარეობს პერიფერიულ ან საცხოვრებლად უვარგის მიწაზე, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს უთანასწორობასა და სოციალურ გარიყულობას, ამცირებს სერვისებსა და საარსებო წყაროებზე წვდომას. გარდა ამისა, ხშირად, თვითნებურ დასახლებებს შესაბამისი მმართველობითი სტრუქტურის არარსებობის გამო, არ აქვს წვდომა სერვისებსა და ძირითად ინფრასტრუქტურაზე, რაც იწვევს არაჯანსაღ საცხოვრებელ პირობებს.

კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ღონისძიებები და ურბანული მედეგობა

ურბანული ტერიტორიები კლიმატის ცვლილების ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ფაქტორად მიიჩნევა, რაც ძირითადად რესურსების ინტენსიურ გამოყენებას, ენერგიის მოხმარებას, დაბინძურებასა და სათბურის აირების გამოყოფას უკავშირდება. ქალაქების სივრცითი მოწყობა და სტრუქტურა მნიშვნელოვან როლს ასრულებს აღნიშნული გამოწვევების მოგვარებაში, მაგალითად, ურბანული ფუნქციების, ინფრასტრუქტურისა და მწვანე ტერიტორიების უზრუნველყოფისა და დიზაინის გზით.

სათანადო სივრცითი დაგეგმარება ხელს უწყობს, როგორც კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო მოქმედებებს, ისე ურბანული მდგრადობის გაზრდას. ეს განპირობებულია ურბანული განშლის შეზღუდვით, გარემოზე ზემოქმედების შემცირებით და ურბანული სისტემებისა და ფუნქციების უზრუნველყოფის პროცესში არსებული რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენებით. ახალი განაშენიანების დაგეგმარება და შენობების პროექტირება და მშენებლობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან მშენებლობის მეთოდების, მასალებისა და ტექნიკური გადაწყვეტების (მათ შორის სასიცოცხლო ციკლის გათვალისწინებით) არჩევანი პირდაპირ გავლენას ახდენს კლიმატსა და გარემოზე.

გარდა ამისა, ურბანული ტერიტორიების სივრცითი მოწყობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პოტენციური რისკებისა და საფრთხეების შემცირებაში, მათ შორის წყალდიდობებისა და მიწისძვრების შემთხვევაში.

მომავლის პროგნოზები

სივრცითი და ურბანული დაგეგმარება ქმნის ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც ურბანული ქსოვილი, სტრუქტურა და მიწათსარგებლობა ორგანიზებული და კოორდინირებულია. ამ პროცესში ურბანული მმართველობა და მენეჯმენტი გადამწყვეტ როლს ასრულებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მდგრადი სივრცითი მოწყობა, რომელიც ხელს უწყობს თანაბარ გარემოსდაცვით, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. ურბანული სისტემებისა და ფუნქციების ერთიანი მიწოდება და განაწილება გადამწყვეტ როლს ასრულებს სინერგიებიდან სარგებლის მიღებაში, მაგალითად, გაუმჯობესებული სიახლოვისა და ხელმისაწვდომობის გზით. ამასთან, ურბანული ტერიტორიების სივრცითი მოწყობა, სიმჭიდროვე და ტიპოლოგიები წარმოადგენს საკვანძო ფაქტორებს, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს ურბანული მდგრადობის დონეზე.

ურბანული განშლისა და თვითნებური დასახლებების ზრდის შემცირება აუცილებელია სივრცითი სეგრეგაციისა და სოციალური გარიყულობის დასაძლევად. ასეთ პირობებში საჭიროა ალტერნატიული გადაწყვეტები ხელმისაწვდომი საცხოვრისის, ინფრასტრუქტურისა და სერვისების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელმისაწვდომი მიწა შეზღუდულია. ეს მოითხოვს სივრცითი და ურბანული დაგეგმარების ერთიან მიდგომებს, მათ შორის მიწათსარგებლობის დაგეგმარება, შერეული ფუნქციური დანიშნულების განაშენიანება, კომპაქტური და დაკავშირებული ურბანულ ქსოვილები, რომლებიც ეფუძნება ურბანული დიზაინის შესაბამის სტანდარტებს.

ფოტო Giga Kokoladze

3.

ურბანული მდგრადობის კონცეპტუალური მოდელი

გარემოსდაცვითი სოციო-კულტურული ეკონომიკური სივრცითი

ურბანიზაცია ოცდამეერთე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ტრანსფორმაციული ტენდენციაა, როდესაც „დღევანდელი ქალაქები მომავლის პასუხებს შეიცავს“. წარმატებული, ინკლუზიური და მედეგი ქალაქები არსებითი მნიშვნელობისაა ეკონომიკურად ჯანსაღი, სოციალურად პასუხისმგებლიანი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მდგრადი მომავლისთვის.

ფართო სურათის დანახვის სურვილი აუცილებელია, რათა მიიღწეს ურბანული სივრცეების მდგრადობა – ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი განზომილებების ჩათვლით.

3.1. ურბანული მდგრადობის განზომილებები

დიდი თუ პატარა ქალაქები როგორც წესი *ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური განვითარების* მამოძრავებელი ძალაა. ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი ასევე ადმინისტრაციულ ცენტრებს წარმოადგენს. ურბანიზაციით წარმოქმნილი შესაძლებლობების გამოსაყენებლად და მასთან დაკავშირებული გამოწვევების გადასაჭრელად, საჭიროა ყოვლისმომცველი, ერთიანი და ინკლუზიური მიდგომა. მდგრადი ურბანული ტრანსფორმაცია და განვითარება მოითხოვს პროაქტიულ ურბანულ მმართველობასა და მართვას, უფლებამოსილ და ქმედით ინსტიტუტებს, ინოვაციასა და სივრცითი დაგეგმარების მიზანმიმართულ პროცესებს, ისევე როგორც არსებული რესურსების ეფექტიან გამოყენებას და სამართლიან განაწილებას. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი აკისრია ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელიც სხვა მხარეებთან თანამშრომლობით, მუშაობს სხვადასხვა მასშტაბის ურბანული ინფრასტრუქტურის სათანადოდ გამართვაზე, ფინანსურად ხელმისაწვდომი საცხოვრისისა და ძირითადი მომსახურების უზრუნველყოფაზე. ყოველივე ამის საფუძველს კი წარმოადგენს პროდუქტიული და თანასწორობაზე ორიენტირებული ეკონომიკური სისტემა. ზემოთქმულის გათვალისწინებით, ‘სიმბიოსითის’ მიდგომა აღიარებს[36] გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ასპექტების სივრცით განზომილებას, როგორც მდგრადი ურბანული განვითარების ხელშეწყობის წინაპირობას.

გარემოსდაცვითი განზომილებები

გარემოსდაცვითი მდგრადობა გულისხმობს გრძელვადიანი ბიოლოგიური და ეკოლოგიური სისტემებისა და პროცესების დაცვასა და შენარჩუნებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მდგრადი და გაუმჯობესებული ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემური სერვისები. ქალაქები და სხვა ტიპის დასახლებები უნდა განვითარდეს გარემოს ტევადობის გათვალისწინებით, პლანეტის საზღ-

[36] შვედეთში მდგრადი ქალაქების განვითარების პროექტის შესაბამისად, SKL, ორდბილდარნა, 2011

ვრებზე უარყოფითი ზემოქმედების გარეშე. გარემოსდაცვითი მდგრადობა უკუაქცევს კლიმატის ცვლილების, ბიომრავალფეროვნების დაკარგვისა და დაბინძურების (პლანეტის სამმაგი კრიზისი) უარყოფით ტენდენციებს და ამავდროულად, ხელს უწყობს ურბანულ მედეგობასა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქმედებებს (ადაპტაცია და შერბილება).

ურბანული გარემოს მდგრადობა გულისხმობს ენერგიისა და რესურსების უფრო ეფექტურ გამოყენებას, სათბურის აირების ემისიების შემცირებას და მოსალოდნელი თუ უეცარი შოკებისა და მოვლენებისადმი ურბანული გარემოს მედეგობის გაზრდას, მათ შორის კლიმატის ცვლილების ზემოქმედების მიმართ. ამასთან ერთად, აუცილებელია განვითარდეს და დაცულ იქნეს მწვანე ტერიტორიები და მათი ქსელები, საჯარო სივრცეები, ტყეები, ურბანული ფერმერული ტერიტორიები და სხვა ბუნებრივი რესურსები. გარემოსდაცვითი საკითხები და ღონისძიებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების ზემოქმედების მიმართ მოწყვლადი, დიდი თუ მცირე ქალაქებისათვის, რომლებიც მდებარეობს წყალდიდობისა და ზღვის დონის აწევისკენ მიდრეკილ ადგილებში.

სოციალური განზომილებები

ინკლუზიური, სოციალურად შეკავშირებული და სამართლიანი ქალაქები და თემები განაპირობებენ საზოგადოების სოციალურ მდგრადობას, რაც ემყარება ძირითადი სოციალური, ეკონომიკური და ფიზიკური მომსახურების თანაბარ ხელმისაწვდომობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ისევე როგორც ქალების, ბავშვების, ხანდაზმულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ეთნიკური უმცირესობებისა და სხვა დაუცველი ან მარგინალიზებული ჯგუფების საჭიროებებს.

ინკლუზიური და მონაწილეობითი ურბანული დაგეგმარება და გადაწყვეტილების მიღება ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, ამავდროულად აძლიერებს დაინტერესებული მხარეებისა და ბენეფიციარების პროცესისადმი კუთვნილების შეგრძნებას. სოციალური მდგრადობის ხელშეწყობა შესაძლებელია ერთიანი და მრავალფეროვანი ურბანული ტერიტორიებით, სადაც ფუნქციური გამოყენება შერეულია და უზრუნველყოფილია კულტურული მრავალფეროვნება, ხელმისაწვდომი საცხოვრისის მრავალფეროვანი ვარიანტები და განათლებისა და ჯანდაცვის სერვისებზე, სკოლებსა და პარკებზე, დღის მოვლის ცენტრებზე, რეკრეაციულ შესაძლებლობებზე თუ საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ა.შ. თანაბარი წვდომა. ინკლუზიური, გენდერულად მგრძნობიარე და სოციალურად დაუცველ ჯგუფებზე ორიენტირებული ურბანული განვითარება სოციალურად შეკავშირებული საქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების საშუალებაა.

ეკონომიკური განზომილება

ქალაქებს ხშირად ეკონომიკური ზრდის, სამუშაო ადგილების შექმნისა და კეთილდღეობის მამოძრავებელ ძალად მოიხსენებენ. კეთილდღეობა და ეკონომიკური მდგრადობა ისეთ განვითარებას, მოითხოვს რომელიც წონასწორობაშია არსებულ რესურსებთან, ინკლუზიურია და ყველასთვის სასარგებლოა. კარგად დაგეგმარებული ურბანული განაშენიანება ქმნის მრავალფეროვანი ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობებს, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების, ბიზნესისა და მეწარმეობის ხელშეწყობისთვის. კომპაქტურ ურბანულ დასახლებებში ინფრასტრუქტურის, საცხოვრისისა და ძირითადი სერვისების მიწოდებისას მასშტაბის ეკონომიის ეფექტი და არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა იქმნება.

სურათი 3.1
ადამიანზე, გენდერულ თანასწორობასა და სოციალურად მოწყვლად ჯგუფებზე ორიენტირებული ეს მოდელი აერთიანებს ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ ასპექტებს, რათა უზრუნველყოს ყველა მაცხოვრებლის ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და ცხოვრების ხარისხი.

ქალაქის ფუნქციებისა და სისტემების სივრცითი განაწილება და მდებარეობა მდგრადობისთვის ფუნდამენტალური მნიშვნელობისაა.

ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებას შეუძლია გააძლიეროს კავშირები ეკონომიკურ ზრდასა და სამუშაო ადგილების შექმნას შორის. ეს კი ხელს შეუწყობს ადგილობრივი მმართველობის გაუმჯობესებას, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობასა და პარტნიორობას, მაგალითად, მთავრობის სხვადასხვა დონეებს, საჯარო, კერძო და აკადემიურ წრეებს შორის.

ცირკულარული ეკონომიკა წაახალისებს ურბანული ტერიტორიების მწვანე ტრანსფორმაციას ისეთი საშუალებებით, როგორიცაა ხელახალი გამოყენება და აღდგენა, ინოვაციები და მწვანე ტექნოლოგიებში ინვესტიციები, ასევე ეკოლოგიურად სუფთა ინფრასტრუქტურა, სერვისები და სისტემები. ამგვარად, იქმნება ახალი სამუშაო ადგილები და ბიზნეს შესაძლებლობები, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და გაძლიერებული მედეგობის ხელშეწყობასთან ერთად. დიდი თუ მცირე ქალაქის იმიჯი მნიშვნელოვანია ინვესტიციებისა და ახალი ეკონომიკური ინიციატივების მოსაზიდად და დადებითი აღქმა ეფუძნება არა მხოლოდ ურბანულ იერსახეს, არამედ ასევე სოციალურ და ეკონომიკურ გარემოსაც.

3.2 სივრცითი განზომილებები

ურბანული სისტემების, ფუნქციებისა და სერვისების სივრცითი შემადგენლობა და განაწილება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ურბანული მდგრადობისთვის. ზოგიერთი ურბანული ტერიტორია დასახლებების აგლომერაციის გზით ვითარდება, სხვები კი ინფრასტრუქტურის, მაგალითად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემებს მიუყვება. ნებისმიერ შემთხვევაში, ცუდად თუ დაუგეგმავად განვითარებული ურბანიზაცია, როგორც წესი, იწვევს ურბანულ განშლასა და რესურსების არაეფექტიან გამოყენებას. შესაბამისად, *ურბანული მორფოლოგია* პირდაპირ გავლენას ახდენს ურბანული მდგრადობის მიღწევის წინაპირობებზე.

ქალაქებს ხშირად კომპლექსური და დინამიკური ხასიათი აქვს, რაც ერთიან და ინტერდისციპლინურ მიდგომას მოითხოვს, რომელიც მოიცავს ურბანული ტერიტორიების სივრცითი განვითარების ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებს. *კომპაქტური, დაკავშირებული, ინკლუზიური, ცოცხალი და მედეგი*[37] ურბანული განვითარების წახალისებას სხვადასხვა სივრცითი შედეგები მოაქვს, რომლებსაც ურბანული განვითარების პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს. კომპაქტური ურბანული ქსოვილი მოიცავს როგორც მოსახლეობის სიმჭიდროვეს, ასევე ნაშენი გარემოს (აშენებული მასის) სიმჭიდროვეს, რაც ურბანული სისტემებისა და ფუნქციების უზრუნველყოფისას თანაბრად მნიშვნელოვანია მასშტაბის ეკონომიისთვის. ზოგადად, ურბანულ განვითარებაში ნებისმიერი ჩარევა უნდა ითვალისწინებდეს ხელმისაწვდომი, მიმზიდველი და უსაფრთხო საჯარო სივრცის უზრუნველყოფას, ისევე როგორც ნაშენი გარემოს ხარისხს, სტრუქტურასა და ფორმას. ყველა, დიდი თუ პატარა ქალაქი უნიკალურია თავისი *კულტურით, ისტორიით, გეოგრაფიითა და განვითარების ტრაექტორიით*, რომელიც განსაზღვრავს განვითარების სივრცით თვისებებსა და წინაპირობებს.

ხშირად, ურბანიზაცია მეტ მიწასა და სხვა რესურსებს მოითხოვს სათანადო საცხოვრისის, სამუშაო ადგილების, მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის უზრუნველსაყოფად. ზოგიერთ შემთხვევაში, ურბანული ტერიტორიები უნდა განიხილებოდეს, არა როგორც ცალკეული სივრცითი ერთეულები, არამედ კვანძები ან ცენტრები თავისი მიმდებარე განაპირა ტერიტორიებით. *მრავალდონიანი ტერიტორიული მიდგომის* გამოყენება, მათ შორის ქალაქის ქალაქთან ან ქალაქის სოფელთან კავშირები, უმნიშვნელოვანესია ურბანული განვითარების სტრატეგიების, გეგმებისა და ჩარევების ანალიზის, განხილვისა თუ ფორმულირებისას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ასპექტს რეგიონული, ეროვნული ან საერთაშორისო განზომილება აქვს, სხვები შეიძლება უფრო მეტად დაკავშირებული იყოს ზოგადად ქალაქთან ან მის სამეზობლოსთან, უბანთან თუ კვარტალთან.

მრავალ განვითარებად ქვეყანაში ურბანული სივრცეებით თვითნებური სარგებლობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მათ შორის თავშესაფრისა და სამუშაო ადგილების უზრუნველყოფის მხრივ. ზოგიერთი კრიტიკულად მნიშვნელოვანი ურბანული ფუნქ-

სურათი 3.2
ურბანული მდგრადობა მოიცავს სივრცით და გეოგრაფიულ ასპექტებს. ის ეხება ქალაქის და რეგიონალურ განაშენიანებას და ბუნებრივი გარემოს მდგომარეობას, ურბანული ფუნქციების განაწილებასა და მდებარეობას, ასევე სერვისების მიწოდებას ურბანულ სისტემებში.

[37] ჩემი სამეზობლო, გაეროს ჰაბიტატი, 2023

ცია, როგორიცაა მაგალითად, ნარჩენების მართვა, ასევე დამოკიდებულია ჩრდილოვან სექტორზე. თვითნებური სარგებლობას შეიძლება სხვადასხვა სახე ჰქონდეს, მაგალითად, ურბანული სივრცეების სპონტანური (და დროებითი) დაკავება, თვითნებური საცხოვრისის ან გარე სავაჭრო ობიექტების გაჩენა. ურბანულ ტერიტორიებზე თვითნებური საქმიანობის, მისი სივრცითი შედეგებისა და ოფიციალურ ეკონომიკასთან კავშირის გაგება ცენტრალურ როლს თამაშობს ტრანსფორმაციული გავლენის მქონე ურბანული განვითარების ჩარევების შემუშავებაში.

კონცეპტუალური მოდელი ხაზს უსვამს ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და სივრცითი ასპექტების ურთიერთკავშირს ურბანულ მდგრადობაში.

3.3 მდგრადი ურბანული განვითარების კონცეპტუალური მოდელი

'სიმბიოსითის' მიდგომა ეფუძნება *კონცეპტუალურ მოდელს*, რომელიც ასახავს კავშირებს ურბანული მდგრადობის *ეკოლოგიურ, ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ და სივრცით განზომილებებს* შორის, რომლებიც ხელს უწყობს *ცხოვრების ხარისხის, კეთილდღეობის, კომფორტისა და უსაფრთხოების* გაუმჯობესებას. ურბანული ტერიტორიების განვითარება ხშირად რთული და დინამიკურია, მოიცავს მრავალ ურთიერთდაკავშირებულ საკითხსა და დამოკიდებულებებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია. გარდა ამისა, ყველა ურბანული ტერიტორია უნიკალურია და ურბანული განვითარების საკუთარი მახასიათებლები და გარემოებები აქვს. ამ ფონზე, კონცეპტუალური მოდელი ზოგადია და მისი გამოყენება არსებულ კონტექსტზე უნდა იყოს მორგებული, დაგეგმილი ჩარევის ან საქმიანობის მასშტაბისა და მიზნის შესაბამისად.

სურათი 3.3
ურბანული სისტემები და ინსტიტუციური ფაქტორები ეხმარებიან მდგრად განვითარებას. მათ შორის აუცილებელია გადაკვეთის წერტილების პოვნა ყოველდღიური ცხოვრების სისტემებსა და სტრუქტურებს შორის (წყალი, ენერგია, ნარჩენები, ტრანსპორტი, შენობები, IT, ურბანული სივრცეები). ეფექტური და გამჭვირვალე ინსტიტუციური ჩარჩო უზრუნველყოფს მდგრად პროცესებს, რომელიც მოიცავს მართვას, პასუხისმგებლობების განაწილებას, კავშირებს, კანონმდებლობას, დაფინანსებას, ურბანულ მმართველობას და პოლიტიკურ ლიდერობას.

მოდელის გამოყენება შესაძლებელია, მაგალითად, *ურბანული მდგრადობის მიმოხილვების (USR), სტრატეგიებისა და გეგმების შემუშავების* ან *კონკრეტული ურბანული ტრანსფორმაციული პროექტებისა და ჩარევების* მხარდასაჭერად. კონცეპტუალური მოდელის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს, როგორც გამოწვევების, ასევე შესაძლებლობების გამოვლენა და სხვადასხვა ურბანულ სისტემებსა და ფუნქციებს შორის პოტენციური სინერგიის გამოყენება. ამრიგად, მოდელის მიზანია ისეთი ჩარევებისა და ქმედებების განხორციელება, რომელთაც ტრანსფორმაციული გავლენა ექნება ურბანულ განვითარებაზე.

კონცეპტუალური მოდელი *სხვადასხვა ტერიტორიულ დონეზე* გამოიყენება, უბნებიდან დაწყებული ქალაქის მასშტაბით დამთავრებული. იგი სასარგებლოა მეტროპოლიასა და რეგიონს შორის კავშირების, მაგალითად, ქალაქსა და სოფლებს შორის კავშირების ანალიზისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მოდელი ხელს უწყობს ყოვლისმომცველ და ერთიან მიდგომას, იგი ასევე გვთავაზობს რეკომენდაციებს დარგობრივი ანალიზისა და დაგეგმვისთვის.

ურბანულ გამოწვევებზე შესაბამისი რეაგირებისთვის არსებითია მათი კონტექსტის, წარსულისა და აწმყოს გააზრება. პერსპექტივაზე ორიენტირებული *ხედვები, სცენარები და სტრატეგიები* გვეხმარება მომავლის გზის განსაზღვრაში, რაც მოითხოვს საჭირო ტექნიკურ და ფინანსურ რესურსებს, მმართველობით სტრუქტურებს, მარეგულირებელ ჩარჩოებსა და განხორციელების პოლიტიკას. შესაბამისად, *დროითი განზომილებაც* მნიშვნელოვანია.

კონცეპტუალური მოდელის აღწერა

კონცეპტუალური მოდელის შიდა ბირთვი აერთიანებს 'სიმბიოსითის' ერთიან და ინკლუზიურ მიდგომას ურბანული განვითარების მიმართ. მისი საბოლოო მიზანია *ცხოვრების ხარისხის, კეთილდღეობის, კომფორტის, ცხოვრების დონისა და უსაფრთხოების* გაუმჯობესება ყველასათვის. ადამიანზე ორიენტირებული ურბანული დიზაინისა და ღირებულებებზე დაფუძნებული პრინციპების დანერგვა უმნიშვნელოვანესია ყოველდღიურ ურბანულ ცხოვრებაში თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობისთვის. ეს აუცილებელია, რათა დაინტერესებულმა მხარეებმა, თემებმა და ადამიანებმა აიღონ პასუხისმგებლობა და მართონ განვითარების შედეგები. ქალაქები ყველასთვისაა (მამაკაცებისთვის, ქალებისთვის, გოგონებისა და ბიჭებისთვის) და ინკლუზიური განვითარება უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობას, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მხარდამჭერ ხედვებსა და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებას.

»თუ ბავშვებისთვის წარმატებული ქალაქის შექმნას შევძლებთ, წარმატებული ქალაქი შეიქმნება ყველასთვის.«

ენრიკე პენალოსა

პირველი წრე წარმოადგენს ურბანული მდგრადობის *ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ განზომილებებს*. უმეტესწილად, სამივე განზომილება ურთიერთდაკავშირებულია და ასევე კავშირშია, როგორც ინსტიტუციურ ფაქტორებთან, ასევე ურბანულ სისტემებთან. მაგალითად, ახალი საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის დაგეგმვისას, დიზაინი დამოკიდებული იქნება მისი

მშენებლობისა და ექსპლუატაციისთვის საჭირო და ხელმისაწვდომ ფინანსურ რესურსებზე *(ეკონომიკური განზომილება)*. გარდა ამისა, სავარაუდოდ, სისტემის სამიზნე იქნება მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფი *(სოციალურ-კულტურული)* და იგი დადებით გავლენას მოახდენს გარემოზე კერძო ავტომობილების გამოყენების და ამავდროულად ემისიებისა და ხმაურის დაბინძურების შემცირებით *(გარემოსდაცვითი)*.

მეორე წრე წარმოადგენს ურბანულ სისტემებს – მაგალითად, წყლის, ენერგიის, ნარჩენების, მობილობისა და ტრანსპორტის, შენობებისა და არქიტექტურის, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ლანდშაფტისა და საჯარო სივრცის უზრუნველყოფა. ურბანული სისტემების ნაწილია ისეთი ყოველდღიური მოხმარების ურბანული ფუნქციები, როგორიცაა მაგალითად საცხოვრისი, სამუშაო ადგილები, სოციალური და კომერციული კეთილმოწყობა და სხვ.

მესამე წრე წარმოადგენს *ინსტიტუციურ სისტემებსა* და ფაქტორებს, რომელთაც პირდაპირი ან ირიბი გავლენა აქვს მდგრადი ურბანული განვითარების პრაქტიკაში განხორციელებაზე. ეს ფართო ცნებაა და მოიცავს, მაგ., ურბანულ მმართველობასა და მართვას; ურბანული დაგეგმარების, მიწის მართვისა და ადმინისტრირების სისტემას; გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივ ჩარჩოებსა და პრაქტიკას; განვითარების დაფინანსებას; სხვადასხვა აქტორსა და დაინტერესებულ მხარეს შორის თანამშრომლობას; ინკლუზიურ და მონაწილეობით პროცესებს, მათ შორის ინსტიტუციურ გაძლიერებას, სწავლებასა და შესაძლებლობების განვითარებას.

სურათი 3.4
'სიმბიოსითის' მოდელი ადამიანზე ორიენტირებული მდგრადი ქალაქის განვითარების გზამკვლევია, რომელსაც მხარს უჭერენ ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ასპექტები, ურბანული სისტემები, ინსტიტუციები და სივრცითი განაწილება.

მეოთხე წრე წარმოადგენს სივრცით და ფიზიკურ კონტექსტს, სადაც ხორციელდება ჩარევა, მაგ. რეგიონულ, საქალაქო, მუნიციპალურ, სამეზობლო ან კვარტლის დონეზე, ან ტოპოგრაფიულ, სიმჭიდროვისა თუ ურბანული ფორმის შესაბამისად და სხვ. ურბანული ტერიტორიებისა და ნაშენი გარემოს სივრცითი მოწყობა, სტრუქტურა და ფორმა, მათ შორის, ბუნებრივ გარემოსთან შერწყმა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ურბანული მდგრადობისთვის.

'სიმბიოსითის' მიდგომაში დროით განზომილებას სხვადასხვა ინტერპრეტაცია გააჩნია. **პირველ რიგში**, მოდელი გამოიყენება წარსული და არსებული ვითარების (ახალი გამოწვევების მიზეზები და ფესვები) გასაგებად, რათა მოხდეს მისი მომავალ სიტუაციებში გათვალისწინება. **მეორე რიგში**, 'სიმბიოსითის' მიდგომის გამოყენებით შეიძლება ისეთი ქმედებები თუ რეკომენდაციები გამოვლინდეს, რომლებიც უნდა განხორციელდეს *ეტაპობრივად*, ანუ *მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში,* ასევე აქტუალურობის, რესურსების ხელმისაწვდომობის, ტექნოლოგიური გადაწყვეტების და ა.შ. შესაბამისად. **მესამე რიგში**, 'სიმბიოსითის' მიდგომის ფარგლებში წინადადებების მიღების *პროცესი* ეფუძნება *სამუშაო პროცედურას*, რომელიც მოიცავს განმეორებითი ნაბიჯების სერიას.

PHOTO Klas Groth

4.

ინსტიტუციური ფაქტორები

ურბანული მმართველობა კანონმდებლობა სივრცითი დაგეგმარება საზოგადოებრივი მონაწილეობა დაფინანსება

ურბანიზაცია

მდგრადი ურბანული განვითარების ხელშეწყობასა და შენარჩუნებას უზრუნველყოფს ეფექტიანი ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც წარმოადგენს პროგრესისა და განვითარების დაჩქარების საფუძველს. 'სიმბიოსითის' მიდგომის ფარგლებში ეს ჩარჩო სხვადასხვა საკითხთან ერთად ეფუძნება შემდეგ ძირითად ფაქტორებს:

- ეფექტიანი ურბანული მმართველობა და მართვა – ძლიერი ინსტიტუციური და ტექნიკური შესაძლებლობები, სათანადო ორგანიზაციული და გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურები, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა;
- ხელშემწყობი გარემო – დამხმარე კანონმდებლობის, პოლიტიკისა და რეგულაციების არსებობა;
- სივრცითი დაგეგმარებისა და დიზაინის ჩარჩოები – მათ შორის მიწის მართვის ეფექტიანი სისტემები;
- მონაწილეობითი და ინკლუზიური პროცესები, რომელთაც ადგილობრივი ხელისუფლება და თემი წარმართავს – მათ შორის დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა, საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმები;
- ფინანსური რესურსებისა და სტიმულების ხელმისაწვდომობა;
- კოლაბორაცია, თანამშრომლობა და პარტნიორობა – საჯარო და კერძო სექტორს, აკადემიურ წრეებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის.

ურბანული მმართველობა მოიცავს ქალაქების მართვას და იმ ფინანსური, ტექნიკური, ორგანიზაციული და ადამიანური რესურსების უზრუნველყოფას, რაც მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია.

ხშირ შემთხვევაში ინსტიტუციური ფაქტორები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. მათი ერთობლიობა ქმნის ხელშემწყობ გარემოს, როგორც ურბანული ტრანსფორმაციის, ისე მდგრადი განვითარების გზების განსაზღვრისთვის. ინსტიტუციების სათანადო ფუნქციონირებისთვის აუცილებელია გარკვეული ხარისხის დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი ავტონომია გადაწყვეტილების მიღების, დაგეგმვისა და რესურსების განაწილების პროცესში.

4.1 ურბანული მმართველობა და ინსტიტუციური გაძლიერება

კარგი ურბანული მმართველობა ურბანული ტერიტორიების მართვისა და ადმინისტრირების საფუძველია. იგი მოიაზრებს ადგილობრივ და ეროვნულ მთავრობებს შორის ძალაუფლების ისეთ გადანაწილებას, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის განვითარებას და უზრუნველყოფს მდგრად ურბანიზაციას. როგორც წესი, კარგი ურბანული მმართველობა ფინანსური, ტექნიკური და ადამიანური რესურსების ეფექტიან და მიზნობრივ გამოყენებას მოითხოვს.

ამასთან, იგი გულისხმობს ინსტიტუციების გაძლიერებისა და მოწყობას არსებული და მომავალი საჭიროებების საპასუხოდ.

კარგი მმართველობის პრინციპები

მმართველობის განსაზღვრებები დროთა განმავლობაში და კონტექსტიდან გამომდინარე იცვლება. მიუხედავად ამისა არსებობს უნივერსალური სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც მუდმივია და მის არსს წარმოადგენს. მაგალითად, გაეროს ჰაბიტატი კარგ ურბანულ მმართველობას აღწერს როგორც „პროცესებსა და მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც საჯარო და კერძო სექტორი, ისევე როგორც მოქალაქეები, მონაწილეობენ ქალაქის დაგეგმარებასა და მართვაში და უზრუნველყოფენ განვითარების მოკლე და გრძელვადიანი მიზნების ეფექტიან განხორციელებას“.[38] აღნიშნული განსაზღვრება ხაზს უსვამს მმართველობის ისეთი ძირითად პრინციპებს, როგორიცაა გარემოს დაცვაზე ორიენტირება, მონაწილეობითი მიდგომა, ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა, ეფექტურობა, სამართლიანობა და ინკლუზიურობა, რომელიც ასახულია კანონმდებლობაში, და ასევე ხორციელდება პრაქტიკაში.

„ახალი ურბანული დღის წესრიგის“ თანახმად მმართველობა ცვლილების მთავარი მამოძრავებელი ძალაა, რომელიც ხელს უწყობს პარტნიორობის ახალი ფორმების გაჩენას მთავრობებს, ადგილობრივ თემს, სამოქალაქო საზოგადოებასა და კერძო სექტორს შორის.

ზოგიერთი ფაქტი

ილუსტრირებული „ახალი ურბანული დღის წესრიგი“[39]

აღწერს ხუთ განსხვავებულ პრინციპს:

ანგარიშვალდებულება გადაწყვეტილების მიღების პროცესში: საჯარო დაწესებულებებმა ხელი უნდა შეუწყონ ღია და გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღების პროცესს, მათ შორის, საჯარო დისციპლინური გადაცდომების შეტყობინების მექანიზმებს.

მონაწილეობა და ინკლუზიურობა: ყველა დაინტერესებული მხარე ჩართული უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღების საჯარო პროცესში.

სუბსიდიარობა და თანაზომიერება: საკანონმდებლო ჩარჩო უნდა აძლიერებდეს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ფისკალურ და საქვეუწყებო ავტონომიას, რათა მათ ეფექტურად განახორციელონ საქალაქო ფუნქციები და სერვისების მიწოდება.

თანამშრომლობა და ეფექტიანობა: ადგილობრივ ხელისუფლებას მართებს მუნიციპალიტეტებს შორისი თანამშრომლობის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა, ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღების, სერვისების მიწოდებისა და საჯარო ინვესტიციების განხორციელების მიზნით.

გაციფრულება და ცოდნის მართვა: ელექტრონული მმართველობის ინსტრუმენტების მეშვეობით და მონაცემების შეგროვებით ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი ჩართულობის ხელშეწყობა, როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ისე მიღებული შედეგებით სარგებლობისთვის.

[38] სტრატეგიული გეგმა, 2020-2023, გაეროს ჰაბიტატი, გვ. 59
[39] გაეროს დასახლებების პროგრამა (გაეროს ჰაბიტატი), 2020 წ.

კარგი ურბანული მმართველობა მოიცავს შემდეგ პრინციპებს: გადაწყვეტილების მიმღები პირები საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულნი არიან თავიანთ ქმედებებზე, ხოლო გამჭვირვალობა უზრუნველყოფს არსებული რესურსების რაციონალურ გამოყენებას და გადაწყვეტილებების მიღებას საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ. მოქალაქეთა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა უზრუნველყოფს, რომ ურბანულ გარემოში განხორციელებული ჩარევები რეალურად პასუხობენ ადგილობრივი თემების საჭიროებებს. ამ გაგებით, კარგი მმართველობა შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ერთგვარი „სოციალური კონტრაქტი“ ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის. ინკლუზიური მიდგომების დანერგვა უზრუნველყოფს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებისა და იდეების გათვალისწინებას, მათ შორის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ქალების, ახალგაზრდების, უმცირესობებისა და სხვა მარგინალიზებული ჯგუფების, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მომსახურების უფრო სამართლიან განაწილებას.



სურათი 4.1
ურბანული განვითარების პროცესში სხვადასხვა მხარის როლები და მათი ურთიერთანამშრომლობა გადამწყვეტია.

პოლიტიკური, ადმინისტრაციული და ფისკალური დეცენტრალიზაცია: როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილება

ადგილობრივი ურბანული მმართველობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია დეცენტრალიზაციის ფორმებსა და ხარისხზე. მარტივად, რომ ვთქვათ ადგილობრივი ხელისუფლებისთვის გადაცემულ უფლებამოსილებებზე. ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება მოითხოვს ინსტიტუციური და ტექნიკური შესაძლებლობების განვითარებას, ფისკალური ავტონომიის უზრუნველყოფას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გაფართოებას. ამასთანავე, აუცილებელია საზოგადოების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და მონაწილეობის ქმედითი ფორმების შექმნა.

დეცენტრალიზაცია გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბენეფიციარების ჩართვას რაც ნიშნავს, რომ ადგილობრივი თემის ნებისმიერ წევრსა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შეუძლია საკუთარი ხედვებისა და სურვილების გაზიარება და პროცესში მონაწილეობა. ეს თავის მხრივ, მოითხოვს ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებისთვის ურთიერთობის ღია და ინკლუზიური ფორმების შეთავაზებას და ცხადი პროცედურების ჩამოყალიბებას, რომლებიც უზრუნველყოფს ნებისმიერი წევრის აქტიურ ჩართულობასა და მონაწილეობას. დემოკრატიული ინსტიტუციები ურბანული დაგეგმარებისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების პროცესში ადგილობრივი თემისა და დაინტერესებული ჯგუფების აქტიური მონაწილეობის აუცილებელი წინაპირობაა. ამასთან, არჩეული ადგილობრივი წარმომადგენლების მიერ მათი ამომრჩევლების ეფექტური წარმომადგენლობა დემოკრატიული ადგილობრივი მმართველობის გადამწყვეტ საფუძველს ქმნის.

დემოკრატიული მმართველობა დაინტერესებულ მხარეთა აქტიურ მონაწილეობას და მათ შორის კონსენსუსის მიღწევას მოითხოვს. ამგვარი კონსენსუსის ნაწილი შეიძლება იყვნენ სხვადასხვა მუნიციპალიტეტები, მუნიციპალიტეტის საზღვრებში მოქმედი დაინტერესებული მხარეები და საჯარო და კერძო სექტორები. გადაწყვეტილების მიღებისა და რესურსების მართვის პასუხისმგებლობა საუკეთესო შემთხვევაში უნდა იყოს ადგილობრივ ხელისუფლებაზე დელეგირებული, რათა მათ შეძლონ ადგილობრივი განვითარების საჭიროებებსა და კონკრეტულ გარემოში არსებულ გამოწვევებზე ეფექტიანად რეაგირება.

მეტროპოლიურ/ მჭიდროდ დასახლებულ ადგილებს შორის თანამშრომლობა განსხვავდება ფორმალურობის ხარისხით.

ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა, მათ შორის მონიტორინგი და ანგარიშგება

გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება კარგი ურბანული მმართველობის ერთ-ერთი საკვანძო პრინციპია და მოქალაქეთა ჩართულობის ყველა ასპექტს მოიცავს. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ზრდის საზოგადოებაში ადგილობრივი ხელისუფლების მმართველობითი და მართვის პროცესების ცოდნას, ის ეხმარება მათ გაერკვნენ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ხარჯვის პროცესსა და არსებულ პრაქტიკაში. თავის მხრივ, ეს ამცირებს საჯარო ფინანსების არამიზნობრივი გამოყენების შესაძლებლობას.

მფარველობა, ნეპოტიზმი და კორუფცია ხშირად მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც ურბანული მმართველობის არაეფექტურობას განაპირობებს. თავის მხრივ, ეს აფერხებს საერთო კეთილდღეობასა და უკიდურესი სიღარიბის დაძლევას. როგორც წესი, ასეთი პრაქტიკა ზრდის ხარჯებს, ამცირებს სათანადო საზოგადოებრივ სერვისებზე (ჯანდაცვა, განათლება, მართლმსაჯულება) წვდომას, ძირს უთხრის ნდობას მთავრობის მიმართ და ამავდროულად, არღვევს სოციალურ კონტრაქტს. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კორუფციამ შეიძლება გამოიწვიოს გარემოს დეგრადაცია და ბიომრავალფეროვნების დაკარგვა, უხარისხო ტექნოლოგიების გამოყენება, ემისიებისა და დაბინძურების ზრდა, წყლის რესურსების ჭარბი მოხმარება, ასევე სახიფათო და სხვა ნარჩენების უკანონო გადაყრა და გამოყენება. კორუფცია ასევე მნიშვნელოვნად აზიანებს გამჭვირვალობას, ვინაიდან კორუმპირებულ პირებს ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების პირადი ინტერესი ამოძრავებთ. ასეთ დროს ჩარევების მაგალითებია ცნობიერების ამაღლება და გადამზადება, რომლებიც არა მხოლოდ ხელს უწყობს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, არამედ აძლიერებს ურბანულ მმართველობას და ხელს უწყობს ზოგადი შესაძლებლობების განვითარებას.

კარგი ურბანული მმართველობა მოიცავს დასახული მიზნების შესრულების სისტემატურ მონიტორინგსა და ანგარიშგებას, მაგალითად, პროფესიონალური აუდიტის მეშვეობით ან პროგრესისა და ჩამორჩენის შესახებ ანგარიშგების მექანიზმების გამოყენებით. ასეთი მონიტორინგი ჩვეულებრივ მოიცავს

ვერტიკალური და ჰორიზონტალური თანამშრომლობა, ტრადიციულ საზღვრებს მიღმა, ხელს უწყობს ურბანული განვითარების ინტეგრირებულ მიდგომებს.



სურათი 4.2
სერვისების მიწოდების კოორდინაცია მმართველობის სხვადასხვა დონესა და მჭიდროდ დასახლებულ ადგილებს შორის.

სერვისის მიწოდების შეფასებას, ასევე ფინანსური და სხვა რესურსების გამოყენების ანალიზს. „დღის წესრიგი 2030-ის“ და მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ფარგლებში, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ წარადგინონ ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვები (VNR), რომლებიც ასახავს მიღწეულ პროგრესს. მსგავსი პრაქტიკა ხელმისაწვდომია ქალაქებისა და ადგილობრივი ხელისუფლებისთვისაც – მათ შეუძლიათ მოამზადონ ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვები (VLR), რომლებიც არამხოლოდ ანგარიშგების ინსტრუმენტს წარმოადგენენ, არამედ გამოცდილების გაზიარებისა და კოლეგებისგან სწავლის კარგი საშუალებაა.

ინსტიტუციური თანამშრომლობა და კოორდინაცია

ინსტიტუციურმა სტრუქტურებმა უნდა წაახალისონ მრავალმხრივი თანამშრომლობა რომელიც მრავალ დისციპლინას მოიცავს და ტრადიციულ საზღვრებს („იზოლირებული ორგანიზაციები“) სცდება. ეს აუცილებელია ფუნქციებს შორის არსებული ბარიერების გადასალახად და ერთიანი მიდგომების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული პროცესის განხორციელება მოითხოვს პოლიტიკურ ნებასა და ლიდერობას მენეჯმენტის სხვადასხვა დონეზე, ასევე სათანადო *პროფესიულ და ტექნიკურ შესაძლებლობებს*, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად და მდგრადი ურბანული განვითარებისკენ მიმართული ქმედებების განსახორციელებლად.

სწრაფი ურბანიზაციის ზონებში ან მსხვილ მეტროპოლიებში განვითარება ხშირად სცდება ტრადიციულ მუნიციპალურ იურისდიქციას. ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და ქალაქების თვითმმართველობებთან ერთად ურბანულ მმართველობასა და დაგეგმარების პროცესებში, როგორც წესი, ჩართულნი არიან ეროვნული და რეგიონული მთავრობები, ასევე სხვა სახელმწიფო უწყებები. ამ ვითარებაში აუცილებელია ჰორიზონტალური და ვერტიკალური თანამშრომლობის გაძლიერება, რაც მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების, ადგილობრივი თემებისა და სხვა ურბანული დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართვას. ასეთი ინტეგრაცია უზრუნველყოფს ურბანული განვითარების სათანადო მმართველობას, დაგეგმარებასა და მართვას მოქმედი კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე მრავალ იურისდიქციას ეხება.

ინსტიტუციური თანამშრომლობა და კოორდინაცია დამოკიდებულია მმართველობის არსებულ სისტემაზე, *ურბანული პასუხისმგებლობების ცენტრალიზაციის ხარისხსა და დონეზე*, ასევე ადამიანებს, სამსახურებსა და უწყებებს შორის ურთიერთკავშირების *ფორმალურ ასპექტებზე*.

საბოლოო ჯამში, საუკეთესო შემთხვევაში ურბანულმა მმართველობამ უნდა უზრუნველყოს ურბანულ სერვისებსა და რესურსებზე იმგვარი წვდომა, რომელიც შემოიფარგლება იურისდიქციული საზღვრებით. ეს, ხელს უწყობს დაბალანსებულ განვითარებას მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის საცხოვრისის, მომსახურების, ჯანდაცვის, განათლების და სხვა სფეროებში.

ურბანული მმართველობა ციფრულ ეპოქაში

ტექნოლოგიური მიღწევებისა და ციფრულ ინსტრუმენტებზე ფართო წვდომის პირობებში ელექტრონული მმართველობა შეიძლება ეფექტურ მექანიზმად იქცეს, როგორც სერვისების მიწოდების, ისე მოქალაქეებისა და დაინტერესებული მხარეების განვითარების პროცესებში ჩართვისთვის. მონაცემთა მზარდი გენერირება, ხელმისაწვდომობა და გამოყენება ზოგადად პოზიტიურ მოვლენად ფასდება. თუმცა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში აუცილებელია მონაცემების სანდოობის, სიზუსტისა და კონფიდენციალობის დაცვის უზრუნველყოფა. ინფორმაცია და მონაცემები უნდა დაიყოს შემადგენელ ნაწილებად, მაგალითად, სქესისა და ასაკის მიხედვით, რათა უზრუნველყოს სოციალური ჩართულობა არა მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არამედ მის შედეგებშიც.

ურბანული განვითარების ანალიზის, მოდელირებისა და დაგეგმარებისთვის გამოსადეგი მონაცემთა წყაროები მუდმივად ფართოვდება. ასეთი მონაცემები მოიცავს მოსახლეობის ტრადიციულ აღწერებსა და სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებს, თანამგზავრულ ფოტოებს, დრონებით და მობილური ტელეფონებიდან რეალურ დროში მიღებულ მონაცემებს და სხვ.

სურათი 4.3
აქტორები, რომლებიც ურბანულ განვითარებაში მონაწილეობენ.

მონაცემთა მართვისა და გამოყენების პარალელურად ჩნდება მონაცემთა უსაფრთხოებისა და დაცვის საკითხები. შესაძლებელია სისტემების გატეხვა, მათში შეღწევა, გათიშვა ან ვირუსების ზემოქმედებით მათი მწყობრიდან გამოყვანა; ამასთან, მონაცემები შესაძლოა შეიცავდეს მგრძნობიარე პერსონალურ ინფორმაციას. მონაცემთა სათანადო დაცვისა და მართვის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოებისა და პოლიტიკის არსებობა, ინდივიდის უფლებების დაცვასთან ერთად.

ურბანული მონაცემების ხელმისაწვდომობა უზარმაზარი რესურსია, რომლის გამოყენება შესაძლებელია, როგორც ურბანული ტერიტორიების ანალიზისა და დიაგნოსტირებისთვის, ისე ტენდენციების გააზრებისთვის და მომავალზე ორიენტირებული სცენარების შემუშავების მხარდასაჭერად. მსგავსი მონაცემების მართვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ხოლო მონაცემთა შეგროვების, მონიტორინგისა და გავრცელების მხარდასაჭერად არსებობს სხვადასხვა ინსტრუმენტი და მოდალობა, მათ შორის ურბანული ობსერვატორიები, საინფორმაციო სისტემები, ანალიტიკური ცენტრები და სხვა. მრავალი თვალსაზრისით, მონაცემების ხელმისაწვდომობა ქმნის შესაძლებლობას, რომ ურბანული მმართველობა და მენეჯმენტი იყოს *ინფორმირებული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და ქმედითი.*

საკვანძო მიგნებები

- გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული ურბანული მმართველობა უზრუნველყოფს არსებული ფინანსური, ტექნიკური და ადამიანური რესურსების ეფექტიან და სათანადო გამოყენებას საზოგადოების სასიკეთოდ.
- კორუფცია და სახსრების ბოროტად გამოყენება ძირს უთხრის ინსტიტუციებს, აბრკოლებს საყოველთაო კეთილდღეობას, ზღუდავს სერვისების მიწოდებას და ამწვავებს გარემოს დეგრადაციას.
- ადგილობრივ ურბანულ მმართველობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დეცენტრალიზაციის ხარისხი, ანუ უფლებამოსილებებისა და ავტონომიის განაწილება, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესს აახლოებს ბენეფიციარებთან.
- ვერტიკალური და ჰორიზონტალური თანამშრომლობა და კოორდინაცია ტრადიციულ საზღვრებს მიღმა ხელს უწყობს განვითარების ერთიან მიდგომებს.
- ურბანული მონაცემების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების საფუძველს და მტკიცებულებას.

ფოტო Ordbildarna

ექპერტების ჯგუფი საველე სამუშაოებზე კიპმბერლი, სამხრეთ აფრიკა.

4.2 პოლიტიკა და კანონმდებლობა

კანონმდებლობა და პოლიტიკის ჩარჩოები ტრანსფორმაციული ჩარევების, სტრატეგიებისა და გეგმების შემუშავებისა და განხორციელების ხელშემწყობი გარემოს შექმნის ძლიერი ინსტრუმენტებია. როგორც წესი, ურბანული დაგეგმარებისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობა ქმნის ეროვნულ ჩარჩოებს, რომლებიც აერთიანებს ამოცანებს, გეგმარებისა და სამშენებლო კოდექსებს, გარემოსდაცვით სტანდარტებსა და სხვა რეგულაციებს. ასეთი საკანონმდებლო ჩარჩო წარმართავს ურბანულ განვითარებას ადგილობრივ დონეზე. თუმცა, ურბანული განვითარება ასევე მოითხოვს სხვა სამართლებრივ ჩარჩოებთან შესაბამისობას, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის, ნარჩენებისა და წყლის მართვის, მიწისა და ქონების მართვის, მუნიციპალური ფინანსების, ადგილობრივი მმართველობისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობა. ერთის მხრივ, ურბანული დაგეგმარებისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობა უნდა ადგენდეს მინიმალურ მოთხოვნებსა და სტანდარტებს როგორც მდგრადობის, ასევე „ზიანის არ მიყენების“ პრინციპის დაცვისათვის, ხოლო მეორეს მხრივ ხელს უნდა უწყობდეს განვითარებას მოქნილობითა და ადგილობრივ პირობებსა და საჭიროებებზე მორგების შესაძლებლობით. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოების ინტერპრეტაციასა და გამოყენებას ადგილობრივი პოლიტიკისა და სტანდარტების მეშვეობით ხშირად „ქვემდებარე აქტებად“ მოიხსენიებენ.

ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი კანონმდებლობისა და პოლიტიკის ჰარმონიზაცია აუცილებელია საერთო სტანდარტებისა და პრაქტიკის უზრუნველსაყოფად, პასუხისმგებლობების დეცენტრალიზაციის ხელშესაწყობად, ასევე სამთავრობო უწყებებს შო-

რის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სტიმულირებისთვის, როგორც ჰორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად. თანამიმდევრული საკანონმდებლო და პოლიტიკური ჩარჩო ხელს უწყობს კონკრეტული მიზნების მიღწევის პროცესში პოტენციური ბარიერებისა და ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების დაძლევას. მაგალითად, ეფექტური და გაუმჯობესებული სერვისების მიწოდება შეიძლება ხელშეწყობილი იყოს ნაშენი გარემოს კომპაქტურობითა და მაღალი სიმჭიდროვით. თუმცა, მეორეს მხრივ ეს ეწინააღმდეგება იმავე ტერიტორიაზე დიდი მწვანე ტერიტორიების უზრუნველყოფის მიზანს. ასეთი პოტენციური კონფლიქტები, როგორც წესი, ურბანული დაგეგმარებისა და დიზაინის გადაწყვეტებით გადაიჭრება, ისე რომ ორივე მიზნის მიღწევა შესაძლებელი იყოს ნაშენი გარემოს ხარისხისა და ადამიანების კეთილდღეობის დათმობის გარეშე. სხვადასხვა გადაწყვეტების სარგებლის, კომპრომისებისა და პოტენციური ზემოქმედების კარგად გასაგებად, დაბალანსებული და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად, აუცილებელია *განვითარების ალტერნატიული სცენარების* და *გადაწყვეტების* შესწავლა. ამ მიზნის მხარდამჭერი სასარგებლო ინსტრუმენტებია *სტრატეგიული ზემოქმედების შეფასება* (SEA) ან *გარემოზე ზემოქმედების შეფასება* (EIA), რომელიც ხშირად კანონით არის მოთხოვნილი.

ურბანულ განვითარებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს დაინტერესებულ მხარეთა და ადგილობრივი თემის ჩართულობასა და მონაწილეობას დაგეგმარებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში განვითარების მრავალფეროვანი საჭიროებების გაწონასწორების მიზნით. ეს ხელს უწყობს ინკლუზიური და აყვავებული ქალაქების ჩამოყალიბებას, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაძლებლობებსა და მხარდაჭერას ყველასთვის, მათ შორის დაუცველი და მარგინალიზებული ჯგუფებისთვის, რათა მათაც შეძლონ ურბანიზაციის სიკეთეებით სარგებლობა. ყველა მაცხოვრებელს უნდა ჰქონდეს წვდომა ღირსეული ცხოვრების ყველა ასპექტზე, მათ შორის: „საცხოვრისი, ტრანსპორტი, განათლება, დასვენება, კომუნიკაცია, კულტურა, რელიგია, დასაქმება, სასამართლო სისტემა და სხვა აუცილებელი სერვისები.[40]“

მაცხოვრებლებს უნდა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა ღირსეული ცხოვრების ძირითად პირობებზე – საცხოვრებელზე, ტრანსპორტზე, განათლებაზე, დასვენებაზე, კომუნიკაციებზე, კულტურაზე, რელიგიაზე, დასაქმებასა და სამართლიანობაზე, სხვა სასიცოცხლოდ აუცილებელი სერვისების ჩათვლით.



სურათი 4.4
შვედეთის ქალაქმშენებლობითი სისტემის მიმოხილვა, რომელიც აჩვენებს კავშირს დაგეგმარებას, მშენებლობის კანონსა და გარემოსდაცვით კოდექსს შორის.

[40] გაეროს ჰაბიტატი, 2008წ.

საკვანძო მიგნებები

- როგორც წესი, ურბანული დაგეგმარებისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობა ეროვნულ ჩარჩოს ქმნის, რომლიც ადგენს ამოცანებს, დაგეგმარებისა და სამშენებლო კოდექსებს, გარემოსდაცვით სტანდარტებს და სხვა რეგულაციებს.
- მოქნილი კანონმდებლობა და პოლიტიკა მხარს უნდა უჭერდეს მდგრად განვითარებას. საჭიროების შემთხვევაში იგი ადგილობრივ პირობებზე მორგების შესაძლებლობას უნდა ქმნიდეს, მაგალითად, დადგენილებების, ბრძანებულებების ან კანონქვემდებარე აქტების მეშვეობით.
- თანამიმდევრული საკანონმდებლო და პოლიტიკური ჩარჩო ხელს უწყობს კონკრეტული მიზნების მიღწევის პროცესში პოტენციური ბარიერებისა და ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების დაძლევას.
- საუკეთესო შემთხვევაში, კანონმდებლობა და პოლიტიკური ჩარჩოები აყალიბებს ხელშემწყობ გარემოს, რომელიც განაპირობებს ურბანული განვითარების ერთიან მიდგომებს.
- ურბანული დაგეგმარების კანონმდებლობა ასევე შეიძლება ხელს უწყობდეს ურბანულ განვითარებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინტერესებისა და ფუნქციების კოორდინაციას, მაგალითად, მიწათსარგებლობის მიმართულებით.



სურათი 4.5
სივრცითი დაგეგმვის მრავალმასშტაბიანი მიდგომები ხელს უწყობს მდგრადი გადაწყვეტებისა და გადაკვეთის წერტილების აღმოჩენას.

4.3 სივრცითი დაგეგმარება და მიწის მართვა

სივრცითი და ურბანული დაგეგმარება ურბანული ტერიტორიებისა და სივრცეების მმართველობისა და მართვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. სივრცითი დაგეგმარება ხშირად მოიხსენება, როგორც *ტერიტორიული ან რეგიონული* დაგეგმარება, როდესაც იგი გამოიყენება უფრო ფართო გეოგრაფიულ კონტექსტში, მაგალითად, რამდენიმე ადგილობრივი ხელისუფლების მონაწილეობით. ამავდროულად, ურბანული დაგეგმარება (ყოვლისმომცველი გეგმა, გენერალური გეგმა, დეტალური ფიზიკური/განაშენიანების გეგმა) ძირითადად ეხება მეტროპოლიისა და ურბანულ ტერიტორიებს. სივრცითი დაგეგმარება გულისხმობს ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს მოწყობას, კოორდინაციასა და გამოყენებას გრძელვადიან პერიოდში. იგი მოიცავს ყველა ტიპის მიწათსარგებლობას, ბუნებრივ რესურსებსა და ურბანულ ქსოვილს. *'სიმბიოსითის'* მიდგომა იყენებს ტერმინს „სივრცითი დაგეგმარება“ ერთიანი მიდგომის მნიშვნელობის ხაზგასასმელად, რომელიც ასევე ითვალისწინებს ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის უწყვეტობის პრინციპს.

საუკეთესო შემთხვევაში, სივრცითი დაგეგმარება ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობას წარმოადგენს, ხოლო ურბანული განვითარებისადმი ყოვლისმომცველი და ერთიანი მიდგომა გულისხმობს სხვადასხვა ურბანული მასშტაბის ჩარევების ურთიერთკავშირს. მაგალითად, სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მიღების და ტერიტორიული დაგეგმარების პროცესი ხშირად გავლენას ახდენს ღონისძიებებსა და გადაწყვეტებზე ადგილობრივ დონეზე. თუმცა, საპირისპირო პროცესიც შესაძლებელია, როდესაც ადგილობრივი გადაწყვეტები მასშტაბირდება და *მეორდება*

ქალაქის ან ფართო ტერიტორიულ დონეზე. სივრცითი და ურბანული დაგეგმარებისადმი მრავალდონიანი ან მრავალმასშტაბიანი მიდგომა ხელს უწყობს *ურბანული* დინამიკის უკეთ გაგებას, ასევე *მდგრადი გადაწყვეტებისა და სინერგიის* გამოვლენას სხვადასხვა ურბანულ სისტემებს შორის.

სივრცითი დაგეგმარებისადმი ერთიანი მიდგომა მოიაზრებს ისეთი ურბანული სისტემების კოორდინაციასა და გაერთიანებას, როგორიცაა მიწათსარგებლობა, ინფრასტრუქტურისა და სერვისების უზრუნველყოფა, საჯარო სივრცეები და მწვანე ტერიტორიები. მსგავსად, ურბანული ტერიტორიებისა და *მისი შემოგარენის* დაგეგმარება ხელს უწყობს ურთიერთკავშირების და სინერგიის გამოვლენას (ქალაქსა და სოფელს შორის კავშირები). მაგალითად, ურბანული ტერიტორიის ეკოლოგიური კვალის შემცირების მიღწევა შესაძლებელია ორგანული ნარჩენების სასუქად გამოყენებით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ან ბიოგაზის (ენერგიის გამომუშავება) მისაღებად.

ურბანული ტერიტორიების სწრაფი გაფართოების შედეგად იზრდება ტერიტორიულ (რეგიონულ) დონეზე დაგეგმვის საჭიროება ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი დინამიკის უკეთ გასაგებად. ურბანული ცენტრების ოპტიმალური, ერთიანი და ურთიერთდაკავშირებული იერარქია ხელს უწყობს ისეთი ფუნქციების განაწილებას, როგორიცაა საცხოვრისისა და სერვისების მიწოდება, დასაქმების შესაძლებლობები და ეკონომიკური განვითარება, რითაც ამცირებს წნეხს ცალკეულ ერთეულებზე. *საშუალო და მეორეული მნიშვნელობის* ქალაქები შეიძლება ურბანული ზრდის კვანძებად იქცეს, რითაც ხელს შეუწყობს მომსახურების, ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის თავმოყრას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზრების განვითარებას. მოსახლეობის შემცირების ან დაღმავალი ეკონომიკური საქმიანობის პირობებში, სივრცითი და ურბანული დაგეგმარება კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, მაგალითად, მიწის ფუნქციური გამოყენების ცვლილების, სერვისების მიწოდების განაწილებისა თუ ნაშენი გარემოს აღდგენის საშუალებით.

სივრცითი დაგეგმარება (ტერიტორიულ ან საქალაქო დონეზე) როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი განვითარების სახელმძღვანელო დოკუმენტია. ის მიწათსარგებლობისა და ნაშენი გარემოს განვითარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და მმართველობის საფუძველია. გეგმა უნდა ეფუძნებოდეს *გრძელვადიან ხედვას*, თუ როგორ უნდა უპასუხოს ქალაქმა ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ საჭიროებებს, მათ შორის საბინაო, ინფრასტრუქტურული, საინვესტიციო შესაძლებლობებისა და გარემოს გაუმჯობესების ინიციატივების უზრუნველყოფით. იგი ქმნის ჩარჩოს, რომელიც წარმართავს კონკრეტული რაიონების, ტერიტორიებისა და უბნების *განვითარების დეტალურ დაგეგმარებას*, მაგალითად, მიწათსარგებლობისა და მშენებლობის ნებართვების რეგულირების გზით. განვითარების დეტალური გეგმები განსაზღვრავს *სამშენებლო ნებართვებისა და კონტროლის პროცესს. ისინი ურბანული დიზაინის პრინციპებსა და სახელმძღვანელო*

ტერიტორიული და ურბანული განვითარების გეგმები უზრუნველყოფენ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, რაც გავლენას ახდენს განვითარების სწორ დაგეგმარებასა და ინვესტიციების განხორციელებაზე, როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერიოდში.



სურათი 4.6
ინტეგრირებული დაგეგმვა მოიცავს განვითარების საკითხებს მრავალ ურბანულ მასშტაბზე.

მითითებებთან ერთად ხელს უწყობს მაღალი ხარისხის განაშენიანებას, ასევე ცნობიერების ამაღლებასა და კომუნიკაციას, მათ შორის ადგილობრივ თემებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

სივრცითი დაგეგმარება ქმნის ჩარჩოს, რომელიც სხვადასხვა ურბანულ სისტემებსა და ფუნქციებს შორის სინერგიის გამოვლენის და *ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური სიკეთეებით* სარგებლობის საშუალებას იძლევა. ერთიანი მიდგომა გულისხმობს საჯარო და კერძო სექტორების, ინსტიტუციებისა და ორგანიზაციების ჩართულობას, რაც უზრუნველყოფს მრავალფეროვანი პროფესიული და დარგობრივი მოსაზრებების გათვალისწინებას[41]. ეს თანაბრად მნიშვნელოვანია ადმინისტრაციებისათვის არსებული შიდა იზოლირების დასაძლევად. შედეგად, სივრცითი დაგეგმარების საერთო გაგება კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

ერთიანი მიდგომის ხელშეწყობისას აუცილებელია, რომ სივრცითი დაგეგმარების გეგმები მჭიდროდ იყოს დაკავშირებული დაფინანსების წყაროებთან, მაგალითად, მუნიციპალურ ბიუჯეტთან, სტრატეგიების, პრიორიტეტებისა და გეგმების ეფექტიანი განხორციელებისთვის. ამ კონტექსტში, სივრცითი დაგეგმარების გათვალისწინებით შექმნილი *კაპიტალურ საინვესტიციო გეგმებში* (CIP) მოცემულია საინვესტიციო პრიორიტეტებისა და სხვადასხვა ჩარევის ხარჯები. შესაძლებელია, მათი მუნიციპალური ბიუჯეტის შედგენის პროცესში გათვალისწინება, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ ინვესტიციებს, არამედ ტექნიკური მომსახურებისა და ექსპლუატაციის ხარჯებსაც.

სივრცითი დაგეგმარების გეგმების რეგულარული გადასინჯვა უზრუნველყოფს მის განახლებას კონტექსტური ცვლილებებისა და განვითარების საპასუხოდ, რა დროსაც შესაძლებელია არსებული საკითხების გადახედვა ან ახლის დამატება. აღნიშნული პროცესი მოითხოვს დაინტერესებულ მხარეებთან აქტიურ თანამშრომლობას და დიალოგს, მათ შორის მოქალაქეები, მიწის მესაკუთრეები, საჯარო და კერძო კომპანიები, სამოქალაქო ორგანიზაციები და სხვა აქტორები. ამავდროულად, იგი შეიძლება გამოვიყენოთ მონაწილეობისა და თანამშრომლობის გაძლიერების საკომუნიკაციო პლატფორმად. კარგად ჩამოყალიბებული სივრცითი გეგმა ეფუძნება ინკლუზიურ და მონაწილეობით პროცესს და წარმოადგენს *ეფექტიანი, ერთიანი და ინკლუზიური* ურბანული განვითარების საფუძველს.

ერთის მხრივ, სივრცითი (ან ურბანული) გეგმის ხედვასა და სტრატეგიებს, ხოლო მეორეს მხრივ, მიწის აქტიურ მართვას შორის ურთიერთკავშირები ქმნის სინერგიასა და განვითარების პოტენციალს, ისეთ სფეროებში, როგორიცაა სერვისების, ინფრასტრუქტურისა და ხელმისაწვდომი საცხოვრისის მიწოდება. იგი ასტიმულირებს ეკონომიკურ განვითარებას და ხელს უწყობს გარემოსდაცვითი პრინციპები დაცვას. შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და მიწის მართვის სისტემებს შორის მჭიდრო კოორდინაცია აუცილებელი წინაპირობაა.

[41] ტორნბერგი, ჰ. (2011წ.), ერთიანი დაგეგმარების გააზრება, სადოქტორო დისერტაცია დაგეგმარებასა და გადაწყვეტილების ანალიზში, ურბანულ და რეგიონულ კვლევებში სპეციალიზაციით, სტოკჰოლმი.

საკვანძო მიგნებები

- სივრცითი დაგეგმარება ფიზიკური და ბუნებრივი გარემოთი სარგებლობის მოწყობის და კოორდინაციის ეფექტური ინსტრუმენტია. იგი მოიცავს ყველა ტიპის მიწათსარგებლობას, ბუნებრივ რესურსებსა და სოფელსა და ქალაქებს შორის უწყვეტ კავშირს.
- სივრცითი და ურბანული დაგეგმარების მრავალმასშტაბიანი მიდგომები ხელს უწყობს ერთიანი გადაწყვეტების პოვნას, მათ შორის სხვადასხვა ურბანულ სისტემებს შორის სინერგიის გამოვლენას.
- ურბანული გეგმები უნდა ითვალისწინებდეს მუნიციპალური ბიუჯეტირების და საინვესტიციო საჭიროებებს, მათ შორის ექსპლოატაციისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს.
- პროაქტიული ურბანული დაგეგმარება და მიწის მართვა უნდა ითვალისწინებდეს ქალაქის სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს.
- მიუხედავად იმისა, რომ ურბანული დაგეგმარება, როგორც წესი, ზრდაზე ორიენტირებულ კონტექსტში გვესახება, ის არანაკლებ მნიშვნელოვანია მოსახლეობის შემცირების ან ეკონომიკური დაღმასვლის შემთხვევაში.

4.4 ინკლუზიური პროცესები

საზოგადოების ეფექტიანი და შინაარსიანი მონაწილეობის პრაქტიკა ინსტიტუციურად უნდა დაინერგოს სამართლებრივი მექანიზმების და ჩართულობის კულტურული ფორმების მეშვეობით. ასეთი გააზრებული მიდგომა ხელს უწყობს ბარიერების, უთანხმოებებისა და არასწორი აღქმების დაძლევას და ნდობის გამყარებას გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს, დაინტერესებულ მხარეებს, თემებსა და ბენეფიციარებს შორის. 'სიმბიოსითის' მიდგომა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მონაწილეობასა და კომუნიკაციაზე, როგორც აუცილებელ ინსტრუმენტზე შემდეგი მიზნების მისაღწევად:

- **ადამიანის უფლებები** – მოქალაქეებს უფლება აქვთ, მონაწილეობდნენ მათ ცხოვრებაზე ზეგავლენის მქონე გადაწყვეტილებების მიღების საკონსულტაციო პროცესში და სრულად ინფორმირებულნი იყვნენ ამ გადაწყვეტილებების საფუძვლების შესახებ.
- **დემოკრატია** – გამჭვირვალობა და მკაფიო კომუნიკაცია აუცილებელია, რომ მოქალაქეებმა თავიანთი წარმომადგენლებისა და ლიდერების მიღებულ გადაწყვეტილებებზე ანგარიშვალდებულება უზრუნველყონ. მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობა ამცირებს დისტანციას საზოგადოებასა და საჯარო უწყებებს შორის.
- **ეფექტიანობა და ქმედითობა** – ურბანული განვითარების პროცესში, მოქალაქეებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობა აუმჯობესებს გეგმებისა და პროექტების ხარისხს და მათ რეალურ საჭიროებებთან შესაბამისობას.

მაგალითი

საცხოვრისის გაუმჯობესება სათემო ინიციატივების საშუალებით

ბოლივიაში ქალების მიერ ჩამოყალიბებული ფედერაციის „Tejiendo Ciudades“ (მოქარგული ქალაქები) მიზანია ჯგუფის წევრებისთვის დაბალპროცენტიანი სესხების შეთავაზება და ამით საკუთრების უფლებრივი მდგომარეობის, ცხოვრების ხარისხისა და საარსებო წყაროების გაუმჯობესება. 2017 წლის მონაცემებით, ფედერაცია მოიცავდა 32 ჯგუფს სამ ქალაქში, ჯამში 500 წევრით. იგი აქტიურად თანამშრომლობდა უბნის საბჭოებთან და ადგილობრივი თემის სხვა წარმომადგენლებთან. მოკლევადიანი სესხები, რომლებიც საშუალოდ 150-300 აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობდა, ბარაკებში მცხოვრებ ოჯახებს საცხოვრებელი სივრცის გაუმჯობესების, საკუთრების უფლების დაცვის, ძირითადი სერვისების უზრუნველყოფის ან საჭირო აღჭურვილობის შეძენის საშუალებსა აძლევდა. ფედერაციის საქმიანობამ უკვე 385 ოჯახის საცხოვრებელი პირობები გააუმჯობესა, მათ შორის მიწის რეგისტრაციისა და სამართლებრივი დაცვის საშუალებებით. ინიციატივას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქალაქის მედეგობის გაძლიერებაში უსაფრთხო და ხელმისაწვდომ საცხოვრისზე წვდომის გაფართოებით, ადამიანთა დაუცველობის შემცირებითა და სათემო კავშირების გაძლიერებით.

წყარო: Slum Dwellers International[42] (SDI), https://sdinet.org/

[42] საერთაშორისო ბარაკების მაცხოვრებლები

შინაარსიანი მონაწილეობა მოითხოვს შესაბამისი დაინტერესებული მხარეების გამოვლენასა და ჩართვას. ესენი შეიძლება იყვნენ პირები, რომლებზეც პირდაპირ თუ ირიბად მოქმედებს ესა თუ ის ღონისძიება. როგორც წესი, ურბანული დაინტერესებული მხარეები განსხვავებული კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ისტორიის მქონე, არაერთგვაროვანი ჯგუფებისგან შედგება. ამასთან, იგივე შეიძლება ითქვას ადგილობრივ თემებზე, რომელთა მკაფიოდ განსაზღვრაც ხშირად რთულია.

ქვემოდან ზემოთ მიმართული მიდგომები აღიარებს ადგილობრივ ღირებულებებს და ქმნის სივრცეებს, სადაც პრიორიტეტულია მაცხოვრებელთა საჭიროებები და გათვალისწინებულია მათი ცოდნა, სოციალური კავშირები და მისწრაფებები. ასეთი მიდგომით იგი ხელს უწყობს სოციალური კაპიტალის გაძლიერებას და უფრო ინკლუზიური და მდგრადი ურბანული გარემოს შექმნას. როგორც წესი, სათემო დონის ურბანული განვითარება მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობასა და პარტნიორობას სხვადასხვა სუბიექტებს შორის, მათ შორის ადგილობრივი თემი, ადგილობრივი ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები და ბიზნესის წარმომადგენლები.

მაგალითი

მონაწილეობითი, მდგრადი და ინკლუზიური ურბანული დაგეგმვის ხელშეწყობა იორდანიაში

2024-2025 წლებში SALAR International-მა განახორციელა რეგიონული შესაძლებლობების განვითარების პროგრამა (INLOG) ადგილობრივი მმართველობის დაინტერესებული მხარეებისთვის ალჟირიდან, იორდანიიდან, ლიბიიდან, მაროკოდან და სირიიდან.

რეგიონული პროგრამის ფარგლებში, რომელიც მოიცავდა მრავალფეროვან სესიებს, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო 'სიმბიოსითის' მიდგომის გამოყენებას, რომლის საფუძველზეც სასწავლო პროგრამის მონაწილე თითოეული ქვეყნის გუნდმა განახორციელა თავიანთი ქვეყნისთვის სპეციფიკური მცირე პროექტი.

იორდანიის გუნდმა შეიმუშავა სახელმძღვანელო „მონაწილეობითი, პროაქტიული და მდგრადი ადგილობრივი ურბანული დაგეგმვა", რომელიც მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტების მხარდაჭერას მონაწილეობითი და მდგრადი ურბანული დაგეგმვის პრაქტიკის დანერგვაში. სახელმძღვანელოში დეტალურად, გასაგები და მარტივი ენით აღწერილია მიდგომის განხორციელების ნაბიჯები.

სახელმძღვანელო ეფუძნება 'სიმბიოსითის' მიდგომას და შედგება ექვსი ძირითადი ნაბიჯისგან. იგი ტესტირებულია იორდანიის სამ მუნიციპალიტეტში, რის შედეგადაც მუნიციპალიტეტებმა წარმატებით დანერგეს აღნიშნული მიდგომა. მიღებული გამოცდილება აისახა სახელმძღვანელოს საბოლოო ვერსიაში პრაქტიკული მაგალითების სახით, რაც მას კიდევ უფრო მეტად მორგებულ ხდის იორდანიის კონტექსტთან.

დიდი კარაკის მუნიციპალიტეტმა, თავისი ურბანული განვითარების და GIS ლაბორატორიის მხარდაჭერით, იტვირთა ჰაბის როლი ქალაქებს შორის ცოდნის გაზიარების ხელშეწყობისთვის. აღნიშნული ინიციატივა უზრუნველყოფს ჰორიზონტალურ თანამშრომლობას, აძლიერებს ინსტიტუციურ შესაძლებლობებს და ქმნის საფუძველს მიღებული გამოცდილების გავრცელებისთვის, როგორც გუბერნიებს შორის, ისე უფრო ფართო რეგიონში.

პროექტის ფარგლებში შექმნილი სახელმძღვანელო თავსებადია და ხელს უწყობს იორდანიის ეროვნული ურბანული პოლიტიკის (JNUP) განხორციელებას.

მონაწილეობის სხვადასხვა ფორმებისა და დონის გამოყენება შეიძლება მიზნობრიობისა და მიმდინარე პროცესის ეტაპის შესაბამისად, მათ შორის:

- **ინფორმაციის გაზიარება** საწყის ეტაპებზე კომუნიკაციის დამყარებისა და ინფორმირებისთვის;
- **კონსულტაცია** წინადადებების წარდგენის პროცესში, როდესაც დაინტერესებული მხარეები კომენტარებს აკეთებენ;
- **მონაწილეობა**, ალტერნატივებზე მსჯელობისას, როდესაც აქტიური წვლილია მოსალოდნელი;
- **თანამშრომლობა**, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ აქტიური წვლილი შეიტანონ დაგეგმვის, განხორციელების და მუშაობის პროცესში დროის და/ან სხვა რესურსების საშუალებით;
- **მობილიზაცია**, დაინტერესებული მხარეები წახალისებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ განხორციელების, მუშაობისა და ტექნიკური მომსახურების პროცესში.
- **გაძლიერება**, როდესაც გადაწყვეტილებების მიღების ძალა და პასუხისმგებლობა თანაბრად გადანაწილებულია ყველა მხარეს შორის
- **სამოქალაქო აქტორების მიერ ინიცირებული და მართული**, როდესაც კონკრეტულ განვითარების პროექტებს ხელმძღვანელობენ ადგილობრივი თემები.

დაინტერესებულ მხარეებს შორის ცნობიერების ამაღლება შინაარსიანი მონაწილეობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამისათვის შესაძლებელია კამპანიების განხორციელება როგორც ურბანული მდგრადობის ზოგადი საკითხების შესახებ, ისე კონკრეტულ თემებზე (მაგალითად, ნარჩენების მართვა) ან განვითარების კონკრეტულ ინიციატივებზე. ასეთი კომუნიკაცია, როგორც წესი, ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობაა, თუმცა პროცესში შეიძლება ჩაერთონ სხვა უწყებებიც, რომელთაც ცნობიერების ამაღლებისა და კომუნიკაციის ექსპერტული ცოდნა გააჩნიათ.

ცნობიერების ამაღლება მონაწილეობის აუცილებელი წინაპირობაა. შედეგების ხარისხზე, როგორც წესი, გადამწყვეტ გავლენას

სტოკჰოლმი სთავაზობს საზოგადოებას მონაწილეობის მიღებას ურბანული განვითარების ინიციატივებში (Stockholmsrummet).

წყარო: https://nyatunnelbanan.se/nyheter/stockholmsrummet-oppnar-utstallning-om-infrastruktur/

მაგალითი

სათემო მონაწილეობის ციფრული ინსტრუმენტები

გაეროს ჰაბიტატსა და Mojang-ს შორის თანამშრომლობით შექმნილმა ინიციატივამ, „Block By Block“ (ბლოკი-ბლოკზე) Minecraft-ის ვიდეო თამაშის გამოყენებით წაახალისა, როგორც ადგილობრივი მმართველობა, ასევე სამოქალაქო ჩართულობა საჯარო სივრცის მოწყობის სფეროში. ადგილობრივ თემს, სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და განათლების ადამიანებს საშუალება ჰქონდათ ერთობლივად შექმნათ და სამ განზომილებაში წარმოეჩინათ საკუთარი მისწრაფებები და იდეები, მიეღწიათ კონსენსუსისთვის და მიეღოთ ინფორმირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც შემდგომში უბნებისა და ადგილების რეალურ, განხორციელებად ინიციატივებად გარდაიქმნა.

ახდენს პროცესის ღიაობისა და გამჭვირვალობის დონე. ინკლუზიური და მონაწილეობითი პროცესის უზრუნველყოფას მრავალი უპირატესობა გააჩნია, მათ შორის:

- ადგილობრივი დემოკრატიისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაძლიერება;
- გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის ზრდა;
- მოქალაქეთა პრიორიტეტებისა და საჭიროებების უკეთესი გაგება;
- კოლექტიური ცოდნის, გამოცდილებისა და განსხვავებული თვალსაზრისის გათვალისწინება;
- მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება – მუნიციპალიტეტის ხედვის, მიზნებისა და სერვისების შესახებ.
- გაზრდილი მონაწილეობა ადგილობრივ არჩევნებში;
- მოქალაქეებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების წვლილის გაზრდა ადგილობრივ განვითარებაში.

განვითარებისა და დაგეგმვის პროცესებში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის ფორმები მრავალფეროვანია და მათი არჩევანი დამოკიდებულია მიზნებზე, მასშტაბზე, მოსალოდნელ შედეგებსა და ხელმისაწვდომ რესურსებზე. ტრადიციულად, ეს მოიცავს დაგეგმარებისა და თანაშექმნის ფორუმებს, თემატურ სამუშაო შეხვედრებსა და ღია დღის წესრიგის მქონე შეხვედრებს ანუ *აქტიური მონაწილეობა*. პასიური მონაწილეობა გულისხმობს სემინარებს, ღია საჯარო შეხვედრებსა და მოსმენებს, სადაც დაინტერესებული მხარეები ძირითადად ინფორმაციის იღებენ და კომენტარებს აკეთებენ. ადგილზე ვიზიტები და საფეხმავლო ტურები დამატებით ხელს უწყობს ფიზიკური გარემოს უკეთ გაგებას და თემების საჭიროებების გამოვლენას.

ახალი სკეიტბორდ პარკი პრიშტინაში, კოსოვო – ინკლუზიური დაგეგმვის შედეგად, Minecraft (ვიდეო თამაში) გამოყენებით.
წყარო: www.blockbyblock.org

სხვადასხვა ციფრული ტექნოლოგიები და ინსტრუმენტები ფართოდ ხელმისაწვდომია და ინფორმაციისა და მონაცემების შეგროვებისა და ანალიზისათვის ხშირად გამოიყენება. შესაძლებელია მათი გამოყენება ისეთი ინფორმაციის გავრცელებისთვის, რომელიც აქამდე მხოლოდ ექსპერტებისა და თანამდებობის პირებისთვის იყო ხელმისაწვდომი. ციფრული ინსტრუმენტები ასევე გამოსადეგია კონცეფციების, იდეებისა და შესაძლო გადაწყვეტების ვიზუალურად გამოსახვისა და გადმოცემისათვის, რაც შესაბამისად ხელს უწყობს ადგილობრივ თემებს, მაცხოვრებლებსა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობებს.

მიუხედავად იმისა, რომ ციფრული პლატფორმები და ინსტრუმენტები დადებითად აისახება ფართო საზოგადოების ჩართვასა და მონაწილეობაზე, არსებობს გარკვეული სეგმენტის გარიყვის რისკი ციფრული წიგნიერების ან კომპიუტერებზე, სმარტფონებსა თუ ინტერნეტზე წვდომის ნაკლებობიდან გამომდინარე. ვებსაიტები და სოციალური მედიის პლატფორმები შეიძლება გამოვიყენოთ არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებისა და გაზიარებისთვის, არამედ მაგალითად, დაგეგმილი წინადადებების შესახებ ინფორმაციის, კომენტარებისა და გამოხმაურებების შეგროვებისთვის. კონტექსტის შესაბამისად შესაძლებელია ასევე მასმედიის, მაგ., რადიო,

ტელევიზია და სოციალური მედია, გამოყენება, როგორც ინფორმაციის გავრცელების, ასევე დაინტერესებულ მხარეთა საჯარო დებატებზე მოწვევისათვის.

შესაძლებელია ჩართულობისა და მონაწილეობის გაუმჯობესების სხვადასხვა საშუალებების გაერთიანება გარემოებების, მიზნისა და ხელმისაწვდომი რესურსების შესაბამისად, რადგან თითოეულ მათგანს თავისი უპირატესობები აქვს.

ინფორმაციის მიწოდებისა და კომუნიკაციის პლატფორმების შექმნა დადებითად აისახება განვითარების განსაკუთრებით მსხვილ და გრძელვადიან ინიციატივებზე. ამგვარი სივრცეები მოსახლეობას აწვდის ზოგად ინფორმაციას, აქ შესაძლებელია შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება და წინადადებებისა და გეგმების წარდგენა და განხილვა მაცხოვრებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. ასეთი სივრცე შესაძლებელია განთავსდეს არსებულ საჯარო ობიექტზე (მაგ. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა ან ბიბლიოთეკა) ან კონკრეტული მიზნით შეიქმნას დროებით.

პროცესებში ჩართვის ფორმის მიუხედავად, დაინტერესებულ მხარეთა პროცესში მონაწილეობის და მიღებული ინფორმაციის დოკუმენტირება აუცილებელია გამჭვირვალობის გაუჯობესებისა და ნდობის ჩამოყალიბებისათვის. ზოგჯერ კომენტარების თუ წინადადებების დაკმაყოფილება შეუძლებელია, რა დროსაც დოკუმენტაცია და დასაბუთება თანაბრად მნიშვნელოვანია.

დასაწყისშივე მნიშვნელოვანია ურთიერთგაგების ჩამოყალიბება და კონკრეტული ჩარევის (ინიციატივის) ჩარჩოს, მიზნისა და შეზღუდვების დადგენა, რათა მოლოდინების შექმნასთან ერთად უზრუნველყოფილი იყოს დაინტერესებული მხარეების მიზანმიმართული და შინაარსიანი ჩართულობა. ანალოგიურად, მაგალითად თუ შესაძლებელია, კონკრეტული პროექტის დაგეგმვის საბოლოო გადაწყვეტილებით ზოგიერთი დაინტერესებული მხარე უკმაყოფილო დარჩეს, მით უფრო მნიშვნელოვანია შესაძლებლობებისა და გასაჩივრების პროცედურების გაცნობა.

სამოქალაქო საზოგადოების როლი გარემოს დაგეგმვაში უნდა გაძლიერდეს მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესების, სასამართლო საჩივრების მექანიზმების და მაღალი ხარისხის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობით.

საკვანძო მიგნებები

- საჯარო მონაწილეობა ხელს უწყობს სიახლეების მიღებას ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. ამავე დროს, იგი აუმჯობესებს გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და ეფექტურობას.
- გადამწყვეტია ადგილობრივი ცოდნისა და ღირებულებების გათვალისწინება შესაბამისი ინიციატივების განხორციელებისას, რომლებიც პასუხობს ურბანული განვითარების გამოწვევებსა და საჭიროებებს.
- მონაწილეობა და ჩართულობა გარემოებებიდან და მიზნიდან გამომდინარე შეიძლება განსხვავდებოდეს. დაგეგმარების პროცესში ეს შეიძლება მოიცავდეს უბრალო კომუნიკაციას, კონსულტაციასა და მობილიზებას.
- სამოქალაქო საზოგადოების როლი გარემოს დაგეგმვაში უნდა გაძლიერდეს მონაწილეობითი გადაწყვეტილების

ახალგაზრდების ჩართულობა ურბანული ხედვის შემუშავების პროცესში, 'სიმბიოსითი' კოლუმბია.

მიღების პროცესების, სასამართლო საჩივრების მექანიზმების და მაღალი ხარისხის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მეშვეობით.

- სამიზნე ჯგუფებისა და მიზნიდან გამომდინარე შესაძლებელია განსხვავებული მიდგომებისა და ინსტრუმენტების გამოყენება შინაარსიანი მონაწილეობის ხელშეწყობისთვის.

4.5 პარტნიორობების ჩამოყალიბება

სწრაფი ურბანიზაციისა და გლობალური გამოწვევების პირობებში აუცილებელია ძალისხმევის დაჩქარება, რათა შესაძლებელი გახდეს ახალ ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებზე, უპირველეს ყოვლისა კი კლიმატის ცვლილებაზე პასუხი. ურბანულ დაინტერესებულ მხარეთა შორის თანამშრომლობა და პარტნიორობის ჩამოყალიბება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, მათ შორის დასაქმების ხელშეწყობისა და ეკონომიკური ზრდის წახალისებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების სხვადასხვა დონე აღჭურვილია ამ გამოწვევების გადაწყვეტისათვის საჭირო ინსტრუმენტებით, ხშირად აუცილებელია ადგილობრივ დონეზე განხორციელებული ღონისძიებების დაჩქარება. ეს, თავის მხრივ, მოითხოვს პარადიგმის ცვლილებას და „ჩვეული ბიზნეს მოდელიდან“ ინოვაციურ მიდგომებსა და გადაწყვეტებზე გადასვლას.

შესაძლოა საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის *თანამშრომლობითა და კოლაბორაციით* დაჩქარდეს გამოვლენილი და შეთანხმებული ღონისძიებების განხორციელება. ამავდროულად, ეს იქნება შესაბამის სფეროებში სპეციალიზებული ექსპერტული ცოდნისა და უნარების მობილიზების საშუალება. მიუხედავად იმისა, რომ კონტექსტიდან გამომდინარე პარტნიორობის ფორმები და კერძო სექტორის ჩართულობა შეიძლება განსხვავდებოდეს, მას თან ახლავს რისკების განაწილებისა და საინვესტიციო ფინანსურ რესურსებზე წვდომის გაიოლების სარგებელი. საჯარო-კერძო პარტნიორობა ან სპეციალიზებული სტრუქტურები საჯარო და კერძო სექტორებს შორის პარტნიორობის ფართოდ გავრცელებული ფორმებია. როგორც წესი, (შესაბამისი დონის) სამთავრობო უწყებები პასუხისმგებელნი არიან პარტნიორობის მარეგულირებელ და პოლიტიკის ჩარჩოსთან შესაბამებაზე ხელშემწყობი გარემოს შექმნისათვის. წარმატების შემთხვევაში, საჯარო და კერძო სექტორებს შორის პარტნიორობით შესაძლებელია სერვისების მიწოდების გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურული და საბინაო პროექტების განხორციელების დაჩქარება, ინოვაციური გადაწყვეტების დანერგვა და კლიმატის ცვლილების გამოწვევის დაძლევაში წვლილის შეტანა.

სათანადოდ დაგეგმარებული ურბანული განვითარება მოიზიდავს სხვადასხვა ბიზნესებს. მათ, თავის მხრივ, ეკონომიკურ განვითარებასა და ზრდაში შეაქვთ წვლილი, ქმნიან სამუშაო ადგილებს და წაახალისებენ მეწარმეობასა და ინოვაციას. ურბანული განვითარება და ტრანსფორმაციული ინიციატივები უნდა

ეფუძნებოდეს ადგილობრივი ხელისუფლების უწყვეტ თანამშრომლობას ბიზნესის წარმომადგენლებთან, მათ შორის მცირე და საშუალო მეწარმეებთან. ეს უზრუნველყოფს განსხვავებული საჭიროებების დაკმაყოფილებას და ამავდროულად დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას. კერძო სექტორის სერვისების მიწოდებაში მონაწილეობა შეიძლება მოიცავდეს საერთაშორისო კომპანიებს, რომლებიც წყალმომარაგებისა და სანიტარულ ობიექტებს მართავენ, და ქალაქის გაჭირვებულ მაცხოვრებლებს, ვისთვისაც ნარჩენების შეგროვება და გადამუშავება საარსებოა წყაროა[43].

ასევე, კერძო სექტორმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობასა და სათბური აირების ემისიების შემცირებაში, მაგალითად, მწვანე ტექნოლოგიების დანერგვით ისეთ დარგებში, როგორიცა ენერგეტიკა, ციფრული გადაწყვეტები და ინფრასტრუქტურული პროექტები. მდგრადობის პირნციპების დაცვითა და ისეთ დარგებში დაგროვილი გამოცდილებით, როგორიცაა განახლებადი ენერგია, ტრანსპორტირება, ლოგისტიკა, წყალმომარაგება და ნარჩენების მართვა, მშენებლობა და ინფრასტრუქტურა, კერძო სექტორმა შეიძლება მხარი დაუჭიროს ეკოლოგიური კვალის, სათბურის აირების ემისიებისა და დაბინძურების შემცირებას.

პარტნიორობების შექმნა, მაგალითად საჯარო, კერძო და აკადემიური სექტორებს შორის, ხელს უწყობს ეკონომიკური განვითარების და ზრდის გააქტიურებას

[43] ამ სფეროში საჯარო-კერძო პარტნიორობის გამოცდილება განხილულია ტანერფელდტისა და ლიუნგის ნაშრომში, გვ. 115-122.

საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობა უნდა ეფუძნებოდეს გამჭვირვალობის პრინციპებს, მკაფიო რეგულაციებსა და პროცედურებს. ეს ასევე მოიცავს შესყიდვების პროცესებსა თუ ოპერაციებს, ისევე როგორც ხარჯთსარგებლიანობის დასაბუთებულ ანალიზს. საჯარო რესურსების ეფექტიანად დაბანდებისთვის საჯარო-კერძო პარტნიორობა უნდა იყოს კონკურენტუნარიანი, პოლიტიკური ციკლის ცვლილებისადმი მდგრადი და კონტროლს დაქვემდებარებული. სხვა შემთხვევაში, სერვისების მიწოდების კერძო სექტორზე გადაცემამ შეიძლება გამოიწვიოს ფრაგმენტაცია და არასათანადო ოპტიმიზაცია. საჯარო და კერძო პარტნიორობაში ასევე შეიძლება ჩაერთოს აკადემიური წრე, რომელიც ინოვაციებით, ცოდნითა და ინსტიტუციური და სხვა შესაძლებლობების გაძლიერებით შეიტანს წვლილს.

ფოტო Love to Ride Batumi

პარტნიორობები შეიძლება დაფუძნდეს სხვადასხვა ფორმით, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური. აქ პარტნიორები ჩართული არიან საფეხმავლო ტურში, საქართველოში.

საკვანძო მიგნებები

- პარტნიორობით იქმნება ექსპერტულ გამოცდილებასა და უნარებზე, ასევე დაფინანსების შესაძლებლობებზე წვდომა; უმჯობესდება სერვისების მიწოდება მაგ., საბინაო და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას.
- კოლაბორაცია და თანამშრომლობა საჯარო და კერძო სექტორებს შორის უნდა ეფუძნებოდეს გამჭვირვალობის პრინციპებს, მკაფიო რეგულაციებსა და პროცედურებს (მაგ., შესყიდვის პროცესები ან ოპერაციები) და ხარჯთსარგებლიანობის დასაბუთებულ ანალიზს.
- წარმატებული პარტნიორობები გამყარებულია ხელშემწყობი კანონმდებლობითა და პოლიტიკით.
- პარტნიორობები და კოლაბორაცია ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებას და წვლილი შეაქვს მწვანე და ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლაში.
- საჯარო-კერძო პარტნიორობები პოლიტიკური ციკლის მიმართ მდგრადობას უნდა ინარჩუნებდეს, იყოს კონკურენტუნარიანი და ექვემდებარებოდეს მონიტორინგს. ეს უზრუნველყოფს საჯარო რესურსების სათანადო დაბანდებას და თავიდან აგვაცილებს ფრაგმენტაციასა და არასათანადო ოპტიმიზაციას.

4.6 ურბანული განვითარების დაფინანსება

სწრაფი ურბანიზაციას პირობებში, მდგრადი ურბანული განვითარების დაფინანსებაზე მოთხოვნა მუდმივად მზარდია, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ინფრასტრუქტურას, საცხოვრისსა და სერვისების მიწოდებას.

ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივ ხელისუფლებას არ გააჩნია შესაძლებლობა სრულად მოიზიდოს საჭირო სახსრები, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, სადაც საინვეტიციო საჭიროებები უფრო მაღალია განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით.

“ ქალაქების პოტენციალის გამოვლენა: მდგრადი ურბანული განვითარების დაფინანსება, გაეროს ჰაბიტატი, 2023წ.

გაეროს ჰაბიტატის[44] მონაცემებით, ერთ სულ მოსახლეზე საშუალო წლიური საკუთარი შემოსავალი მნიშვნელოვნად განსხვავდება ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის: დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში იგი შეადგენს დაახლოებით 12 აშშ დოლარს, ხოლო მაღალშემოსავლიან ქვეყნებში – 2944 აშშ დოლარს. რესურსების ნაკლებობა განაპირობებს პრიორიტეტული ინვესტიციების მკაფიოდ განსაზღვრის აუცილებლობას. მაგალითად, შესაბამის ინფრასტრუქტურაში განხორციელებულ ინვესტიციებს შეიძლება ჰქონდეს მამრავლის ეფექტი. არსებული შეფასებებით, მთლიანი მშპ-ის ინფრასტრუქტურაზე ხარჯვის 0,5%-იანი ზრდა იწვევს მშპ-ის 1%-იანი ზრდას, რაც განპირობებულია მწარმოებლურობის, კავშირისა და საერთო კეთილდღეობის გაუმჯობესებით.

დაფინანსების ხელმისაწვდომობა

დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახენს ხელშემწყობი გარემო, მათ შორის მისი მმართველობითი, საკანონმდებლო და ინსტიტუციური ასპექტები. გაეროს ჰაბიტატის 2023 წლის მონაცემებით მკაფიო სამართლებრივი და მარეგულირებელი სისტემების არსებობა ხელს უწყობს, როგორც ეროვნული მთავრობის, ისე ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების მიერ სესხების აღებისა და მართვის პროცესს. ეს შეიძლება მოიცავდეს მიწის ბაზრებისა და უძრავი ქონების მარეგულირებელ ჩარჩოებს. ამასთან, შესაბამის *ინსტიტუტებს* უნდა გააჩნდეთ დაფინანსების ინსტრუმენტების შექმნისა და ამოქმედების *საჭირო უნარები და შესაძლებლობები*, რათა საინვესტიციო შესაძლებლობები გარე მხარეებზე, მათ შორის კერძო სექტორზე გავრცელდეს.

ეს გულისხმობს ეფექტიან, ანგარიშვალდებულ და პროგნოზირებად სამთავრობო კოორდინაციას, სადაც პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები მკაფიოდ არის განსაზღვრული. ქალაქების (ადგილობრივ ხელისუფლების) კრედიტუნარიანობის დემონსტრირება ხელს უწყობს კაპიტალის ბაზრებიდან კერძო სექტორის ინვესტიციების მოზიდვას. შესაბამისად, ადგილობრივ ხელისუფლებას სჭირდება დიდი კაპიტალური პროექტების დაგეგმვისა და მართვის, ასევე ფინანსურ ბაზარზე რყევების (ვალუტის გაცვლა, საპროცენტო განაკვეთები და ა.შ.) მართვის უნარი. საბოლოოდ, დაფინანსებისა და ინვესტიციების გაფართოების ნება დამოკიდებულია ფისკალურ გარემოზე, მაგალითად, ხარჯვის დონის, საგადასახადო განაკვეთებისა და ვალდებულებების მართვისა და მონიტორინგის სისტემებზე.

ადგილობრივი ხელისუფლების, როგორც წესი, სუსტი შესაძლებლობა დამოუკიდებლად მოიზიდოს დაფინანსება და განახორციელოს ინვესტიციები მაგალითად, ინფრასტრუქტურაში, საცხოვრისის უზრუნველყოფასა და მუნიციპალური სერვისების მიწოდებაში მოითხოვს ინოვაციურობას და დაფინანსების მრავალფეროვანი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებას.

ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ რესურსების მოზიდვის გაუმჯობესებული შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გააძლიერებს საერთო ფინანსურ მდგომარეობას, გაზრდის ეფექ-

ნებისმიერი ინვესტიციის შემთხვევაში, მთავარი იდეა ერთია: გააუმჯობესო პროდუქტიულობა ისე, რომ არსებობის მინიმუმს გადააჭარბოს, რათა ეკონომიკური ზრდა შეუქცევადი და მდგრადი გახდეს.

ჯეფრი საქსი

ტიანობას, შეამცირებს ბიზნესის ხარჯებს და ხელს უწყობს გამ-ჭვირვალობას. ყოველივე ზემოხსენებული კი, აისახება კაპიტალის მოზიდვის პოტენციალზე უკეთესი სერვისების მიწოდებისათვის. საკუთარი წყაროებიდან მიღებული შემოსავლების, მათ შორის ადგილობრივი გადასახადების, სერვისის საფასურისა და მოსაკრებლების ზრდა, არა მხოლოდ ზრდის შემოსავლებს აბსოლუტურ მაჩვენებლებში, არამედ აძლიერებს ფისკალურ ავტონომიას. ეს, თავის მხრივ, ადგილობრივ ხელისუფლებას საშუალებას აძლევს მიმართოს საჯარო ფინანსები ადგილობრივი ეკონომიკისა და სერვისების მიწოდების მოთხოვნებზე. ხშირ შემთხვევაში, მიწა ადგილობრივი ხელისუფლების ყველაზე ფასეული რესურსია და ადგილობრივ დონეზე შემოსავლების მიღების მნიშნელოვანია მექანიზმია, მათ შორის მიწის გადასახადის, მოსაკრებლების, მიწის გაერთიანებისა და გადანაწილების, განვითარების უფლებების გაყიდვის, სარგებლობის გადასახადების საშუალებით და ა.შ. ფინანსირების ფორმები ასევე შეიძლება მოიცავდეს: ერთიან ფონდებს, როდესაც ორი ან მეტი თვითმმართველობის საერთო ფონდი იქმნება; შერეულ ფინანსირებას, მაგალითად საჯარო და კერძო წყაროებიდან, რაც დაფინანსების მოზიდვასა და რისკების გაზიარებას გულისხმობს უფრო მსხვილი ინფრასტრუქტურული ინვესტიციებისთვის.

ზოგადად, ინფრასტრუქტურული და სერვისების მიწოდების ინვესტიციების განსახორციელებლად, ქალაქები და ადგილობრივ ხელისუფლება, განსაკუთრებით დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში, დამოკიდებულნი არიან მთავრობათაშორის ტრანსფერებზე ანუ სესხებსა თუ გრანტებზე ეროვნული ან რეგიონის ხელისუფლებისგან. ასეთი ტრანსფერები შეიძლება იყოს მიზნობრივი (კონკრეტული მიზნობრიობით გამოყოფილი) ან უპირობო (ზოგადი ფინანსირება). გარდა ამისა, მრავალმხრივი განვითარების ბანკები (MDBs), მაგალითად, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, აფრიკის განვითარების ბანკი და სხვები მდგრადი ურბანული განვითარების მიმართულებით ყველაზე მსხვილი დამფინანსებლები არიან. მიუხედავად ამისა, მათი რესურსები არ არის საკმარისი არსებული საჭიროების სრულად დასაფარად. გრანტებისა და სესხების საშუალებით განვითარების ბანკების მიერ გამოყოფილი დაფინანსება ხელს უწყობს დამატებითი წყაროების მობილიზებას, შესაბამისი ექსპერტიზის უზრუნველყოფას და გადაწყვეტების გაფართოებას, რაც ზრდის ზემოქმედებასა და ეფექტიანობას.

ქალაქებს ფინანსებზე წვდომა სესხის ფინანსირებით შეუძლიათ, რაც ხშირად გამოიყენება მაგალითად ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის. ასეთი ფინანსების მოპოვება შესაძლებელია, მაგალითად, ობლიგაციების გამოცემით, საბანკო სესხის აღებით, საპენსიო ფონდებიდან ან სხვა საჯარო თუ კერძო სუბიექტებიდან ფინანსების მოზიდვით. სესხის ფინანსირებას თან ახლავს ვალისა და საპროცენტო განაკვეთის გადახდა, რაც მუნიციპალური ბიუჯეტისთვის დამატებით ფინანსურ წნეხს ქმნის და რისკებსა და ხარჯებს აჩენს.

ფოტო Keith Lobo, pexels.com

დაბალი შემოსავალი ხშირად იწვევს წრიულ პრობლემას, მაგალითად, სერვისების მიწოდებისა და შენახვა-მოვლის ხარისხი იკლებს, რაც თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს მოქალაქეებისა და ბიზნესის მოტივზე გადაიხადონ გადასახადები.

საქალაქო ინფრასტრუქტურულ პროექტებში კერძო სექტორის დაფინანსების წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო ათწლეულების განმავლობაში. საჯარო-კერძო პარტნიორობები (PPPs) ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების კარგი საშუალებაა. როგორც წესი, პარტნიორობა ეფუძნება გრძელვადიან კონტრაქტს საჯარო და კერძო სუბიექტებს შორის. ეს შეიძლება მოიცავდეს საჯარო ინფრასტრუქტურის დაპროექტებას, დაფინანსებას, მშენებლობასა და ტექნიკურ მომსახურებას. შეთანხმებიდან გამომდინარე იცვლება რისკისა და პასუხისმგებლობების განაწილება. მიუხედავად იმისა, რომ კერძო-საჯარო პარტნიორობა ხშირად „ოპტიმალურ გადაწყვეტად“ მიიჩნევა, ეს მოითხოვს გამჭვირვალე და სათანადოდ აღსრულებულ რეგულაციებს, ანგარიშვალდებულ უწყებებს მმართველობის ყველა დონეზე. ამრიგად, ასეთი პარტნიორობა შეიძლება უბრალოდ განვიხილოთ, როგორც კერძო სექტორი, რომელიც რეგულირებად გარემოში მოქმედებს, მაგალითად, ინფრასტრუქტურისა და საქალაქო სერვისების მიწოდების ან ხელმისაწვდომი საცხოვრისის უზრუნველყოფის მიზნით. ზოგიერთის რწმუნებით კერძო-საჯარო პარტნიორობის უპირატესობები მოიცავს გამოცდილ იურიდიულ, ფინანსურ და ტექნიკურ ექსპერტულ ცოდნაზე წვდომას, რაც აღმოფხვრის ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების დეფიციტს და ამასთან, ზრდის სერვისების ეფექტურობას. შესაძლოა, ეს ასეც იყოს, თუმცა არსებობს არათანაბარი ან დაუბალანსებელი შეთანხმებების, ხარჯების გადაჭარბებისა და სერვისების ხარისხის შემცირების რისკები. ამიტომ, დროთა განმავლობაში კერძო-საჯარო პარტნიორობაში აუცილებელია ფინანსური სარგებლის და ეფექტიანობის შეფასება. ფინანსურად სიცოცხლისუნარიანი ინიციატივების (საბანკო პროექტების) შემუშავება მოითხოვს პროექტის ციკლის სრულ გაგებას, დაგეგმვიდან და ინვესტიციებიდან დაწყებული, ოპერაციებითა და ტექნიკური მომსახურებით დამთავრებული. როდესაც ინიციატივას თან ახლავს მომსახურების საფასური ან გადასახადები ადგილობრივი თემებისა და მომხმარებლების პერსპექტივების გაგება კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

მომავლის პროგნოზები

მდგრად სივრცით დაგეგმარებას, მუნიციპალურ ფინანსებსა და ინვესტიციების შორის ურთიერთკავშირები მნიშვნელოვანია მდგრადი ურბანული განვითარების სტრატეგიული და გრძელვადიანი მიდგომის განსახორციელებლად. ასეთი მიდგომა უნდა ითვალისწინებდეს გრძელვადიანი ინვესტიციების საჭიროებებს (მათ შორის პრიორიტეტები და ეტაპები) მაგალითად, სამინისტროებისა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტირების ციკლებში.

მასშტაბური კაპიტალური ინვესტიციების განხორციელების სტრატეგიები მოითხოვს დაგეგმვის, პროექტირების, შესყიდვებისა და განხორციელების მკაფიო და გამჭვირვალე მექანიზმების შექმნას. პროცესი უნდა მოიცავდეს საიმედო მიწოდების ჯაჭვებსა და ეფექტურობის კონტროლს. უმნიშვნელოვანესია ფასისა და

შესაბამისი ხარისხის კონტროლი, კორუფციის მინიმიზაცია და რესურსების ოპტიმიზაცია.

ერთიანი სივრცითი გეგმები განსაზღვრავს კაპიტალური ინვესტიციების საჭიროებებს. ასეთ დროს, პროექტები იმართება არა იზოლირებულად, არამედ ურბანული გაუმჯობესების გრძელვადიანი სტრატეგიის ნაწილის სახით. მნიშვნელოვანია მკაფიო მარეგულირებელი ჩარჩოების ჩამოყალიბება, ასევე ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის სოციალური კონტრაქტების გაფორმება და ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობები.

მრავალ ქვეყანაში, ცენტრალური ხელისუფლება ურბანული განვითარების მნიშვნელოვანი პროექტების დაგეგმვაზე, დაფინანსებასა და განხორციელებაზე კონტროლს ინარჩუნებს, ამ პასუხისმგებლობების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის გადაბარების ნაცვლად. ამის ძირითადი მიზეზებია ადგილობრივ დონეზე დაგეგმვისა და მართვის შესაძლებლობების ნაკლებობა, ეროვნული ვალის მართვა, პოლიტიკური ასპექტები და ძალაუფლების განაწილების სურვილის ნაკლებობა. თუმცა, მდგრადი ურბანული განვითარება მოითხოვს გაძლიერებულ თანამშრომლობასა და კოორდინაციას მმართველობის სხვადასხვა დონეს შორის, მათ შორის თანამიმდევრული პოლიტიკური და საკანონმდებლო გარემოს და მმართველობის სტრუქტურების არსებობას და გადაწყვეტილების მიღებისა და ფინანსური შესაძლებლობების განაწილებას.

'სიმბიოსითის' მიდგომის თანახმად ურბანული განვითარების ინიციატივების დაგეგმვასა და პროექტირებაში ერთიანი გადაწყვეტების გამოყენება მნიშვნელოვანია დაფინანსების მოზიდვისა და ხარჯთეფექტურობის უზრუნველსაყოფად და გრძელვადიან პერსპექტივაში ინვესტიციებიდან ამონაგების მისაღებად.

ურბანული განვითარების ერთიანი მიდგომები აუმჯობესებს ცხოვრების საერთო დონეს

საკვანძო მიგნებები

- ფინანსებზე წვდომა მოითხოვს ეფექტიან, ანგარიშვალდებულ და კოორდინირებულ უწყებებს მკაფიოდ განსაზღვრული უფლებამოსილებებითა და პასუხისმგებლობებით. ამასთან, მათი ქმედებები უნდა იყოს წინასწარ განსაზღვრული და პროგნოზირებადი.
- დახვეწილი ადგილობრივი ფისკალური სისტემები და დეცენტრალიზებული მმართველობითი მოდელები აძლიერებს ადგილობრივ თვითმმართველობებს, რათა მათ შეძლონ ადგილობრივი ეკონომიკისა და საჭიროებების შესაბამისი სერვისების მიწოდება.
- აუცილებელია ერთიანი სივრცითი დაგეგმარების მუნიციპალურ ბიუჯეტირებასა და კაპიტალური ინვესტიციების საერთო საჭიროებებში გათვალისწინება. ეს წვლილს შეიტანს ურბანული გაუმჯობესების გრძელვადიან სტრატეგიებში. შესაბამის ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებს შეიძლება მამრავლის ეფექტი ჰქონდეს, როდესაც მიღებული სარგებელი სხვადასხვა დარგებზე ვრცელდება.
- ფინანსებზე წვდომა დამოკიდებულია ეფექტიან, ანგარიშვალდებულ და კოორდინირებულ უწყებებზე, მკაფიო უფლებამოსილებებითა და პასუხისმგებლობებით. ამასთან, მათი მოქმედება უნდა იყოს პროგნოზირებადი და განჭვრეტადი.
- ხშირ შემთხვევაში, მიწა ადგილობრივი ხელისუფლების ყველაზე ღირებული რესურსია. მიწის ღირებულებით სარგებლობა ადგილობრივი შემოსავლების მიღების მნიშვნელოვანი მექანიზმია.
- საჯარო და კერძო თანამშრომლობა და პარტნიორობა აუმჯობესებს ფინანსირებაზე წვდომას. ამავე დროს, ხდება რისკების განაწილება, განსაკუთრებით, თუ საქმე ეხება მსხვილ კაპიტალურ საინვესტიციო პროექტებს.

genom Klas Groth

5.

მდგრადი ურბანული სისტემები და პოტენციური გადაკვეთის წერტილები



ურბანული სისტემები გადაკვეთის წერტილები

ურბანული ფუნქციები და ურბანული სტრუქტურა განიხილება, როგორც ერთიანი ურბანული სისტემა, ხოლო ურბანული სივრცითი დაგეგმარება არის ინსტიტუციური პროცესი, რომელიც განსაზღვრავს ამ სისტემის განვითარებას.

ქალაქების ურბანული სისტემები აერთიანებს მრავალფეროვან აუცილებელ ფუნქციებსა და სერვისებს, რომელთაც ყოველდღიურად ვიყენებთ, მაგალითად, წყალი, ნარჩენები და ელექტროენერგია, გამწვანება და ეკოსისტემები, ტრანსპორტი და მობილობა, საჯარო სივრცე და სხვ. ეს სისტემები მოიცავს ისეთ ურბანულ ფუნქციებს, როგორიც არის საცხოვრისი, სკოლები, სამუშაო და საწარმოო, სავაჭრო და კომერციული სივრცეები.

მდგრადი და მედეგი ურბანიზაციის ხელშესაწყობად, ამგვარი ურბანული სისტემებისა და ფუნქციების მიწოდება და განაწილება განვითარების ყოვლისმომცველ, ერთიან და ინკლუზიურ მიდგომას მოითხოვს, რომელიც თანასწორუფლებიან და მატერიალურად ხელმისაწვდომ სერვისებს უზრუნველყოფს ყველასათვის. კარგი ურბანული მმართველობა, მართვა და ინსტიტუციური შესაძლებლობები (მათ შორის, დაფინანსება) მოსახლეობის, განსაკუთრებით კი სოციალურად დაუცველი ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილების აუცილებელი ელემენტებია.

ოპტიმალური გადაწყვეტების გამოვლენისა და რესურსების ეფექტიანი გამოყენებისთვის, 'სიმბიოსითის' მიდგომა განსაზღვრავს სხვადასხვა სისტემასა და ფუნქციას შორის კავშირებსა და სინერგიას ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალურ-კულტურული საჭიროებების საპასუხოდ ერთიანი და ინკლუზიური გადაწყვეტების პოვნისთვის.

ურბანული ტერიტორიები კომპლექსური და დინამიკურია. ზოგჯერ, შესაძლოა განვითარების ამოცანები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიოდეს, მაგალითად, ურთიერთსაწინააღმდეგო სტრატეგიები, კონკურენცია შეზღუდული ფინანსური რესურსების მოსაპოვებლად, კერძო ინტერესები ან პასუხისმგებლობების არასათანადო განაწილება. ამგვარი ბარიერების დაძლევაში შესაძლოა დაგვეხმაროს *ჰორიზონტალური* და *ვერტიკალური* თანამშრომლობა და კოორდინაცია, მაგალითად, მთავრობის სხვადასხვა დონეებსა და ერთეულებს, საჯარო და კერძო სექტორებს შორის, ასევე დაინტერესებული მხარეების, თემებისა და ბენეფიციარების ჩართულობის პროცესში.

'სიმბიოსითის' მიდგომა განვითარების ადამიანზე ორიენტირებულ და ღირებულებით მიდგომას წაახალისებს, რომელიც ინოვაციურ და ერთიან გადაწყვეტებს ეფუძნება. 'სიმბიოსითის' მიდგომით ურბანულ გამოწვევებზე საპასუხო ღონისძიებები ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებსა და საჭიროებებს, ხოლო გადაწყვეტები მასშტაბირებადი და განმეორებადია დროთა განმავლობაში უფრო ფართო ზემოქმედების მიღწევისთვის.

5.1 ურბანული ფუნქციები და ურბანული სტრუქტურა

ურბანული ფუნქციები ყოველდღიური ურბანული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და მათ მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული შედეგები მოაქვს. ეს ფუნქციები, როგორც წესი, მოიცავს ბინათმშენებლობას; ეკონომიკურ და კომერციულ საქმიანობებს; კულტურას, სპორტული და რეკრეაციული სივრცეების კეთილმოწყობას; განათლებას, ჯანდაცვას, სხვა სოციალურ სერვისებს და ა.შ. ასეთი საქალაქო ფუნქციების მიწოდება და სივრცითი განაწილება ურბანულ ქსოვილში სისტემურად ხორციელდება ურბანული სივრცითი დაგეგმარების, მიწათსარგებლობისა და განვითარების მართვის საშუალებით.

კარგი სივრცითი და ურბანული დაგეგმარება და დიზაინი ხელს უწყობს თანაბარ წვდომას სხვადასხვა ურბანულ ფუნქციაზე, სისტემასა და სერვისებზე. ამასთან, იგი ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი და მარგინალიზებული თემების საჭიროებებს. ურბანულ ფუნქციებზე წვდომას ხელს უწყობს შერეული ფუნქციური გამოყენების განვითარება სხვადასხვა ურბანული მასშტაბით, იქნება ეს საქალაქო, საუბნო თუ კვარტლის დონეზე. ურბანულ შეკავშირებულობასა და ტერიტორიულ სიახლოვეს არსებითი მნიშვნელობა აქვს სერვისებისა და შემოსავლის წყაროებზე წვდომისა და სოციალური ინკლუზიურობის ხელშეწყობის თვალსაზრისით. ურბანული ფუნქციების, მიწათსარგებლობის, სატრანსპორტო და მობილობის სისტემების (მათ შორის, საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ფეხით და ველოსიპედით გადაადგილება) სივრცითი გადანაწილება ნაშენი გარემოს, მისი სტრუქტურისა და ფორმის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც ხელს უწყობს სოციალური, გარემოსდაცვითი და კლიმატური სარგებლის შექმნას.

ზოგიერთი ფაქტი

მდგრადი ტერიტორიული სიახლოვის გლობალური ობსერვატორია

„15-წუთიანი ქალაქის“ პრინციპზე დაფუძნებული ტერიტორიული სიახლოვის კონცეფციის თანახმად შესაძლებელია ურბანული ფორმის, დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის გამოყენება მდგრადი ცხოვრების წესის წასახალისებლად. ის ურბანული ტერიტორიები, სადაც ეფექტური „15-წუთიანი ქალაქის“ სტრატეგიებია დანერგილი, დიდი ალბათობით შეამცირებენ ქალაქებში ენერგიის მოხმარებასა და ემისიებს.

ტერიტორიული სიახლოვის კონცეფცია ადამიანებს ურბანული გეგმის ცენტრალურ ნაწილად განიხილავს. იგი ემსახურება ყველა არსებითი სოციალური ფუნქციის (ცხოვრება, მუშაობა, მიწოდება, ზრუნვა, სწავლა და დასვენება) თანაბრად განაწილებას, რათა ყველა მაცხოვრებელმა უმოკლეს დროში შეძლოს სასურველ ფუნქციაზე წვდომა. ეს უზრუნველყოფს მგზავრობაზე დროის დაზოგვას და სივრცეს სატრანსპორტო ნაკადებისგან ათავისუფლებს.

წყარო: მდგრადი ტერიტორიული სიახლოვის გლობალური ობსერვატორია (C40 Cities, Charie ETI/Sorbonne, UCLG, გაეროს ჰაბიტატი), https://www.c40knowledgehub.org/s/sustainableproximities



სურათი 5.1
სხვადასხვა ურბანული ფუნქციისა და მათი ურთიერთკავშირის სქემატური ილუსტრაცია.

ქუჩის ხედი კოლუმბიაში

სივრცითი და ურბანული დაგეგმარება, განსაკუთრებით, სწრაფი ურბანიზაციისა და ურბანული მოსახლეობის ზრდის პირობებში, ერთდროულად რამდენიმე ურბანულ მასშტაბს უნდა ითვალისწინებდეს, იქნება ეს ტერიტორიული, საქალაქო, საუბნო თუ რაიონული. ეს აუცილებელია, რათა ქალაქმა შეძლოს ურბანული ფუნქციების განაწილება და თანაბარი მიწოდება.

ტერიტორიული განვითარების პერსპექტივით, სტრატეგიული სივრცითი დაგეგმარება დიდ და მცირე ქალაქებს უფრო ფართო ტერიტორიის საკვანძო ნაწილებად უნდა განიხილავდეს. ასეთი სივრცითი დაგეგმარება უნდა მოიცავდეს სხვა ურბანულ ცენტრებს, ხელმისაწვდომ ბუნებრივ რესურსებსა და სასოფლო ტერიტორიებს. იგი უნდა ითვალისწინებდეს ქალაქებსა და სოფლებს შორის უწყვეტ კავშირს, მაგალითად სურსათის, წყლისა და ელექტროენერგიის მიწოდების, თუმცა, ასევე, ინფრასტრუქტურული სისტემებისა და ბინათმშენებლობისთვის სათანადო ადგილების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. საუკეთესო შემთხვევაში, შეკავშირებული ტერიტორიული განაშენიანება ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას და არსებული რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

ანალოგიურად, ქალაქის, უბნის ან კიდევ უფრო მიკრო დონის ურბანული დაგეგმარება და დიზაინი მაღალ სტრატეგიულ მიზნებს ხელშესახებ ტრანსფორმაციულ ჩარევებად და პროექტებად გარდაქმნის. გაეროს ჰაბიტატი წაახალისებს კომპაქტური, დაკავშირებული, ცოცხალი, ინკლუზიური და მედეგი ურბანული ტერიტორიებისა და უბნების შექმნას, სადაც უზრუნველყოფილია ურბანულ ფუნქციებზე თანაბარი წვდომა და განაწილება. ურბანული ტიპოლოგია, სათანადო სიმჭიდროვე და დიზაინი ხელს უნდა უწყობდეს ადამიანური მასშტაბის ნაშენ გარემოს, შერეულ ფუნქციურ გამოყენებას, ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ ინკლუზიურობას[45].

სათანადო საცხოვრისის უფლების დაცვას არსებითი მნიშვნელობა აქვს და მოიცავს მაგალითად, საკუთრების უსაფრთხოებას, ფინანსურ ხელმისაწვდომობას, საცხოვრებლად ვარგისიანობას, ფიზიკურ მისაწვდომობას, მდებარეობას, სერვისების და ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას, ისევე როგორც კულტურულ შესაბამისობას. სათანადო საცხოვრისის უზრუნველყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველი და მარგინალიზებული თემებისთვის.

კომერციული საქმიანობები, ბაზრები და ინდუსტრიები ადგილობრივი, ზოგჯერ კი რეგიონული თუ ეროვნული ეკონომიკის განუყოფელი ურბანული ფუნქციებია. ისინი უზრუნველყოფს, არა მხოლოდ მომსახურებების მიწოდებას და სამეწარმეო შესაძლებლობების გაჩენას, არამედ სამუშაო ადგილებისა და შემოსავალის შექმნას, რითაც ხელს უწყობს ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებას. ეკონომიკურ საქმიანობებსა და ინდუსტრიებს სხვადასხვა მახასიათებლები (მძიმე, მსუბუქი, ცოდნაზე დაფუძნებული, ციფრული) და ფუნქციონირებისთვის განსხვავებული წინაპირობები და საჭიროებები აქვს. ზოგიერთი მათგანი ლოგისტიკისა და ინფრასტრუქტურისთვის მიწის მსხვილ ნაკვეთებს და შრომატევად საქმიანობას მოითხოვს, სხვები კი შეიძლება გარემო-

[45] ჩემი სამეზობლო, გაეროს ჰაბიტატი, 2023

ზე ზემოქმედებდნენ, მაგალითად, ენერგეტიკის სფერო ემისიებითა და ჰაერის დაბინძურებით ხასიათდება და ა.შ. ურბანული ფუნქციების ამგვარი გადანაწილება უნდა ითვალისწინებდეს ურბანულ კონტექსტს, ზოგად საცხოვრებელ პირობებს, მობილობასა და საქმიანობის მოქმედ სქემებს.

მეორეს მხრივ, მრავალი ინდუსტრია და ეკონომიკური საქმიანობა ხელს უწყობს მწვანე ტრანსფორმაციასა და ცირკულარულ ეკონომიკას, მაგ. სუფთა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვით, მასალების ხელახალი გამოყენებით, ნარჩენების წარმოქმნასა და მოხმარების მანერაზე ზემოქმედებით და ა.შ.

სხვადასხვა ურბანული სერვისის (კომერციული, კულტურული, სოციალური) მიწოდება და ხელმისაწვდომობა თანაბრად მნიშვნელოვანია და უნდა ეფუძნებოდეს მოსალოდნელ დემოგრაფიულ განვითარებას, არსებულ ან პროგნოზირებულ დეფიციტსა და ზედმეტობას, აგრეთვე მთლიანობაში დაგეგმილ და მოსალოდნელ ურბანულ განვითარებას.

ურბანული განვითარების გამოწვევებთან გასამკლავებლად, 'სიმბიოსითის' მიდგომა ითვალისწინებს ხელმისაწვდომი მიწისა და სხვა რესურსების ეფექტიანად გამოყენების ხელშემწყობი სტრატეგიების დანერგვას. ზოგადად, მეტად კომპაქტური, შერეული ფუნქციური გამოყენების მქონე და მჭიდროდ დასახლებული ურბანული გარემო ზრდის წვდომას ურბანულ ფუნქციებზე, მაგალითად საბინაო, სოციალურ და კომერციულ სერვისებზე. შესაბამის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ურბანული შემჭიდროვება, აღდგენა და ხელახალი განვითარება, მაგ. სატრანსპორტო დერეფნებისა და განვითარების კვანძების მიმართულებით. ურბანული შემჭიდროვება უნდა იყოს დაბალანსებული და ითვალისწინებდეს ინფრასტრუქტურისა და სერვისების შეზღუდვებს, ამავდროულად ნაშენი და ბუნებრივი გარემო უნდა აერთიანებდეს მაღალი ხარისხის საჯარო სივრცეებს. ურბანული შემჭიდროვება და განახლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ურბანული სივრცეები აღწევს წერტილს, როდესაც გაფართოებისთვის ხელმისაწვდომი ან შესაბამისი დამატებითი მიწა მწირია.

ურბანული ფუნქციების მიწოდებისას მოქალაქეთა საჭიროებებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებით ვიღებთ მდგრად ურბანულ განვითარებას. ამგვარი საჭიროებების გამოვლენა და რუკაზე დატანა, თემებსა და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, მიზნობრივ და ადგილობრივ პირობებზე მორგებულ გადაწყვეტებს უზრუნველყოფს.

ზოგიერთი ფაქტი

ურბანული ფუნქციები - პოტენციური სინერგიები და შეხების წერტილები

- მიწის შერეული ფუნქციური გამოყენება და სარგებლობა, სიმჭიდროვესთან ერთად, მრავალფეროვანი სოციალური და კომერციული სერვისების მიწოდების და შენარჩუნების საშუალებას გვაძლევს.
- განვითარების ალტერნატიული სცენარების გამოვლენით შესაძლებელია სინერგიების წახალისება, მაგალითად ერთიან მიწათსარგებლობას, შერეულ ფუნქციურ გამოყენებას, მწვანე და საჯარო სივრცეებს, მობილობის სისტემებსა და ინფრასტრუქტურას შორის.
- ურბანული განაშენიანება სატრანსპორტო დერეფნებისა და კვანძების მიმდებარედ მასშტაბის ეკონომიას ქმნის და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემების, ისევე როგორც სხვა ინფრასტრუქტურისა და სერვისების მიწოდებას უზრუნველყოფს.
- სერვისებთან დაკავშირებული გაუმჯობესებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი უზრუნველყოფს მაცხოვრებლების წვდომას ქალაქის ცენტრებზე, ურბანულ კვანძებზე, სამუშაო ადგილებსა და სოციალურ და კომერციულ სერვისებზე.
- სამრეწველო ობიექტების, ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობისა და ნარჩენების შეგროვების ობიექტების ადგილმდებარეობები შეთანხმებული უნდა იყოს მიწათსარგებლობის სხვა მიზნებთან, რაც შეამცირებს მაცხოვრებელთა გარემოზე, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე შესაძლო გავლენას.



სურათი 5.2
'სიმბიოსითის' მიდგომა ხელს უწყობს ურბანული სტრუქტურის შექმნას მიწის და ურბანული ფუნქციების მრავალფეროვანი გამოყენებით.
სურათი აღებულია მდგრადი საზოგადოებრივი დაგეგმარების სახელმძღვანელოდან, ნელსონ მანდელას ყურის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ აფრიკა.

5.2 საჯარო სივრცე და საჯარო განზომილება

საჯარო სივრცე ან საჯარო განზომილება შესაძლოა ურბანული ფუნქციების შემაკავშირებელ ელემენტად განვიხილოთ. იგი მოქმედებს, როგორც „ქალაქის მისაღები ოთახი“ – ადგილი, სადაც ადამიანები ხვდებიან და ურთიერთობენ სხვადასხვა, დაგეგმილი თუ სპონტანური მიზნით. საჯარო სივრცე უნდა იყოს ხელმისაწვდომი და უსაფრთხო, რაც ურბანულ სივრცეს მიმზიდველს ხდის, როგორც მოქალაქეების, ისე – სტუმრებისთვის.

ნაშენ გარემოში საჯარო სივრცე სხვადასხვა ფორმით გვხვდება, მაგალითად, პარკების, საზოგადოებრივი ბაღების, სკვერების, მოედნების, სანაპირო ზოლის, სპორტული და დასასვენებელი ობიექტების, ტროტუარებისა და ქუჩების სახით. იგი ასევე მოიცავს საზოგადოებრივ ობიექტებს, როგორიც არის სკოლები, ბიბლიოთეკები, სპორტული მოედნები და ავტობუსის გაჩერებები. საუკეთესო შემთხვევაში საჯარო სივრცეზე წვდომა უფასოა ნებისმიერი ადამიანისთვის და ის შესაძლოა განისაზღვროს, როგორც საჯარო და ნახევრად საჯარო მისი ფუნქციის, საკუთრების ან მმართველობის ტიპიდან გამომდინარე. სხვა ურბანული ფუნქციები კერძო ან ნახევრად კერძო შეიძლება იყოს, მაგალითად კომერციული ობიექტები და საცხოვრებელი სივრცეები.

ფოტო Klas Groth

ფოტო Sixten Larsson

საჯარო სივრცეებს აქვთ მნიშვნელოვანი სოციალური, კულტურული, რეკრეაციული და ეკონომიკური ფუნქცია.

კარგად დაგეგმილი და მართული საჯარო სივრცე აუმჯობესებს ინკლუზიურობას, ქალაქის მაცხოვრებელთა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. ამავდროულად, იგი ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას, კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლას და გაძლიერებულ მდგრადობას. გაეროს ჰაბიტატი თანახმად, ხელმისაწვდომი მიწის 50% საჯარო სივრცეებისთვის უნდა იყოს განკუთვნილი ურბანული ტერიტორიების სათანადოდ ფუნქციონირებისთვის, მათ შორის ქუჩების, პარკებისა და სკვერების ჩათვლით. კარგად დაგეგმილი, დაპროექტებული და მოვლილი საჯარო სივრცეების ნაკლებობა ამცირებს ცხოვრების ხარისხს, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას და ამავდროულად, პოტენციურად ზრდის კრიმინალს, საგზაო მოძრაობის გადატვირთულობას და სოციალურ დაძაბულობას.

კვლევები აჩვენებს, რომ საჯარო სივრცე სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენება ქალებისა და გოგონების და მამაკაცებისა და ბიჭების მიერ. მაგალითად, ქალები მეტწილად ოჯახში მთავარი მზრუნველები არიან და ყოველდღიურად იყენებენ საჯარო სივრცეებსა და ურბანულ ობიექტებს გადაადგილების რთული მარშრუტით, ბავშვების სკოლაში სატარებლად, სურსათის საყიდლად, სამუშაოდ და ა.შ. საჯარო სივრცე უნდა იყოს ინკლუზიური და ითვალისწინებდეს მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფებს და მათ საჭიროებებს, განსაკუთრებული ყურადღებით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ქალაქში მცხოვრები სოციალურად დაუცველი და მარგინალიზებული ჯგუფების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

სათანადო საჯარო სივრცის უზრუნველყოფა, საუკეთესო შემთხვევაში, ხელს შეუწყობს გარემოსდაცვით, სოციალურ-კულტურულ, ეკონომიკურ და სივრცით განვითარებას. საჯარო სივრცის გეგმარებასა და დაპროექტებაში ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტებისა და ეკოსისტემური სერვისების გათვალისწინება,

სივრცის გაზიარებით, მეტი თავისუფალი სივრცე იქმნება.

დონ მაკკარტი, მიწის დაგეგმარებისა და მართვის დირექტორი, ნელსონ მანდელას ყურის მუნიციპალიტეტი

არა მხოლოდ მწვანე ურბანულ გარემოს და მდგრად ეკონომიკურ მრავალფეროვნებას უწყობს ხელს, არამედ ასევე განავითარებს ურბანულ მედეგობას და ამცირებს კლიმატის ცვლილებაზე ზემოქმედებას. მაგალითად, სათანადოდ შერჩეული მცენარეებით ქალაქის გამწვანებას, წვიმის წყლის შეგროვებასთან ერთად შეუძლია „თბური კუნძულების“ წარმოქმნის შემცირება და ქალაქში სასიამოვნო მიკროკლიმატის შექმნა, ამავდროულად ძლიერი წვიმების დროს წყლის შთანთქმით, წყალდიდობის თავიდან აცილება.

აუცილებელია ისეთი საჯარო სივრცით სარგებლობის წახალისება, სადაც ადამიანები თავს კომფორტულად და დაცულად იგრძნობენ. შესაბამისად დიდი მნიშვნელობა აქვს დიზაინს, რადგან ძალიან ვრცელი და არასათანადოდ კეთილმოწყობილი სივრცეები დამთრგუნველია და ადამიანებმა შესაძლოა თავი დაუცველად და იზოლირებულად იგრძნონ. ძალიან პატარა სივრცეებში კი, შეიძლება იყოს ხალხმრავლობა და დისკომფორტი. საჯარო სივრცეები უნდა დაპროექტდეს ადამიანური მასშტაბით, ხეებით, მცენარეებით, ბაღის სკამებითა და განათებით, რაც მათ მიმზიდველს, უსაფრთხოს და მოსახერხებელს გახდის. საჯარო სივრცე შეიძლება იყოს ოფიციალურად ან თვითნებურად მოწყობილი, რომელიც ხშირად გამოიყენება სპონტანური, დიდი თუ მცირე შეხვედრებისთვის. კარგად დაგეგმილ და დაპროექტებულ ურბანულ ტერიტორიას არსებითი მნიშვნელობა აქვს საჯარო სივრცისთვის.

საჯარო სივრცის უწყვეტი სისტემა და ქსელი ხელს უწყობს გაუმჯობესებულ მობილობას და მიმზიდველ, ურთიერთდაკავშირებულ და უსაფრთხო გარემოს ქმნის. სასურველია, რომ მწვანე სივრცეები საჯარო სივრცეებს ერწყმოდეს, ურბანული ეკოსისტემების დაცვისა და განვითარების მხარდასაჭერად.

ზოგიერთი ფაქტი

საჯარო სივრცე - პოტენციური სინერგიები და შეხების წერტილები

- ქალაქში საჯარო სივრცის არსებობას, დაკავშირებულობასა და დიზაინს შეუძლია გაზრდილი უსაფრთხოების, დაცულობისა და სოციალური ურთიერთობის ხელშეწყობა და სოციალურ და კომერციულ სერვისებთან ერთად, ცოცხალი და მიმზიდველი ურბანული გარემოს შექმნა.
- საჯარო სივრცე, გამწვანებასა და წყლის მართვასთან ერთად, დადებითად მოქმედებს ურბანულ კლიმატსა და ეკოსისტემებზე და მიმზიდველ ქალაქს ქმნის.
- საჯარო სივრცის გადანაწილებამ და დიზაინმა უნდა წაახალისოს მობილობა, ძირითადად ქვეითებისა და ველოსიპედით მოსარგებლეთათვის.
- საჯარო სივრცეს მნიშვნელოვანი რეკრეაციული და სოციალური ფუნქციები აქვს, განსაკუთრებით იქ, სადაც კერძო სივრცეები შეზღუდულია.
- კარგად დაგეგმილი და მიმზიდველი საჯარო სივრცეები ტერიტორიის იმიჯსა და ხასიათზე მოქმედებს. ისინი აუმჯობესებს მოქალაქეთა და სტუმრების გამოცდილებას და ცხოვრების ხარისხს.



სურათი 5.4
ურბანული ტერიტორიის ერთიანმა დაგეგმარებამ და დიზაინმა უნდა უზრუნველყოს ყველა მოქალაქისთვის სერვისებსა და მობილობის სისტემებზე წვდომა. ზემოთ მოცემულ სურათზე მითითებულია ნებისმიერი მაცხოვრებლისთვის სასურველი მანძილი აუცილებელი სერვისებისა და ობიექტების ხელმისაწვდომობაზე.
სურათი აღებულია მდგრადი საზოგადოებრივი დაგეგმვის სახელმძღვანელოდან, ნელსონ მანდელას ყურის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ აფრიკა.

5.3 ურბანული ლანდშაფტის დაგეგმარება და ეკოსისტემები

ურბანული ლანდშაფტის დაგეგმარება მოიცავს ნაშენი და ბუნებრივი გარემოს დაპროექტებას, მათ შორის ბუნებრივი და ეკოლოგიური აქტივების მართვას. კარგი დაგეგმარების ურბანული ლანდშაფტები აერთიანებს ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტების ალტერნატიულ გზებსა და ეკოსისტემურ სერვისებს, რომლებიც ხელს უწყობს კლიმატის ცვლილების შედეგების შემსუბუქებას და ადაპტაციას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძლიერი წვიმებისა და წყალდიდობებისკენ მიდრეკილი ტერიტორიების შემთხვევაში, არიდულ მიწებზე ან მკვეთრად მაღალი ტემპერატურის მქონე ადგილებში. გარდა ამისა, კარგი დაგეგმარების მქონე ურბანული ლანდშაფტები ამცირებს რისკებსა და საფრთხეებს (მაგ. მეწყერი ან წყალდიდობა) და ხელს უწყობს მედეგი საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელსაც შეუძლია ისარგებლოს ისეთი სოციალური და ეკოლოგიური სიკეთეებით, როგორიცაა რეკრეაციული და საზოგადოებრივი საქმიანობა. საჯარო სივრცის მსგავსად ურბანული ლანდშაფტები ხელს უწყობს ეკოლოგიურ მდგრადობას, ხოლო მათი დაგეგმარება აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის ასპექტების გათვალისწინება. ურბანული ლანდშაფტის კარგი დაგეგმარება ხელს უწყობს:

- გაუმჯობესებული ბიომრავალფეროვნება და ეკოლოგიური სისტემები;
- კლიმატის ცვლილების შედეგების შემცირებისა და ადაპტაციის შესაძლებლობები, მათ შორის, გაძლიერებული ურბანული მედეგობა;
- მწვანე და ღია სივრცეების გამოყენება რეკრეაციული, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური საქმიანობისათვის;
- ურბანული ფერმერული მეურნეობის, სოფლის მეურნეობისა და ორგანული ნარჩენების გადამუშავების შესაძლებლობები.

ფოტო Mats Samuelsson

რეაბილიტირებული ტბა ვექშეში, შვედეთი

სურათი 5.5
ილუსტრაცია, თუ როგორ შეიძლება სხვადასხვა ლანდშაფტის ელემენტების დაკავშირება მიმზიდველი, მწვანე საზოგადოებრივი სივრცეების შესაქმნელად და ურბანულ ტერიტორიაზე ეკოსისტემური სერვისების მხარდასაჭერად.

მწვანე გარემო, მის ეკოლოგიურ სისტემებზე, მოწყობასა და ზომაზე ზეწოლიდან გამომდინარე, სულ უფრო მეტი საფრთხის წინაშე დგას, განსაკუთრებით სწრაფი ურბანიზაციისა და მოსახლეობის ზრდის პირობებში. ურბანული ლანდშაფტის დაგეგმარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბუნებრივი და ნაშენი გარემოს ოპტიმალურ შერწყმაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს მწვანე ღია სივრცეების შენარჩუნება ურბანულ ტერიტორიებსა და მათ ირგვლივ. ამგვარ მწვანე ღია სივრცეებს შესაძლოა ვუწოდოთ „მწვანე ფილტვები“, რომლებიც მოიცავს მწვანე დერეფნებსა და პარკებს, წყლის ობიექტებს, ხეებსა და სხვა მცენარეებს ქუჩებსა და საჯარო სივრცეებში. რეგიონებსა და ტერიტორიებს ხშირად უნიკალური ტოპოგრაფიული, გეოლოგიური და ჰიდროლოგიური მახასიათებლები აქვთ. აუცილებელია, რომ ურბანული ლანდშაფტის გეგმარება ითვალისწინებდეს ასეთ მახასიათებლებს, როგორც მეტროპოლიის ასევე ადგილობრივ დონეზე მდგრადი ეკოსისტემების უზრუნველსაყოფად.

ურბანულ ტერიტორიებზე მწვანე სივრცეების უწყვეტობას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფლორისა და ფაუნისთვის, შესაბამისად უშუალოდ ეკოსისტემებისთვის. ასევე, ისინი ადამიანებისთვის სოციალურ და რეკრეაციულ ფუნქციას უზრუნველყოფენ, მაგალითად, მათი სახლებისა ან სამუშაო ადგილების მახლობლად.

ურბანულ ტერიტორიებზე *სისტემურად* დაკავშირებული მწვანე ღია სივრცეების იერარქია, რომელიც მოიცავს მწვანე ეზოებს, ურბანულ პარკებსა და დიდ რეკრეაციულ ტერიტორიებს, მდინარეებთან, ჭაობებთან და ქედებთან ერთად, ქმნის ბუნებრივ „ხერხემალს“ და კავშირს უფრო განაპირა ტერიტორიებთან. როგორც წესი, მაღალი სიმჭიდროვის მქონე ტერიტორიებზე, მწვანე ღია სივრცეები უფრო ინტენსიურად გამოიყენება. შესაბამისად, ჩნდება მწვანე სივრცეების უფრო მრავალფეროვანი და დაბალანსებული მიწოდების საჭიროება, იქნება ეს დიდი პარკები და მწვანე სივრცეები, უბნებში უფრო მცირე მწვანე პარკები თუ კვარტლების დონეზე მცირე სკვერები. მწვანე სივრცეებისა და დერეფნების ველოსიპედის და საფეხმავლო ბილიკებით დაკავშირება, ისევე როგორც მათი სიახლოვე, ერთგვარი თავშეყრის, სპორტული და რეკრეაციულ დანიშნულების სივრცეებს ქმნის; მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ თვითნებური დასახლებებისა და სოციალურად გარიყული თემების წარმომადგენლებისათვის.

მწვანე სივრცეების ქსელის შექმნა ნებისმიერი ურბანული ტერიტორიის განუყოფელი ნაწილი და არსებითი კომპონენტია. ლანდშაფტის დაგეგმარება განაშენიანების გენერალური გეგმის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს, როგორც ახალი, ისე არსებული ნაშენი გარემოს გარდაქმნისა და განვითარებისთვის. პოტენციური რისკებისა და საფრთხეების (წყალდიდობა, მეწყერი) თავიდან ასაცილებლად უნდა მოვერიდოთ ისეთი ადგილების კეთილმოწყობასა და განაშენიანებას, როგორიც არის მაგალითად, მდინარის კალაპოტების გასწვრივ ხეობები ან ციცაბო ფერდობები.

ზოგიერთი ფაქტი

ლანდშაფტის დაგეგმარება - პოტენციური სინერგიები და შეხების წერტილები

- ლანდშაფტის, მწვანე სივრცეებისა და ლურჯი-მწვანე ქსელების ერთიანი დაგეგმარება ურბანულ ტერიტორიებზე ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური სერვისების შენარჩუნებას უწყობს ხელს, მათ შორის წყლის გაწმენდა და განლევა (მაგ., ღია ტბორები, მდინარეები, ნაკადულები და არხები).
- მწვანე ტერიტორიები და ქსელები „ქალაქის ფილტვებია“, რომლებიც ნახშირბადის შთანთქმის მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ და ამით ამცირებენ ჰაერის დაბინძურებას. აუცილებელია მათი დაგეგმარება რეკრეაციული, მათ შორის ფეხით და ველოსიპედით გადაადგილებისთვის წახალისებისთვის.
- ურბანული ლანდშაფტებისა და მწვანე ტერიტორიების ტოპოგრაფიასა და მწვანე საფარს შეუძლიათ ზომიერი მიკროკლიმატის შექმნა, „თბური კუნძულების“ წარმოქმნის პრევენცია, ქარის გავლენის შემცირება და ენერგიის მოხმარებაზე ზემოქმედება.
- შესაძლებელია უდაბური ტერიტორიებისა და დახურული ნაგავსაყრელების ხელახლა განვითარება და მათი მწვანე, რეკრეაციულ სივრცეებად და პარკებად გარდაქმნა.
- მწვანე ღია სივრცეები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ურბანული ფერმერული მეურნეობისთვის.

ფოტო: Mats Egelius, BoStad

საცხოვრებელი და ურბანული სოფლის მეურნეობა ჰამარბი ჰოსტადში, სტოკჰოლმი

5.4 მობილობა, საგზაო მოძრაობა და ტრანსპორტი

კარგად დაგეგმარებული და დაკავშირებული ურბანული ტერიტორიები უზრუნველყოფს არსებით ურბანულ ფუნქციებსა და სერვისებზე წვდომას და მათ ახლო მდებარეობას. ამ მხრივ, მდგრადი მობილობა და სატრანსპორტო სისტემები არსებითია პროდუქტიულობის, სოციალური და ეკონომიკური თანასწორობის გაუმჯობესების, ასევე უკეთესი ურბანული გარემოს, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით.

საუკეთესო შემთხვევაში, ერთიანი სატრანსპორტო და მობილობის სისტემა პასუხობს რეგიონულ, საქალაქო და საუბნო დონეებზე მაცხოვრებლების, ბიზნესებისა და დარგების მრავალმხრივ საჭიროებებს. ამრიგად, ის სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზნებს ემსახურება. მარტივად რომ ვთქვათ, მობილობის რეგიონული საშუალებები, რომლებიც უფრო ფართო ურბანულ ტერიტორიებს მოიცავს, მნიშვნელოვანია ქალაქსა და სოფელს შორის უწყვეტი კავშირებისთვის, რითაც ისინი ხელს უწყობს პროდუქტიულობას, საქონლისა და მომსახურების გაცვლას, გადაადგილებას და სხვ. მობილობის ადგილობრივი გადაწყვეტები მსგავს მიზნებს ემსახურება, თუმცა, სარგებლობის სიხშირე და

სურათი 5.6
ქალაქში, დაბაში ან სამეზობლოში ტრანსპორტირებისა და მობილობის შესაძლო იერარქია. ადგილობრივი კონტექსტიდან გამომდინარე, შესაძლებელია მდგრადი მობილობის სტრატეგიის სხვადასხვა ასპექტის პრიორიტეტულობის მინიჭება.

კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებისეულ საჭიროებებთან განსხვავდება. მობილობის სხვადასხვა ვარიანტების მქონე ერთიანი სატრანსპორტო სისტემები უზრუნველყოფს მოქნილობას, არჩევანის შესაძლებლობას და ხელს უწყობენ მედეგობასა და სიჯანსაღეს.

როგორც წესი, დიდ ქალაქებში, და უფრო ფართო ურბანულ კონტექსტში, ურბანული და ეკონომიკური განვითარება, სატრანსპორტო დერეფნებს ან კვანძებს მიჰყვება, რაც მასშტაბის ხარჯზე ეკონომიის საშუალებას იძლევა მდგრადი ტრანსპორტისა და მობილობის გადაწყვეტების უზრუნველყოფაში. *მდგრადი ურბანული მობილობის გეგმა (SUMP) და ტრანზიტზე ორიენტირებული განაშენიანება (TOD)* მდგრადი მობილობის გადაწყვეტების დაგეგმვისა და დაპროექტების ერთიანი მიდგომების მაგალითებია. ისინი აერთიანებს მიწათსარგებლობასა და ტრანსპორტის დაგეგმვას. ყოველთვის, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არამოტორიზებული ტრანსპორტით ან ქვეითად გასავლელ „ბოლო კილომეტრს“, რათა უზრუნველყოფილ იქნას კავშირები საზოგადოებრივ ტრანსპორტს, საფეხმავლო და საველოსიპედო მარშრუტებს შორის.



MAP Stockholm City Council

სურათი 5.7
ფეხითმოსიარულეთა ქალაქი (სტოკჰოლმის ყოვლისმომცველი გეგმა/ძველი) - მიწათსარგებლობისა და მობილობის დაგეგმვის ინტეგრირებული მიდგომა გაუმჯობესებული კავშირისა და ხმაურის, ჰაერის დაბინძურებისა და რისკების ზემოქმედების მინიმიზაციისთვის.

მობილობის ერთიანი გადაწყვეტები, რომლებიც ხშირად ჭკვიან სატრანსპორტო სისტემებს (ITS) მოიცავს, მობილობის სხვადასხვა სისტემის დაგეგმვას, მართვას და ფუნქციონირებას აერთიანებს, მათ შორისაა არამოტორიზებული ტრანსპორტი (მაგ. ველოსიპედისტები, ქვეითები) საზოგადოებრივი ტრანსპორტი (მაგ. ავტობუსები, მეტრო, რკინიგზა, წყლის ტრანსპორტი) და კერძო და კომერციული ავტოსატრანსპორტო საშუალებები (ტაქსები, მანქანები, სატვირთო მანქანები და სხვ.).

მობილობის განვითარების მიმართულებებისა და ტენდენციების გაგებას, ასევე მომავალი სცენარების პროგნოზირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სწრაფი ურბანიზაციის პირობებში. შესაძლებელია, მდგრადი მობილობის გადაწყვეტების მხარდაჭერა ტექნიკური წინსვლისა და ინოვაციის, ინსტიტუციური მოწყობის, ხელშემწყობი კანონმდებლობისა და პოლიტიკის, გაუმჯობესებული უფლებამოსილებებისა და სხვ. საშუალებით. *ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT)* სასარგებლოა სხვადასხვა მიმართულებით მონაცემთა შეგროვებისთვის, მაგალითად, მობილობის საშუალებებისა და სატრანსპორტო სისტემების (მათ შორის მოდალური დაყოფა) გამოყენების შესახებ. ასევე, ის ხელს უწყობს სატრანსპორტო ნაკადების შეფერხებების ან სხვა პრობლემების გამოვლენას, სერვისების მიწოდებისა და უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად და ბოლოს, უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ტრანსპორტში ინტეგრირებული ბილეთების სისტემების მხარდაჭერას.

ტრანსპორტი და სატრანსპორტო ნაკადები ურბანულ ტერიტორიებზე მუდმივად მზარდია, რაზეც მოქმედებს ურბანიზაცია და ურბანული განშლა. ამასთან, ეს ასახავს სიმდიდრის ზრდას, როდესაც სულ უფრო მეტ ადამიანს შეუძლია კერძო ავტომობილის შეძენა.

ქალაქების უმრავლესობაში ტრანსპორტის ყველაზე გაბატონებული საშუალებაა კერძო ავტომობილი, რაც იწვევს ნახშიროჟანგის ემისიებს, ისევე როგორც ჰაერის დაბინძურებასა და ხმაურს. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნოლოგიის გაუმჯობესება, ელექტრო და ჰიბრიდული ავტომობილების წილის ზრდასთან ერთად, გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებას უწყობს ხელს. თუმცა, ავტომობილების აბსოლუტური რაოდენობა ურბანულ ტერიტორიებზე კვლავ წარმოქმნის პრობლემებს გზებზე, იქნება ეს ხერგილები თუ იმ სივრცეების დაკავება, რომლებიც შესაძლოა სხვა დანიშნულებით გამოყენებულიყო. კერძო ავტომობილებით სარგებლობის შემცირებას ხელს უწყობს ე.წ. ავტომობილების გაზიარების პრაქტიკა (Car sharing/Pooling). მდგრადი მობილობისა და სატრანსპორტო სისტემები უნდა დაიგეგმოს და დაპროექტდეს გარემო ფაქტორების გათვალისწინებით, ენერგიაზე მოთხოვნის, სათბური აირების ემისიებისა და დაბინძურების შემცირების მიზნით.

ურბანული დაგეგმარების გადაწყვეტებს, რომლებიც წაახალისებენ საზოგადოებრივი და არამოტორიზებული ტრანსპორტით (NMT) სარგებლობას, არსებითი მნიშვნელობა აქვს კერძო ავტომობილის მობილობის სხვა საშუალებით ჩანაცვლებისთვის. ფიზიკურ გარემოში საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის უპირატესობის მინიჭება მისი მიმზიდველობისა და ეფექტურობის გაზრდის ერთ-ერთი საშუალებაა. სხვა საშუალებები მოიცავს ფინანსურ სტიმულებსა და გადასახადებს, მაგ. ქალაქის ცენტრში ავტომობილებით სარგებლობის გადასახადი სტოკჰოლმსა (შვედეთი) და ლონდონში (ინგლისი) და ურბანულ ტერიტორიებზე „ეკოლოგიური ზონების“ შექმნა, სადაც უპირატესობა საზოგადოებრივ ტრანსპორტს მიენიჭება.

მობილობის მიმართ ერთიანი და მდგრადი მიდგომა წაახალისებს საზოგადოებრივი და არამოტორიზებული ტრანსპორტით სარგებლობას, რომელიც მიმზიდველი, ხელმისაწვდომი და მარტივად გამოსაყენებელია. მნიშვნელოვანია საგზაო უსაფრთხოებისა

ილუსტრაცია SWECO/KTH Ulf Ranhagen

სურათი 5.8 მობილობის სისტემები – მასშტაბი და ტექნოლოგიური დონეები.

და დაცულობის უზრუნველყოფა ყველა მომხმარებლისთვის, განსაკუთრებით ქვეითებისა და ველოსიპედისტებისთვის, რომლებიც მეტად მოწყვლადი არიან. უპირატესობა ენიჭება დანიშნულებისამებრ გამოყენებას, თუმცა შესაძლოა ასევე მიზანშეწონილი იყოს სივრცის გაზიარების გადაწყვეტების გამოყენება, როდესაც ტრანსპორტის მართვა ნებადართულია დაბალი სიჩქარით და გათვალისწინებულია ქვეითთა საჭიროებები. უსაფრთხოების გასაძლიერებლად და გარემოსდაცვითი რისკების შემცირების მიზნით, გადატვირთული საგზაო მოძრაობა და საქონლის (განსაკუთრებით საშიში ნივთიერებების) ტრანსპორტირება კოორდინირებული უნდა იყოს მიწათსარგებლობის და ურბანულ ფუნქციებთან.

სივრცით და ურბანულ დაგეგმარებას საკვანძო როლი აქვს დაგეგმარების, მიწათსარგებლობისა და მობილობის გადაწყვეტების დაკავშირებაში, რაც ეკონომიკურ შესაძლებლობებს ქმნის, მაგ. საზოგადოებრივი სატრანსპორტო დერეფნების გასწვრივ და კვანძებზე, გაუმჯობესებული წვდომით სოციალურ, კულტურულ და კომერციულ სერვისებზე. შერეული ფუნქციური გამოყენება და სერვისებზე გაუმჯობესებული წვდომა ხელს უწყობს კერძო ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე დამოკიდებულების შემცირებას.



სურათი 5.11
სხვადასხვა ერთმანეთთან დაკავშირებული ასპექტები, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ მდგრადი შენობების დაგეგმვის, განლაგებისა და დიზაინის დროს.

მაგალითი

ტრანზიტზე ორიენტირებული განაშენიანების (TOD) პრინციპები

ტრანსპორტისა და განვითარების პოლიტიკის ინსტიტუტი წაახალისებს ურბანული განაშენიანების ისეთ მიდგომებს, რომლებიც „შექმნილია ხარისხიანი საზოგადოებრივი ტრანსპორტით ადამიანების, სერვისებისა და საქმიანობის დასაკავშირებლად. მიდგომა ხელს უწყობს ქვეითად და ველოსიპედით გადაადგილებისთვის საჭირო პირობების შექმნას მგზავრობის დროის შემცირების, უკეთესი ცხოვრების წესისა და ქალაქის რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების გზით. ტრანზიტზე ორიენტირებული განაშენიანების (TOD) პრინციპებია:

- **ფეხით სიარული** – ისეთი სამეზობლოების განვითარება, სადაც ფეხით სიარულია წახალისებული
- **ველოსიპედით გადაადგილება** – არამოტორიზებული ტრანსპორტის ქსელის განვითარება
- **დაკავშირება** – ქუჩებისა და ბილიკების მჭიდრო ქსელების შექმნა
- **ტრანზიტული ტრანსპორტი** – განაშენიანება მაღალი გამტარობის მქონე, ხარისხიან საზოგადოებრივ ტრანსპორტთან ახლოს
- **შერეული გამოყენება** – შერეული ფუნქციური გამოყენების პრინციპებით დაგეგმარება შემოსავლისა და დემოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით
- **სიმჭიდროვე** – სიმჭიდროვის გაუმჯობესება და ტრანზიტული გამტარუნარიანობის შესაბამება
- **კომპაქტურობა** – მოკლე ტრანზიტული მარშრუტების მქონე კუთხეების შექმნა
- **ცვლილება** – მობილობის გაუმჯობესება პარკირებისა და გზით სარგებლობის რეგულირებით

წყარო: ტრანსპორტისა და განვითარების პოლიტიკის ინსტიტუტი, https://tod.itdp.org/

სურათი 5.9
60 ადამიანისთვის მანქანით, ავტობუსით ან ველოსიპედით მგზავრობისთვის საჭირო სივრცის შედარება.
სურათი მიუნსტერის ქალაქიდან, გერმანია. www.muenster.de/stadt/stadtplanung

მაგალითი

ეროვნული ხედვები და მიზნები
შვედეთის ტრანსპორტის ადმინისტრაციამ განსაზღვრა 2050 წლამდე ეროვნული სატრანსპორტო სისტემის განვითარების სამი ყოვლისმომცველი გრძელვადიანი მიზანი:

- სატრანსპორტო სისტემა ინკლუზიური და ადვილად მისაწვდომია მოქალაქეებისა და ბიზნესებისთვის, მიუხედავად ქვეყანაში მათი ადგილმდებარეობისა;
- სატრანსპორტო სისტემაში არ გამოიყენება წიაღისეული საწვავი და მას აქვს მინიმალური ზემოქმედება გარემოზე;
- არავინ იღუპება („ნულოვანი ხედვა“) ან არავინ იღებს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას ტრანსპორტით სარგებლობისას ავტოსაგზაო შემთხვევით თუ ჰაერის დაბინძურების ან ხმაურის შედეგად.

ეს მაგალითად, გულისხმობს ავტომობილით გადაადგილების საჭიროების შემცირებას, არსებული სისტემებით გაზრდილ სარგებლობას და აღდგენას, ასევე ახალი სისტემებისა და გადაწყვეტების დანერგვას.

წყარო: შვედეთის ტრანსპორტის ადმინისტრაცია / Trafikverket

მობილობის სისტემებსა და სოციალურ-კულტურულ, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის ასპექტებს შორის რამდენიმე შეხების წერტილი არსებობს. მაგალითად სატრანსპორტო სისტემის გამწვანებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ავტომობილების მიერ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესამცირებლად. საავტომობილო მოძრაობასთან ახლოს მცხოვრები მოქალაქეები რისკს ექვემდებარებიან მომწამვლელი გამონაბოლქვის შედეგად. ავტობუსებისთვის სპეციალური ზოლების, მსუბუქი მატარებლებისა და ველობილიკების მოწყობა ხელს უწყობს მდგრადობას

ფოტო Green Alternative

ფოტო Love to Ride Batumi

საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელებისა და არამოტორიზებული სატრანსპორტო გადაწყვეტების უზრუნველყოფა ურბანული მდგრადობის გასაღებია. მაგალითები საქართველოდან.

და მედეგობას. *'მწვანე ქუჩები'* (სადაც ავტომობილებს საერთოდ არ აქვთ ან შეზღუდული აქვთ წვდომა) ან ქუჩები, სადაც ქვეითები უპირატესობით სარგებლობენ ავითარებს სოციალურ და კულტურულ ატმოსფეროს. კარგი დაგეგმარებითა და დიზაინით, შესაძლებელია მეტად მიმზიდველი და ცოცხალი ნაშენი გარემოს შექმნა.

მაგალითი

საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის წამახალისებელი ინიციატივები

- ქალაქის ცენტრში ავტომობილით გადაადგილების გადასახადი კონკრეტულ მთავარ ქუჩებზე, მაგ. სტოკჰოლმსა (შვედეთი) და ლონდონში (ინგლისი).
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის ერთიანი სისტემები, მაგ. კურიტიბასა (ბრაზილია) და ბოგოტაში (კოლუმბია)
- ურბანული დაგეგმარება და დიზაინი, მგზავრობისა და ავტომობილით სარგებლობის შესამცირებლად (შერეული ფუნქციური გამოყენება, სერვისებზე წვდომა, „საუბნო" გეგმარება და სხვ.)

ზოგიერთი ფაქტი

ტრანსპორტი - პოტენციური სინერგიები და შეხების წერტილები

- შერეული ფუნქციური გამოყენება და ურბანული ფუნქციების მრავალფეროვნება უბნებში მინიმუმამდე ამცირებს მგზავრობის საჭიროებას, ზრდის წვდომას, აუმჯობესებს ენერგოეფექტურობას და ამცირებს ჰაერის დაბინძურებასა და ხმაურს.
- ურბანული ფუნქციების მიწოდება სატრანსპორტო დერეფნებსა და/ან ურბანულ კვანძებზე, გაზრდილ სიმჭიდროვესთან ერთად საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობას წაახალისებს.
- ბიომასის გადამუშავების შედეგად ხდება გაზის გენერირება, რომლის ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავად გამოყენება შეიძლება.
- მობილობის კარგად დაგეგმილი ქსელები ხელს უწყობს ქვეითად და ველოსიპედით გადაადგილებას. თავის მხრივ, ეს აუმჯობესებს მაცხოვრებელთა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას.
- ტრანსპორტის, მძიმე ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისა და სახიფათო საქონლის გადაზიდვის კოორდინირება კონკრეტულ მარშრუტებზე გაუმჯობესებს უსაფრთხოების დონეს და შეამცირებს გარემოზე ზემოქმედების რისკებს.

5.5 შენობების პროექტირება და არქიტექტურა

'სიმბიოსითის' მიდგომით მდგრადი არქიტექტურა მოიცავს შენობების ისეთ გეგმარებას, დაპროექტებასა და მშენებლობას, რომელიც ადგილობრივ პირობებზეა მორგებული, იყენებს ეკოლოგიურად სუფთა მასალებს, ენერგოეფექტურია და ქმნის კომფორტულ და ჯანმრთელ შიდა გარემოს.

გლობალურად შენობებზე მოდის ენერგიის მოხმარებაზე მოთხოვნის 34%, ხოლო ენერგიასთან დაკავშირებული ემისიების (CO2) 37%. ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის მოსალოდნელი ზრდის მიუხედავად, სავარაუდოა, რომ ეს ციფრები გაიზრდება გლობალურად შენობებით დაკავებული ტერიტორიისა და კეთილდღეობის ზრდის გამო[46].

შენობების ენერგოეფექტურობა არსებითად განსხვავდება მათი დიზაინის, ფუნქციისა და ადგილმდებარეობის მიხედვით. კარგად დაპროექტებულმა და ენერგოეფექტურმა შენობებმა შესაძლოა შეამციროს გარემოზე ზემოქმედება, ამავდროულად იყოს ხარჯთეფექტიანი, რაზეც მოქმედებს, მაგალითად განლაგება, სტრუქტურული პროექტი, შერჩეული მასალები და ტექნიკური სისტემები. სხვა ფაქტორები მოიცავს მათ ორიენტაციას, მიკროკლიმატს და ნიადაგის მდგომარეობას.

შენობების ენერგოეფექტურობა არსებითად განსხვავდება გადაწყვეტების მიხედვით. კარგად დაპროექტებულ შენობებში გათვალისწინებულია პასიური ენერგია, ხოლო მოწინავე შემთხვევებში ენერგიის მოხმარება საერთოდ არ ხდება (ძირითადად) ან იგი გამომუშავდება, ზედმეტობა კი უბრუნდება საჯარო ენერგოქსელს. საუკეთესო შემთხვევაში კარგად დაპროექტებულ შენობებს ნაკლები გაგრილება სჭირდება ცხელ ამინდში და ნაკლები გათბობა სიცივეში. ზოგჯერ შესაძლებელია ენერგიის (გათბობა და გაგრილება) გადაცვლა შენობებს შორის ან თავად შენობებში, მაგალითად შერეული ფუნქციური გამოყენების კონტექსტში. არსებითად, ენერგიის, ნარჩენებისა და წყლის მდგრადი სისტემები მიკრო დონეზე (შენობა) ხელს უწყობს ურბანულ მდგრადობას მაკრო დონეზე. შენობების ეკოლოგიური მაჩვენებლების შეფასებაში გათვალისწინებულ უნდა იქნას შიდა და გარე ფაქტორები, მათ შორის პოტენციური გავლენა ადამიანებზე და ბუნებრივ გარემოზე.

მდგრადი არქიტექტურა მარტივი და კარგად დაპროექტებული, ფუნქციური და ჯანსაღი ნაგებობების მშენებლობას გულისხმობს ადგილობრივად წარმოებული და ეკოლოგიურად სუფთა მასალების გამოყენებით, რომლებიც უზრუნველყოფს კლიმატისა და უამინდობისგან (სიცხე, სიცივე) დაცვას და ფინანსურად ხელმისაწვდომია. ტრადიციული გამოცდილებისა და ცოდნის გამოყენებით შესაძლოა ზემოაღნიშნულის ხელშეწყობა, როდესაც კულტურული ტრადიციები და ადგილობრივი არქიტექტურა მნიშვნელოვან როლს ასრულებს შენობების დაპროექტებაში. კონკრეტული პირობების და ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით დროთა განმავლობაში შექმნილი თვისებების გადატანამ თანამედროვე დიზაინში შესაძლოა ხელი შეუწყოს ისეთი ფიზიკური, ნაშენი გარემოს შექმნას, რომელიც ეკუთვნის ხალხს და რომელიც მათთვის საამაყოა.

ფოტო Emile Hendricks

მზის ენერგიის პანელები ეკო-სოფელში გალეშეუში, კიმბერლი, სამხრეთ აფრიკა.

[46] საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო / გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა, 2022

ხისგან აშენებული საცხოვრებლის მაგალითი, სუნდბიბერგი, შვედეთი.
წყარო: www.arvet.se

მაგალითი

შენობების დაპროექტება - პოტენციური სინერგიები და შეხების წერტილები

- შენობებში ენერგიაზე მოთხოვნა შესაძლოა შემცირდეს მასალებისა და ტექნიკური გადაწყვეტების (იზოლაცია, ფანჯრების დიზაინი და სხვ.) გამოყენებით, ასევე გარემო ლანდშაფტისა და მიკროკლიმატის (მაგ. მზისგან და ქარისგან დაცვა) გათვალისწინებით.
- მწვანე სახურავებს შეუძლიათ წვიმის წყლის რაოდენობის შემცირება და ცხელ ამინდში გაგრილების ხელშეწყობა.
- შენობები და მათი მიმდებარე ტერიტორიები ისე უნდა დაპროექტდეს, რომ ხელი შეუწყოს ეკოლოგიური მაჩვენებლებისა და მართვის გაუმჯობესებას, მათ შორის ნარჩენების სეპარირებასა და შეგროვებას.
- შენობების განლაგება და პროექტი უნდა უზრუნველყოფდეს მარტივ წვდომას ველოსიპედისა და საფეხმავლო ქსელებზე.
- მრავალფუნქციურ შენობებს, რომლებშიც განთავსებულია როგორც ბინები, ისე ბიზნესები, ხშირად სოციალური და ეკონომიკური უპირატესობები გააჩნია.

5.6 ენერგოსისტემები

ენერგეტიკის დარგი მოიცავს ენერგიის წარმოებას, განაწილებას და მოხმარებას სხვადასხვა მიზნით. ურბანულ ტერიტორიებზე ენერგიის მდგრადი მიწოდება და მომხმარება პრიორიტეტული საკითხი უნდა იყოს, მათ შორის, სხვადასხვა დარგში თუ დონეზე განახლებადი ენერგიის წყაროებისა და გაძლიერებული ენერგოეფექტურობის უზრუნველყოფა.

შენობებზე გლობალური ენერგიის მოხმარების 34% და ენერგიასთან დაკავშირებული ემისიების (CO_2) 37% მოდის. გაუმჯობესებული ენერგოეფექტურობა და შესრულების მაჩვენებლები კავშირშია

შვედეთი, სკელეფტეოში, ხისგან აშენებული კულტურული ცენტრი და სასტუმრო „სარა კულტურჰუსი“.
წყარო:
www.white.se/www.svenskttra.se

სათანადო ურბანულ დაგეგმარებასთან, შენობის დაპროექტების, წარმოებისა და მშენებლობის პროცესებთან. გარდა ამისა, ენერგიაზე მოთხოვნა და ურბანული ტერიტორიების ენერგოეფექტურობა დამოკიდებულია მაგალითად ისეთ სისტემებზე, როგორიცაა ტრანსპორტი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნოლოგიები, ინფრასტრუქტურა და ადამიანების ცხოვრების წესი.

განახლებადი ენერგიის გადაწყვეტები და ტექნოლოგიური წინსვლები, მათ შორის მზისა და ქარის ენერგია, დღეს ფართოდ გამოიყენება და მეტად ხელმისაწვდომია. დიდი მნიშვნელობა აქვს ენერგიის საიმედო და ეფექტური განაწილების სისტემებს, ისევე როგორც გათბობისა და გაგრილების სარაიონო გადაწყვეტებს, რომლებიც შეიძლება კარგი ვარიანტი იყოს მჭიდროდ დასახლებული ადგილებისთვის. შინამეურნეობის დონეზე ალტერნატიული, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიები სულ უფრო მეტად ხელმისაწვდომია, თუმცა მათი გამოყენება დამოკიდებულია ცნობიერებასა და ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO)[47] თანახმად, მოსახლეობის ზრდა ურბანულ ტერიტორიებზე წინ უსწრებს საიმედო და მდგრად ენერგიის წყაროებზე წვდომას, როდესაც დაახლოებით 685 მილიონ ადამიანს მსოფლიოს მასშტაბით არ აქვს წვდომა ელექტროენერგიაზე ან სხვა თანამედროვე ენერგოსერვისებზე, ხოლო 2,1 მილიარდ ადამიანს – საკვების მოსამზადებელ სუფთა საწვავზე. ენერგიის წყაროდ ნახშირის, შეშის და პარაფინის ფართო გამოყენება მოქმედებს გარემოსა და ჯანმრთელობაზე. იგი აჩენს რისკებს, რომლებიც დაახლოებით 3,2 მილიონ ნაადრევ სიკვდილიანობას იწვევს ყოველწლიურად. ეს განსაკუთრებით ქალებსა და ბავშვებზე მოქმედებს სოციალურად დაუცველ და მოწყვლად თემებში, მაგალითად თვითნებურ დასახლებებში. სუფთა ენერგიის წყაროებზე გადასვლა, სამზარეულოს ტექნოლოგიები და სათანადოდ იზოლირებული სახლები ხელს უწყობს საცხოვრებელი გარემოს, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ნაშენი გარემო, მათ შორის სატრანსპორტო და სამშენებლო დარგები ენერგიის ყველაზე მსხვილი მომხმარებლები არიან. ამავე დროს მათზე მოდის ნახშირორჟანგის და სათბური აირების ემისიების დიდი წილი. საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემების ეფექტურობის გაუმჯობესებას შეუძლია ენერგიის მოხმარების შემცირება. მას დადებითი გავლენა აქვს გარემოზე ნახშირორჟანგის ემისიების, ჰაერის დაბინძურებისა და ხმაურის შემცირების მხრივ. ეფექტური და მედეგი ენერგოსისტემა, თანაბარი წვდომით და განაწილებით მოთხოვს სხვადასხვა დონეზე და მრავალფეროვანი ტექნოლოგიებით ჩარევას, განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებით, რაც ასევე შეამცირებს კლიმატის ცვლილებას და გარემოს დეგრადაციას. ეროვნული და ადგილობრივი მთავრობები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამგვარ გადასვლაში და სხვადასხვა ღონისძიებები მოიცავს შესაბამისი პოლიტიკისა და სტრატეგიების მიღებას, ფინანსურ ინსტრუმენტებსა და სტიმულებს, ინოვაციასა და ტექნოლოგიებს, ისევე როგორც შესაძლო გადაწყვეტების გამოვლენაში დაინტერესებული მხარეების ჩართვას,

მაგალითი

განახლებად ენერგიაზე გადასვლა

გასული ათწლეულების განმავლობაში კენიამ გაზარდა ენერგიის განახლებადი წყაროებიდან მიწოდება. 2023 წელს ენერგიის მთლიანი მიწოდებიდან ბიოსაწვავსა და ნარჩენებზე მოდიოდა 61.6%, ქარსა და მზეზე - 18%, ხოლო ჰიდროენერგიაზე 0.8%, რომელიც მეტწილად ადგილობრივად გამომუშავდებოდა. ენერგიის დარჩენილი მოთხოვნა იმპორტირებულია, მათ შორის ნავთობი (16,7%) და ნახშირი (3,0%).

წყარო: https://www.iea.org/countries/kenya/

ფოტო courtesy SCP Guide, Port Elizabeth, South Africa

სუფთა, განახლებადი ენერგიის წყაროებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ ელექტროენერგიასა და სხვა თანამედროვე ენერგეტიკულ მომსახურებაზე წვდომის ნაკლებობის პრობლემის მოგვარებაში.

[47] ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2022

ენერგიის მომწოდებლებიდან და დისტრიბუტორებიდან საბოლოო მომხმარებლებამდე საცხოვრებელ, კომერციულ და სამრეწველო დარგებში.

ზოგიერთი ფაქტი

მდგრადი ენერგია -
პოტენციური სინერგიები და შეხების წერტილები

- ენერგიის მოხმარება ურბანულ ტერიტორიებზე შესაძლოა შემცირდეს ენერგოეფექტური ურბანული დაგეგმარებითა და შენობების დაპროექტებით, წარმოების პროცესებითა და ტექნოლოგიებით.
- ბიოდეგრადირებადი ნარჩენების გადამუშავებით იწარმოება გაზი საკვების მოსამზადებლად, გასათბობად, ტრანსპორტისთვის და სხვ.
- ბიომასის წვის შემცირება ამცირებს გაუტყეურებას, იცავს ნახშირბადის შთანმთქმელ ეკოსისტემებს, და აუმჯობესებს შიდა გარემოს, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას.
- შესაძლებელია განვიხილოთ ნარჩენების წვა ფართომასშტაბიან CHP-სისტემებში (კომბინირებული სითბო და ელექტროენერგია) – თუმცა არსებითი მნიშვნელობა აქვს ემისიების მაღალი სტანდარტებისა და ოპტიმალური ტექნოლოგიების გამოყენებას დიოქსიდის ემისიების შესამცირებლად.
- ენერგეტიკის სექტორსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობით შესაძლებელია ალტერნატიული, ხელმისაწვდომი, ეფექტური და ეკოლოგიურად სუფთა ენერგეტიკული გადაწყვეტების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების, უკეთესი გარემოს შექმნას და ენერგიის დივერსიფიცირებულ და უსაფრთხო მიწოდებას.

5.7 ნარჩენების მართვა

ნარჩენების მდგრადი მართვა აუცილებელია ქალაქის მაცხოვრებლებისთვის გარემოს, ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. გონივრული წარმოება და მოხმარება ხელს უწყობს ნარჩენების დაგროვების შემცირებას და საუკეთესო შემთხვევაში, წაახალისებს რესურსების ბრუნვასა და ეფექტურ სარგებლობას.

ეფექტიან და რესურსებზე ორიენტირებულ ნარჩენების მართვაზე მოქმედებს საორგანიზაციო, საოპერაციო, ტექნიკური და ხშირად გამოყენებული ე.წ. „ნარჩენების იერარქია“, ახდენს ნარჩენების მდგრადი მართვის პრინციპების ილუსტრირებას, ხუთი ნაბიჯის (პრიორიტეტულობის) მიხედვით[48]:

1. *შემცირება* - ნარჩენების მოცულობებისა და საშიში ნარჩენების მაქსიმალურად შემცირება წარმოებაში, შეფუთვაში, დისტრიბუციასა და მოხმარებაში;
2. *ხელახალი გამოყენება* - ნარჩენების ხელახალი გამოყენება, მაგალითად მეორადი პროდუქტების მარკეტინგისა და გაყიდვის გზით;

3. *გადამუშავება* - ნარჩენების გადამუშავება, მაგალითად შესაფუთი ან სხვა პროდუქტების ახალი პროდუქტების საწარმოებლად ნედლეულის სახით გამოყენების გზით;
4. *აღდგენა* ნარჩენებიდან წარმოებული ენერგიის მოხმარება სხვა უნარჩენო მასალის ჩასანაცვლებლად;
5. *განთავსება და გაწმენდა* - ნაგავსაყრელებზე ნარჩენების განთავსება და დამუშავება – ბოლო ალტერნატივა ყველა სხვა ვარიანტის ამოწურვის შემდეგ.

სურათი 5.12
ნარჩენების მდგრადი მართვის იერარქიის მაგალითი.

მრავალ ურბანულ ტერიტორიაზე არსებობს ნარჩენების შეუსაბამო მართვის სისტემების პრობლემა, რომელიც უკავშირდება ნარჩენების სეპარირებას (განცალკევება), შეგროვებასა და მართვას, ნაგავსაყრელის სტანდარტების ჩათვლით. ნარჩენების რაოდენობის შემცირება უაღრესად მნიშვნელოვანია, თუმცა ხელახალ გამოყენებასა და გადამუშავებას ახალ ტექნოლოგიებთან ერთად შეუძლია ნარჩენების მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება და რესურსების ბრუნვის ხელშეწყობა. ნარჩენები, რომელთა ხელახალი გამოყენება ან გადამუშავება შეუძლებელია უნდა იმართებოდეს ეკოლოგიურად უსაფრთხო ფორმით, ადამიანების ჯანმრთელობის ან ბუნების დაუზიანებლად. ნაგავსაყრელებზე ნარჩენების შეგროვების საჭიროების შემცირება ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია.

საფუძვლიანი შეფასებისა და მაგალითად, სახიფათო ნივთიერებების გაჟონვის აღსაკვეთად განხორციელებული ღონისძიებების გატარების შემდეგ, ძველი ნაგავსაყრელები შესაძლოა მწვანე სივრცეებად გადაკეთდეს, ბიომრავალფეროვნების გასაუმჯობესებლად. ეს შესაძლოა იყოს პარკები ან რეკრეაციული სივრცეები, იმ პირობით თუ ტერიტორია დაცული იქნება რისკებისა და სახიფათო ნივთიერებებისგან. აუცილებელია შეიქმნას ახალი ნაგავსაყრელები გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების სტანდარტების მაქსიმალურად დაცვით, გარემოს გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობისთვის რისკების შემცირების მიზნით. შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით ნაგავსაყრელები შესაძლოა ასევე მოიცავდეს გაზის გამომუშავებისა და რეკუპერაციის სისტემებს.

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, როგორც წესი, პასუხისმგებელნი არიან ნარჩენების მართვაზე ადგილობრივ დონეზე, ზოგჯერ კერძო სექტორთან თანამშრომლობით. მნიშვნელოვანია ნარჩენების მართვის გეგმების შექმნა, ასევე ნარჩენების წარმოქმნის შემცირებისა და რესურსებით სარგებლობის ცირკულარულობის ხელშეწყობა. მაგალითად, ორგანული ნარჩენების მოხმარება შესაძლებელია კომპოსტირებისთვის, ენერგიის გამოსამუშავებლად ან სოფლის მეურნეობაში სასუქის სახით გამოსაყენებლად. ბიზნესებს, ინდუსტრიებსა და მეურნეობებს შორის ნარჩენების და მათი მართვის შესახებ ცნობიერების ზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს ნარჩენების მართვის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად.

კოპენჰაგენში ნარჩენების მართვისა და ენერგიის წარმოების კომბინირებული ობიექტი, რომელიც ასევე ფუნქციონირებს როგორც გარემოსდაცვითი განათლების ცენტრი და სათხილამურო ტრასა.
წყარო: www.big.dk

ნარჩენების განცალკევება სხვადასხვა ფრაქციებად და წყაროების მიხედვით დაგვეხმარება ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მიზნების უფრო ეფექტიანად მიღწევაში. მაგალი-

[48] ევროკავშირის მიერ მიღებული ნარჩენების დირექტივით ინსპირირებული

სურათი 5.13
ნარჩენების სისტემები - მასშტაბი და ტექნოლოგიური დონე

ილუსტრაცია SWECO/KTH Ulf Ranhagen

თად, საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენები არ უნდა შეერიოს, ხოლო სახიფათო ან ინფექციური ნარჩენები უნდა განადგურდეს, ან განთავსდეს სპეციალურად შექმნილ და დაცულ ნაგავსაყრელებზე. მრეწველობიდან, საავადმყოფოებიდან და სხვ. მიღებული სახიფათო ნარჩენების გამოვლენა, ცალკე შეგროვება და დამუშავება უპირატესი მნიშვნელობის არის, გარემოზე გავლენის და ჯანმრთელობის რისკების შემცირებისთვის.

მიუღებელია ნარჩენების ღია სივრცეებში გადაყრა; ნარჩენების შეგროვება და მართვა უნდა განხორციელდეს კონტროლირებადი და ეკოლოგიურად უსაფრთხო ფორმით, რათა თავიდან იქნას აცილებული ადამიანზე მიყენებული ჯანმრთელობაზე ზეგავლენა. ნარჩენების მდგრადი მართვა საჭიროებს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და თანამშრომლობას დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის თემებსა და კერძო სექტორს შორის, რითაც შეიქმნება ეკონომიკური შესაძლებლობები, როგორც ფორმალურ ისე – არაფორმალურ სექტორში, მაგალითად ბარაკებსა და არაფორმალურ დასახლებებში.

მაგალითი

ნარჩენების მართვა შვედეთში

2022 წელს შვედეთში ნარჩენების მართვის ფარგლებში დამუშავდა დაახლოებით 20 მილიონი ტონა ნარჩენი, მათ შორის ნარჩენები წიაღისეული სექტორიდან, რომელმაც ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 1,9 ტონა შეადგინა (1,8 ტონა უსაფრთხო და 125 კილოგრამი სახიფათო)

წვა, ენერგიის რეკუპერაციით	44,7%
მასალების გადამუშავება	26,1%
ბიოლოგიური დამუშავება	16,5%
ნაგავსაყრელი	6,1%
სხვა რეკუპერაცია	5,2%
ამოვსება (მიწის აღდგენა)	0,9%
წვა, ენერგიის რეკუპერაციის გარეშე	0,3%
სხვა სახის გამოყენება	0,1%

წყარო: შვედეთის გარემოს დაცვის სააგენტო (Naturvårdsverket), 2024

ზოგიერთი ფაქტი

მდგრადი ენერგია -
პოტენციური სინერგიები და შეხების წერტილები

- ნარჩენების შემცირება და ხელახალი გამოყენება ხელს უწყობს ნაკლები ენერგიის მოხმარებას და გარემოს ნაკლებ დეგრადაციას.
- სამრეწველო ნარჩენების მაქსიმალურად შემცირება და სახიფათო ნივთიერებების ჩანაცვლება საჭიროებს თანამშრომლობას გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის სახელმწიფო ორგანოებსა და სამრეწველო დარგებს შორის. სამრეწველო და სახიფათო ნარჩენების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან განცალკევება შეამცირებს ჯანმრთელობაზე ზეგავლენის რისკებს.
- ნარჩენების ენერგიად გარდაქმნის გადაწყვეტები შესაძლოა მოიცავდეს ბიოდეგრადირებადი ნარჩენების გადამუშავებას (მაგ. ჩამდინარე წყლების შლამის გაზად გარდაქმნა) ან ნარჩენების დაწვას (საჭიროებს გარემოს მართვის მკაცრ მექანიზმებს).
- ახალი ნაგავსაყრელები ყურადღებით უნდა დაიგეგმოს და განთავსდეს, რათა წყლის რესურსები, ნიადაგი და ბუნებრივი გარემო დაცული იყოს დაბინძურებისგან და ამავდროულად, უზრუნველყოფილი იყოს ჯანსაღი საცხოვრებელი გარემო.
- დეტალური შეფასების შემდეგ, შესაძლოა განხორციელდეს არსებული ნაგავსაყრელების რეაბილიტაცია ეკოლოგიური და რეკრეაციული მიზნებისთვის.

5.8 წყლის მართვა და სანიტარია

წყალმომარაგება და სანიტარია, რომლებიც პირდაპირ მოქმედებენ მილიარდობით ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, მდგრადობის ფუნდამენტური საზომია. მდგრადი განვითარების მიზანი 6 მიმართულია წყლის უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ ყველასათვის, პლანეტის წყლის რესურსების დაცვის გზით.

ზოგიერთი ფაქტი

მდგრადი განვითარების №6 მიზნის მიღწევის პროგრესი წყალმომარაგებისა და სანიტარიის მიმართულებით (2024):

2015 და 2024 წლებში პროგრესი გლობალურად შეინიშნებოდა, რა დროსაც უზრუნველყოფილი იყო წვდომა წყალმომარაგებისა და სანიტარულ სისტემებზე, თუმცა ჯერ კიდევ:

- 2,1 მილიარდი ადამიანი უსაფრთხოდ მართული სასმელი წყლის გარეშეა (74%),
- 3,4 მილიარდი ადამიანი უსაფრთხოდ მართული სანიტარული სისტემის გარეშეა (58%),
- 1.7 მილიარდი ადამიანი მნიშვნელოვანი ჰიგიენური სერვისების გარეშეა (80%).

წყარო: UN DESA, https://sdgs.un.org/goals/goal6#overview

მტკნარი წყალი მწირი რესურსია მსოფლიოს მრავალ ნაწილში და მისი გამოყენებისა და მართვისას სიფრთხილე აუცილებელია. ურბანულ ტერიტორიებზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს წვდომა უსაფრთხო სასმელ წყალზე. წყლის აღმავალი და დაღმავალი წყაროები, მაგალითად გრუნტის წყლები, ტბა თუ მდინარე, საჭიროებს ფრთხილ გამოყენებას და დაბინძურებისგან დაცვას. ურბანულ ტერიტორიებზე გატარებული ღონისძიებები მოიცავს დახურულ სისტემებს, ჩამდინარე წყლების და სახიფათო ნივთიერებების წყალსაცავებსა თუ რეზერვუარებში ჩადინების შემცირებასა და კონტროლირებად მიწათსარგებლობას წყალშემკრებ არეალებში. სასმელი წყლის მართვისა და გამოყენების ეფექტიანობა შესაძლოა გაუმჯობესდეს ინფრასტრუქტურის მხარდაჭერისა და გაჟონვის რისკის შემცირების, ამავდროულად წყლის კონსერვაციისა და დაზოგვის შესახებ ცნობიერების ამაღლების გზით ისეთ საბოლოო მომხმარებლებს შორის, როგორიც არიან შინამეურნეობები, ბიზნესები და მრეწველობის დარგები.

წყალმომარაგებისა და სანიტარული სერვისებით ჩამდინარე წყლების გაუმჯობესებულმა მართვამ უნდა შეამციროს ჩამდინარე წყლების მოცულობები და გააუმჯობესოს დამუშავების მეთოდების ეფექტიანობა. კონტექსტიდან, ინფრასტრუქტურული სისტემებისა და მოსახლეობის სიმჭიდროვიდან გამომდინარე, გათვალისწინებულ უნდა იქნას წყალზე დაფუძნებული საკანალიზაციო სისტემები და გამწმენდი ნაგებობები.

ურბანული ტერიტორიების დაგეგმვისა და დაპროექტების ინტეგრირებული მიდგომა წყლის სხვადასხვა წყაროების ეფექტიან გამოყენებას უწყობს ხელს, რაც აერთიანებს ბუნებრივ და ანთროპოგენურ სისტემებს წყლის მდგრადი მართვის მხარდამჭერი სინერგიების შესაქმნელად. სხვადასხვა წყაროებიდან წყლის შეკავებისა და შეგროვების შესაძლებლობების გამოვლენამ შესაძლოა ხელი შეუწყოს სასმელი წყლის გამოყენების შემცირებას, მაგ. წვიმის წყლის შეგროვება ტბორებსა თუ ავზებში ბაღებისა და მწვანე სივრცეების მოსარწყავად. თუ გაფილტრული ჩამდინარე „ნაცრისფერი“ წყალი არ შეიცავს მავნე ნივთიერებებს, მისი გამოყენება შეიძლება მსგავსი მიზნებისთვის. თუ ჩამდინარე წყლების განცალკევება შესაძლებელია ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, „შავი“ წყლის გამოყენება შეიძლება ენერგიის წყაროს სახით, რადგან ის ორგანულ ნივთიერებებს შეიცავს.

ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტების მწვანე ზონების, პარკების, ქუჩებისა და სკვერების დაგეგმვასა და დაპროექტებაში გათვალისწინებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს წყლის ეფექტურ შეკავებას, შეგროვებასა და მართვას. მას ასევე აქვს სხვა სარგებელიც, როგორიც არის ნაშენი გარემოს გაგრილება ცხელ კლიმატში.

სასმელი წყლის ეფექტიანი და შემცირებული მოხმარება მნიშვნელოვანია განსაკუთრებით მწირი წყლის რესურსების მქონე რეგიონებში. მსხვილი სისტემური გადაწყვეტები, როგორც წესი, გრძელვადიანი და მეტწილად შეუქცევადია, ხოლო წყლის რესურსების სუსტი მართვა იწვევს წყლის დეფიციტს. საჭიროა მდგრადი ვარიანტების ყურადღებით შესწავლა კომპლექსური

სისტემური გადმოსახედიდან, მაგალითად, წყლის კონსერვაციის, გრუნტის წყლების დაბინძურების, ჯანმრთელობისა და ჰიგიენის, სოციალურ-კულტურული ასპექტებისა და ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. არსებითი მნიშვნელობა აქვს სამართლიანი და გამჭვირვალე სატარიფო სისტემის შექმნას. ის უნდა მოიცავდეს კონსულტაციას დაინტერესებულ მხარეებთან.



ილუსტრაცია SWECO/KTH Ulf Ranhagen

სურათი 5.14
წყალმომარაგებისა და სანიტარული სისტემები – მასშტაბი და ტექნოლოგიური დონე.

5.9 ურბანული სისტემები - სინერგიები და კლიმატის ცვლილება

მიდგომა 'სიმბიოსითის' ხელს უწყობს ერთიან ურბანული განვითარების პროცესებსა და ინიციატივებს, რომელთა ფარგლებშიც შესაძლებელია სინერგიების შექმნა ურბანულ სისტემებსა და ფუნქციებს შორის, ისევე როგორც გარემოსდაცვითი, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და სივრცითი სიკეთეების ხელშეწყობა. ამგვარ სინერგიებს შესაძლოა ვუწოდოთ „სისტემური გადაწყვეტები".

სინერგიების გამოვლენა და განხორციელება მეტწილად დამოკიდებულია ხელშემწყობ გარემოზე, მათ შორის ინსტიტუციურ ჩარჩოსა და პარამეტრებზე, კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ჩარჩოებზე და სხვ., ასევე პოტენციური ბარიერებისა თუ კონფლიქტური ინტერესების შერბილებაზე. ქვემოთ მოცემულია პოტენციური სინერგიებისა და კლიმატის ცვლილებასთან მათი დამოკიდებულების მაგალითები.

სინერგიები - საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და სატრანსპორტო სისტემების დაგეგმვა ურბანული ფუნქციების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით

ტერიტორიების შერეული ფუნქციური გამოყენებით დაგეგმარების მიდგომას, მობილობისა და სატრანსპორტო სისტემების ერთიან დაგეგმვასთან ერთად, შეუძლია ტრანსპორტირების მოთხოვნის შემცირება, ასევე ენერგიის მოხმარებასა და ამგვარად სათბური

ზოგიერთი ფაქტი

წყალმომარაგება - პოტენციური სინერგიები და შეხების წერტილები

- ნარჩენების გადამუშავების ადგილები, ნაგავსაყრელები და ინდუსტრიები უნდა განთავსდეს და იმართებოდეს იმგვარად, რომ თავიდან იქნას აცილებული წყლის რესურსების დაბინძურება.
- წყალმომარაგების სისტემასა და ჩამდინარე წყლის გამწმენდ ნაგებობებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ენერგოეფექტურ გადაწყვეტებს მაგალითად ბიოდეგრადირებადი ნარჩენების, ჩამდინარე წყლების შლამისა და სხვ. გადამუშავების გზით.
- წყლისა და ჩამდინარე წყლების ხარისხი შესაძლოა გაუმჯობესდეს საჯარო (კომუნალური) უწყებების, სამრეწველო და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობით ეკოლოგიური პრობლემების შესამცირებლად.
- დაგეგმარებისა და კომუნალურ სამსახურებს შორის თანამშრომლობამ და კოორდინაციამ შესაძლოა აღკვეთოს გარემოს დეგრადაცია, ამავდროულად წაახალისოს სინერგიები ტექნიკურ გადაწყვეტებში.
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას შეუძლია ხელი შეუწყოს წყლის უფრო ეფექტურ მართვას და შეამციროს გარემოზე ზემოქმედების, მაგალითად, წყლით გადამდები დაავადებების რისკი.


ტრანსპორტი/მობილობა
ურბანული ფუნქციები
მყარი ნარჩენები
ენერგიის ეფექტურობა
ეკონომიკური
ბიზიტი-კულტურული
ეკონომიკური
ენერგიმოხმარება
ენერგია



ნელსონ მანდელას ყურის მუნიციპალიტეტში (სამხრეთ აფრიკა)ავტობუსების სწრაფი ტრანზიტის სისტემა დაიგეგმა იმისთვის, რომ გაუმჯობესებულიყო გადაადგილება და ქალაქის სხვადასხვა ნაწილის ერთმანეთთან კავშირი, ამასთანავე შეზღუდულიყო ქალაქის უკონტროლო გაფართოება.

რამდენიმე პოტენციური სინერგია, სადაც ორგანული ნარჩენები სხვადასხვა წყაროებიდან შესაძლოა 1) გამოყენებულ იქნას ბიოგაზის რეაქტორებში მეთანის წარმოებისთვის; 2) გამოყენებულ იქნას სასუქის სახით სოფლის მეურნეობაში ან ურბანული გამწვანებისთვის; 3) გადამუშავდეს კომპოსტად, თუმცა ტექნოლოგიებიდან გამომდინარე, ეს შესაძლოა საჭიროებდეს ენერგიის მოხმარებას გამომუშავების ნაცვლად, და 4) გადამუშავდეს კომპოსტად, როდესაც გაწმენდილი ჩამდინარე წყლების შლამი შეიძლება გამოყენებულ იქნას ბიოსაწვავის კულტურების განოყიერებისთვის დიდ, საშუალო ან მცირე ზომის ელექტროსადგურებში გამოსაყენებლად. ამგვარი სინერგიები ასევე ხელს უწყობს ცირკულარულ ეკონომიკებს, დამოკიდებულია ორგანული ნარჩენების ხარისხსა და შესაძლო ტოქსიკური ნივთიერებების გავრცელების დონეზე.

ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების ინტეგრირებულ დაგეგმარებას, რომელიც მოიცავს წყლის რესურსებს, ჩამდინარე წყლების გაწმენდასა და ნარჩენების მართვას, შეუძლია გარემოსდაცვითი გადაწყვეტების ხელშეწყობა. სათანადო წესით გაწმენდილი ჩამდინარე წყლების გამოყენება შესაძლებელია მწვანე და რეკრეაციულ ტერიტორიებზე, ხოლო ყოფილი ნაგავსაყრელები შეიძლება გარდაიქმნას ურბანულ მწვანე ლანდშაფტებად.

ოპტიმალური გადაწყვეტების გამოვლენისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს თემების, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის ჩართულობას, მათთან საქმიანი ურთიერთობასა და თანამშრომლობას. ცნობიერების ამაღლება, კომუნიკაცია და სწავლება უაღრესად მნიშვნელოვანია მდგრადი გარემოსდაცვითი გადაწყვეტების და ხარისხის სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფის მხრივ.

სურათი 5.17
ძირითადი სერვისების დაგეგმვისას გასათვალისწინებელი რამდენიმე ასპექტი

[49] ნიუმენი, პ. და კენვორტი, ჯ. (1989) ქალაქები და ავტომობილებზე დამოკიდებულება: წყარო.

სურათი 5.18
მდგრადი შენობების დიზაინში გასათვალისწინებელი რამდენიმე ასპექტი.

'სიმბიისითის' მიდგომა ნიშნავს ქალაქის დაგეგმვას ისე, რომ სხვადასხვა ელემენტი ერთმანეთს ეხმარებოდეს და აძლიერებდეს. ეს მიდგომა ყურადღებას ამახვილებს იმ წერტილებზე, სადაც სხვადასხვა მიმართულება – გარემოს დაცვა, ეკონომიკა, საზოგადოება და სივრცის გამოყენება – ერთმანეთთან იკვეთება. სწორედ ამ გადაკვეთებში ჩნდება დამატებითი ღირებულება და უფრო ეფექტური, ჰარმონიული განვითარება.

სინერგიები შენობის პროექტს, მიკროკლიმატსა და მიმდებარე ლანდშაფტებს შორის

შენობების გონივრული დაგეგმარება, განლაგება და პროექტირება უნდა ერგებოდეს ადგილობრივ პირობებსა და მიკროკლიმატს, მაგალითად გათბობისთვის ან ელექტროენერგიის გამომუშავებისთვის მზის ენერგიის გამოყენება ან შენობების დაცვა ქარისგან, გათბობისთვის ენერგიის მოთხოვნის შესამცირებლად. ამგვარი ადაპტაცია უნდა წახალისდეს ურბანული დაგეგმარების პოლიტიკის დოკუმენტებით, ცნობიერების ამაღლებითა და საჯარო უწყებებსა და კერძო/საჯარო დეველოპერებს შორის თანამშრომლობით.

სინერგიები და კლიმატის ცვლილება

კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილება და ადაპტაცია ურბანული დაგეგმარებისა და პროექტირების მნიშვნელოვანი მიზნებია. შერბილება მოიცავს პროაქტიულ ღონისძიებებს ნახშიროჟანგის ემისიების შემცირებისა და შთანთქმის მხრივ. სხვა სიტყვებით – ემისიების წყაროების შემცირება და ნახშირბადის შთანთქმის გაზრდა (ეკოსისტემები). შერბილება საკვანძო სტრატეგიაა, ურბანული ფორმისა და სტრუქტურის, ნაშენი გარემოს, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტირების, ენერგო სისტემებისა და სხვათა დაგეგმვისას.

ადაპტაცია გულისხმობს ბუნებრივი და ადამიანური სისტემების ცვალებად გარემო პირობებთან მორგებას. კლიმატის ცვლილების ზემოქმედება და დაუცველობა შესაძლოა შემცირდეს ადაპტაციის ღონისძიებებით. ურბანული სისტემების დაგეგმარება უნდა ითვალისწინებდეს ერთიან სტრატეგიებსა და გადაწყვეტების ალტერნატიული გზების ეფექტიანობის გასაზრდელად და ხარჯების შესამცირებლად, ისეთი ინსტიტუციური მოწყობის ჩათვლით, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობასა და კოორდინაციას დარგებს შორის.

ურბანული განშლა მნიშვნელოვანი საკითხია მრავალ მზარდ ქალაქსა და ურბანულ ტერიტორიაზე, რადგან ის ხელს უწყობს რესურსების არაეფექტიან მოხმარებას, მაგ.: მოტორიზებულ ტრანსპორტზე დამოკიდებულების ზრდა. ურბანული განშლის შეზღუდვა ხშირად რთულია ხელისუფლების შეზღუდული შესაძლებლობების, ალტერნატიული მიწის ნაკლებობის და სხვა მიზეზთა გამო. კარგად დაგეგმარების შემთხვევაში სწრაფი ტრანზიტული ავტობუსების სისტემა ურბანული განშლის შემცირების ერთ-ერთი საშუალებაა.

კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია არსებული და დაგეგმილი სისტემების შესაძლებლობებისა და ზღვრული მედეგობის გაძლიერებას უნდა ემსახურებოდეს, რომელიც ითვალისწინებს პროგნოზირებულ ზემოქმედებას მასშტაბური ხელახალი დაპროექტებისა და დაგეგმარების აუცილებლობის გარეშე. ურბანული სტრუქტურები და ინფრასტრუქტურა შესაძლოა სხვადასხვა ფორმით ადაპტირდეს, რომელთაგანაც ყველა არ საჭიროებს რთულ ტექნოლოგიურ გადაწყვეტას. კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს დაგეგმილ უკან დახევას, არსებულ გარემო პირობებთან შეგუებას და დამცავ ღონისძიებებს.

ურბანულ სისტემებში კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შერბილების ან მათთან ადაპტაციის მაგალითები

ურბანული სისტემები	კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შერბილება	კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია
ურბანული სტრუქტურა და ურბანული ფუნქციები	ურბანული განშლის თავიდან აცილება და კომპაქტური ქალაქის წახალისება ტრანსპორტზე მოთხოვნის შემცირების მიზნით. გათბობისა და გაგრილების ეფექტური სისტემების პოპულარიზაცია.	ურბანული განშლის თავიდან აცილება, განსაკუთრებით დაბლობ სანაპირო ზონებში და კომპაქტური განაშენიანებ-ის ხელშეწყობა მაღლობებ-ზე. მაღალი რისკის მქონე ადგილებში მჭიდრო დასახ-ლებებისთვის თავის არიდება.
ლანდშაფტის გეგმარება	მწვანე ზონები, რომლებიც განახლებად ენერგიასა და ფუნქციებს უწყობენ ხელს ნახ-შირბადის შთანთქმის გზით.	თბური კუნძულის ეფექტების აღკვეთა და წვიმის წყლის შემცირება
შენობის პროექტირება	შენობის პროექტი და იზოლაცია ხელს უწყობს ენერგიაზე მოთხოვნის შემცირებას.	შენობის პროექტი და იზოლაცია ხელს უწყობს უკიდურეს ტემპერატურასა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას
მობილობა, სატრანსპორტო ნაკადები და ტრანსპორტირება	მდგრადი მობილობის პოპულარიზაცია – ქვეითად, ველოსიპედით საზოგადოე-ბრივი ტრანსპორტით (მათ შორის წყლით) მგზავრობა, მწვანე ლოგისტიკა, წიაღისე-ული საწვავის განახლებადი ენერგიით ჩანაცვლება.	საფრთხის შემცველი გზების, რკინიგზის, აეროპორტებისა და პორტების რეაბილიტაცია და გადატანა.
ენერგია	გაუმჯობესებული ენერგო-ეფექტურობა, ენერგიაზე მოთხოვნის და წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირება.	გადაცემისა და განაწილების გაუმჯობესებული ეფექტურობა; ერთ წყაროზე დამოკიდებულების შემცირება; დეცენტრალიზებული სისტემების წახალისება.
ნარჩენების მართვა	ნარჩენების რესურსის სახით გამოყენების, ხელახალი გამოყენების, გადამუშავების, რეკუპერაციის შემცირება და სათბური აირების ემისიების მინიმუმამდე დაყვანა.	ნაგავსაყრელების დაცვა დატბორვისა და მიწისძვრე-ბისგან, დაბინძურების თავის აცილების მიზნით; სადრენაჟე არხების ნაგვისგან გასუფთა-ვება დაბინძურების და დატბორვის თავიდან ასაცილებლად.
წყლის მართვა	წყლის სამართავად საჭირო ენერგიის და შესაბამისად, სათბური აირების ემისიების შემცირება	წვიმის წყლის ხანგრძლივი შეგროვების, წყლის შენახვისა და კონსერვაციის ტექნიკები, წყლის ხელახალი გამოყენება, მარილებისგან გაწმენდა, წყლის მოხმარებისა და ირიგაციის ეფექტურობა.

Nyandi
River
Green Zone
Market

6.

სამუშაო პროცედურები

ინკლუზიური და გამჭვირვალე პროცესების პრაქტიკაში გამოყენება



ხედვა ღირებულებები მიზნები

'სიმბიოსითის' მიდგომა გამოიყენება, როცა:

- იწყება და მიმდინარეობს ქალაქის განვითარების დაგეგმვა სხვადასხვა მასშტაბზე;
- მზადდება განვითარების ან განახლების სტრატეგიები - როგორც არსებული ქალაქებისთვის, ისე ახალი უბნებისა და დასახლებებისთვის;
- ხდება არსებული გეგმების გადახედვა ან ქალაქის მდგრადობის შეფასება (კონკრეტულ სფეროში ან მთლიანად ქალაქისთვის);
- იგეგმება ქალაქის აღდგენა და რეაბილიტაცია კრიზისულ ან კონფლიქტურ სიტუაციებში;
- ურბანულ გარემოში ინსტიტუციური და ორგანიზაციული სისტემების ანალიზი კეთდება.

'სიმბიოსითის' მიდგომა ხელს უწყობს მდგრად ურბანულ განვითარებას ერთიანი და ყოვლისმომცველი მეთოდოლოგიის საშუალებით. იგი წაახალისებს დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობას, ცოდნის გაზიარებასა და ტრანსფორმაციულ გადაწყვეტებზე პასუხისმგებლობის აღებას. მიდგომა ეფუძნება განმეორებითი ნაბიჯებისგან შემდგარ, ციკლური ხასიათის მქონე პროცესს, რომელიც აერთიანებს ურბანული მდგრადობისთვის მნიშვნელოვან საკითხებს.

'სიმბიოსითის' მიდგომის პრაქტიკაში გამოყენება მოიცავს ექვს ყოვლისმომცველ ნაბიჯს, რომლებიც წარმართავს პროცესს იდეიდან მის განხორციელებამდე. ხშირად დიდ თუ პატარა ქალაქებს საერთო გამოწვევები აქვთ, თუმცა, ამავდროულად, თითოეული მათგანის კონტექსტი უნიკალურია. შესაბამისად, აუცილებელია, პროცესი მოერგოს კონკრეტულ საჭიროებებსა და გარემოებებს.

'სიმბიოსითის' მიდგომის გამოყენება შესაძლებელია ურბანული განაშენიანებისა და დაგეგმარების სხვადასხვა სცენარებში, მათ შორის: სტრატეგიებისა და გეგმების მომზადება, მდგრადობის მიმოხილვების განხორციელება, არსებული პოლიტიკის მდგრადობის ელემენტებით გამდიდრება ან ტრანსფორმაციული ურბანული ჩარევების განხორციელება. შესაძლებელია მეთოდოლოგიის სხვადასხვა ურბანულ მასშტაბზე, მათ შორის, რეგიონულ, საქალაქო, სამეზობლო ან ადგილობრივ დონეებზე მისადაგება. მისი ინკლუზიური ხასიათის წყალობით, მეთოდოლოგია ხელს უწყობს დიალოგსა და თანამშრომლობას ქალაქის დაინტერესებულ მხარეებსა და თემებს შორის ურბანული მდგრადი განვითარების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.

მიდგომა მოითხოვს პოლიტიკურ დონეზე მხარდაჭერილ ხედვას, რომელიც საწყისი წერტილი და მთლიანი პროცესის ორიენტირი იქნება. ამგვარი ხედვის არარსებობის პირობებში, შესაძლებელია მისი პროცესის განმავლობაში შემუშავება. ამასთან, აუცილებელია, არჩეულ წარმომადგენლებს, ხელმძღვანელ პირებსა და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა საკვანძო სამსახურებს ესმოდეთ ეს ხედვა, მიიღონ იგი და შეეძლოთ მისი გადმოცემა. მსგავსად აუცილებელია, დაინტერესებულ მხარეთა შორის ურბანული მდგრადობის და მისი განსაზღვრების საერთო გაგების ჩამოყალიბება. კერძოდ, ის თუ როგორია მისი მნიშვნელობა მოცემულ კონტექსტში საწყისი წერტილია, რომელმაც შესაძლებელია დროთა განმავლობაში სახეცვლილება განიცადოს.

არჩეული წარმომადგენლების, შესაბამისი სამსახურების თანამდებობის პირების და გამოვლენილი დაინტერესებული მხარეების/თემების აქტიური მონაწილეობა გადამწყვეტია პროცესისა

და მისი შედეგების მიმართ საჭირო მხარდაჭერის, ჩართულობისა და პასუხისმგებლიანი მიდგომის უზრუნველყოფისთვის. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მარგინალიზებული ჯგუფების მოსაზრებათა მხედველობაში მიღება, მათ შორის გენდერულად მგრძნობიარე და სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ ურბანული განვითარების ინიციატივები ხშირად ადგილობრივი ხელისუფლების მიერ წარმართული პროცესია, ქვემოდან-ზემოთ და ადგილობრივი თემის ძალისხმევით ინიცირებული პროცესები არანაკლებ მნიშვნელოვანია.

როგორ გამოვიყენოთ პრაქტიკაში 'სიმბიოსითის' მიდგომა?

მდგრადი ურბანული განვითარების დაგეგმვა არ არის წრფივი ან სტატიკური პროცესი. შესაბამისად, სამუშაო პროცესი მოწყობილია ექვსი განმეორებითი ნაბიჯის გარშემო, რომელიც სამ ციკლად არის დაჯგუფებული. ყველაფერი იწყება ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემით, როგორიცაა: „როგორია არსებული მდგომარეობა?“, „რის გაკეთება გვსურს?“ და „რატომ?“. მეორე ციკლი ანუ „დაგეგმვა“ ადგენს მიზნებს და იკვლევს მათი მიღწევის შესაძლო ალტერნატივებს და გადაწყვეტებს. ხოლო, მესამე და ბოლო ციკლი პასუხობს კითხვას „როგორ მივაღწიოთ სასურველ შედეგს?“, რაც უზრუნველყოფს, რომ შემოთავაზებული გადაწყვეტები განხორციელებადი და ტრანსფორმაციული მოქმედების მქონე იყოს. სამუშაო პროცესის ექვსი ძირითადი ნაბიჯი შემდეგია:

1. დაგეგმილი სამუშაოს, ამოცანის ან ჩარევის განსაზღვრა და ორგანიზება;
2. არსებული ვითარების ანალიზი და დიაგნოსტირება;
3. ხედვის, მიზნებისა და ამოცანების დასახვა;
4. ერთიანი გადაწყვეტების (ალტერნატივების ჩათვლით) შემუშავება;
5. სარგებლისა და ზემოქმედების შეფასება;
6. განხორციელების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება, მონიტორინგისა და განხორციელების შემდგომი მოკვლევის ჩათვლით.

პირველი ციკლი ყურადღებას ამახვილებს *1-ელ და მე-2 ნაბიჯებზე*, რომლებიც ემსახურება სამუშაოს განსაზღვრას და ორგანიზებას შესაბამისი ამოცანისა და მიზნის გარშემო, შეთანხმებული ვადებითა და განაწილებული ამოცანებით. ჩარევასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და მონაცემების საფუძველზე ხორციელდება არსებული ვითარების ანალიზი და დიაგნოსტირება. საბოლოოდ, აუცილებელია ურბანული მდგრადობისა და ქალაქის ყოვლისმომცველი ხედვის (თუ ეს რელევანტურია) მონაწილეთა შორის განხილვა და შეთანხმება. ეს ქმნის პირველად, საერთო გაგებას ხსენებულ საკითხებზე.

მეორე ციკლი მოიცავს *მე-3 და მე-4 ნაბიჯებს*. ეს არის ეტაპი, როდესაც „დიაგნოზი“ ფართოვდება და იხვეწება, ხოლო ჩარევის

სურათი 6.1
სამუშაო პროცესი ორგანიზებულია 6 ურთიერთდამოკიდებულ ეტაპად, რომლებიც განაწილებულია 3 წიკლში.

ფარგლებში განსახორციელებელი ამოცანები და სამიზნეები განისაზღვრება. ეს ეტაპი აყალიბებს შესაძლო გადაწყვეტების, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სცენარების საფუძველს.

მესამე ციკლი *მე-5 და მე-6 ნაბიჯებზეა* ორიენტირებული. ეს არის ეტაპი, რა დროსაც სავარაუდო გადაწყვეტები ფასდება მათი ზემოქმედებისა და სარგებლის მიხედვით. ამ დროს ყალიბდება და თანხმდება სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები. ამ ეტაპზე გადასვლამდე 1-4 ნაბიჯები დასრულებული უნდა იყოს, თუმცა, შესაძლებელია მივუბრუნდეთ მათ, თუ ამას გარემოებები მოითხოვს.

შემოთავაზებული ციკლური და განმეორებითი პროცესი საშუალებას გვაძლევს, საჭიროების შემთხვევაში, ახალი ინფორმაციის ან მნიშვნელოვანი ფაქტორების გამოვლენისას, დავუბრუნდეთ და გადავხედოთ წინა დასკვნებსა და შეფასებებს. ამით გაიზრდება როგორც პროცესის, ასევე მისი შედეგების ხარისხი, რაც საფუძველს ჩაუყრის ურბანულ მდგრადობას. როგორც წესი, ურბანული განვითარების პროცესები კომპლექსურია, ამიტომ სასარგებლოა დასაწყისში უფრო ფართო მიზნებისა და გზების დადგენა, ხოლო ბოლოსკენ რთული თემების დაზუსტება. ეს ხელს უწყობს საწყის ეტაპებზე დეტალების გამო შექმნილი შეფერხებების თავიდან აცილებას.

‘სიმბიოსითის’ მიდგომის ინსტრუმენტების კრებული

‘სიმბიოსითის’ მიდგომის სამუშაო პროცედურა მოიცავს მეთოდებისა და ინსტრუმენტების კრებულს, რომლებიც პროცესის სხვადასხვა ეტაპზე შეიძლება გამოვიყენოთ.

როგორც წესი, ინსტრუმენტების უმრავლესობა შეიძლება გამოვიყენოთ დაგეგმვისა და პროექტირების პროცესებში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართვით: მაგალითად, SWOT[50] ანალიზი, გონებრივი რუკა, სტრუქტურირებული გონებრივი იერიში და რადარის დიაგრამები. სხვა ინსტრუმენტები უფრო რთული გამოსაყენებელია და შეიძლება გამოცდილებასა და ანალიტიკურ უნარებს მოითხოვდეს, როგორიცაა ამოცანების, სამიზნეებისა და ინდიკატორების განსაზღვრა ან მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი. ციფრული ინსტრუმენტები, როგორიცაა Space Syntax, კომპიუტერული ხატვა (CAD), გეოგრაფიულ-საინფორმაციო სისტემები (GIS) ძალიან სასარგებლოა უფრო მოწინავე სივრცითი ანალიზისთვის, თუმცა სპეციალიზებულ უნარებსა და ცოდნას, ისევე როგორც გარკვეული ფორმატის მონაცემებს საჭიროებს. შესაბამისად ასეთი ინსტრუმენტები, ‘სიმბიოსითის’ მიდგომის ფარგლებში არ არის დეტალურად აღწერილი.

დამატებით, ‘სიმბიოსითის’ მიდგომა მოიცავს კონკრეტული თემატური სფეროების სიღრმისეულ სახელმძღვანელოებსა და შესაბამის ინსტრუმენტებს. მაგალითად, ესენია გენდერულად მგრძნობიარე მიდგომა, სიღარიბის დაძლევა, „ადგილის შექმნის“ მიდგომა, ქალაქის სტრატეგიული ხელმძღვანელობა და ა.შ. ისინი აღწერილია ცალკე საინფორმაციო პროდუქტების სახით.

[50] Strengths, Weaknesses, Opportunities, Threats (ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები).



სურათი 6.2
ინსტრუმენტების მიმოხილვა, რომლების მოქნილი გამოიყენებაც 'სიმბიოსითის' პროცესის სხვადასხვა ეტაპზეა შესაძლებელი.

აუცილებელია სამუშაო პროცესის დოკუმენტირება მისი შემდგომი გაცნობის, გაზიარების და გამჭვირვალობის მიზნებისთვის. დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს განხორციელებულ აქტივობებს, წამოჭრილ და განხილულ საკითხებს, დასკვნებს და ა.შ. სასურველია არსებობდეს პროცესის ამსახველი წერილობითი დოკუმენტი, რომელსაც თან ახლავს ილუსტრაციები, ფოტოები, დიაგრამები და რუკები.



6.1 ნაბიჯი 1
პროცესის განსაზღვრა და ორგანიზება

დაგეგმილი ჩარევის დაწყებამდე, აუცილებელია თავად პროცესზე ფიქრი და მისი შესაბამისი ორგანიზება. ეს მოიცავს ჩარევის მიზნისა და მასშტაბის განსაზღვრას, მისი რაციონალური საფუძველის გააზრებას, მონაწილეთა და დაინტერესებულ მხარეთა გამოვლენას და მეთოდოლოგიის უფრო დეტალურად აღწერას. საყურადღებოა საჭირო და ხელმისაწვდომი ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსები.

კარგად სტრუქტურირებული დაგეგმვის პროცესი ხელს უწყობს სიცხადესა და გამჭვირვალობას, მონაწილეთა შორის ამოცანების გააზრებას და საბოლოოდ, დროისა და ხარჯების დაზოგვას. ამასთან, კარგად ორგანიზებული პროცესი წაახალისებს მონაწილეებსა და დაინტერესებულ მხარეთა მიერ პასუხისმგებლობის აღებასა და მიმღებლობას. იგივე შეიძლება ითქვას ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა სამსახურებზე.

საწყისი სამუშაო პროცესის ორგანიზებისთვის შეიძლება შემდეგი კითხვები გამოვიყენოთ:

- რა მიზანს ემსახურება ჩარევა? > რა სახის გეგმა უნდა შემუშავდეს?
- რა გზით და როდის მიიღწევა დასახული მიზანი? > სამუშაო გეგმის შედგენა.
- ვინ უნდა ჩავრთოთ დაგეგმვაში და როგორ? დაგეგმვის გუნდის ჩამოყალიბება.
- რა რესურსებია საჭიროა დაგეგმვის პროცესისთვის? > უზრუნველყოფს საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობას, როგორიცაა უფლებამოსილება, პერსონალი, აღჭურვილობა და ბიუჯეტი.

გუნდის ჩამოყალიბება

დასაწყისშივე უნდა დადგინდეს ის, თუ ვინ უნდა ჩაერთოს პროცესში და რატომ. ხშირად, ესა თუ ის ვითარება სხვადასხვა ტიპისა და ხარისხის მონაწილეობას მოითხოვს სხვადასხვა დაინტერესებული მხარისგან. კონტექსტიდან გამომდინარე, ჩარევის ან სასურველი შედეგის ინიციატორის, სირთულისა და ტიპის მიხედვით ორგანიზაციული სტრუქტურა განსხვავებული იქნება.

გასათვალისწინებელია სამი ორგანიზაციული დონე, მათ შორის **მმართველი ჯგუფი (ანუ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები ორგანო),** რომელსაც საბოლოო პასუხისმგებლობა დაეკისრება და ინიციატივის განხორციელების ზედამხედველის ფუნქციას შეასრულებს. აქ მიიღება საკვანძო სტრატეგიული გადაწყვეტილებები, ხდება განხორციელების ინიცირება და შედეგების დამოწმება. ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე, აუცილებელია პოლიტიკურ გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მონაწილეობა, რაც უზრუნველყოფს მკაფიო უფლებამოსილებებს, ინსტრუქციებსა და გეგმის მხარდაჭერას. ინიციატივის მასშტაბისა და სირთულიდან

გამომდინარე შეიძლება განხილულ იქნეს სხვა დონის გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ჩართვა მმართველ ჯგუფში.

სამუშაო ჯგუფი პასუხისმგებელია დავალების ან ამოცანის არსებითი ნაწილის შესრულებაზე, მაგალითად, გეგმის შემუშავება, მიმოხილვა ა.შ. სასურველია, ჯგუფის შემადგენლობა იყოს მულტიდისციპლინური და აერთიანებდეს სხვადასხვა თემატური სფეროს ექსპერტებს, ინტერესთა ჯგუფისა თუ ორგანიზაციის წარმომადგენლებს. ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე შესაძლებელია სხვადასხვა პასუხისმგებლობის მქონე სამსახურების გამოვლენა.



სურათი 6.3
განვითარების პროცესებში ორგანიზაციული სტრუქტურის მაგალითები, რომლებიც უზრუნველყოფს მრავალდონიან თანამშრომლობას და ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობას.



სურათი 6.4
შესაძლო ორგანიზაციული სტრუქტურა უფრო დიდი განვითარების პროექტისთვის, მაგალითი 'სიმბიოსითი' ეთიოპიადან.

პოლიტიკურ/გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოსა და სამუშაო ჯგუფს შორის აუცილებელია უწყვეტი ორმხრივი კომუნიკაცია. სამუშაო ჯგუფს, როგორც წესი, უძღვება დანიშნული პროექტის მენეჯერი, საკონტაქტო ან სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე პირი.

მრჩეველთა ან საკონსულტაციო ჯგუფ(ებ)ი შეიძლება მოიცავდეს თემის, სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური და კერძო სექტორის წარმომადგენლებს. ეს თანამშრომლობითი მუშაობის ხელშეწყობის კარგი საშუალებაა. ეს არ არის ერთგვაროვანი ჯგუფი და მისი როლი და ხასიათი მიზნიდან გამომდინარე, დაგეგმვის პროცესის ტიპისა და ეტაპის შესაბამისად განსხვავებული იქნება. ასევე ეს არ არის სტატიკური ჯგუფი; მისი შემადგენლობა დროთა განმავლობაში შეიცვლება პროექტის ჩამოყალიბებასთან ერთად.

ერთიანი და ინკლუზიური მიდგომა უნდა აისახოს გუნდის შემადგენლობასა და მოწყობაში, მათ შორის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ფუნქცია-მოვალეობების განაწილებაში.

დაინტერესებულ მხარეთა რუკის შედგენა და მათი მონაწილეობა

ხშირ შემთხვევაში სასარგებლოა იმ დაინტერესებულ მხარეთა გამოვლენა, ვინც დაინტერესებულია ან ვისზეც პირდაპირ (ან ირიბად) მოქმედებს დაგეგმილი ჩარევა. დაინტერესებულ მხარეთა რუკის შექმნა და ანალიზი საწყის ეტაპზევე ხორციელდება, მათ შორის მათი პოტენციური ინტერესი ჩარევაში და შესაძლო როლი. დაინტერესებულ მხართა ტიპები შეიძლება მოიცავდეს ორგანიზაციებს, თემებს, ბიზნესებს, სამსახურებს, რელიგიურ და პოლიტიკურ ჯგუფებს ან ცალკეულ ინდივიდებს. შესაძლებელია გამოვლენილი ჯგუფის პროცესში გადახედვაც.

ადგილობრივი თემი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დაინტერესებული მხარეა. იგი მრავალფეროვან ჯგუფს შეიძლება წარმოადგენდეს. პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ჩართულობის სწორი დონისა და ფორმის გამოვლენა სიფრთხილეს მოითხოვს. თემის მონაწილეობა სასიკეთოა ურბანული ტერიტორიების დაგეგმარებისა და მოწყობის, ასევე მართვის ეტაპებზე.

მოქალაქეებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ხელს უწყობს პროცესის ინფორმირებას, მაგალითად, მონაცემთა შეგროვების კუთხით.

კომუნიკაცია და გამჭვირვალობა

ღია და გამჭვირვალე პროცესის შექმნა მოითხოვს ორმხრივ კომუნიკაციასა და ინფორმაციის გაზიარებას დაინტერესებულ მხარეთა ნდობის ჩამოყალიბების, ინფორმირების, ჩართვისა და წახალისების მიზნით. კომუნიკაციის გეგმა გვეხმარება კომუნიკაციის ფორმისა და დროის შერჩევაში. სოციალური მედია, გაზეთები, ვებსაიტები და ა.შ. მასობრივი კომუნიკაციის ტიპური საშუალებებია, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია შეხვედრის ოქმის გაზიარება, საჯარო შეხვედრის, გამოფენის, სემინარის ან ადგილზე ვიზიტის ორგანიზება. აუცილებელია კომუნიკაციის გეგმა სტრატეგიულად და პროაქტიულად ითვალისწინებდეს კომუნიკაციის მიზანს, შინაარს და სამიზნე აუდიტორიას.

სამუშაოს დაგეგმვა

სამუშაო გეგმა – ეს არის ერთგვარი საგზაო რუკა და ეფექტური გზამკვლევი, თუ როგორ მივიღოთ ჩვენეული, კარგად ჩამოყალიბებული და განხორციელებადი ჩარევა (გეგმა, პროექტი ან მიმოხილვა). პროექტის განვითარებასთან ერთად, სამუშაო გეგმა უნდა გადაიხედოს და შეიცვალოს, რათა უზრუნველყოს განახლებული სახელმძღვანელო მითითებები ერთობლივი დაგეგმვისათვის. სამუშაო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს პროექტის მიზანსა და მასშტაბს, დეტალურად აღწერდეს მოსალოდნელ განსახორციელებელ ღონისძიებებს და ჩარევის დასრულებისთვის საჭირო ადამიანურ, ტექნიკურ და ფინანსურ რესურსებს (ბიუჯეტი). სამუშაო გეგმა უნდა წარმოადგენდეს დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების რეალისტურ განრიგს.

განტის დიაგრამა (ანუ ღონისძიებათა განრიგი) სამუშაოს დაგეგმვის ტიპური საშუალებაა, სადაც ასევე მითითებულია ძირითადი სამიზნეები და გადაწყვეტილების მიღების ვადები. დიაგრამა უნდა მოიცავდეს მონაწილეობით, ჩართულობისა და კომუნიკაციის ღონისძიებებს.

განრიგში შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მათ შორის ძირითადი და ქვემდებარე ღონისძიებები (ზედა ნაწილი), რომლებიც შეესაბამება სამი ციკლის პრინციპებს. განრიგში რეალისტური დრო უნდა იყოს დათმობილი თითოეულ საფეხურისთვის, რომელიც ჩარევის მიზნიდან, მასშტაბიდან და სირთულიდან გამომდინარე შეიძლება განსხვავდებოდეს. ქვედა ნაწილი წარმოადგენს შეხვედრების, საზოგადოების ჩართულობის ან გადაწყვეტილების მიღების ვადებს.



სურათი 6.5
დაგეგმვის დავალების ან მდგრადობის მიმოხილვის ორგანიზებისას უნდა შემუშავდეს ორგანიზაციული სქემა და დროის გრაფიკი.

ზოგიერთი ფაქტი

- ერთიანი და მულტიდისციპლინური მიდგომა ეფუძნება განვითარების ეკოლოგიური, სოციალურ-კულტურული, ეკონომიკური და სივრცითი განზომილებების მოცვისთვის საჭირო ექსპერტული ცოდნის ჩართვას.
- დაინტერესებულ მხარეთა რუკა ადგენს იმ დაინტერესებულ მხარეებსა და თემებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ან ვისზეც პირდაპირ (ან ირიბად) მოქმედებს დაგეგმილი ჩარევა.
- მრჩეველთა და საკონსულტაციო ჯგუფებს შეუძლიათ პროცესის საჭიროებისამებრ, მხარდაჭერა ექსპერტული, სიღრმისეული ცოდნის მოწოდებითა და ჩარევის ინსტიტუციურ და მარეგულირებელ ჩარჩოებთან მორგებით.
- სამუშაოს, დაგეგმილი ჩარევის განსახორციელებლად საჭირო რესურსები თავიდანვე უნდა განისაზღვროს. მათ შორის, ეს მოიცავს ფინანსურ, ადამიანურ და ტექნიკურ რესურსებს.
- სამუშაოს ორგანიზებისას უნდა დავსახოთ რეალისტური ვადები, ეტაპები და ხელშესახები ღონისძიებები, რათა საქმიანობა იყოს წამახალისებელი, ინკლუზიური და მიზანმიმართული.



6.2 ნაბიჯი 2
არსებული ვითარების დიაგნოსტირება

დაგეგმვისადმი ერთიანი, ყოვლისმომცველი და ინკლუზიური მიდგომა შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა ურბანული მასშტაბით, მიზნით და სასურველი შედეგის მისაღწევად. კონტექსტის სიღრმისეული გაგება მიიღწევა გაბატონებული *ეკოლოგიური, სოციალურ-კულტურული, ეკონომიკური* და *სივრცითი მახასიათებლების, გამოწვევებისა* და *უპირატესობების* გამოკვლევის, აღწერისა და დოკუმენტირების საშუალებით. ეს გვეხმარება გამოვავლინოთ შესაბამისი პასუხები და მოქმედებები, ისევე როგორც მივიღოთ მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები.

სტრატეგიული გეგმების დიაგნოსტიკა, როგორც წესი, მოითხოვს უფრო ფართო ანალიზს, ხოლო კონკრეტულ ჩარევასა თუ პროექტს უფრო ვიწრო არეალი აქვს. გამოვლენილი გამოწვევების ძირეული მიზეზების გაგება ერთიანი პასუხებისა და გადაწყვეტების პოვნას უზრუნველყოფს. ყოვლისმომცველი ანალიზის განხორციელების ნაცვლად, თემის მონაწილეობა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ (და გადავამოწმოთ) ადგილობრივ კონტექსტში მნიშვნელოვანი საკითხები და მათი პრიორიტეტულობა. უპირატესობებისა და შესაძლებლობების (მაგ., სამეზობლოს) განხილვა ასევე მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის წახალისებისთვის. სიტუაციური ანალიზისა და დიაგნოსტირების ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტი ქვემოთ არის აღწერილი.

მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

არსებული სიტუაციის გაგება მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს ანუ ფაქტების დადგენას მოითხოვს. ეს შეიძლება იყოს ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური პირობები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჩარევის სფეროსა თუ კონკრეტული პროექტისთვის. ასევე, აუცილებელია ზოგადი მდგრადობის პრინციპების გათვალისწინება. სიფრთხილეა საჭირო, რადგან შეიძლება ფართო მონაცემების შეგროვებითა და ანალიზით პროცესი ზედმეტად გადაიტვირთოს და საბოლოო ჯამში სარგებლიანობაც კი დაკარგოს.

მონაცემები შეიძლება იყოს თვისებრივი და ხარისხობრივი და სხვადასხვა წყაროდან მიღებული. აუცილებელია შეგროვებული მონაცემების სანდოობისა და სისწორის გადამოწმება და ხარისხის უზრუნველყოფა, რათა ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი მტკიცებულებები არსებობდეს. შესაძლებელია ღია წყაროდან მიღებული მონაცემების გამოყენებაც, თუ ისინი შესაბამისი და საკმარისად სანდოა.

უფრო რთული, სივრცითი დაგეგმარებისა და მიმოხილვის განსახორციელებლად, მონაცემთა შეგროვება, ტრიანგულაცია (შემდგომი დამოწმება) და გეოგრაფიულ-საინფორმაციო სისტემების (GIS) გამოყენება გვეხმარება რუკების და დიაგრამების შექმნაში, სადაც ასახულია ურბანული დინამიკა და შემდგომი დაგეგმარებისთვის საჭირო სივრცითი მტკიცებულებები. მონაცემთა სხვადასხვა წყების (ფენების) გაერთიანება აძლიერებს რთული ურბანული გარემოს გაგებას და შესაბამის ანალიზს. როგორც წესი, მონაცემთა წყებები მოიცავს მიწათსარგებლობას, გამწვანებას, მობილობისა და ტრანსპორტირების სქემებს, ინფრასტრუქტურასა და ენერგეტიკას, წყალმომარაგებასა და ნარჩენების მართვას, სოციალური და ეკონომიკური საქმიანობის ადგილებს, შემოსავლის განაწილებას, სამრეწველო და კომერციულ ტერიტორიებს, მათ შორის ბაზრებს, კულტურული მემკვიდრეობის ადგილებს და სხვ.

სხვადასხვა ურბანულ ფუნქციასა და სისტემას შორის ურთიერთკავშირებისა და დამოკიდებულებათა ილუსტრირება გვეხმარება პოტენციური სინერგიებისა და კონფლიქტების გამოვლენაში. იგი ასევე სასარგებლოა მიგნებების გაცნობისა და განხილვისათვის. უფრო ფართო ტერიტორიების შემთხვევაში, რეგიონული კავშირების მაჩვენებელი დიაგრამები, ქალაქსა და მის განაპირა ტერიტორიებს შორის ურთიერთკავშირების ილუსტრირების სასარგებლო ინსტრუმენტია. ეს მოიცავს მიმდებარე დაბებსა და სოფლის ტერიტორიებს. შეძლებისდაგვარად, ადგილზე ვიზიტები და ინტერაქტიული სემინარები შეიძლება გამოვიყენოთ მიგნებების დაინტერესებულ მხარეებთან გადამოწმებისთვის. თუკი, ციფრული ტექნოლოგიები ზუსტი და სასარგებლოა უფრო კომპლექსურ სიტუაციებში, ხელით წარმოებული ილუსტრაციები (ნახაზები) თანაბარი ძალის მქონე შეიძლება იყოს.

უარყოფითი და დადებითი მახასიათებლების გააზრება

მონაცემთა შეგროვების მიზანია არსებული სიტუაციის, ძირითადი გამოწვევების, შესაძლო მნიშვნელოვანი მიმართულებებისა და

სურათი 6.6
სიტუაციის ანალიზმა უნდა მოიცვას გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ასპექტები.

მონაცემთა შეგროვების წყაროები

- **ძირითადი:** როგორც წესი, მოიცავს ინტერვიუებს, დაკვირვებებს და გამოკითხვებს.
- **მეორეული:** როგორც წესი, ეს არის სამაგიდო კვლევები, ანგარიშები, პოლიტიკის დოკუმენტები, გეგმები და აკადემიური ლიტერატურა.
- **ღია წყაროები:** როგორც წესი, თავისუფლად ხელმისაწვდომია საჯარო ვებსაიტებსა და პლატფორმებზე.



სურათი 6.7
ურბანული განვითარების ჩარევის საჭიროებისთვის მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ტიპური ეტაპები, ხედვების, მიზნებისა და გადაწყვეტების ჩამოყალიბებამდე.

ტენდენციების რუკის შედგენა და მათი გაგება. SWOT ანალიზი (ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები) ღირებული ინსტრუმენტია მიგნებების ორგანიზებისა და დოკუმენტირებისთვის, პრიორიტეტების განსაზღვრისა და მდგრადი განვითარების ძირითადი საკითხების გამოვლენისთვის.

ძლიერი და სუსტი მხარეები, როგორც წესი, კონკრეტული სფეროს შიდა ასპექტებს და არსებულ სიტუაციას ასახავს. მაგალითად, ეს ნაწილი შეიძლება მოიცავდეს ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და კულტურულ საკითხებს. შესაძლებლობები და საფრთხეები შეიძლება ასახავდეს, როგორც შიდა ისე გარე ასპექტებს, ასევე მომავალ მოვლენებსა და სცენარებს. SWOT ანალიზი წარმოადგენს გაბატონებული გარემოებებისა და გადასაწყვეტი საკითხების გაწონასწორებულ გაგებას. ამ ეტაპზე გამოიკვეთება განვითარების პოტენციალი, მათ შორის საკვანძო ასპექტები და შესაძლო ამოცანები.

სურათი 6.8
მაგალითი იმას, თუ როგორ იქმნება სუსტი და ძლიერი მხარეების ანალიზის სტრუქტურა

ანალიზში ექსპერტებისა და სხვადასხვა დარგის წარმომადგენლების ჩართვას ხშირად მივყავართ მრავალფეროვანი საკითხების უკეთესი გაგებისაკენ. ექსპერტებმა, რომლებიც ხშირად არ იცნობენ კონკრეტული კონტექსტის დეტალებს, შესაძლოა დამატებითი ღირებულება და ობიექტურობა შესძინონ პროცესს.

საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გარკვეული ასპექტების სიღრმისეული ანალიზი. მაგალითად, თუ პროექტი მიზნად ისახავს ჰაერის დაბინძურების პრობლემის მოგვარებას და ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესებას, შესაძლებელია უფრო სისტემატური ანალიზისა და მიზეზების შეფასება. ამან, თავის მხრივ, შეიძლება იმოქმედოს პრიორიტეტებისა და შესაძლო ღონისძიებების შერჩევაზე.

ქალაქის რაიონი	საგზაო მოძრაობის ხმაური	ჰაერის სამრეწველო დაბინძურება	მდინარის წყლის დაბინძურება	გრუნტის წყლების დაბინძურება	რადიაცია
დასავლეთი	1	2	1	3	5
სამხრეთი	2	1	1	3	5
ცენტრალური	2	4	1	3	5
აღმოსავლეთი	3	2	1	2	5
ჩრდილოეთი	2	3	2	3	5

სურათი 6.9
ურბანული გარემოს საწყისი მდგომარეობის მიმოხილვა. მაგალითში გამოყენებულია შემდეგი კლასიფიკაცია:
1. სერიოზულად საშიში ხანმოკლე ზემოქმედების შედეგად
2. საშიში ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად
3. უსაფრთხო, მაგრამ უსიამოვნო ან გამაღიზიანებელი
4. კომფორტული
5. ძალიან კომფორტული.

სივრცითი კონტექსტის გაგება

ურბანული სტრუქტურისა და ქსოვილის, მათ შორის ურბანული ფუნქციებისა და სისტემების სივრცითი განაწილების, ისევე როგორც ისტორიული და თანამედროვე ფენების გააზრება გვეხმარება იმ ასპექტების გამოვლენაში, რომლებიც მოქმედებს ეკოლოგიურ, სოციალურ-კულტურულ ან ეკონომიკურ ვითარებაზე. მაგალითად, სივრცითი კონტექსტის გარკვეული მახასიათებლები ხშირად ასახავს კონკრეტულ მომენტს ან ურბანულ მოძრაობას, რომელიც გამოხატავს იმ დროის ხედვებსა და საჭიროებებს. ურბანული ტერიტორიის ტიპოლოგიების, სივრცითი სტრუქტურებისა და კულტურული ფენების ვიზუალიზაცია და აღწერა საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ, როგორ ვითარდებოდა ქალაქი დროთა განმავლობაში. ეს პროცესი ხელს უწყობს ურბანული ქსოვილის თვისებებისა და გამოწვევების გააზრებას.

მიზეზების, წყაროებისა და შედეგების გაცნობიერება

კონკრეტული ურბანული ტერიტორიის ანალიზი უნდა ეფუძნებოდეს ხელმისაწვდომ მონაცემებსა და ინფორმაციას, სადაც აღწერილი და დოკუმენტირებულია კონკრეტული საკითხის მიზეზები, წყაროები და შედეგები. ეკოლოგიურ და ჯანმრთელობის პრობლემებს შესაძლოა მრავალი წყარო ჰქონდეს. აუცილებელია მათი გამოვლენა, როდესაც ვმუშაობთ კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტაზე.

პრობლემის ხე სასარგებლო ინსტრუმენტია მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ილუსტრირებისთვის. შესაძლებელია, ინსტრუმენტის გამოყენება ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებიც, როგორც წესი, პრობლემას საკუთარ თავზე გამოცდიან და კარგად ესმით მისი გამოწვევი მიზეზები.



სურათი 6.10
პრობლემების მიზეზებს, პრობლემების წყაროებსა და მათ შედეგებს შორის კავშირის ილუსტრაცია

დიაგნოსტირების ერთიანი მიდგომა

არსებული სიტუაციის დიაგნოსტირება უნდა ეფუძნებოდეს ერთიან და ყოვლისმომცველ მიდგომას. იგი სხვადასხვა ასპექტებს უნდა ითვალისწინებდეს შესაძლებლობების, გამოწვევებისა და შეზღუდვების კომპლექსური გაგების ჩამოყალიბებისთვის. მნიშვნელოვანია სხვადასხვა ასპექტსა და სისტემას შორის ურთიერთქმედებისა და კავშირების გამოვლენა. ამასთან, უნდა მოვერიდოთ ცალკეული საკითხების ან აქტივების იზოლირებულად განხილვას. მიუხედავად იმისა, რომ დიაგნოსტიკა პირველ რიგში, კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული სიტუაციის ასახვასა და აღწერას ემსახურება, იგი ასევე შეიძლება გამოვიყენოთ მიგნებებისა და შედეგების ეროვნულ, რეგიონულ ან გლობალურ კონტექსტში გაგებისა და სულ მცირე სტანდარტების დასადგენად.

დიაგნოსტირება და ანალიზი უნდა მოიცავდეს ინსტიტუციურ გარემოს, მაგალითად, საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოებს, რომლებიც შესაძლოა გამოვლენილი საკითხების გადაჭრის პროცესში ბარიერებს ან შესაძლებლობებს ქმნიდეს. ზოგიერთ მიზეზს ადგილობრივი ხასიათი აქვს, მაგალითად, ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციას წარმოადგენს და შესაბამისად, გადასაწყვეტად უფრო იოლია. სხვა მიზეზებს შესაძლოა განაპირობებდეს გარე ფაქტორები, რომლებზეც პირდაპირ ზემოქმედება ან რომელთა გადაწყვეტა უფრო რთულია. თუმცა, მაინც მნიშვნელოვანია ასეთი საკითხების ჩართვა და აღწერა. ზოგჯერ, შიდა და გარე ფაქტორების ურთიერთქმედება ბუნდოვანია, თუმცა, აუცილებელია შეძლებისდაგვარად მათი განსაზღვრა.

დოკუმენტირება და გავრცელება

დიაგნოსტიკურ ეტაპზე მიღებული მიგნებების დოკუმენტირება და აღრიცხვა არსებითი მნიშვნელობისაა. იგი შემდგომი სამუშაოებისთვის საცნობარო ფუნქციას ასრულებს და აუცილებელია შედეგების ფართო საზოგადოებისთვის გასაცნობად. თუმცა, ზოგიერთი ანალიზის ტექნიკური ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლოა, უფრო სასარგებლო იყოს კონსოლიდირებული მიგნებების გაცნობა, რომლებიც წაახალისებს დისკუსიას და გააძლიერებს არაპროფესიონალებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის მათ გაგებას.

ზოგიერთი ფაქტი

- ეკოლოგიურ, სოციალურ-კულტურულ, ეკონომიკურ და სივრცით მონაცემთა მიზანმიმართული შეგროვება და ანალიზი, ხელს უწყობს არსებული ვითარების სიღრმისეულ გაგებას, ძირითადი საკითხების გამოვლენას და პრიორიტეტულობის განსაზღვრას ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.
- ანალიზი და დიაგნოსტიკა უნდა ითვალისწინებდეს ძირითად მახასიათებლებს, გამოწვევებსა და უპირატესობებს, პოტენციური სინერგიების გამოვლენისა და ერთიანი გადაწყვეტების ხელშეწყობისთვის.

- დიაგნოსტირება შეიძლება მოიცავდეს, როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებს. ამ ეტაპზე შესაძლებელია დაგეგმილი ჩარევის მართვადი ასპექტების გამორჩევა, ჩვენს გავლენასა თუ კონტროლს მიღმა არსებული საკითხებისგან. ორივე მათგანის გათვალისწინება თანაბრად მნიშვნელოვანია წარმატებული შედეგების მისაღწევად.
- პრობლემების ან გამოწვევების ძირეული მიზეზებისა თუ წყაროების გამოვლენა ხელს უწყობს მდგრადი გადაწყვეტების პოვნას, სიმპტომების ან მათი შედეგების გადაჭრის ნაცვლად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან, კომფორტსა და ცხოვრების ხარისხთან დაკავშირებული საკითხების შემთხვევაში.
- სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებსა და თემებთან კონსულტაციები არსებულ რესურსებსა და გამოცდილებას ეფუძნება და ხელს უწყობს არსებული ვითარების მრავალ-ფეროვანი და ღრმა გაგების ჩამოყალიბებას, მათ შორის ადგილობრივი საჭიროებებისა და მისწრაფებების უკეთ გააზრებას.

დაინტერესებული მხარეები პროექტის არეალის ანალიზისას პრიორიტეტული საკითხების იდენტიფიცირებას ახდენენ.

6.3 ნაბიჯი 3
ხედვის, მიზნებისა და ამოცანების დასახვა



სასურველი ურბანული მომავლის საერთო ხედვის ჩამოყალიბება ხელს უწყობს განვითარების ფართო გზის განსაზღვრას. დაინტერესებულ მხარეებს შორის ერთობლივად შეთანხმებული ხედვის, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა განაპირობებს ინკლუზიურ დაგეგმვასა და პროექტების განვითარებას. ამგვარი სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრა სხვადასხვა დონეზეა შესაძლებელი:

- **ხედვა** წარმოადგენს სასურველი მომავლის სურათს, მაგალითად 25 წლის პერსპექტივით.
- ხშირად ხედვა საოპერაციო დონეზე იშლება ერთ ან რამდენიმე **მიზნად**, რომლებიც ხედვის მიღწევისთვის აუცილებელი ჩარევების სტრატეგიულ მიმართულებებს აყალიბებს საშუალოვადიან, მაგალითად 3-5 წლის პერიოდში.
- **ამოცანები** - კონკრეტული, გაზომვადი შედეგებია, რომლებიც მიზნებს აკონკრეტებს და ხედვას მოკლევადიან (~1 წელი) პერიოდში განხორციელებად ქმედებებად აქცევს.



სურათი 6.11
გონებრივი რუკის სქემატური ილუსტრაცია, სადაც იდენტიფიცირებული ასპექტები ასევე დაკავშირებულია სხვადასხვა ურბანულ დონესთან.

სასურველია ხედვა, მიზნები და ამოცანები დიაგნოსტირების საფუძველზე, დეტალური პროექტისა თუ გადაწყვეტის შემუშავებამდე ჩამოყალიბდეს. ამოცანები შეიძლება იყოს, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი. თუმცა, ისინი მეტ კონკრეტიკას მოითხოვს მიზნებთან შედარებით. შესაძლებელია ამოცანებს სამიზნეები და ინდიკატორები დავუკავშიროთ, სამიზნე ნიშნულის განსაზღვრისა და პროგრესის მონიტორინგის მიზნით.

როგორც წესი, ხედვა, მიზნები და ამოცანები დაკავშირებულია კონკრეტულ ჩარევასთან. ამასთან, ისინი შესაბამისობაში უნდა იყოს (მაგ., ქალაქის) საერთო ხედვასთან, რომელიც უკვე განსაზღვრულია არსებულ პოლიტიკის დოკუმენტებსა და გეგმებში. აუცილებელია ნებისმიერი გადახვევისა თუ განსხვავების გამოვლენა, განხილვა და გადაწყვეტა.



სურათი 6.12
მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ხედვის მხარდაჭერა მიზნებისა და ამოცანების ერთობლიობით

საერთო ხედვის შემუშავება

ანალიზიდან და წინასწარ განსაზღვრული პრიორიტეტებიდან მიღებული ცოდნა და ხედვები გამოიყენება ჩარევის შესაძლო მიმართულების ჩამოსაყალიბებლად. ეს მიმართულება აისახება „ხედვაში“, როგორც გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვის განაცხადსა და ორიენტირში. ამავე დროს, იგი დაინტერესებული მხარეების, თემებისა და ხელმძღვანელების მოტივაციის წყაროცაა.

ხედვის განაცხადი პირდაპირ უკავშირდება ურბანული მდგრადობის გააზრებასა და მისი კონკრეტულ ადგილობრივ კონტექსტში ასახვას. ხშირად, სასარგებლოა ეროვნული, რეგიონული და გლობალური კონტექსტის ადგილობრივ ჭრილში გააზრება.

ხედვის მაგალითი: «2050 წლისთვის ურბანული ტერიტორია იქნება მწვანე, ცოცხალი და ყველასთვის ინკლუზიური!»

შემდგომი დაგეგმვისთვის აუცილებელი ძირითადი საკითხების გამოვლენა

ანალიზისა და დიაგნოსტირების საფუძველზე გამოვლენილი ძირითადი საკითხების სიმრავლე განსაზღვრავს შემდგომ დაგეგმვას, მაგალითად, SWOT ანალიზის შედეგების დაჯგუფებით. გამოვლენილი საკითხები უნდა ასახავდეს ხედვის განაცხადსა და მდგრადი ურბანული განვითარების ცნებას.

მიზნების, ამოცანებისა და ინდიკატორების დასახვა

შეთანხმებული ხედვა და ძირითადი საკითხები შესაბამისი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრის საფუძველს ქმნის. დეტალიზაციის დონე დამოკიდებულია შემუშავებული ჩარევის ტიპსა და მასშტაბზე, იქნება ეს გეგმა, მიმოხილვა თუ კონკრეტული პროექტი. როგორც წესი, მიზნები დაკავშირებულია ურბანული სივრცის საერთო განვითარებასა და მდგრადობის გაუმჯობესების გზებთან, ხოლო ამოცანები უფრო კონკრეტულ ჩარევებსა და ქმედებებთან.

მიზნები და ამოცანები ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ შესაძლებელი იყოს რამდენიმე გადაწყვეტის გამოვლენა და სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებების ასახვა. თითოეულ ამოცანას ასევე უნდა ჰქონდეს:

- ინდიკატორი, რომელიც აღწერს, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება ამოცანა შესრულებულად; და
- სამიზნე, რომელიც აჩვენებს, თუ როდის და რა დონეზე უნდა შესრულდეს ამოცანა.

სამიზნეებისა და ინდიკატორების საშუალებით ამოცანები უფრო კონკრეტული, გაზომვადი, შეთანხმებული, რეალისტური და დროში გაწერილი ანუ SMART ხდება. ამასთან, სამიზნეები კოეფიციენტების ან პრინციპების სახით შეიძლება იყოს ფორმულირებული. ისინი არა რაიმე ტექნიკურ გადაწყვეტაზეა დამოკიდებული, არამედ ალტერნატიული, ინოვაციური გადაწყვეტების შემუშავების საშუალებას იძლევა. ინდიკატორები შეიძლება სხვადასხვა მიზნით გამოვიყენოთ მათ შორის სამიზნეების ფორმულირების, პროგრესის მონიტორინგის და შედეგებისა და ზემოქმედების შეფასებისთვის.

საწყისი მაჩვენებლების არსებობა გვეხმარება არსებული სიტუაციის გაზომვაში სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ რასთან შედარებით იზომება ინდიკატორები და სამიზნეები.

დაგეგმარების ინდიკატორი სივრცით დაგეგმარებას[51] ეხება და ხელს უწყობს კონკრეტული სივრცის მდგრადობის გაუმჯობესებაზე მიმართული სამიზნეების ჩამოყალიბებას. დაგეგმარების ინდიკატორები იმავე ტერმინოლოგიით/საბაზისო მაჩვენებლებით აღწერს მომავალ სურათს არსებულ სიტუაციასთან შედარებით. მაგალითად:

- ურბანული ტერიტორიის დაგეგმარებული ნაწილი, რომელიც x მეტრით არის დაშორებული ავტობუსის მოსაცდელთან ან მატარებლის სადგურთან არსებულთან შედარებით.
- სარეკრეაციო დანიშნულების მქონე მწვანე ტერიტორიების დაგეგმარებული ნაწილი არსებულთან შედარებით.

მრავალი ინდიკატორი საველეა და გარკვეულ მდგომარეობას ასახავს, მაგალითად, წყლის ეკოსისტემების მდგომარეობა. დაგეგმარების შესაბამისი ინდიკატორი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: „დაცული წყლის ობიექტების ერთიანი ტერიტორია, რომელიც უზრუნველყოფს წყლის ეკოსისტემების შენარჩუნებას“.

[51] რანჰაგენი, უ. და ტრობეკი, ს., 1999წ., ინდიკატორების გამოყენება სივრცითი დაგეგმარებისას. სიტუაციური ანგარიში. საბინაო და დაგეგმარების ეროვნული საბჭო და შვედეთის გარემოს დაცვის სააგენტო.

ზოგიერთი ფაქტი

- ხედვა – ეს არის სასურველი ურბანული მომავლის სურათი. იგი ხელს უწყობს წინსვლის ფართო გზის დასახვას.
- მხარდამჭერი მიზნებისა და ამოცანების მქონე შეთანხმებული ხედვა წარმართავს დაგეგმვასა და პროექტის განვითარებას ინკლუზიური ფორმით.
- მიზნები და ამოცანები ხედვის საოპერაციო დონეზე განხორციელების საშუალებაა. ისინი რამდენიმე გადაწყვეტის საშუალებას უნდა იძლეოდეს, რომლებიც სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების საჭიროებებს აკმაყოფილებს.
- დასახული ამოცანები მდგრად გარემოსდაცვით, სოციალურ-კულტურულ, ეკონომიკურ და სივრცით განვითარებას უნდა უწყობდეს ხელს, სადაც ინდიკატორები და სამიზნეები აღწერს ამოცანის შესრულების დროსა და ხარისხს.
- დაგეგმილი ჩარევის მიზნები და ამოცანები გვეხმარება მაღალი, მაგ., საქალაქო ან ეროვნული დონის ხედვისა და სტრატეგიების საოპერაციო დონეზე განხორციელებაში.

მდგრადობის ინდიკატორები ტანგშანის ეკო-ქალაქისთვის, ჩინეთი

ტანგშანის ეკო-ქალაქის საერთო ხედვა ეფუძნება მსოფლიო დონის, თანამედროვე, ადამიანზე ორიენტირებული, ეკონომიკურად ძლიერი, კლიმატურად ნეიტრალური და ეკოლოგიურად მდგრადი საზოგადოების განვითარებას. ინდიკატორების სისტემა ხელს უწყობს ქალაქის დაგეგმვის, დიზაინის, მშენებლობისა და მართვის პროცესებს, რათა ეს ხედვა განხორციელდეს. სისტემა მოიცავს სამ სივრცით დონეს: ქალაქი (30 კმ²), რაიონი (12 კმ²), კვარტალი/ბლოკი. ინდიკატორები მოიცავს როგორც გარემოსდაცვით, ისე სოციალურ-ეკონომიკურ მდგრადობას.

იგი აერთიანებს დაგეგმვისა და მონიტორინგის ინდიკატორებს გარემოსდაცვით, სოციალურ-ეკონომიკურ და სივრცით მიზნებთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღებას ამახვილებს დაგეგმვის ეტაპსა და ქალაქის სისტემების ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებაზე სრული ჩამონათვალი მოიცავს 140 ინდიკატორს, საიდანაც 30 შერჩეულია მართვის დონეზე გამოსაყენებლად.

ლეგენდა	
ჩინური სტანდარტი გაუმჯობესების ფაქტორების მიხედვით	ფაქტორი 2 = სამიზნე დონე ორჯერ უკეთესია საწყის (სარეფერენტო) მაჩვენებელზე
გარემოსდაცვითი მიზნები	
სოციალურ-ეკონომიკური მიზნები	
სივრცითი მიზნები	
14. სიჩქარის გადაჭარბება	

ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	ფაქტო-რები	მიზნები		
ურბანული ფუნქციები					
1. სიმჭიდროვე	ადამიანი/კვ.მ				
2. საცხოვრებელი ფართი	x კვ.მ/ადამიანზე				
3. ერვისებზე ლოკალური ხელმისაწვდომობა	საცხოვრებელი ზონების 100%				
4. ფუნქციური მრავალფეროვნება (Mix)	ურბანული კვანძების 100%				
5. ხელმისაწვდომი საცხოვრისი	>5%				
6. რისკის ზონებში მდებარე სახლები	0%				
ურბანული სივრცე					
7. ურბანული გარემოს ხარისხი	საცხოვრებელი ზონების 100%				
8. კვარტლის ზომა	60–100 მ				
შენობები და არქიტექტურა					
9. მდგრადი	შენობების 100%				
ტრანსპორტი და გადაადგილება					
10. არამოტორიზებული ლოკალური ტრანსპორტი	>50%				
11. რეგიონული მგზავრობა საზოგადოებრივი ტრანსპორტით	>70%				
12. ლოკაციის სტრატეგიები და პარკირების შეზღუდვები	ქალაქის რაიონების 100%				
13. დროის თანაფარდობა (ველოსიპედი/მანქანა და საზ. ტრანსპორტი/მანქანა)	<1,5 time				
14. სიჩქარის გადაჭარბება	0%				
Energy					
15. ენერგიის მოხმარება	10 000 კვტ/სთ ერთ სულზე	ფაქტორი 2			
16. განახლებადი ენერგია	95%				
ნარჩენები					
17. ქალაქის სახიფათო ნარჩენების შეგროვება	100%				
18. რეციკლირება (გადამუშავება)	100%				
19. ხელახალი გამოყენება და გადამუშავება სოფლის მეურნეობისთვის	>90%				
წყალი და ჩამდინარე წყლები					
20. წყლის მოხმარება	100–120 ლიტრი/ ადამიანი/დღე				
21. სასმელი წყლის რეზერვუარები	> 90%				
22. სანიტარიული მომსახურებით დაფარვა	100%				
23. სველი წერტილების განცალკევებული სისტემა	შენობების >90%				
24. წყლის ხარისხი	100%				
25. სანიაღვრე წყლების შეგროვებ	>90%				
ლანდშაფტი და ღია სივრცე					
26. საზოგადოებრივი გამწვანება	20 კვ.მ ერთ სულზე				
27. ლოკალური ხელმისაწვდომობა პარკებსა და საჯარო სივრცეებზე	საცხოვრებელი ზონების 100%				
28. შენარჩუნებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები100%	100%				
29. შენარჩუნებული და აღდგენილი ჭაობიანი ტერიტორიები	100%				
30. ხეების საფარი	50%				



6.4 ნაბიჯი 4
ალტერნატიული გადაწყვეტების შემუშავება

ურბანული განაშენიანებისა და დაგეგმარების ერთიანი მიდგომების თანახმად მიზნების მიღწევა გადაწყვეტებისა და ღონისძიებების ერთობლიობით შეიძლება. ერთი პროექტის ფორმულირების ნაცვლად, ერთიანი გადაწყვეტები ეს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა მიერ განხორციელებული ჩარევების ერთობლიობაა მთელ რიგ დარგებში. ეს ფართო, ყოვლისმომცველი მიდგომა უფრო ინოვაციური შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა, რადროსაც ერთობლივი ძალისხმევით რესურსები უფრო ეფექტიანად გამოიყენება.

ერთიანი და პროგრამული მიდგომა

ურბანული ტერიტორიის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა მოითხოვს მრავალდონიან ძალისხმევას. ერთიანი მიდგომის საშუალებით სხვადასხვა დარგისა და დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებს ერთი მიზნის განხორციელებაში შეუძლიათ წვლილის შეტანა. ასევე არსებობს სხვადასხვა სისტემას შორის სინერგიის პოტენციალი. მეტია ალბათობა, რომ რამდენიმე კომპონენტის მქონე ერთიანი გადაწყვეტა მეტი ცვლილების მომტანი და ტრანსფორმაციული შედეგების მქონე იქნება. ერთი პროექტის შემუშავების ნაცვლად, რეკომენდებულია სხვადასხვა დროს დაინტერესებულ მხარეთა მიერ ღონისძიებების განხორციელება სხვადასხვა დარგში შეთანხმებული მიზნების მისაღწევად.



სურათი 6.13
შანხაიში, ლუდიანის ქალაქის დაგეგმვის ფაზიდან ოთხი ალტერნატიული წინადადება.
სვეკო 2001

ზოგიერთი ფაქტი

გადაწყვეტების გამოვლენის ერთიანი მიდგომები:

- პროგრამული და არა პროექტებზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც რამდენიმე განსხვავებულ კომპონენტს აერთიანებს.
- ხორციელდება სხვადასხვა დარგში (წყალმომარაგება, ტრანსპორტი ან ნარჩენების მართვა) და დროს (თავაზობს მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პასუხებს).
- ითვალისწინებს თანამშრომლობით ძალისხმევას, რა დროსაც სხვადასხვა დაინტერესებული მხარე მონაწილეობს, წვლილი შეაქვს და აქტიურ როლს ასრულებს პროცესში.
- უზრუნველყოფს გადაწყვეტების ინკლუზიურობას (სხვადასხვა ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილებას) და მონაწილეობითი ფორმით შემუშავებას.
- ითვალისწინებს დასახული მიზნების სხვადასხვა გზით მიღწევას.
- ადარებს და აფასებს ალტერნატიული სცენარებისა თუ ვარიანტების უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს სწორი მიდგომის გამოვლენის მიზნით.

ალტერნატიული წინადადებების შემუშავება

შესაძლო გადაწყვეტების ან პასუხების შემუშავება უნდა ეფუძნებოდეს დიაგნოსტირებისა და ჩარევის ფარგლებში დასახულ ამოცანებს. ამასთან მნიშვნელოვანია დაშვება, რომ შესაძლოა არსებობდეს შესაბამისი ალტერნატივების ფართო სპექტრი, რომლებიც შესაძლებელს ხდის სისტემებსა და დარგებს შორის სინერგიების გამოვლენას. ხშირად, ურბანული დაგეგმარებისა და განაშენიანების პროცესებში, მომავლის პროგნოზირება და ქალაქის არსებული ან მომავალი განვითარების გამომწვევი ფაქტორების გააზრება კომპლექსური პროცესია.

მომავალზე ფიქრი და ამავე დროს მოქმედება რთული ამოცანაა. ამიტომ, ურბანული დაგეგმარების პროცესებში შესაძლო მომავალი სცენარების გათვალისწინება კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ეს განსაკუთრებით აუცილებელია კლიმატური ღონისძიებების უზრუნველყოფისა და მედეგობის გაძლიერების მიმართულებით. ალტერნატიული გადაწყვეტები უნდა განვიხილოთ გრძელვადიან პერიოდში მდგრადობის, სიცოცხლისუნარიანობისა და ეფექტურობის, ისევე როგორც ოპერირებისა და ტექნიკური მომსახურების თვალსაზრისით. ნაცვლად კონკრეტულ გადაწყვეტაზე, პროექტსა თუ დაგეგმარებაზე მაშინვე დათანხმებისა, სასარგებლოა ალტერნატიული სცენარების შემუშავება, რათა შეფასდეს ეტაპობრივი განხორციელებისა და გაფართოების შესაძლებლობები და მოქნილობა. პოტენციური გადაწყვეტების შეფასება, მათ შორის ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი აუცილებელია უფრო მარტივი, ეკონომიური მოკლევადიანი ჩარევების და უფრო ძვირადღირებული და გრძელვადიანი ჩარევების ზემოქმედების შესადარებლად, რადგან გრძელვადიანი ჩარევები საბოლოოდ შეიძლება მეტი მდგრადობით გამოირჩეოდეს.

შერჩეული გადაწყვეტები უნდა პასუხობდეს პრობლემების ძირეულ მიზეზებს და არა მათ შედეგებს. თუ ეს შეუძლებელია უნდა განვიხილოთ უარყოფითი შედეგების შერბილება ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც აუმჯობესებს არსებულ ტექნოლოგიას ჩანაცვლების ნაცვლად, მაგალითად, კატალიზატორები ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად. სწორი სტრატეგიის შერჩევა მნიშვნელოვანია, რადგან შერბილების ღონისძიებები შესაძლოა უფრო ეკონომიური და პრაქტიკული იყოს მოკლევადიან პერიოდში, თუმცა, გადაავადოს გრძელვადიანი მდგრადი გადაწყვეტების განხორციელება.

შეიძლება გამოვიყენოთ სცენარის მაგალითად, რეტროსპექტული პროგნოზირების *(Backcasting)* ან მომავლის კვლევის (*Foresight)* მეთოდოლოგიებით დაგეგმვა მრავალი შესაძლო მომავლის შესასწავლად და მოსამზადებლად. ეს ხორციელდება ტენდენციების, ბუნდოვანებებისა და სტრატეგიული შედეგების გამოვლენით, სტრატეგიულ დაგეგმვასა და მიმართულებებზე შეთანხმების და კონკრეტული საკითხის საპასუხოდ ოპტიმალური და ერთიანი ალტერნატიული გადაწყვეტების შემუშავების მიზნით.

შეიძლება გამოვიყენოთ სცენარის დაგეგმვა, მაგალითად, თუ ფასდება სხვადასხვა ურბანული სტრუქტურა და ტიპოლოგია, მიწათსარგებლობა და მისი ეფექტიანობა, ბუნებაზე დაფუძნებუ-

სცენარებით დაგეგმვა უკრაინაში – ალტერნატიული სტრატეგიული მიმართულებების კვლევა და გააზრება შესაძლო სხვადასხვა მომავალისთვის, ტენდენციების, გაურკვევლობებისა და სტრატეგიული შედეგების იდენტიფიცირების გზით.

ლი გადაწყვეტები ან რესურსების გამოყენება. სცენარის მატრიცა ხელს უწყობს სხვადასხვა სცენარის გამოვლენასა და ვიზუალიზაციას, მაგალითად, უკიდურესი პოზიციების შეპირისპირებით (პოლიცენტრული და მონოცენტრული ურბანული სტრუქტურა; კონცენტრირებული და გაფანტული; ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მმართველობა; მაღალი და დაბალი სიმჭიდროვე) და მათი სარგებლისა და შედეგების შესწავლით განსაზღვრულ მიზნებთან და ამოცანებთან მიმართებით. საბოლოო ვარიანტი შესაძლოა სხვადასხვა სცენარის კომბინაციაც კი იყოს.



სურათი 6.14
მომავლის დაგეგმვის პროცესის სქემა: ქალაქის მომავლის სურათი ყალიბდება მიზნების მიხედვით: დონე 3 — გრძელვადიანი მიზანი (მაგ. 2050), დონე 2 — საშუალოვადიანი მიზანი (მაგ. 2030), დონე 1 — მოკლევადიანი მიზანი (მაგ. 5 წელი). მომავლის სურათის დღევანდელ მდგომარეობასთან შედარებით განისაზღვრება განვითარების ორი ალტერნატიული სტრატეგია:
• წრაფიდან ნელი ტემპებისკენ – დიდი ინვესტიცია მოკლევადიან პერიოდში, ნაკლები – საშუალო და გრძელვადიანში
• ნელიდან რწრაფი ტემპებისკენ – მცირე ინვესტიცია მოკლევადიან პერიოდში, დიდი – საშუალო და გრძელვადიანში

ზოგიერთი ფაქტი

რეტროსპექტული პროგნოზირება (BACKCASTING) – მეთოდის ლოგიკა და ღირებულება

რეტროსპექტული პროგნოზირება ინოვაციური სისტემების და გადაწყვეტების შემუშავების საშუალებაა, რომელიც სხვადასხვა ურბანულ სისტემასა და ინსტიტუციურ ფაქტორებს შორის სინერგიაზე ამახვილებს ყურადღებას. იგი მოიცავს მდგრადი მომავლის წარმოსახვას არსებული დაბრკოლებებითა და პრობლემებით შექმნილი წინაპირობებისა და შეზღუდვების სრულად გათვალისწინების გარეშე. მომავლის ეს სურათი სხვადასხვა მდგრად სისტემას აერთიანებს, მაგალითად ტრანსპორტი[52]. შემდეგ, მომავლის სურათი უკავშირდება არსებული სიტუაციას, საიდანაც იკვეთება სასურველი ვითარების მიღწევის გზები. ამის საფუძველზე შესაძლებელია მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი გადაწყვეტების გამოვლენა.

რეტროსპექტული პროგნოზირება სასარგებლოა როგორც მსხვილი ისე, მცირე მასშტაბის ურბანული ტერიტორიების გაუმჯობესებისა და მომავლის შესაძლო სცენარების დასახვისათვის არსებული ვითარებით შექმნილი შეზღუდვების გარეშე. ამ მეთოდით ყურადღება ხშირად დაუძლეველი პრობლემებიდან მომავალზე გადაინაცვლებს, რითაც გაწონასწორებული და რეალისტური მომავალი სურათის დასახვა შესაძლებელი ხდება[53].

[52] ნაშრომი რეტროსპექტული პროგნოზირების შესახებ: ვანგელი, ჯ. (2012). მომავლის შექმნა – სამიზნეები, ღონისძიებები და მმართველობის სფეროში რეტროსპექტული პროგნოზირება და მდგრადობის დაგეგმვა. სადოქტორო დისერტაცია დაგეგმვასა და გადაწყვეტილებების ანალიზის შესახებ, KTH სამეფო ტექნოლოგიური ინსტიტუტი, სტოკჰოლმი.
[53] იონსონი, ბ (1999) Tio tankar om tid. ბრომბერგი, ციტირებულია SAMS-ში (2000).

არსებითი სინერგიების გამოვლენა სხვადასხვა ურბანულ სისტემას შორის

ერთიანი, ინკლუზიური და ყოვლისმომცველი ურბანული განვითარება ხელს უწყობს სხვადასხვა ურბანულ სისტემასა თუ ფუნქციას შორის სინერგიების გამოვლენას მოცემული ჩარევის შემუშავების პროცესში. ალტერნატიული წინადადებებისა თუ სცენარების შემუშავებისას გამოვლენილი სინერგიები:

- თავიდან აგვაცილებს არასათანადო ოპტიმიზაციას, ამასთან, ერთი გადაწყვეტა ერთდროულად ორი ან მეტი პრობლემის გადაჭრას უზრუნველყოფს, რაც, როგორც წესი, ხარჯთეფექტიანობასაც უზრუნველყოფს.
- ხელს უწყობს დარგობრივ მულტიდისციპლინურ მიდგომას, ცოდნის გაზიარებასა და თანამშრომლობას – ეს კი, გადამწყვეტია ხარჯთეფექტიანი და შეუფერხებელი დაგეგმვის პროცესის უზრუნველსაყოფად.

ალტერნატიული წინადადებისა თუ გადაწყვეტების შემუშავებისას *'სიმბიოსითის'* კონცეპტუალური მოდელი ტიპურ ურბანულ სისტემებს მოიცავს, რომელთა შორის შესაძლებელია პოტენციური სინერგიების გამონახვა. ოპტიმალურ შემთხვევაში, ერთიანი მიდგომა ისეთ სინერგიებს ეფუძნება, რომლებიც ხელს უწყობს ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური სარგებლის მოტანას.

საკვანძო მიგნებები

- ალტერნატიულ სცენარებზე (ან გადაწყვეტებზე) მუშაობა იკვლევს ამოცანების შესრულების განსხვავებულ გზებს და ხელს უწყობს ერთიანი გადაწყვეტების გამოვლენას ოპტიმალური სარგებლისა და ხარჯეფექტიანობისთვის.
- ალტერნატიული გადაწყვეტები შესაბამისობაში უნდა იყოს დასახულ ხედვასა და ამოცანებთან, გრძელვადიან პერიოდში ინარჩუნებდეს მდგრადობას, სიცოცხლისუნარიანობასა და ეფექტურობას, მათ შორის საოპერაციო და ტექნიკური მომსახურების დონეზე.
- სხვადასხვა სცენარები მოქნილობის განსხვავებულ ხარისხს გვთავაზობენ ეტაპობრივი განხორციელების, გრძელვადიან პერიოდში მასშტაბირებისა და მოდიფიცირების თვალსაზრისით. ისინი არსებულ და მომავალ საჭიროებებთან, ისევე როგორც ხელმისაწვდომ რესურსებთან შესაბამისობაში უნდა იყოს.
- სასურველია, გამოვლენილი გადაწყვეტები გაბატონებული გამოწვევების ძირეულ მიზეზებს აღმოფხვრიდეს. თავიდან უნდა ავიცილოთ მხოლოდ სიმპტომებისა თუ შედეგების გადაწყვეტა, თუმცა, ზოგჯერ, შერბილების ღონისძიებები ასევე აუცილებელია.
- პროგრამული მიდგომის დანერგვა გულისხმობს ერთდროულად, რამდენიმე კომპონენტზე სხვადასხვა დარგის მონაწილეობით თანამშრომლობით მუშაობას, როდესაც შემუშავებული პასუხები მორგებულია მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდზე.



6.5 ნაბიჯი 5
სარგებლისა და ზემოქმედების შეფასება

სხვადასხვა გადაწყვეტას განსხვავებული სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური ზემოქმედება ექნება და შესაბამისი სცენარები და ვარიანტები მუდმივად უნდა შეფასდეს დადებითი შედეგების მაქსიმალურად გაზრდისა და უარყოფითის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. რაც უფრო ადრეულ ეტაპზე ფიქსირდება უარყოფითი ზემოქმედება, მით უფრო მეტია პროექტის დიზაინის შესაბამისად გადახედვის ალბათობა.

სარგებლისა და ზემოქმედების შეფასება პროექტის შემუშავების ნაწილია, რომელიც გეგმის ან პროექტის შეთანხმებისა და საბოლოო დამტკიცების შემდეგ არ უნდა ხორციელდებოდეს. სასურველი დაგეგმვის სცენარის ან პროექტის ვარიანტის შერჩევის შემდეგ, საჭიროა უფრო მიზანმიმართული და დეტალური შეფასება, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს გარემოზე და სოციალური ზემოქმედების ანალიზს, ასევე ეკონომიკური შედეგების გათვალისწინებას.

ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სივრცითი სარგებლისა და ზემოქმედების შეფასება აუცილებელია ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად. მიუხედავად იმისა, რომ სასურველია რამდენიმე შესაძლო ალტერნატივის შეფასება, ეს შეიძლება განხორციელდეს ერთის შემთხვევაშიც. ზემოქმედების ანალიზი ურბანული მდგრადობის მიმოხილვების ერთ-ერთ ძირითადი ფუნქციაა. მსგავსი მიმოხილვები ანუ „მდგრადობის შეფასებები“, ფართო და ზოგადი ტერმინია, რომელიც გულისხმობს წინადადებების მდგრადობის პერსპექტივიდან განხილვას. შეფასებები შეიძლება მოიცავდეს როგორც სტრატეგიულ, ისე პროექტის დონეს, ხოლო მათი მოქმედების სფერო განსხვავებული იქნება მიზნების, კონკრეტული სიტუაციისა და ჩარევის ან წინადადების ტიპის შესაბამისად.

სარგებლისა და ზემოქმედების შეფასება სხვადასხვა მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით შეიძლება. ეს დამოკიდებულია მოქმედების სფეროსა და კონტექსტზე. შეფასების ფორმა შეიძლება განსხვავდებოდეს სამართლებრივი ჩარჩოს, პოლიტიკისა და დაგეგმვის პრაქტიკის მიხედვით სხვადასხვა ქვეყანაში, რეგიონსა თუ ქალაქში.

საკანონმდებლო ჩარჩოსთან დაკავშირებული შეფასებები

ზოგადად, პროგრამები, გეგმები და პროექტები, რომლებიც მდგრადობაზე ფართო ზემოქმედების მქონეა, საჭიროებს ყოვლისმომცველ და დეტალურ შეფასებებს. ისეთი პროექტების შემთხვევაში, რომელთა ზემოქმედება შეზღუდულია, შეფასება შეიძლება მოკლე და ლაკონური იყოს.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება (EIA) დამკვიდრებული ინსტრუმენტია, რომელსაც წარმატებით იყენებენ პროექტების გარემოსდაცვითი რისკებისა და შესაძლებლობების შეფასებისთვის. აღნიშნული მეთოდოლოგია ასევე გამოიყენება შედარებით მცირე მასშტაბის ურბანული განაშენიანების გეგმებისთვის, მათ შორის სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ზემოქმედების შესაფასებლად.

ზოგიერთი ფაქტი

ვარიანტის ან წინადადების სარგებლისა და ზემოქმედების შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ:

- რამდენად აკმაყოფილებს იგი დასახულ ამოცანებს;
- ინკლუზიურია სხვადასხვა ჯგუფების მიმართ;
- მაქსიმალური სარგებლის მომტანია;
- მინიმალური შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების მქონეა;
- ძირეულ პრობლემებს გადაჭრის და არა სიმპტომებს;
- განხორციელებადი და რეალისტურია რისკების, განხორციელების, ბიუჯეტისა და პოლიტიკური ნების და სხვა საკითხების გათვალისწინებით.

გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასება (SEA) მეთოდებისა და ინსტრუმენტების ერთობლიობაა, რომელიც პოლიტიკის, პროგრამებისა და გეგმების გარემოზე ზემოქმედების ანალიზს სტრატეგიულ დონეზე ახორციელებს. ამასთან, იგი მოიცავს სოციალურ-კულტურულ და ეკონომიკურ პერსპექტივებსაც. SEA-ს სტრატეგიული ორიენტაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფართომასშტაბიანი ალტერნატივების (ან წინადადებების) შეფასებისა და მდგრადობის შედეგების მიმოხილვისას, ისევე როგორც ფართო ურბანული ტერიტორიების გრძელვადიანი განვითარების კონტექსტში. SEA ხელს უწყობს სავარაუდო ან შესაძლო უარყოფითი ეფექტების გამოვლენასა და შეფასებას. ასევე, იგი გვეხმარება არსებული არამდგრადი პარადიგმებისა და დაშვებების გადახედვაში. შეფასება უნდა განხორციელდეს იმ ეტაპზე, როდესაც ჯერ კიდევ შესაძლებელია შემოთავაზებული გადაწყვეტების მოდიფიცირება. SEA არა მხოლოდ უბრალოდ ტექნიკური პროცედურაა, არამედ დინამიკური პროცესია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციას. კარგად მართულ *გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასების* პროცესს შეუძლია ხელი შეუწყოს მდგრადობისა და გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და ჩართულობის ზრდას, რაც თავის მხრივ, ახალ ხედვებსა და გადაწყვეტებს წარმოშობს.

მარტივად რომ ვთქვათ, გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასება (SEA) ძირითადად პასუხობს კითხვებს „რატომ?“, „თუ?“ და „სად?“, მაშინ როცა გარემოზე ზემოქმედების შეფასება (EIA) პასუხობს კითხვას „როგორ?“. გეგმის, ჩარევის ან პროექტის ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, ზემოქმედების შეფასება შეიძლება კონკრეტულ მიმართულებებზე იყოს კონცენტრირებული, მაგალითად, კულტურული მემკვიდრეობა, ურბანული ლანდშაფტები, სოციალური საკითხები ან ბავშვების კეთილდღეობაზე ზემოქმედება.



სურათი 6.15
გარემოს სტრატეგიული შეფასება(SEA) ფოკუსირდება სტრატეგიულ დონეზე (პოლიტიკები, გეგმები, პროგრამები), ხოლო გარემოზე ზეგავლენის შეფასება (EIA) ხშირად პროექტების დონეზეა მიმართული.

სხვადასხვა სცენარისა და პროექტის კომპონენტების შედარება

სხვადასხვა სცენარისა და პროექტის კომპონენტების შედარების რამდენიმე პრაქტიკული ინსტრუმენტი არსებობს.



კომპონენტები:
- ბაზრის კეთილმოწყობა
- სანიაღვრე სისტემის გამართვა
- საჯარო სივრცის გაუმჯობესება

სურათი 6.16
მდგრადობის ვარდის მაგალითი (რადარის გრაფიკი), რომელიც ასახავს შეფასებულ ზეგავლენას

მდგრადი განვითარების დიაგრამა (ობობას ქსელის დიაგრამა, რადარის გრაფიკი) ვიზუალიზაციის ინსტრუმენტია, სადაც შესაბამისი ინდიკატორები განთავსებულია წრის რადიალურ ღერძებზე. ინდიკატორები შეიძლება დაჯგუფდეს მათი ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული ან სივრცითი ხასიათის მიხედვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი მხოლოდ კონკრეტული, მაგალითად, ეკოლოგიური ასპექტის შესაფასებლად გამოიყენება.

შეფასება ხდება წრეზე: ოპტიმალური შესრულება წრეწირის გარშემო (მაგ., 3, 5 ან 10), ხოლო მინიმალური შესრულება – ცენტრში განთავსდება.

პროექტის სტრეს-ტესტირება: თავიდან აგვაცილებს არარეალისტური პროექტების დაგეგმვასა და შემუშავებას, ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე. პროცესი მოიცავს პროექტის თითოეული კომპონენტის შესახებ მარტივი კითხვების დასმას და მათი განხორციელებადობის შეფასებას. ამგვარად, შესაძლებელია დროულად გამოვლინდეს რეალობასთან შეუსაბამოა კომპონენტები ან პროექტები.

სურათი 6.17
პროექტის საწყისი შეფასების (სტრეს-ტესტის) მაგალითი.

სუბიექტი	მინაზე ხელმისაწვდომობა	ნებართვები	მანდატი / უფლებამოსილება	ინვესტიცია	ოპერაციები / მართვა	დრო	ტექნიკური შესაძლებლობები	პოლიტიკური მხარდაჭერა	საზოგადოებრივი აღიარება	აუცილებელი პარტნიორობა
პარკის სკამი	😐	☺	☺	☺	☺	☺	☺	😐	☺	☺
ნაგავსაყრელი	☹	😐	☺	☹	😐	☹	☹	☺	☺	☺
ეკო-საპირფარეშო	😐	😐	😐	☺	😐	☺	☺	😐	☹	☹

მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი (MCA): სხვადასხვა ალტერნატივის ზემოქმედების შეფასებისა და შეწონვის სისტემური პროცედურაა. MCA ხშირად გამოიყენება რთული შეფასებების განსახორციელებლად. შერჩეული ინდიკატორები იწონება მათი მნიშვნელობის მიხედვით და ფასდება შესრულების ხარისხით. შეფასების პროცესში ინდიკატორის წონა მრავლდება შესრულების მაჩვენებელზე, რის შედეგადაც მიიღება თითოეული ინდიკატორის ქულა. საბოლოოდ, ინდიკატორების ქულები ჯამდება თითოეული ალტერნატივისთვის.

საბოლოო წინადადებაზე შეჯერება

საბოლოო წინადადება უნდა შეირჩეს სარგებლიანობისა და ზემოქმედების შეფასების საფუძველზე. იგი შეიძლება რამდენიმე განხილული ალტერნატივის ელემენტებს აერთიანებდეს ან მაგალითად, მთავარი ვარიანტი შეივსოს დამატებებით და/ან სახეცვლილებებით სხვა ალტერნატიული წინადადებებიდან. იგი უნდა იყოს დაბალანსებული, უნდა მოვერიდოთ არასათანადო ოპტიმიზაციას და ხარისხზე კომპრომისის გაკეთებას. ამასთან, წინადადება უნდა ასახავდეს დასახულ ამოცანებს.

საკვანძო მიგნებები

- ჩარევის (ან მისი ალტერნატივების) ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სივრცითი სარგებლისა და ზემოქმედების გააზრებით პროექტი დასახულ ამოცანებთან შესაბამისობაში მოდის და ხელს უწყობს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას.
- სარგებლისა და ზემოქმედების უწყვეტად შეფასება წარმართავს პროექტის განვითარებასა და დიზაინს. იგი პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების ადრეულ ეტაპზე შერბილების საშუალებას გვაძლევს.
- შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა ინსტრუმენტები და მეთოდები ჩარევების შუალედური და საბოლოო შეფასებისთვის, როგორც სტრატეგიულ, ისე პროექტის დონეზე. ეს შეიძლება იყოს კომპლექსური SEA, EIA და MCA ან უფრო მარტივი ობობის ქსელის და რადარის დიაგრამები.
- ქალაქის დაინტერესებულ მხარეებთან და თემებთან კონსულტაციებმა შესაძლებელია ღირებული ინფორმაცია შემატოს სარგებლიანობისა და ზემოქმედების შეფასებას.
- ოპტიმალური შედეგების მისაღწევად, პროექტის ან ჩარევის საბოლოო ვარიანტი შესაძლებელია მოიცავდეს სხვადასხვა განხილული ალტერნატივების ელემენტებს.

6.6 ნაბიჯი 6
განხორციელება და შემდგომი მონიტორინგი



შერჩეული საბოლოო წინადადება სტრატეგიის ან სამოქმედო გეგმის შემუშავების საფუძველია. ეს უზრუნველყოფს მიზანმიმართულ და ეფექტიან განხორციელებასა და შემდგომ მონიტორინგს. როგორც წესი, განხორციელების გზები განისაზღვრება ჩარევის ან გეგმის მოქმედების სფეროს, სირთულის და ტიპის შესაბამისად. იგი ასევე უნდა ითვალისწინებდეს არსებულ კონტექსტს, მარეგულირებელ და პოლიტიკის ჩარჩოს. განხორციელების სტრატეგიის მომზადებისას მნიშვნელოვანია მხოლოდ შესრულებაზე არ გავამახვილოთ ყურადღება და გავითვალისწინოთ ოპერირება, ტექნიკური მომსახურება, მონიტორინგი და შემდგომი შეფასება, რადგან ჩამოთვლილი ასპექტები, ხშირად უგულებელყოფილია.

განხორციელების ეტაპზე გადასვლა

განხორციელების სტრატეგია ან სამოქმედო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ურბანული მდგრადობის სოციალურ-კულტურულ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ განზომილებებს ყველა ეტაპზე, პროექტირებისა და ბიუჯეტირებიდან, შესრულებასა და მშენებლობამდე. გეგმის, პროექტის ან ჩარევის საფუძველზე შემუშავებული განხორციელების ან სამოქმედო გეგმა ჩვეულებრივ ეფუძნება განსაზღვრულ ფარგლებს და შესაბამის სამუშაო გეგმას ან განრიგს. იგი, როგორც წესი, განსაზღვრავს და აღწერს ძირითად ელემენტებს, ნაბიჯებსა და აქტივობებს ეტაპობრივი და ლოგიკური თანმიმდევრობით, მოიცავს მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდებს. *განხორციელების სამოქმედო გეგმა* შეიძლება მოიცავდეს სტრუქტურების, როლებისა

სურათი 6.18
მდგრადი განვითარების ძირითადი ასპექტები და მიზნები უნდა იყოს ინტეგრირებული დაგეგმვის, დიზაინისა და განხორციელების ყველა ფაზაში

მაგალითი

ტაიმზ-სკვერი - ტაქტიკური ურბანიზმი

ბროდვეის ტრანსფორმაცია ტაიმზ-სკვერზე, ნიუ-იორკში „ტაქტიკური ურბანიზმის“ კარგი მაგალითია. ნიუ-იორკის ქალაქმა და სატრანსპორტო დეპარტამენტმა, მიმდებარე ქონების მფლობელებისა და ბიზნესების მხარდაჭერით, დროებითი ჩარევები განახორციელა, რათა სივრცე, რომელიც ავტომობილებით იყო დატვირთული, ქცეულიყო ქვეითებზე მორგებულ გარემოდ. ცვლილებები მოიცავდა ველობილიკებს, გამწვანებასა და დასაჯდომ ადგილებს.

დროებითი მოწყობის შედეგად ტრავმები და ავარიები შემცირდა, ხოლო ქვეითთა რაოდენობა და საცალო გაყიდვები გაიზარდა. საცდელი პერიოდის შემდეგ ცვლილებები 2010 წელს მუდმივად დამკვიდრდა. პროექტი შემდგომში შთაგონების წყაროდ იქცა სხვა მსგავსი ჩარევებისთვის. ტაქტიკური ურბანიზმი არის მოქნილი და ექსპერიმენტული დიზაინის მიდგომა, რომელიც გარდაქმნის ქალაქების აღქმასა და გამოცდილებას. სწრაფი, დაბალ ბიუჯეტიანი და დროებითი ჩარევების გზით, იგი მიზნად ისახავს საჯარო სივრცეების ხარისხის გაუმჯობესებას, მათ უსაფრთხო, ხელმისაწვდომ და საცხოვრებლად უფრო კომფორტულ გარემოდ ქცევას.

წყარო: New York Department of Transport / www.dezeen.com

და პასუხისმგებლობების განსაზღვრებას; შიდა და გარე პროცესებსა და შეხვედრებს; კომუნიკაციასა და ინფორმაციის გავრცელებას; დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოების ჩართულობას და მათთან თანამშრომლობას; შესყიდვებსა და კონტრაქტების გაფორმებას; მონიტორინგსა და შემდგომ შეფასებას. გეგმა ასევე აღწერს პოლიტიკას, პრინციპებსა და პროცედურებს, მაგალითად, ეკოლოგიურად სუფთა სამშენებლო მასალების შესყიდვასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ წესებს.

გეგმებისა და პროექტების განხორციელება ხშირად მოითხოვს ქვეპროექტების (კომპონენტების) განსაზღვრას, მაგალითად: ნიადაგის მომზადება, ინფრასტრუქტურის, ქუჩებისა და საზოგადოებრივი სივრცეების დაგეგმვა, მშენებლობა და სხვა. ეს განსაკუთრებით ეხება ურბანული განაშენიანების მასშტაბურ და რთულ პროექტებს, რომლებიც გრძელვადიან პერიოდს მოიცავს. ასეთ დროს აუცილებელია ეტაპობრივი დაგეგმვა, ეფექტიანი შესრულებისა და არასათანადო ოპტიმიზაციის თავიდან აცილებისთვის. ამ პროცესში მნიშვნელოვანია გამოვლენილი სინერგიებისა და მდგრადობის ასპექტების გათვალისწინება. საწყისი ეტაპების ყურადღებით მონიტორინგი და შეფასება კი შემდგომ ფაზებში საჭირო კორექტირებებისა და გაუმჯობესებების განხორციელების საშუალებას მოგვცემს.

ამ მიზნისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას საპილოტე ფაზა ან სადემონსტრაციო პროექტი, რაც ასევე დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობას შექმნის. ჩარევები შეიძლება განხორციელდეს დროებით, რათა გამოიცადოს კონკრეტული გადაწყვეტები ან მიდგომები, ხოლო შეფასების შემდეგ ისინი გახდეს მუდმივი და ხელი შეუწყოს გრძელვადიან ტრანსფორმაციას. ასეთი მცირე მასშტაბის, დროებითი და დაბალბიუჯეტიანი ჩარევები „ტაქტიკური ურბანიზმი“ სახელით არის ცნობილი.

განხორციელების ფინანსირება

კარგი გეგმისა თუ პროექტის ფასი არაფერია მისი ადგილზე განხორციელების გარეშე. ურბანული ჩარევების შესრულებისთვის

აუცილებელი სახსრების უზრუნველყოფა არსებითი მნიშვნელობისაა. ეს მოიცავს ფინანსურ, ადამიანურ და ტექნიკურ რესურსებს. მდგრადი დაფინანსების სტრატეგია განხორციელების გეგმის ნაწილი უნდა იყოს და ითვალისწინებდეს პროექტის მომზადების, განხორციელების, ოპერირებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს. ეს ნებისმიერი ჩარევის წარმატების აუცილებელი წინაპირობაა.

საქალაქო მასშტაბის სტრატეგიები და გეგმები ქალაქის გრძელვადიანი ხედვისა და განვითარების ძირითადი მიზნების შესრულების მექანიზმებია. სასურველია, ისინი დაუკავშირდეს მუნიციპალური ბიუჯეტირების ციკლს და საინვესტიციო სტრატეგიას. მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა სასურველს, დაგეგმილსა და ფინანსურად შესაძლებელ ჩარევებს შორის. ამისთვის ბიუჯეტში უნდა გამოიყოს რესურსები, როგორც კაპიტალურ ინვესტიციებზე, ასევე ოპერაციებსა და ტექნიკურ მომსახურებაზე. სტრატეგიებისა და გეგმების განხორციელება ხშირად ხანგრძლივ პერიოდს მოითხოვს. საჭიროა, არა მხოლოდ პოლიტიკურ ციკლებს შორის შეთანხმება, არამედ მჭიდრო თანამშრომლობა და კოორდინაცია ადგილობრივი ხელისუფლების სამსახურებს, ისევე როგორც სხვა მონაწილეებს, მაგალითად, დეველოპერებსა და ბიზნესებს შორის.

ქალაქებში ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაფინანსების სხვადასხვა წყარო შეიძლება გამოიყენოს, მაგალითად, როგორც რეგულარული ბიუჯეტი, ისე სპეციალური ასიგნებები. ზოგჯერ საჭიროა გარე რესურსები, მაგალითად სესხები, გრანტები, ეროვნულ დონეზე გამოყოფილი ასიგნებები ან საჯარო-კერძო პარტნიორობა. დაფინანსების წყარო დამოკიდებულია პროექტის მასშტაბზე, სტრუქტურასა და საკუთრების ფორმაზე. ურბანული ინიციატივები შეიძლება დაფინანსდეს კერძო სექტორის, დეველოპერების, ორგანიზაციებისა და ფილანთროპების მიერაც. დაფინანსების სხვადასხვა მოდალობა დეტალურად განხილულია მე-5 თავში.

ოპერირება და ტექნიკური მომსახურება

ოპერირებისა და ტექ. მომსახურების (O&M) ასპექტები უკვე გათვალისწინებული უნდა იყოს დაგეგმვის ეტაპზე. ეს მოიცავს შესრულების რეგულარულ მონიტორინგს და პერიოდულ სისტემურ შეფასებებს. ჩარევების ტექნიკური მომსახურება და რეაბილიტაცია აუცილებელია სისტემებისა და ინფრასტრუქტურის გრძელვადიანი ფუნქციონირებისათვის. ოპერირებისა და ტექნიკური მომსახურების უგულებელყოფა ხშირად იწვევს სხვა მხრივ კარგი ინფრასტრუქტურული პროექტების მდგრადობის ნაკლებობას ან მათი ექსპლუატაციის ვადის მნიშვნელოვან შემცირებას.

ნებისმიერი ჩარევის, პროექტისა თუ გეგმის წარმატებული განხორციელებისათვის აუცილებელია პოტენციური ტექნიკური, ფინანსური ან ბუნებრივი რისკები გამოვლენა, რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს შესრულებაზე ან ოპერირების ეფექტურობაზე. საუკეთესო შემთხვევაში ასეთი რისკები დაგეგმვის ეტაპზევე გამოვლინდება, ხოლო

ვარაუდი \ ზეგავლენა	უმნიშვნელო	მცირე	ზომიერი	მნიშვნელოვანი	მძიმე
ძალიან სავარაუდო	დაბალი/ საშუალო	საშუალო	საშუალოზე მაღალი	მაღალი	მაღალი
სავარაუდო	დაბალი	დაბალი/ საშუალო	საშუალო	საშუალოზე მაღალი	მაღალი
შესაძ-ლებელი	დაბალი	დაბალი/ საშუალო	საშუალო	საშუალოზე მაღალი	საშუალოზე მაღალი
ნაკლებ სავარაუდო	დაბალი	დაბალი/ საშუალო	დაბალი/ საშუალო	საშუალო	საშუალოზე მაღალი
ძალიან ნაკლებ სავარაუდო	დაბალი	დაბალი	დაბალი/ საშუალო	საშუალო	საშუალო

სურათი 6.19
რისკების შეფასების მაგალითი და მატრიცა

შემდეგ მუდმივად კონტროლდება, საჭიროების შემთხვევაში კი გადაიხედება და შერბილდება. *რისკის შეფასება* ამ მიზნით სასარგებლო ინსტრუმენტია.

ზოგიერთი ფაქტი

პროექტის განხორციელებისას გასათვალისწინებელი მოსაზრებები

- დაგეგმვის მკაფიო დოკუმენტაციის მომზადება.
- საკვანძო გადაწყვეტილებების მიღება, დამტკიცება და ნებართვების მოპოვება.
- რესურსების მობილიზება და დაფინანსების მოპოვება (ინვესტიცია, ოპერირება და ტექ. მომსახურება).
- დაინტერესებულ მხარეთა და საზოგადოების ჩართვა და მათთან კომუნიკაცია.
- დეტალური პროექტირება და ხარჯთაღრიცხვა.
- შესყიდვები, სამუშაოები და ექსპლოატაციაში გაშვება.
- საოპერაციო მოთხოვნები და ტექ. მომსახურების გეგმა.
- მონიტორინგი, შეფასება და შემდგომი მოკვლევა.

უწყვეტი გამოცდილების მიღება და გაუმჯობესება (მონიტორინგი და მოკვლევა)

წარმატებული შედეგების მისაღებად აუცილებელია გეგმაზომიერად განხორციელების უზრუნველყოფა. მონიტორინგი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს სტრატეგიული და საოპერაციო მიზნების შესრულებაში მიღწეულ პროგრესზე. შეფასება ზომავს საერთო ზემოქმედებას დასახულ ხედვასთან მიმართებით. მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოები საჭიროა, არა მხოლოდ მომდევნო ეტაპზე ან პროექტში გაუმჯობესებებისა და კორექტირებების განსახორციელებლად, არამედ ასევე ჩარევის შედეგებისა და ზემოქმედების გასაგებად. ჩარჩოები უნდა ეფუძნებოდეს დაგეგმვისა და დიზაინის ეტაპზე წინასწარ განსაზღვრულ ამოცანებსა და მიზნებს, სამიზნეებსა და მდგრადობის ინდიკატორებს, ან სხვა შესაბამის სტანდარტებს.

დაინტერესებული მხარეები იკვლევენ შემოთავაზებული ჩარევების პოტენციურ ზეგავლენას, 'სიმბიოსითი' მიანმარი

სხვა სასარგებლო დამატებითი წყაროები შეიძლება იყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასება (EIA) ან სტრატეგიული ზემოქმედების შეფასება (SEA), მათი კონკრეტული ჩარევისთვის შემუშავების შემთხვევაში. ასევე შესაძლებელია, შედეგებისა და ზემოქმედების ანალიზი დაინტერესებული მხარეებისა და ბენეფიციარების ჩართულობით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა გავიგოთ მომხმარებლის თვალსაზრისი და, თუ როგორ პასუხობს კონკრეტული ჩარევა ადგილობრივ საჭიროებებსა და მისწრაფებებს, მათ შორის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის, გენდერის და სოციალური კატეგორიების ხედვებს.

ქალაქის ან ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე სტრატეგიებისა და გეგმებისთვის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები შესაბამისობაში უნდა იყოს *მონიტორინგის ეროვნულ ჩარჩოებთან*. ეს ხელს უწყობს შედარებით ანალიზს და ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs)

შესრულების პროგრესის მონიტორინგს, მაგალითად, ეროვნულ ან საერთაშორისო ურბანულ ობსერვატორიებში.

ნაშენი გარემოს სერტიფიცირების სისტემები ხშირად გამოიყენება პროექტებისა და შენობების მდგრადობის გასაძლიერებლად, მაგრამ ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას დაგეგმვის პროცესში დადგენილი ხარისხის შესანარჩუნებლად. ამ სისტემების კრიტერიუმები დაკავშირებული უნდა იყოს კონკრეტული ჩარევის მიზნებსა და ინდიკატორებთან. გარდა ამისა, სასარგებლოა სხვა ჩარჩოები, რომლებიც ამოცანების, შედეგების, აქტივობებისა და ინდიკატორების იერარქიას მოიცავს. ამის კარგი მაგალითია „ლოგიკური ჩარჩოს მიდგომა“, როგორც პროექტის დაგეგმვის, ასევე მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტი.

მაგალითი

გარემოსდაცვითი სერტიფიცირების სისტემები

ჩვეულებრივ, გარემოსდაცვითი სერტიფიცირების სისტემები მესამე მხარის მიერ ხორციელდება დამოწმებული სტანდარტებისა და შეფასების სისტემების საფუძველზე. ისინი აფასებს ნაშენი გარემოს ეფექტურობას და მდგრადობას. მათი მიზანია, მაგალითად, ნაშენი გარემოს ხარისხის დაცვა, კლიმატის ცვლილებაზე რეაგირების ხელშეწყობა, მედეგობის და ხელმისაწვდომი რესურსების ეფექტიანი გამოყენების გაძლიერება. ასეთი სისტემებია მაგალითად BREEAM („შენობების კვლევითი ინსტიტუტის გარემოსდაცვითი შეფასების მეთოდი“), LEED („ლიდერობა ენერგეტიკასა და გარემოსდაცვით დიზაინში“) ან Green Star. ამ სისტემების გამოყენება შესაძლებელია, როგორც ცალკეულ შენობებზე, ისე მთელ ურბანულ ტერიტორიებზე. მრავალი სერტიფიცირების სისტემა ერგება ეროვნული კონტექსტსა და მოწყობას, ხოლო მათი უმრავლესობა დაკავშირებულია „მსოფლიო მწვანე შენობების საბჭოსთან“ (World Green Building Council).

https://worldgbc.org/

საკვანძო მიგნებები

- ურბანული განაშენიანების ჩარევების განხორციელება ეტაპობრივად შეიძლება მათი სირთულიდან, ხელმისაწვდომი რესურსებისა (დაფინანსების ჩათვლით) და დროის შესაბამისად. გათვალისწინებული უნდა იყოს გამეორების და მასშტაბირების შესაძლებლობა.
- თავიდანვე უნდა გავითვალისწინოთ დაფინანსების მოდალობები და წყაროები პროექტის დიზაინთან შესაბამების მიზნით.
- განხორციელების გეგმების უნდა მოიცავდეს ხარჯთაღრიცხვასა და ფინანსირების ვარიანტებს ეფექტური შესრულების, ოპერირების და ტექნიკური მომსახურების მხარდასაჭერად.
- ინდიკატორები ხელს უწყობს სისტემატურ მონიტორინგსა და შეფასებას, ეკოლოგიური, სოციალურ-კულტურული, ეკონომიკური და სივრცითი ასპექტების ჩათვლით.
- დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მათთან კომუნიკაცია მნიშვნელოვანია, როგორც პროექტის განხორციელებისას ასევე შემდეგ.

6.7 როგორია შემდეგი ნაბიჯები?

'სიმბიოსითის' მიდგომა – ეს არის მდგრადი ურბანული ჩარევების განხორციელების კონცეპტუალური ჩარჩო და ზოგადი სამუშაო პროცედურა. წარმატების შემთხვევაში, ასეთი ჩარევები ხელს უწყობს ტრანსფორმაციულ ცვლილებებსა და ზემოქმედებას.

ურბანული ტერიტორიების და ნაშენი გარემოს ტრანსფორმაცია კომპლექსური პროცესია, რომელიც დროს მოითხოვს. ამიტომ საჭიროა განვიხილოთ წარმატებული ჩარევების გამეორება და მასშტაბირება, რადგან გარკვეულწილად, მიღებული გამოცდილება და შედეგები სხვა, მომავალი ჩარევების გზამკვლევს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ჩარევები ყოველთვის კონკრეტული კონტექსტის პირობებსა და საჭიროებებზე უნდა იყოს მორგებული. მსხვილი, სტრატეგიული და რთული ინიციატივებისთვის, რომლებიც ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, რეკომენდებულია მუდმივი მონიტორინგი და შემდგომი შეფასება, რათა საჭიროების შემთხვევაში მოხდეს განახლება ან კორექტირება. ასეთი გამოცდილება შეიძლება გამოვიყენოთ არსებული სტრატეგიებისა და პოლიტიკის გადასინჯვისთვის, მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. ამ პროცესში სასარგებლოა პარტნიორობები და საკონსულტაციო ჯგუფები, რომლებიც ხელს უწყობენ თანამშრომლობას და შესაძლოა პოლიტიკურ ციკლებს შორის წყვეტის დაძლევაში დაგვეხმარონ.

ამის გათვალისწინებით, წარმატებული ჩარევები გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების საფუძველია. ისინი სხვა დაინტერესებულ მხარეებსა და თემებში შთაგონების წყარო ხდება, პარტნიორობებსა და თანამშრომლობას აძლიერებს, შესაძლებლობებისა და ცნობიერების ამაღლების საფუძველია. მდგრადი ურბანიზაციის ადვოკატირება, კომუნიკაცია და ცნობიერების ამაღლების კამპანიები სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა არხის საშუალებით უნდა განხორციელდეს, როგორც ჰორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად: საერთაშორისო და ეროვნული დონიდან ადგილობრივ თემებამდე. ამ პროცესში სხვადასხვა აქტორებს შორის პარტნიორობები მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამიტომ აუცილებელია როგორც პროცესის, ისე შედეგების დოკუმენტირება.

მდგრად ურბანულ განვითარებაზე გადასვლა მხოლოდ პროექტებისა და გეგმების წარმატებულ განხორციელებას არ გულისხმობს. მნიშვნელოვანია შედეგების ფართო პერსპექტივიდან გააზრებაც, რადგან ჩარევებმა შეიძლება გამოიწვიოს ქცევისა და დამოკიდებულებების ცვლილება, საჯარო სივრცის გამოყენების ახალი ფორმები, ქალაქში მოძრაობისა და ნაკადების გარდაქმნა. ურბანულმა ჩარევებმა ასევე, შეიძლება შეცვალოს მიწის ღირებულება და უძრავი ქონების ბაზრები, ინვესტორების დამოკიდებულება ან ბიზნესისა და კომერციული საქმიანობის პირობები. პროექტებისა და გეგმების განხორციელება ამა თუ იმ კუთხით ტრანსფორმაციული ცვლილებებისა და დამატებითი შედეგების წყაროდ შეიძლება იქცეს, რომლებიც გავლენას მოახდენს, არა მხოლოდ კონკრეტულ ტერიტორიაზე, არამედ მთელ ქალაქზე. ამიტომ, აუცილებელია წარმატებული მიდგომების, პროცესებისა და შედეგების ინსტიტუციონალიზაცია.

ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიტიკისა და მარეგულირებელ ჩარჩოებსა და რეალურ ვითარებას შორის არსებითი განსხვავებებია. ასეთ შემთხვევაში, გადამწყვეტია გამოცდილების უწყვეტი გაზიარება. ასეთი ხარვეზების აღმოფხვრისას შეიძლება გავითვალისწინოთ წარმატებული ტრანსფორმაციული ჩარევები და საუკეთესო პრაქტიკები, პოლიტიკის ჩარჩოს დამატებით განსავითარებლად. ამ პროცესში ცენტრალური მნიშვნელობისაა თანამშრომლობა, კოორდინაცია და გამოცდილების გაზიარება სხვადასხვა დონეზე, იქნება ეს ადგილობრივი და ეროვნული ხელისუფლება თუ კერძო სექტორი და აკადემიური წრეები, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად.

საკვანძო მიგნებები

- რეკომენდებულია წარმატებული ურბანული განვითარების პროცესებიდან და შედეგებიდან მიღებული გამოცდილების ორგანიზაციულ მოწყობაში გათვალისწინება და ინსტიტუციურ დონეზე დანერგვა.
- მდგრადი ურბანიზაციის შესახებ ადვოკატირება და ცნობიერების ამაღლება უწყვეტი პროცესია. საუკეთესო შემთხვევაში, იგი აერთიანებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს საჯარო და კერძო სექტორიდან, აკადემიური წრეებიდან, ანალიტიკური ორგანიზაციებიდან და სხვ.
- აუცილებელია წარმატებული ინიციატივების გამეორება და მასშტაბირება, თუმცა ყოველთვის ადგილობრივი პირობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით და ადაპტირებით.
- კონკრეტულ ინიციატივასთან ან ჩარევასთან დაკავშირებით შექმნილი საკონსულტაციო და სამეთვალყურეო ჯგუფები, ხელს უწყობს კონსენსუსის მიღწევას, ცნობიერების ამაღლებას და პოლიტიკური ციკლების ან სხვა შეფერხებების გადალახვას.
- ქალაქის დინამიკისა და ცვლილებების გააზრება მნიშვნელოვანია, რადგან ჩარევამ, პროექტმა ან გეგმამ შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი ეფექტები და ტრანსფორმაციული ზემოქმედება, რომლებიც თავად ჩარევის ფარგლებს გასცდება.

genom Klas Groth

7.

კარგი პრაქტიკის მაგალითები

კარგი პრაქტიკის მაგალითები

ამ თავში მოცემულია იმ ინიციატივებისა და პროექტების მოკლე მიმოხილვა, რომლებიც მდგრად ურბანულ განვითარებას უწყობს ხელს. მაგალითებში უფრო დეტალურად არის აღწერილი, თუ როგორ შეიძლება სტრატეგია და პოლიტიკა ურბანული დაგეგმარების ჩარევების შემუშავებისა და განხორციელების საფუძვლად იქცეს. ისინი ასევე აჩვენებს, კავშირებს სხვადასხვა ურბანულ სისტემას შორის და თუ როგორ აძლიერებს სინერგიები ჩარევის მნიშვნელობას.

მაგალითების უმრავლესობა შემუშავდა და/ან განხორციელდა „სიმბიოსითის“ მიდგომის ფარგლებს გარეთ. თუმცა, ისინი მიდგომის საფუძველში არსებულ ძირითად ფასეულობებს წარმოაჩენს და იმ საშუალებების ფართო სპექტრს წარმოადგენს, რომლებიც ხელს უწყობს ეკოლოგიური, სოციალურ-კულტურული, ეკონომიკური და სივრცითი მახასიათებლების გაუმჯობესებას ურბანულ ტერიტორიებზე.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მაგალითები მომავალი ურბანული განვითარების ინიციატივების შთაგონების წყარო გახდება და ამით წვლილს შეიტანს ანალიზის, შეფასებებისა და მიმოხილვების განხორციელებაში; განვითარების პოლიტიკის და სტრატეგიული დოკუმენტების, ერთიანი ურბანული გეგმების, გენერალური გეგმებისა და განაშენიანების დეტალური გეგმებისა თუ ინდივიდუალური პროექტების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში.

მაგალითები

1. სტოკჰოლმის მუნიციპალიტეტის რეგიონული განვითარების გეგმა, 2050
2. „ქვეითზე მორგებული ქალაქი“ (Promenadstaden)
3. კლიმატის სტრატეგიები - უკან დახევა, თავდაცვა, შეტევა
4. დასავლეთ ნავსადგური, მალმე (Västra hamnen)
5. სტოკჰოლმის სამეფო საზღვაო პორტი (Norra Djurgårdsstaden)
6. ურბანული მდგრადობის მიმოხილვა, სკოპიე, მაკედონია
7. ურბანული სათემო კონცეფცია, ნელსონ მანდელას ყურის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ აფრიკა
8. ავტობუსის სატრანზიტო დერეფნის (BRT) სისტემები კურიტიბასა და ბოგოტაში
9. ტანშანის ეკოქალაქი, ჩინეთი
10. კლიმატ-ნეიტრალური ქალაქები, შვედეთი
11. მუკურუს სპეციალური დაგეგმარების ინიციატივა
12. უმეო, გენდერულად მგრძნობიარე ურბანული განაშენიანება
13. მალმეს შენება, მალმე

1. სტოკჰოლმის რეგიონული განვითარების გეგმა - 2050

ქვეყანა	**შვედეთი**
ქალაქი	**სტოკჰოლმი**
ურბანული მასშტაბი	**რეგიონული დონე**
საკვანძო საკითხები	**რეგიონული დაგეგმარება, სტრატეგიული დაგეგმარება, მეტროპოლიის ტერიტორია**

მეტი ინფორმაციისთვის იხ. **https://www.regionstockholm.se/**

2050 წლისთვის სტოკჰოლმის მუნიციპალიტეტისმაცხოვრებელთა რაოდენობა 3,4 მილიონამდე გაიზრდება, რაც 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით 1 მილიონიან ზრდას შეადგენს. ეს იწვევს რიგ დადებით და უარყოფით შედეგებს, მათ შორისაა გარემოსდაცვითი საკითხები და კლიმატის ზემოქმედება.

სტოკჰოლმის მუნიციპალიტეტის ხედვაა იქცეს ევროპის ყველაზე მიმზიდველ დედაქალაქად. ამისათვის დადგენილია ოთხი მიზანი (2050) და შესაბამისი დაკავშირებული სამიზნეები (2030) და პრიორიტეტები (2018-2026):

- **კარგი მისაწვდომობა და ცხოვრების ხარისხი** – ყოველწლიურად 22 000 ერთეულამდე საცხოვრისის მიწოდება და ეფექტური სატრანსპორტო სისტემის ხელშეწყობა.
- **ღია, გენდერულად მგრძნობიარე, თანასწორუფლებიანი და ინკლუზიური გარემო** – სამუშაო ბაზარზე შესაბამისი უნარების განვითარება და მიწოდება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის გაუმჯობესება და ბავშვებისა და ახალგაზრდების მიერ სწავლის გაგრძელების წახალისება.
- **ზრდისა და ცოდნის წამყვანი რეგიონი** – სტრატეგიული კვლევითი და ინოვაციური გარემოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა.
- **რესურსეფექტური, მედეგი რეგიონი სათბური აირების ემისიების გარეშე** – მიმზიდველი, კლიმატზე ორიენტირებული და რესურსეფექტური რეგიონული ცენტრების განვითარება და სამგზავრო და სატვირთო ელექტრო ტრანსპორტის ზრდა.



ფოტო regionstockholm.se

სამიზნეები მაგალითები:

სათბურის გაზების გამოყოფა ერთ სულ მოსახლეზე ენერგიის წარმოებისას 1,5 ტონაზე ნაკლები უნდა იყოს.

რეგიონული გეგმის განხორციელება ექვსი სივრცითი პრინციპის დანერგვას მოიცავს, რომლებიც ხელს უწყობს გაწონასწორებულ განვითარებას, ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფას, მეტად შეკავშირებულ ქალაქს და საცხოვრისისა და შრომის ბაზრების ხელმისაწვდომობას. მიდგომა ასევე ითვალისწინებს მიმდებარე რეგიონებსა და მათ განაშენიანებას.

- ურბანული განაშენიანება საუკეთესო საზოგადოებრივი ტრანსპორტის კვანძების გარშემო
- ურთიერთდაკავშირებული რეგიონული ცენტრები
- რესურსეფექტური სისტემები მაცხოვრებლებისა და წარმოებისთვის
- შეკავშირებული გამწვანება და წყლის მდგრადი გარემო
- გაძლიერებული კავშირები ურბანულ და სოფლის ტერიტორიებს შორის
- ხელშემწყობი გარემო ინოვაციურობის, ბიზნესის წარმოებისა და გადაწყვეტილების მიმღებთათვის

2. „ქვეითზე მორგებული ქალაქი“ (Promenadstaden)

ქვეყანა	**შვედეთი**
ქალაქი	**სტოკჰოლმი**
ურბანული მასშტაბი	**ყოვლისმომცველი ურბანული დონე**
საკვანძო საკითხები	**ყოვლისმომცველი დაგეგმარება, სტრატეგიული ურბანული განაშენიანება**

მეტი ინფორმაციისთვის იხ.
www.stockholm.se/oversiktsplan

2011 წელს სტოკჰოლმის მერიამ დაამტკიცა ახალი ყოვლისმომცველი ურბანული გეგმა - „ქვეითზე მორგებული ქალაქი“, როგორც ქალაქის მომავალი განვითარების პლატფორმა, რეგიონული განვითარების გეგმისა და ქალაქის 2030 წლის ხედვის შესაბამისად. სტოკჰოლმი, როგორც შვედეთის დედაქალაქი, რეგიონისა და ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრია და შესაბამისად, იზიდავს, როგორც ახალ მაცხოვრებლებს, ისე ბიზნესებს.

მუდამ გაფართოებადი რეგიონის გამოწვევები მოიცავს პოლიცენტრული მეტროპოლიური განაშენიანების მხარდაჭერას, ქალაქის მოსახლეობის გაზრდილ სიმჭიდროვეზე მორგებას, რესურსების ეფექტურ მოხმარებას, ეკოლოგიურ და კლიმატის ცვლილების საკითხებზე მუშაობას, სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის აღმოფხვრას, მაგალითად მარგინალიზებულ ტერიტორიებზე საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებით. ათწლეულის განმავლობაში განხორციელებული სტრატეგია მიზნად ისახავდა ქალაქების სიმჭიდროვის გაუმჯობესებასა და ზოგად განვითარებას უკვე განაშენიანებულ ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენებით.

ქალაქების განვითარებისა და სიცოცხლისუნარიანობის გასაძლიერებლად, „ქვეითზე მორგებული ქალაქის“ კონცეფცია ეფუძნება ოთხ ძირითად ამოცანას:

- ქალაქის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება და გაძლიერება – სიმჭიდროვისა და მრავალფეროვნების გაზრდით სტრატეგიულ ტერიტორიებზე, ასევე საბინაო ფონდის გაფართოებით სოციალური შეკავშირების გასაძლიერებლად;
- მეტროპოლიაში სტრატეგიული კვანძების განვითარება – პოლიცენტრული ქალაქის შესაქმნელად და მოსახლეობისთვის სერვისების, კულტურული შესაძლებლობებისა და სამუშაო ადგილების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად;
- დაკავშირებულობისა და მობილობის გაუმჯობესება – ინფრასტრუქტურის განვითარებით, მათ შორის საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ველო და საფეხმავლო მარშრუტების გაძლიერებით;
- უსაფრთხო და აქტიური ურბანული გარემოს შექმნა – სიმჭიდროვის ზრდით, ხარისხიანი საჯარო სივრცეების უზრუნველყოფით და საზოგადოებრივი სერვისებისთვის საჭირო სივრცეების შექმნით.

სტოკჰოლმის ახალი ურბანული განვითარების გეგმა ასახავს ქალაქის ხედვას 2040 წლამდე და ეფუძნება ოთხ მიზანს: მზარდი ქალაქი, შეკავშირებული ქალაქი, ხარისხიანი საჯარო სივრცეები და კლიმატგონივრული, მედეგი განვითარება.



ამავე დროს, „ქვეითზე მორგებული ქალაქი“ წარმოადგენს კომპლექსური ურბანული დაგეგმარების ერთ-ერთ კარგ მაგალითს.



ფოტობანი Stockholms stad/Översiktsplan (the Walkable City)

3. კლიმატის სტრატეგიები – უკანდახევა, თავდაცვა, გარდაქმნა

ქვეყანა	**შვედეთი**
ქალაქი	**მისტრას ურბანული მომავალი / გეტებორგის მუნიციპალიტეტი**
ურბანული მასშტაბი	**ყოვლისმომცველი ურბანული დონე**
საკვანძო საკითხები	**ურბანული დაგეგმარება, კლიმატის სტრატეგიები**

მეტი ინფორმაციისთვის იხ.
https://goteborg.se/
https://www.mistraurbanfutures.org/en

როგორც კლიმატის ცვლილების **შედეგების შესწავლის ერთგვარი სავარჯიშო** – „მისტრას ურბანული მომავლის“ (მდგრადი განვითარების ცენტრი) ინიციატივის ფარგლებში განხორციელდა მულტიდისციპლინური კვლევა, რომლის უმთავრესი შედეგი იყო ქალაქ გეტებორგის შესაძლო განვითარების სტრატეგიების დასახვა. კვლევა ეფუძნებოდა კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტირების სამ სტრატეგიას, რომელიც „ბრითიშ ბილდინგ ფიუჩერსმა“ (ბრიტანული მომავლის მშენებლობა) და ICE-მ (სამოქალაქო ინჟინრების ინსტიტუტი) შეიმუშავეს.

კლიმატის ცვლილების შედეგად, მრავალი სანაპირო ქალაქი ზღვის დონის მატებისა და წყალდიდობის საფრთხეების წინაშე დგას. გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ქალაქები შეიძლება განიცდიდნენ მომატებულ ტემპერატურას, უფრო მშრალ ზაფხულს და უხვ და ხშირ წვიმებს ზამთარში, რაც დამატებით საფრთხეებს აჩენს ნაშენი და ბუნებრივი გარემოსადმი.

სამი ელემენტისგან შემდგარი სტრატეგია – „უკან დახევა, თავდაცვა და შეტევა“ – გვთავაზობს დასახლებების დაგეგმილ უკან დახევას დაუცველი სანაპირო ზონებიდან („უკან დახევა“), წყალდიდობისგან დამცავი დამბების ან ჯებირების მშენებლობას (თავდაცვა) და წყლის ობიექტების გამოყენებას განვითარებისათვის (შეტევა). ხსენებული სამი ელემენტისგან შემდგარი სტრატეგია შეჯამებულია ქვემოთ:

„უკანდახევის“ სცენარი გულისხმობს არსებული ნაშენი გარემოს გადატანას, მათ შორის შენობები, ინფრასტრუქტურა და სხვა ტიპის ურბანული ფუნქციები. ამ მიდგომით მცირდება ნაშენი გარემოს წყალდიდობისგან დაზიანების რისკი. ამავე დროს, იზრდება მაცხოვრებლების უსაფრთხოება. თუ „მიტოვებული“ ტერიტორიები გარდაიქმნება წყალჭაობებად, პარკებად და სხვ. შესაძლოა ქალაქში დროებით გაჩენილი წყლის მართვის შესაძლებლობები შეიქმნას და წახალისდეს ტერიტორიის ეკოლოგიური მრავალფეროვნება. ეს სტრატეგია დემონტაჟის ხარჯებს მოითხოვს და ამასთან ამ ტერიტორიაზე ახალი ინვესტიციების ინტერესის შემცირების რისკს აჩენს. დადებითი მხარე ის არის, რომ ძვირადღირებულ დამცავ კედლებში ინვესტირება საჭირო არ არის.

„თავდაცვის სცენარი“ ქალაქის წყალდიდობისგან დაცვას ჯებირების აშენებით უზრუნველ-ყოფს. სწორად დაპროექტების შემთხვევაში, ისინი ერწყმის ლანდშაფტს და ქმნის საჯარო სივრცეებს (მაგ. სანაპირო ბულვარები). ჯებირები შეიძლება იყოს მუდმივი ან დროებითი, ინვესტიციის მიხედვით. ეს მიდგომა იცავს მოწყვლად ტერიტორიებს და ამცირებს აღდგენის ხარჯებს, თუმცა შეიძლება დააზიანოს ბუნებრივი სანაპირო და შეზღუდოს ზღვაზე წვდომა.

„გარდაქმნის სცენარი“ წყალს განვითარების ნაწილად აღიქვამს – ინფრასტრუქტურა ისე იგეგმება, რომ გაუძლოს დატბორვას (მაგ. ბოძებზე შენობები, ტივტივა ნაგებობები). ეს ხელს უწყობს ინოვაციას, თუმცა ძვირია და ქალაქის ნაწილი დაუცველი შეიძლება დარჩეს.

ფოტოები Mistra Urban Futures/SWECO

4. დასავლეთ ნავსადგური, მალმე (Västra Hamnen)

ქვეყანა	**შვედეთი**
ქალაქი	**მალმე**
ურბანული მასშტაბი	**ურბანული რაიონის დონე**
საკვანძო საკითხები	**რეკონსტრუქცია, ერთიანი ურბანული განვითარება**

მეტი ინფორმაციისთვის იხ.
www.malmo.se

დასავლეთ ნავსადგურის განვითარების

პროექტი Bo 01 ევროპული საბინაო გამოფენისთვის 2001 წელს დაიწყო. პირველმა ფაზის განმავლობაში წარმოდგენილი იყო უფრო ფართო არეალის რეკონსტრუქციის საპილოტე პროექტი ინოვაციური გარემოსდაცვითი გადაწყვეტებით, შთამაგონებელი არქიტექტურითა და ურბანული სივრცეებისადმი ახალი მიდგომებით. ამავე დროს, დადგინდა შემდგომი ეტაპების განხორციელების სტანდარტები.

რეკონსტრუქციის ხედვის თანახმად მალმე უნდა გამხდარიყო მდგრადი, ერთიანი და შერეული ფუნქციური გამოყენების ურბანული რაიონი, რომელიც სამაგალითო იქნებოდა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. 2031 წელს პროექტის დასრულებისას ყოფილი სამრეწველო და ნავსადგურის ტერიტორია გარდაიქმნება სივრცედ, რომელიც გააერთიანებს 25 000 ახალ საცხოვრებელ ერთეულს, სერვისებს, სამუშაო ადგილებს და აკადემიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებს. რაიონი გარემოს მჭიდრო განაშენიანების და მალმეს ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის მოწინავე მაგალითია.

ფოტოები Malmö Stad

მდგრადი განვითარების მაღალი სტანდარტებითა და კლიმატისა და გარემოსდაცვითი ინოვაციური გადაწყვეტებით რეგიონი მიზნად ისახავს 100%-ით ადგილობრივად წარმოებული განახლებადი ენერგიის შექმნას ქარის, მზის ენერგიასა და თბურ ტუმბოებზე დაყრდნობით, რომლებიც სითბოს ზღვიდან და წყლოვანი ფენიდან იღებს. ეს ენერგიის წარმოების ერთეულები დაკავშირებულია ქალაქის რაიონული გათბობისა და გაგრილების სისტემასთან. წელიწადის დროის შესაბამისად ენერგია ან უფრო დიდ სისტემას მიეწოდება ან მისგან მიიღება, რაც განახლებადი ენერგიის წარმოებისა და მოხმარების 1:1 თანაფარდობას ქმნის ყოველწლიურად. ნარჩენების შემცირების, გადამუშავებისა და ხელახალი გამოყენების ერთიანი სისტემა ამცირებს ეკოლოგიურ კვალს, ხოლო ნარჩენებისა და ჩამდინარე წყლების შლამიდან მიღებული ბიოგაზი გამოიყენება ავტობუსების საწვავად.

ბიომრავალფეროვნებისა და ხარისხიანი საჯარო სივრცეების შესაქმნელად გამოიყენება „მწვანე/ლურჯი“ გადაწყვეტები, მაგალითად მწვანე სახურავები, რომლებიც ამცირებს წყალდიდობის რისკს. შედარებით მაღალი სიმჭიდროვის მიუხედავად, ტერიტორია მდიდარია პარკებით, ეზოებითა და სკვერებით.

მობილობა დაგეგმილია ისე, რომ შემცირდეს ავტომობილზე დამოკიდებულება – მიზანია, რომ 2031 წლისთვის მოსახლეობის 75% გადაადგილდებოდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ველოსიპედით ან ფეხით. ასევე მოქმედებს ავტომობილების გაზიარების სისტემა.

5. სტოკჰოლმის სამეფო საზღვაო პორტი (Norra Djurgårdsstaden)

ქვეყანა	**შვედეთი**
ქალაქი	**სტოკჰოლმი**
ურბანული მასშტაბი	**ურბანული რაიონის დონე**
საკვანძო საკითხები	**ერთიანი ურბანული განვითარება, რეკონსტრუქცია, ეკოლოგიურად მდგრადი ქალაქის რაიონი**

მეტი ინფორმაციისთვის იხ.
http://www.norradjurgardsstaden2030.se/en

სტოკჰოლმის სამეფო საზღვაო პორტის

ტერიტორია ქალაქის უმსხვილესი განსავითარებელი რაიონია ცენტრალურ სტოკჰოლმში. მისი დასრულების შემდეგ იგი 12 000 ახალ საბინაო ერთეულს და 35 000 ახალ სამუშაო ადგილს გააერთიანებს შერეული ფუნქციური გამოყენების ნაშენი გარემოს წყალობით. ყოფილი სამრეწველო და საპორტო ტერიტორიის გარდაქმნა არსებული გარემოს, ინფრასტრუქტურისა და შენობების ახლებურ გამოყენებას ისახავს მიზნად. ამ ახალი ადგილობრივი იდენტობით ისტორიული და კულტურული ღირებულების მქონე ობიექტები მისაწვდომი და თვალსაჩინო გახდება. ნავსადგურის ნაწილები ახალ რაიონში აქტიურ ფუნქციას შეინარჩუნებს. მაღალი გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების ამბიციების მქონე ინიციატივა ხუთ სტრატეგიულ მიზანს ეფუძნება (რეზიუმე):

- **ცოცხალი,** ადამიანებზე ორიენტირებული ქალაქი, სადაც იქმნება მიმზიდველი და ცოცხალი ურბანული გარემო;
- **მისაწვდომობა და სიახლოვე** - მჭიდრო და იოლად მისადგომი ურბანული გარემოს ხელშეწყობა;
- **რესურსების ეფექტურად გამოყენება და კლიმატის ზემოქმედების შემცირება** - მოქნილი და ძლიერი გადაწყვეტებით, რომლებიც მომავლის გამოწვევებს პასუხობს.
- **ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტები** - ეს მიდგომა ეკოსისტემებს ფლორითა და ფაუნით მდიდარი გარემოს შექმნის საშუალებას აძლევს, რაც ადამიანების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე დადებითად აისახება;
- **მონაწილეობისა და სწავლის წახალისება** - ტერიტორიისადმი ინტერესის და მასთან კავშირების შესაქმნელად და ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად.

რეკონსტრუქციის მიზანია კლიმატის ცვლილებისადმი მედეგი, ახალი თაობის ურბანული უბნების შექმნა. ამასთან, დასახულია 2030 წლისთვის წიაღისეული საწვავის სრულად ჩანაცვლება და არსებული რესურსების ეფექტური გამოყენება, გარემოსა და კლიმატზე მინიმალური ზემოქმედებისთვის. ნაშენი გარემო გამოირჩევა დახურული ენერგო და წყალმომარაგების სისტემებით, აგრეთვე ყველა შენობა დაპროექტებულია მაღალი ხარისხის სტანდარტებით და ტოქსიკური ნივთიერებებისგან თავისუფალი მასალებით.

ტერიტორიის მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობაში, თითოეული ფაზისთვის მზადდება დეტალური გეგმები და პროგრამები, რომლებიც აერთიანებს ქალაქისა და დეველოპერების მიზნებს. მათი შესრულება ყოველწლიურად მოწმდება და საჭიროების შემთხვევაში ახლდება როგორც ფაზების, ისე მთლიანი ტერიტორიის დონეზე.

ფოტო Stockholms stad



6. ურბანული მდგრადობის მიმოხილვა, სკოპიე, მაკედონია

ქვეყანა	**ჩრ. მაკედონიის რესპუბლიკა**
ქალაქი	**სკოპიე**
ურბანული მასშტაბი	**საქალაქო დონე**
საკვანძო საკითხები	**ურბანული მდგრადობის მიმოხილვა, ტრანსპორტის სტრატეგიები**

მეტი ინფორმაციისთვის იხ.
https://skopje.gov.mk/en_us/

ქალაქ სკოპიეს მდგრადობის მიმოხილვა ორ ეტაპად განხორციელდა. პირველ ეტაპზე გაანალიზდა საერთო ურბანული გარემო და გამოვლინდა გასაუმჯობესებელი საკვანძო საკითხები, ტერიტორიები თუ დარგები. მეორე ეტაპზე ყურადღება გამახვილდა ურბანულ სატრანსპორტო ნაკადებსა და სისტემაზე.

მიმოხილვის ამოცანა იყო ეჩვენებინა კავშირები ტრანსპორტს, მიწის განვითარებას, გარემოს, სოციალურ შეკავშირებასა და ეკონომიკურ პროგრესს შორის. აგრეთვე, მიმოხილვა მიზნად ისახავდა სატრანსპორტო ნაკადებისა და ზოგადი ვითარების თანდათანობით გაუმჯობესების გეგმის შემუშავებას. პირველი ეტაპის დასრულებისას დადგინდა, რომ კერძო ავტომობილების მზარდი სარგებლობა ნაკლებად რეგულირებული, ხოლო პარკირების ვითარება ანარქიული იყო. საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იყო დაფინანსების ნაკლებობიდან გამომდინარე. შემუშავდა 30 წლიანი განვითარების ალტერნატიული სცენარები. ისინი ძირეულად განსხვავდებოდნენ და გარემოზეც განსხვავებულად ზემოქმედებდნენ.

საგანგებო (ad hoc) სცენარი მოიცავდა შეზღუდულ რესურსებს, არათანმიმდევრულ პოლიტიკას, არაკოორდინირებულ უწყებებს, ავტომობილების მფლობელების სულ უფრო გაუარესებულ მობილობას და საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეუსაბამო სტანდარტებს.

ავტომობილებზე მორგებული სცენარი ითვალისწინებდა მაღალი ხარისხის საგზაო ქსელის განვითარებას, სატრანსპორტო ნაკადების დიდ მოცულობას, უგულებელყოფილ საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემას, ურბანულ განშლასა და დაუცველი ჯგუფების ცხოვრების დაბალ სტანდარტებს.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის სცენარი მოიცავდა შეკავშირებული ავტობუსის სატრანზიტო დერეფნის (BRT) შექმნას, რომელსაც შეავსებდა მკვებავი ქუჩების მიმზიდველი სისტემა, მათ შორის ველოსიპედისა და საფეხმავლო ქსელები, გაზრდილი სიმჭიდროვე და კერძო ავტომობილების ნაკლები გამოყენება.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის სცენარზე დაყრდნობით შემუშავდა შემდეგი სტრატეგიები: 1. ავტობუსის არსებული სისტემის გარდაქმნა; 2. მაღალი ხარისხის მასობრივი სატრანზიტო სისტემის შექმნა, სასურველია BRT დერეფნის სახით; 3. საგზაო ქსელის გაუმჯობესება; 4. პარკირების პოლიტიკის დანერგვა.

მდგრადობის მიმოხილვა განხორციელდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) სახელმძღვანელოს მიხედვით, რომელიც ეკოლოგიურ და მდგრად ურბანულ განვითარებას ეხება.



ფოტო u-PLAN Tor Eriksson

ფოტო https://skopje.gov.mk.gov.mk/en_us/

სიტუაციური სცენარი | **ურბანული განშლის სცენარი** | **საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქალაქის სცენარი**

7. მდგრადი თემი, ნელსონ მანდელას ყურის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

ქვეყანა	**სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა**
ქალაქი	**პორტ ელიზაბეთი / ნელსონ მანდელას ყურის მუნიციპალიტეტი**
ურბანული მასშტაბი	**სათემო დონე**
საკვანძო საკითხები	**ერთიანი განაშენიანება, საზოგადოების მონაწილეობა, მიწის შერეული ფუნქციური გამოყენება**

მეტი ინფორმაციისთვის იხ. **https://www.nelsonmandelabay.gov.za/**

ნელსონ მანდელას ყურის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა მდგრადი თემის (SCU) კონცეფცია. იგი ემსახურებოდა დაგეგმარების საშუალო დონეზე არსებული დანაკლისის აღმოფხვრას ანუ საქალაქო მასშტაბის განაშენიანების ერთიან დაგეგმვასა და სამეზობლოს (მაგ., საცხოვრებელი ზონების) დეტალურ მოწყობას შორის. SCU მიდგომა ინსტრუმენტულია მუნიციპალური ბიუჯეტირებისა და რესურსების განაწილებისთვის, უთანასწორობის შემცირებისა და ინტეგრაციასა და ურბანულ მდგრადობის ხელშეწყობისათვის სათემო დონეზე.

კონცეფცია გამოყოფს ექვს ფუნქციურ სფეროს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება სივრცით დაგეგმარებას: საცხოვრებელი ადგილი, სამუშაო ადგილი, სერვისები, ტრანსპორტი, თემი, ხასიათი და იდენტობა. იგი ხელს უწყობს განსხვავებული სოციოეკონომიკური მახასიათებლების მქონე უბნების, საცხოვრისისა და საკუთრების ტიპების განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში წაახალისებს მრავალფეროვნებასა და მოქნილობას. ეკონომიკური განვითარების, დასაქმების და შემოსავლის მიღების შესაძლებლობების წასახალისებლად, იგი საცხოვრებელი უბნების მახლობლად ბიზნესის საქმიანობას, ეკონომიკური ცენტრებისა და კომერციული დერეფნების განვითარებას მოიცავს, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე გაუმჯობესებულ წვდომასთან ერთად.

კონცეფცია სოციალური, კომერციული, რეკრეაციული და მუნიციპალური სერვისების ფეხით სავალ მანძილებზე განთავსებას მოიცავს, სათანადო სტანდარტების, მდგრადობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან ერთად. შერეული და მრავალფეროვანი თემის ჩამოყალიბება, ხელმისაწვდომი ადგილობრივი სერვისებითა და დასაქმებით ამცირებს ქალაქში ტრანსპორტით გადაადგილების საჭიროებას.

ქვეითთა და ველოსიპედის უსაფრთხო მარშრუტები და საზოგადოებრივ ტრანსპორტზე უკეთესი წვდომა ხელს უწყობს ფეხითა და ველოსიპედით გადაადგილებას. ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა აძლიერებს კუთვნილებისა და პასუხისმგებლობის განცდას.

ამისთვის მნიშვნელოვანია მოსახლეობის მონაწილეობა დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების – ბავშვების, ხანდაზმულების და შშმ პირების ჩათვლით. თანასწორობაზე დაფუძნებული, გენდერულად მგრძნობიარე მიდგომა ამ პროცესის საფუძველია.

შერეული განაშენიანება, სიმჭიდროვე, დერეფნების განვითარება, უსაფრთხოება და ადგილობრივი ეკონომიკა ერთად ქმნის უკეთეს გარემოს და ამცირებს ქალაქის გადაჭარბებულ გაფართოებას.

„მდგრადი თემის კონცეფციამ“ მიიღო „მსოფლიო ლიდერობის ჯილდო“ და შესაბამისად მოიპოვა, როგორც ეროვნული ისე საერთაშორისო დონის აღიარება.



ფოტო Nelson Mandela Bay Municipality

8. ავტობუსის სატრანზიტო დერეფნის (BRT) სისტემები კურიტიბასა და ბოგოტაში

ქვეყანა	**ბრაზილია და კოლუმბია**
ქალაქი	**კურიტიბა და ბოგოტა**
ურბანული მასშტაბი	**ქალაქი/მეტროპოლია**
საკვანძო საკითხები	**ტრანსპორტის ერთიანი დაგეგმვა, ავტობუსის სატრანზიტო დერეფნის მშენებლობა**

მეტი ინფორმაციისთვის იხ.
https://www.curitiba.pr.gov.br/
https://bogota.gov.co/

ავტობუსის სატრანზიტო დერეფნის (BRT)

წარმატებული სისტემები ჩამოყალიბდა ბრაზილიის ქალაქ კურიტიბასა და კოლუმბიის ქალაქ ბოგოტაში. ეს მიწათსარგებლობისა და ტრანსპორტის ერთიანი მიდგომის ნაწილია. მოცემულ მაგალითებზე დაყრდნობით, ავტობუსის სატრანზიტო დერეფნის სისტემები 200-მდე ქალაქში დაინერგა მთელი მსოფლიოს მასშტაბით (www.brtdata.org).

კურიტიბაში, მიწათსარგებლობისა და ტრანსპორტის ერთიანი გეგმა 1968 წელს დამტკიცდა. იგი ითვალისწინებდა წრფივი ღერძის გასწვრივ ქალაქის მომავალ გაფართოებას, რომლის ცენტრშიც მოქცეული იქნებოდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მარშრუტები. მარშრუტების ერთიანი ქსელი მუდმივად უმჯობესდებოდა მკვებავი ხაზების დამატებითა და ისეთი ტექნოლოგიების დანერგვით, როგორიცაა ჰიბრიდული და ელექტრო ავტობუსები. მთლიან სისტემასა და სხვადასხვა ტიპის ავტობუსებს მინიჭებული აქვს შესაბამისი კოდური ფერი: წითელი აღნიშნავს ექსპრეს (ჩქარ) ავტობუსებს, ყვითელი საგარეუბნო მკვებავ ავტობუსებს, ხოლო მწვანე რაიონთა შორის ავტობუსებს, რომლებიც საერთო ცენტრის მქონე გარეუბნებს აკავშირებს.

სატრანსპორტო სისტემა აღჭურვილია ავტობუსის სადგურებითა და ტერმინალებით, რომლებიც დამატებით სათემო და კომერციული ცენტრის ფუნქციას ასრულებს. მსხვილი ტერმინალების მიმდებარე ტერიტორია გამოცოცხლებულია დამატებითი სერვისებით, რითაც ხელს უწყობს საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობას. ტერიტორიების იოლი მისადგომობიდან გამომდინარე ისინი კომერციულად მომგებიან სივრცეებად იქცევა, რაც დადებითად აისახება საკუთრივ საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემაზე.

ორსექციიანი ავტობუსებითა და ერთიანი, ელექტრონული ბილეთების სისტემის მქონე საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემით 1 მილიონზე მეტი მგზავრი სარგებლობს ყოველდღიურად. იგი ქალაქში გადაადგილების საჭიროების დაახლოებით 46% აკმაყოფილებს. გამართულ საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემას წვლილი შეაქვს ქალაქის კეთილდღეობაში, რაც გამოიხატება ჰაერის დაბინძურების დაბალი მაჩვენებლებით, მცირე ხერგილებითა და სასიამოვნო ურბანული გარემოთი.

ბოგოტაში ავტობუსის სატრანზიტო დერეფანი (BRT) „ტრანსმილენიო“ ხარჯთეფექტიანი და სამაგალითო სატრანსპორტო გადაწყვეტაა. ავტობუსებისთვის გამოყოფილია სპეციალური ზოლები, ხოლო ფართო კარები სწრაფ ჩასხდომასა და გადმოსხდომას უზრუნველყოფს. გაჩერებები მეტროს ჰგავს. „მსოფლიო ბანკის“ მიხედვით, სისტემა ქალაქის სხვადასხვა ნაწილებს აკავშირებს.

პროექტი 3-ეტაპად განხორციელდა და 114 კმ-ს მოიცავს. მასში შედის ველოსადგომები, პარკირებები და საბაგირო გზები. შედეგად, მგზავრობის დრო 32%-ით შემცირდა, გაიზარდა საგადასახადო შემოსავლები და ქონების ღირებულება, გაუმჯობესდა ჰაერის ხარისხი და შემცირდა ავარიებით დაღუპულთა რაოდენობა.



ფოტოები / SWECO

9. თანგშანის ეკოქალაქი, ჩინეთი

ქვეყანა	**ჩინეთი**
ქალაქი	**თანგშანის ეკოქალაქი**
ურბანული მასშტაბი	**ქალაქი/ყოვლისმომცველი დონე**
საკვანძო საკითხები	**ეკოქალაქი, ერთიანი დაგეგმარება, გარემო**

მეტი ინფორმაციისთვის იხ.
https://en.tangshan.gov.cn/

თანგშანის ეკოქალაქის პროექტი სტრატეგიული მდებარეობით გამოირჩევა. კერძოდ, იგი პოტენციური, მძლავრი რეგიონული განვითარების ცენტრია, რომელიც მოიცავს თიენძინს, ცინხუანდაოსა და თანგშანს. სამხრეთ თანგშანის განვითარება ეფუძნება ახალი საერთაშორისო ღრმა წყლოვანი ნავსადგურის და მსხვილი სამრეწველო ზონის შექმნას, რომელიც „დახურული ცირკულარული ეკონომიკის“ მაგალითი იქნება.

ეკოქალაქის დაგეგმარებისა და პროექტირების საფუძველია ცხრა ძირითადი მახასიათებელი, რაც ასახავს ურბანული განვითარების ყოვლისმომცველ და დისციპლინათაშორის მიდგომას. ეკოქალაქს კომპაქტური და მრავალფეროვანი ფუნქციური გამოყენება აქვს, სადაც სხვადასხვა ფენები ისეა ერთმანეთში ჩაქსოვილი, რომ ქმნის შთამაგონებელ ერთიანობას. ურბანული კვანძები ქალაქის რაიონული ცენტრის ფუნქციას ასრულებენ, ხოლო თითოეულს გამორჩეული მიმართულება აქვს, როგორიცაა ინოვაცია, ვაჭრობა, მეცნიერება და სპორტი.

ქალაქის შერეული ფუნქციური გამოყენება წაახალისებს ინოვაციური ატმოსფეროს შექმნას, რომელიც დადებითად მოქმედებს, როგორც ბიზნესზე, ისე კულტურაზე. ეს სტრუქტურა ხელს უწყობს მდგრადი სატრანსპორტო მოდალობების განვითარებას, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს ქვეითად, ველოსიპედით და საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილებას. „მწვანე და ლურჯი“ ტერიტორიები საჯარო სივრცის განუყოფელი ნაწილია.

კლიმატნეიტრალური ენერგოსისტემები უმცირესი შესაძლო ენერგეტიკული მოთხოვნის მიღწევაზეა ორიენტირებული, რაც ხერხდება ენერგოეფექტური შენობებისა და სისტემების აგებით. განახლებადი ენერგია ადგილობრივად იწარმოება, ძირითადად ქარის ტურბინებისა და ნარჩენების ინსინერაციით. ასევე, არსებობს ენერგიის სხვა განახლებადი წყაროების გაზრდის შესაძლებლობაც, მაგალითად მზის პანელებისა და ზღვის ტალღების ენერგიის გამოყენებით.

ეკოციკლის მოდელი გულისხმობს ენერგეტიკის, ნარჩენებისა და წყალმომარაგების მართვის ერთიან სისტემას და ბიოგაზის გაუმჯობესებულ მოხმარებას ავტომობილების საწვავის სახით. მომხმარებელზე ორიენტირებული სისტემების შეთავაზებასთან ერთად, ხორციელდება საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება. ქალაქის სტრუქტურა პროექტის, როგორც სწრაფი ისე ნელი ტემპით, კვარტლებისა და შენობების მიხედვით განხორციელების საშუალებას იძლევა. ასეთი ერთიანი ურბანული გარემო ხელს უწყობს ცხოვრების მაღალ ხარისხსა და სტანდარტებს, სოციალურ დაცულობას, ინკლუზიასა და ჯანდაცვას.

ფოტო SWECO

ფოტო Ulf Ranhagen

10. კლიმატნეიტრალური ქალაქები, შვედეთი

ქვეყანა	**შვედეთი**
ქალაქი	**რამდენიმე სხვადასხვა ქალაქი**
ურბანული მასშტაბი	**ქალაქი/ყოვლისმომცველი დონე**
საკვანძო საკითხები	**კლიმატნეიტრალური, სტრატეგიული დაგეგმარება, კლიმატური კონტრაქტები**

მეტი ინფორმაციისთვის იხ.
https://viablecities.se/en/

„სიცოცხლისუნარიანი ქალაქები“ შვედურ ორგანიზაციათა გაერთიანებაა, რომელიც 2017 წელს დაფუძნდა შემდეგი მისიით: კლიმატნეიტრალური ქალაქები 2030 წლისთვის. იგი აერთიანებს შვედეთის 48 ქალაქს, ექვს სამთავრობო უწყებასა და რამდენიმე კვლევით ინსტიტუტს. პროგრამის წევრები არიან ტექნოლოგიის სამეფო ინსტიტუტის (KTH), ლუნდის უნივერისტეტის, შვედეთის კვლევითი ინსტიტუტისა (RISE) და სტოკჰოლმის გარემოსდაცვითი ინსტიტუტის (SEI) წარმომადგენლები. 2022 წელს ევროკავშირის (EU) მასშტაბით შეიქმნა მსგავსი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 112 ქალაქი ერთიანდება იგივე მისიით.

„სიცოცხლისუნარიანი ქალაქები“ ყოვლისმომცველ მიდგომას იყენებს მდგრადი ურბანული განვითარების მიმართ, რაც გულისხმობს საზოგადოების თითოეული წევრის ჩართვას აუცილებელი ცვლილებების განხორციელებაში, იქებიან ეს მეწარმეები თუ მკვლევარები, პოლიტიკოსები თუ საჯარო მოხელეები, ორგანიზაციები თუ რიგითი ადამიანები. ამ მხრივ ცვლილებების მიღწევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი აქვს გაციფრულებასა და ზოგადად ციფრულ ინსტრუმენტებს.

„სიცოცხლისუნარიანი ქალაქები“ ყურადღებას შვედეთის მუნიციპალიტეტებზე ამახვილებს, რადგან

ფოტო viablecities.se

მარიესტადის მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წლის კლიმატური კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების მაგალითები: მდგრადი ტრანსპორტი მგზავრებისათვის; ნულოვანი ემისიები მძიმე სამშენებლო მანქანებიდან; მუნიციპალიტეტის საფეხმავლო და საველოსიპედო ქსელის გეგმა; საჯარო შენობების გაუმჯობესებული ენერგოეფექტურობა უკეთესი იზოლაციით, მწვანე ენერგოგადაწყვეტებითა და დაბალი ენერგომოხმარების განათებებით.

სწორედ მათ შეუძლიათ მოცემულ გეოგრაფიულ არეალში ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვა. მუნიციპალურ ხელისუფლებასთან ერთად, ისეთი მსხვილი კომპანიები, როგორიცაა SSAB ბურლენგეში, ნავთობის ინდუსტრია გეტებორგში ან „ვოლვო“ მარიესტადში ადგილობრივი ცვლილებების განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

ქალაქის „კლიმატური კონტრაქტი 2030“ არის ერთგვარი ინსტრუმენტი, რომელიც „სიცოცხლისუნარიანი ქალაქების“ პროგრამის ერთობლივი ძალისხმევის შედეგია. თითოეული ქალაქი კონტრაქტით იღებს კლიმატისა და მდგრადობის გარკვეულ ვალდებულებებს, რომელთა გადასინჯვა და ხელმოწერა ყოველწლიურად ხდება. „კლიმატური კონტრაქტი“ ხელშემკვრელი გრძელვადიანი პოლიტიკური ვალდებულებაა, რომელსაც ხელს მუნიციპალიტეტის უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირები აწერენ. იგი მოიცავს კონკრეტულ მიზნებს, მაჩვენებლებსა და სამიზნეებს, აღწერს საინვესტიციო პრიორიტეტებს, რომლებიც კლიმატნეიტრალობის უფრო სწრაფ მიღწევას ემსახურება.

ექვსი მუნიციპალური მთავრობა და „სიცოცხლისუნარიანი ქალაქები“ „კლიმატური კონტრაქტის“ ფარგლებში აღწერენ, როგორ უჭერენ მხარს ქალაქების მწვანე ტრანსფორმაციას. ამ ინიციატივით 48 ქალაქში ხორციელდება სხვადასხვა პროექტი, რომლებიც მიზნად ისახავს სათბური აირების შემცირებას, ენერგიის დაზოგვას, მშენებლობის სტანდარტების გაუმჯობესებას, მდგრადი მობილობის განვითარებას და ინკლუზიური მართვის გაძლიერებას. ქალაქები გამოცდილებას ერთმანეთს უზიარებენ, რაც კლიმატნეიტრალობის მიღწევას აჩქარებს.

2022 წელს, SALAR International-ის პროექტის ფარგლებში, თურქეთის ქალაქ მერსინში დაინერგა „კლიმატური კონტრაქტის“ მიდგომა. შეიქმნა „მწვანე ტრანსფორმაციის ცენტრი“, რომელიც ადგილობრივებს ეხმარება წვანე ტრანსფორმაციის პროცესში, მათ შორის ტარდება სამუშაო შეხვედრები ბიზნესისთვის ევროპული “მწვანე შეთანხმების” ფარგლებში.

11. ერთიანი ურბანული განაშენიანება მუკურუს დასახლებაში, ნაირობი, კენია

ქვეყანა	**კენია**
ქალაქი	**ნაირობი**
ურბანული მასშტაბი	**ურბანული ტერიტორია / თემი**
საკვანძო საკითხები	**ერთიანი დაგეგმარება, ბარაკების გაუმჯობესება, სათემო ჩართულობა**

მეტი ინფორმაციისთვის იხ.
https://www.muungano.net/mukuru-spa

მუკურუს თვითნებურად განაშენიანებული დასახლება, ნაირობის ცენტრალური საქმიანი რაიონის სამხრეთით სამრეწველო ზონაში მდებარეობს. იგი ნაირობის ერთ-ერთი უმსხვილესი განაშენიანებული ტერიტორია და დაახლოებით 100 000 ოჯახისთვის არის სახლი. ისინი ცხოვრობენ დაუცველი საკუთრების უფლებებისა და არასათანადო საცხოვრისის პირობებში, საბაზისო სერვისებზე ყოველგვარი წვდომის გარეშე.

2017 წელს, სათემო ინიციატივით დაწყებული მუკურუს სპეციალური დაგეგმარების ზონა (SPA) მიზნად ისახავდა ინკლუზიური და ტრანსფორმაციული მიდგომით საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. მასში ჩართულნი იყვნენ არა მხოლოდ მაცხოვრებლები და ადგილობრივი ხელისუფლება, არამედ ასევე სამოქალაქო, აკადემიური და კერძო სექტორის წარმომადგენელი 40-მდე ორგანიზაცია. ინიციატივით შეიქმნა მონაწილეობითი გაუმჯობესების პირველი პრეცედენტი, რაც მნიშვნელოვანი ცვლილება იყო. აღიარებულ იქნა, რომ ტრადიციულ დაგეგმარებას არ შეუძლია ბარაკების მრავალმხრივი პრობლემების გადაწყვეტა რადგან ეს თემის აქტიურ ჩართულობას მოითხოვს.

ინიციატივისთვის მომზადდა „განაშენიანების ერთიანი გეგმა“, თემის საჭიროებებზე დაყრდნობით, რომლის საფუძველზეც ნაირობის ხელისუფლებამ შეიმუშავა დარგობრივი გეგმები. მუკურუს მოსახლეობის ჩართულობა დაგეგმვის პროცესში იყო ძალიან მნიშვნელოვანი - ისინი მონაწილეობდნენ SPA-ის კონსულტაციებში და ადგილობრივ წარმომადგენლებთან ერთად განიხილავდნენ პრობლემებს.

დაგეგმვა მიმდინარეობდა რვა ჯგუფად, რომლებსაც ნაირობის სხვადასხვა სამსახურები ხელმძღვანელობდნენ. თითოეული ჯგუფი აგროვებდა და აანალიზებდა მონაცემებს, რათა საზოგადოების აზრი შეეთავსებინა ფინანსურ, სამართლებრივ და სივრცით რეალობასთან და შექმნილიყო ერთიანი გეგმა.

მუკურუს დღევანდელი მდგომარეობა ისტორიულ პროცესებს უკავშირდება, რომლებმაც განსაზღვრა მისი ფორმირება და სახელმწიფოს რეაგირება. ინიციატივა ეფუძნება მრავალწლიან ჩართულობასა და სხვადასხვა მხარის თანამშრომლობას და წარმოადგენს საზოგადოების ორგანიზების სანიმუშო მოდელს.

დაგეგმარების 8 კონსორციუმი

1. საცხოვრისი, ინფრასტრუქტურა და კომერცია
2. განათლება, ახალგაზრდული საქმეები და კულტურა
3. ჯანდაცვა
4. მიწა და ინსტიტუციური ჩარჩოები
5. წყალი, სანიტარია და ენერგია
6. ფინანსები
7. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები
8. კოორდინაცია, თემის ორგანიზება და კომუნიკაცია

ფოტო muungano.net/mukuru-spa

12. უმეო, შვედეთი – გენდერულად მგრძნობიარე ურბანული განაშენიანება

ქვეყანა	**შვედეთი**
ქალაქი	**უმეო**
ურბანული მასშტაბი	**ქალაქი / მუნიციპალიტეტი**
საკვანძო საკითხები	**ინკლუზიური განვითარება, გენდერულად მგრძნობიარე დაგეგმარება და პროექტირება, მმართველობა**

მეტი ინფორმაციისთვის იხ.
https://www.umea.se/

შვედეთში მდებარე ქალაქ უმეოში მთელი რიგი მიზანმიმართული ნაბიჯები გადაიდგა გენდერული თანასწორობის გასაუმჯობესებლად. ეს ინკლუზიური ურბანული გარემოს შექმნის საუკეთესო მაგალითად იქცა, როდესაც მამაკაცებსა და ქალებს თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდათ გავლენა მოახდინათ საზოგადოებრივი სტრუქტურებსა და მათ ინდივიდუალურ ცხოვრებაზე. თავდაპირველად, 1978 წელს შექმნილი გენდერული თანასწორობის კომიტეტი ქალაქის საკრებულოში დღევანდელი ფორმით 1994 წელს ჩამოყალიბდა. იგი პასუხისმგებელია გენდერული თანასწორობის ღონისძიებების შეფასებასა და მუნიციპალურ ადმინისტრაციაში ინტეგრირებაზე.

მუნიციპალიტეტმა დაამტკიცა „გენდერული ლანდშაფტის“ მიდგომა, რომელიც ძალაუფლებრივი დინამიკის გენდერული ასპექტების უფრო დეტალიზებულ გაგებას უწყობს ხელს. მიდგომა ამას ახორციელებს გენდერულად დახარისხებული მონაცემების შეგროვებისა და მათი ანალიზის საშუალებით, ისევე როგორც საზოგადოებრივი სერვისებისა და ურბანული დაგეგმარების შესახებ გენდერული დიალოგის წარმოებით. ისეთი ინიციატივები, როგორიცაა „გენდერული ლანდშაფტის“ ავტობუსის ტურები ურბანულ დიზაინსა და დაგეგმარებაში არსებული გენდერული უთანასწორობების გამოვლენისა და გადაჭრის ერთგვარი საშუალებაა. ქალაქ უმეოში განხორციელებული ღონისძიებები ემსახურება საჯარო სივრცეებში დაცულობის განცდის გაუმჯობესებას მაცხოვრებლებისათვის, განსაკუთრებით კი ქალებისა და გოგონებისთვის, რომელთაც ხშირად მარშრუტის შეცვლა უწევთ უსაფრთხოებიდან გამომდინარე. საჯარო სივრცეების უსაფრთხოების გაუმჯობესების ერთ-ერთი სტრატეგია შეიძლება იყოს ხალხმრავლობა.

გენდერულად მგრძნობიარე ურბანული დაგეგმარების ერთ-ერთი ინიციატივაა „თავისუფალი ზონის“ შექმნა. ყველასთვის ხელმისაწვდომი და ინკლუზიური სივრცე, რომლის დიზაინი ითვალისწინებს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალების საჭიროებებს (დასაჯდომი ადგილები, კარგი ხილვადობა და უსაფრთხოება). ის ხელს უწყობს სოციალურ ურთიერთობებსა და კულტურულ თვითგამოხატვას, რასაც ახალგაზრდების მიერ შექმნილი ინსტალაციები ამდიდრებს.

გენდერულად მგრძნობიარე ლანდშაფტის ასპექტები



ფოტო umea.se

13. მალმეს შენება

ქვეყანა	**შვედეთი**
ქალაქი	**მალმე**
ურბანული მასშტაბი	**საქალაქო / მუნიციპალური**
საკვანძო საკითხები	**საზოგადოების ცნობიერება, საზოგადოებრივი სივრცე, საზოგადოების ჩართულობა**

მეტი ინფორმაციისთვის იხ.
https://malmo.se/Malmo-in-the-making.html

„მალმეს შენება“ „მალმეს შენება“ არის ქალაქ მალმეში დაწყებული ინიციატივა მას შემდეგ, რაც 2023 წელს კოპენჰაგენი UNESCO-ს მიერ არქიტექტურის მსოფლიო დედაქალაქად გამოცხადდა.

მისი მიზანია ქალაქის ურბანული სივრცის, არქიტექტურისა და კულტურის მნიშვნელობის როლის შესწავლა და გაძლიერება ურბანული განაშენიანების ფორმირების პროცესში. ამავდროულად, ინიციატივა სამ ძირითად კომპონენტს ეფუძნება: საჯარო დისკუსიები საცხოვრებელი გარემოს მომავლის შესახებ, მაცხოვრებლების აქტიური ჩართულობა და მულტიდისციპლინური ინიციატივების კონკურსი ადგილობრივი სამეზობლოებისათვის.

როგორც ინიციატივა, რომელიც ემსახურება ადვოკატირების, ჩართულობისა და ცნობიერების ამაღლების წახალისებას, იგი მოიცავდა მრავალფეროვან ღონისძიებებსა და აქტივობებს. ისინი შემუშავდა არქიტექტურის, აკადემიური წრეების, ბიზნესისა და კულტურის სფეროს წარმომადგენელ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით. სხვადასხვა აქტორის მონაწილეობა საზოგადოებრივ პროგრამაში კიდევ ერთხელ ადასტურებდა მათ ინტერესსა და ერთგულებას საზოგადოების ჩართულობისა და დიალოგის მიმართ.

„ადგილების ძალა“ ინიციატივის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო და ღია კონკურსის სახით მიმდინარეობდა. იგი წარმოადგენდა მალმეს ქალაქისა და „შვედეთის არქიტექტურისა და დიზაინის ცენტრის“ (ArkDes) თანამშრომლობის შედეგს, რომელსაც მხარს უჭერდა „მალმეს კულტურული მემკვიდრეობისა და მწვანე პარკების შენარჩუნების საზოგადოება“. პროექტი კონცენტრირებული იყო როზენგორდისა და ნიჰამნენის უბნების შემდგომ განვითარებაზე, რომელთაგან თითოეულს თავისი უნიკალური გეოგრაფიული მახასიათებლები და განვითარების საჭიროებები ჰქონდა. მალმეს თვითმმართველი ხელისუფლება აქტიურად მონაწილეობდა ურბანული დაგეგმარებისა და განაშენიანების პროცესებში.

კონკურსის შედეგად შეირჩა ორი მულტიდისციპლინური გუნდი, რომლებმაც შეისწავლეს ორი ტერიტორია, სამუშაო მიდგომები და ურბანული განვითარების ინოვაციური გზები. ნიჰამნენში ერთმა ჯგუფმა განიხილა ახალი საჯარო სივრცეების შექმნის შესაძლებლობები არსებული გამწვანებისა და ურბანული სტრუქტურის გათვალისწინებით.

ინიციატივა „მალმეს შენება“ აჩვენებს, როგორ შეიძლება საზოგადოებრივი დიალოგით წახალისდეს ინკლუზიური და მონაწილეობითი ურბანული დაგეგმვა.

ფოტოები malmo.se/Malmo-in-the-making.html

„მალმეს შენება“ – აქტივობები

gmom Klas Groth

საცნობარო დოკუმენტები და ბიბლიოგრაფია

1. Avfall Sverige (2024), *Swedish Waste Management*, Malmö.

2. Benewick, R & Donald, SH (2009), *The State of China Atlas, Mapping the fastest-growing economy*, University of California Press, Berkley Los Angeles.

3. Campanella, Thomas J (2008), *The concrete dragon. China's urban revolution and what it means for the world.* Princeton Architectural Press New York.

4. Davies, M (2006), *Planet of Slums*, London, Verso.

5. Delegationen för Hållbara Städer (2011), *Hållbara Städer – Delegationen för Hållbara Städer – erfarenheter hittills*, Edita Västra Aros.

6. Dow, K & Downing, T E (2011), *The Atlas of climate change. Mapping the world's greatest challenge*, Earthscan.

7. Energimyndigheten (2011), *Uthållig Kommun – Fyra stora steg och tjugo små steg, Idéskrift om Fysisk Planering*, Statens Energimyndighet.

8. Geddes, P (1915), *Cities in evolution,* London, Williams and Norgate.

9. Gehl, J (2010), *Cities for People*, Island Press.

10. Government Offices of Sweden (2018), *Policy for Designed Living Environment*, Ministry of Culture.

11. Government Offices of Sweden (2023), *Development Assistance for a New Era - Freedom, empowerment and sustainable growth*, Ministry of Foreign Affairs.

12. Government Offices of Sweden (2025), *A new strategy for vibrant and safe cities, Summary*.

13. Healy, P (2006), *Collaborative Planning, Shaping Places in Fragmented Societies*, Palgrave MacMillan.

14. Innes, Judith, E & Booher, David, E (2010), *Planning with Complexity. An Introduction to collaborative rationality for public policy*. Routledge.

15. International Centre for Local Democracy/SKL International (2011), *Developing Sustainable Cities in Sweden*.

16. International Energy Agency (2024), *World Energy Outlook 2024*.

17. IPCC (2023), Summary for Policymakers. In: Climate Change 2023: Synthesis Report. *Contribution of Working Groups I, II and III to the Sixth Assessment Report of the Intergovernmental Panel on Climate Change*, Geneva.

18. Jacobs, J (1992), *The Death and Life of Great American Cities*, Vintage Books, New York.

19. Jenks, Mike & Jones Colin (ed.) (2010), *Dimensions of the Sustainable City*. Springer.

20. Jönsson, B (1999), *Tio tankar om tid*, Bromberg.

21. Larsson, S & Tyrstrup O and others (2007), *Sustainable Community Planning Guid*e, Sida/ Nelson Mandela Bay Municipality.

22. Li, Yuheng (2011), *Urban-rural relations in China. A study of the Beijing-tianjin-hebei Metropolitan Region*. Doctoral thesis in Infrastructure with spe-cialisation in Planning and Implementation, KTH, Stockholm.

23. Lindström, P & Lundström, M (2008) *Sustainability by Sweden*, National Board for Building, Housing and Planning.

24. Ljunggren, B (2008), *Kina – vår tids drama (China – the drama of our time)*, Hjalmarsson & Högberg.

25. Naturvårdsverket (2024), *Avfall i Sverige*, Naturvårdsverket.

26. Newman, P & Kenworthy, J (1989), *Cities and Automobile dependance: a source book*, Gower.

27. OECD (2006), DAC Guidelines and References Series, *Applying Strategic Environmental Assessment. Good Practice Guidance for Development Cooperation*.

28. Ranhagen, U & Trobeck, S (1999), *The use of indicators in spatial planning – A situation report*. National Board of Housing, Building and Planning, Swedish Environmental Protection Agency.

29. Ranhagen, U (2000), *Planning with environmental objectives – a guide*. National Board for Building, Housing and Planning, Swedish Environmental Protection Agency.

30. Ranhagen, U et.al. (2002), *Sustainable City – A Swedish Partnership Initiative*, Swedish Ministry of Foreign Affairs, Swedish ministry of the Environment, Swedish Trade Council, Stockholm.

31. Ranhagen, U et.al. (2007), *The Sustainble City Approach*, Sida Manual for support to Environmentally Sustainable Urban Development in Developing Countries.

32. Ranhagen, U et.al. (2010), *The Symbio City Approach. Conceptual framework for support to sustainable urban development in low and middle income countries*. Sida and SKL International.

33. Ranhagen, U (2012), *Sustainable Municipality – 4 big leaps and 20 small steps. Conceptual guidelines on sustainable spatial planning*. Swedish Energy Agency.

34. Regeringskansliet (2010), *Policy för miljö- och klimatfrågorna inom svenskt utvecklingssamarbete 2010–2014*.

35. Sachs, J (2008), *Common Wealth Economics for a crowded planet*, Penguin Books.

36. Satterthwaite (2008b), *Climate change and urbanization. Effects and implications of urban governance,* United Nations Expert Group Meeting on Population Distribution, Urbanization, Internal Migration and Development.

37. Sida (2002), *Towards an urban worl*d, Urbanization and Development Assistance.

38. Sida (2022), *Urban Development, Biodiversity and Ecosystem Services.*

39. Sida (2006), *Fighting Poverty in an Urban World - Support to Urban Development* (policy).

40. Sida (2022), *Climate and Environment Policy*.

41. Sida (2024), *Multi-Dimensional Poverty Analysis (MPDA): How to analyse poverty.*

42. Sida/SIPU International (2007), *The Urban Development Programme 1996–2007,* Swedish-South African Cooperation.

43. Stockholm International Water Institute (2006), *Corruption in the Water Sector.*

44. Ståhle, A (2019), *Searching for Best Practice from Planning to Management*.

45. SWECO (2008), *Caofedian international deep-green Eco-City, Nine themes of planning.*

46. Swedish Association of Architects, (2010), *Architecture For Everyday Life. Everybody Every Time*. Sustainability by Sweden. Stockholm.

47. Tannerfeldt, G & Ljung, P (2006), *More Urban Less Poor – an introduction to Urban Development and Management*, Sida and Earthscan.

48. The Worldwatch Institute (2007), 2007 *State of the World, Our Urban Future*, W.W Norton and company, London.

49. Tornberg, P (2011), *Making Sense of Integrated Planning. Challenges to Urban and Transport Planning Processes in Sweden*, Doctoral Thesis in Planning and Decision Analysis, with specialisation in Urban and Regional Studies, Stockholm.

50. Trafikverket (2010), *Den Goda Staden* (kortversion), Trafikverket.

51. Turok, I. et al. (2023), *Rethinking urbanisation and economic development*, International Institute for Environment and Development, SAGE Publications.

52. UN-Habitat (2008), *State of the World's Cities* 2010/2011, Bridging the Urban Divide, Earthscan London Washington.

53. UN-Habitat (2009), *Planning for Sustainable Cities*, Global Report on Human Settlements, Earthscan London Sterling, VA.

54. UN-Habitat (2011), *Global report on Human Settlements 2011. Cities and climate change.* United Nations Human Settlements Programme, Earthscan.

55. UN-Habitat (2011), *Global report on Human Settlements 2011. Cities and climate change.* United Nations Human Settlements programme, Earthscan. Abridged version.

56. UN-Habitat (2020), *A Better Quality of Life of All in an Urbanising World* (Strategic Plan, 2020-2023), Nairobi.

57. UN-Habitat (2020), *The New Urban Agenda Illustrated*, Nairobi.

58. UN-Habitat (2021), *Cities and Pandemics: Towards a more just, green and healthy future,* Nairobi.

59. UN-Habitat (2023), *My Neighbourhood*, Nairobi.

60. UN-Habitat (2023), *Unlocking the Potential of Cities: Financing Sustainable Urban Development*, Nairobi.

61. UN-Habitat (2024), *World Cities Report 2024: Cities and Climate Action*, Nairobi.

62. United Nations (2017), *New Urban Agenda*, A/RES/71/256.

63. United Nations Department of Economic and Social Affairs, *Population Division* (2019), World Urbanization Prospects: The 2018 Revision, New York.

64. United Nations Department of Economic and Social Affairs (2025), *The Sustainable Development Goals Report 2025*, New York (revision August 2025), New York.

65. United Nations Environment Programme (2024), *Global Waste Management Outlook 2024: Beyond an age of waste – Turning rubbish into a resource*, Nairobi.

66. United Nations General Assembly (2015), *Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable development*, New York, A/RES/70/1.

67. United Nations Office for Disaster Risk Reduction (2022), *Principles for resilient infrastructure,* Geneva.

68. United Nations Office for Disaster Risk Reduction (2025), *Global Assessment Report on Disaster Risk Reduction 2025: Resilience Pays: Financing and Investing for our Future*, Geneva.

69. United Nations Office for Disaster Risk Reduction (2025), *Making Cities Resilient 2030* (2025). Urban Heat Risk Management Resource Package, Incheon.

70. Wackernagel & Rees (1996), Our Ecological Footprint, Reducing Human Impact on the Earth, New Society Publishers.

71. WECD (World Commission on Environment and Development) (1987), *Our Common Future,* Brundtland Commission, Oxford University Press, Oxford.

72. Wheeler Stephen, M. (2004), *Planning for Sustainability, Creating liveable, equitable and ecological communities*. Routledge.

73. Wizelius, T (1999), *Sweden in the year 2011: towards a sustainable society*. Stockholm, Swedish Environmental Protection Agency.

74. World Bank, Hiroaki, S, Arish, D, Moffatt, S, Yabuki, N (2009), *Eco2Cities – Ecological Cities as Economic Cities*, The International Bank for Reconstruction and Development.

75. Wangel, Josefin (2012), *Making Futures. On Targets, Measures and Governance in Backcasting and Planning for Sustainability*. Doctoral Thesis in Planning and Decision Analysis, KTH, Stockholm, Sweden.

76. World Bank, the Government of Ukraine, European Union, United Nations (2025), *Fourth Rapid Damage and Needs Assessment* (RDNA4) February 2022 – December 2024.

77. World Bank (2025), *Unlivable- How Cities in Europe and Central Asia Can Survive and Thrive in a Hotter Future*, Washington.

78. World Water Day (2007), *Coping with Water Scarcity, Challenge of the twenty-first century.*

სწრაფი ურბანიზაციის პირობებში, 2030 წლის განვითარების დღის წესრიგის შესასრულებლად, ქალაქგეგმარებისადმი ჰოლისტიკური (ერთიანი/კომპლექსური) მიდგომა იმაზე მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე. მდგრადი ურბანიზაცია მოითხოვს სისტემურ გადასვლას „მწვანე“ და ცირკულარულ მომავალზე, კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ქმედებების დაჩქარებას და არსებული ეკონომიკური, ბუნებრივი თუ სხვა რესურსების ეფექტიან გამოყენებას. ჰოლისტიკური და შორს განჭვრეტადი ურბანული განვითარება, რომელიც ეფუძნება ინკლუზიურობას, გადაკვეთის წერტილებს, ინოვაციებსა და ტრანსფორმაციულ გადაწყვეტებს - ქმნის საფუძველს დღევანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობისა და თანასწორი ურბანული მომავლისთვის. სივრცითი უთანასწორობის აღმოფხვრა და ქალაქების მართვის პრინციპების გადახედვა გადამწყვეტია ისეთი გარემოს შესაქმნელად, სადაც დაცული იქნება ადამიანის უფლებები და დაკმაყოფილდება მათი საჭიროებები.

‘სიმბიოსითის’ მიდგომა ხელს უწყობს პარადიგმის ცვლილებას მდგრადი ურბანიზაციისკენ, სადაც ეროვნული თუ ადგილობრივი ინიციატივები ეყრდნობა ადამიანზე ორიენტირებულ და ღირებულებებზე დაფუძნებულ პროცესებს. ეს საშუალებას აძლევს ყველას, თანაბრად ისარგებლოს სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი განვითარების სიკეთეებით. ‘სიმბიოსითი’ შვედეთის მთავრობის ინიციატივაა, რომელიც მსოფლიო მასშტაბით უწევს პოპულარიზაციას მდგრად ურბანიზაციას. იგი ეფუძნება შვედურ გამოცდილებასა და ინოვაციებს, ადგილობრივი თვითმმართველობის როლის განსაკუთრებული აქცენტირებით. 2012 წლიდან შვედეთის ადგილობრივ ხელისუფლებათა და რეგიონების ასოციაცია (SALAR), თავისი საერთაშორისო ფრთის SALAR International-ის მეშვეობით, წარმოადგენს ‘სიმბიოსითის’ მიდგომისა და მისი გლობალური გამოყენების სამდივნოს.

“სიმბიოსითის მიდგომა 2026“ წარმოადგენს 2012 წელს გამოქვეყნებული მეთოდოლოგიის მეორე, განახლებულ გამოცემას. ვიმედოვნებთ, რომ ეს პუბლიკაცია შთაგაგონებთ და გააძლიერებს თქვენს საქმიანობას სიცოცხლისუნარიანი და მედეგი ურბანული დასახლებების შესაქმნელად.

Swedish Association of Local Authorities and Regions

SALAR International
A part of the Swedish Association of Local Authorities and Regions